

644
1959/4

ՀԱՐՑԵՐԸ
ՆՈՋԱՐԱՐՈՒՄԸ

Օրվա ընթացք

6

კაცური

ლიბერატორულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-კოლტიკური შუარნალი

საპარტეზელოს ალკჲ ც. კ-სა და მწერალთა კავშირის ორგანო

7768

შ ი ნ ა კ რ ს ი

ნ. ს. ხრუშჩოვი — ხალხის სამსახური საბჭოთა მწერლების მაღალი მოწოდება 2

ბ. ხუხაშვილი — ლურჯი ფანჯრები (პოემა) . . . 25

თ. გოგოლაძე — ხოჯერაანი (მოთხრობა. გაგრძელება) 32

ე. კვიციანი — ლექსები 52

ო. ჩხეიძე — ფოლადის ფრთებზე (გაგრძელება) 54

ფედერიკო გარსია ლორკა — ლექსები (თარგმნა ნ. ხატისკაცმა) 79

ს. დეშტანაშვილი — ფოსტალიონი (მოთხრობა) 81

მ. ლოხვიციანი — მოთხრობები (თარგმნა რ. ინანიშვილმა) 87

ჩვენი აღმნიშვნები

ბ. გოგოლაძე — შირაქის ლეგენდა 98

კუბლიკაცი

ჯ. მუხომბერიძე — აღ. ორბელიანის წერილი დ. კონქაძის „სურამის ციხეზე“ 104


კრიტიკა და აუბლიცინობა

ბ. ბაბუნიანი — მკითხველი და მწერლები . . . 112

ნ. ჩხეიძე — ლიტერატურული ხახის მორბევა და შინაარსის საკითხისათვის 118

1959

ივნისი
სახელმწიფო
გამომცემლობა
„საბოთა
საპარტეზელო“



ბ. ბეთანელი — მსოფლიო მღერის, მსოფლიო ცეკვავე	125
მ. დოლიძე — რიცხვითი სახელგების წერა და გამოთქმა ქართულ ენაში	134
ი. ბალახაშვილი — „შემოღამება მთაწმინდა- ზედ“ ერთი ადგილის გაგებისათვის	135
ა. ღვინიაშვილი — გულით ნათქვამი	139
დ. ჯანელიძე — მამულუკთა ბრძოლის ისტო- რიიდან	143
უცხოელი მხრიდან	
ქრონიკა	152



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
 ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

ხალხის სამსახური საბჭოთა მწერლების პალატი მოწოდება

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა
მწერალთა III ყრილობაზე 1959 წლის 22 მაისს

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის მწერალთა მესამე ყრილობა შეიკრიბა იმ დიდი საყოველთაო-სახალხო აღმავლობის არაჩვეულებრივად სასიხარულო დროს, რომელსაც განიცდის საბჭოთა სამშობლო, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში რომ შევიდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში მწერალთა მესამე ყრილობისადმი, რომელიც ეს არის წაიკითხეს, გამოთქმულია უაღრესად გულწრფელი სურვილები საბჭოთა შემოქმედი ინტელიგენციის ერთ-ერთი მოწინავე რაზმისადმი, ჩვენი მწერლებისადმი — ადამიანის სულის ინჟინრებისადმი.

პარტია, საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, კინემატოგრაფიის მუშაკებისა და საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვა ესოდენვე შესანიშნავი რაზმების დიდ და ჩვენი ქვეყნისათვის მეტად საჭირო შრომას. ჩვენი მწერლები ცხოვრობენ ხალხის ცხოვრებით, მათ ბევრი რამ გააკეთეს და აკეთებენ, ჰყავთ ყველაზე კეთილმოსურნე და მოყვარული მკითხველები — საბჭოთა ადამიანები. მაგრამ საბჭოთა ხალხის საქმეები იმდენად გრანდიოზული და იმდენად მშვენიერია, რომ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, ბევრად უფრო მეტი რომ გააკეთოთ, ვიდრე გაკეთებულა, მაშინაც ეს ცოტა იქნებოდა, რათა გეჩვენებინათ საბჭოთა ხალხის ცხოვრება, მთელი მისი დიდი გაქანება, შემოქმედებითი შრომა, მრავალფეროვნება. და ეს გასაგებიც არის — ცხოვრება ყოველთვის შეუღარებლად უფრო მდიდარია, უფრო სისხლსავსეა, უფრო ღრმაა, ვიდრე ყველაზე საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებნი.

ის, რაც ჩვენმა ხალხმა შექმნა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, აკვირვებს, აოცებს მსოფლიოს. საბჭოთა ქვეყანა პარტიის XXI ყრილობის შემდეგ ისეთ დიდ და კარგ აღმავლობას განიცდის, რომ ერთბაშად ძნელია მონახო სიტყვები, რომლებიც გამოხატავდნენ ჩვენი დროის მთელ სიდიადეს. თქვენ, მწერლებმა, იცით ძლიერი სიტყვების მოძებნა, აკრიტიკებთ თქვენს თავს, თუ ამას ვერ მოახერხებთ, თქვენ ალბათ მეც არ დამზოგავთ. (გამოცოცხლება დარბაზში, ტაში). მაგრამ ვაღიარებ, რომ ძნელია იპოვნო ისეთი გამომსახველი სიტყვები, რომლებიც გვიჩვენებდნენ, თუ რა კარგ აღმავლობას განიცდის ახლა საბჭოთა სამშობლო.



ის, რის მიღწევასაც სახავს ჩვენი ქვეყანა უახლოეს მომავალში, გერმანიის თავისი დიდი გაქანებით. ჩვენი წარმატებანი სიხარულს უნერგავენ გულში მეგობრებს. შიშა და დაბნეულობას იწვევენ კომუნისტების მტრების ბანაკში. ეს წარმატებანი დამაჯერებლად მოწმობენ მარქსისტულ-ლენინური იდეების გამარჯვებას, რომლებითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ, დიად საქმეს, რომელსაც ვემსახურებით. ვფიქრობ, რომ ეს მძლავრი აღმავლობა ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, თავებრუს არ დაგვახვევს.

გამარჯვებანი, წარმატებანი თავისთავად როდი მოდიან — ისინი უნდა მოიპოვო მედგარი, დამბული შრომით, ბრძოლით. ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა შეიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, და ჩვენი ხალხი გამსჭვალულია რწმენით, რომ მიადწვეს თავის დიდ მიზანს.

ხალხის სამსახური მწერალთა ყველაზე მაღალი მოწოდებაა. ადამიანისათვის არ არის იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე ცხოვრობდე კოლექტივში, შრომობდე კოლექტივთან ერთად და შეგნებული გქონდეს, რომ შრომობ შენი საზოგადოების საკეთილდღეოდ, ხალხის საკეთილდღეოდ.

ნება მიბოძეთ წავიკითხოთ ჩემი სიყრმის უახლოესი მეგობრის მუშა პანტელეი მახინიას ლექსი. ეს ლექსი დაწერილია ამ ორმოცდაათი წლის წინათ. მე მსურს ეს ლექსი წავიკითხო სრულიადც არა იმისათვის, რომ გიჩვენოთ პოეზიის ნიმუში. ვგონებ, თქვენ ჩემზე არც ისე ცუდად ფიქრობთ, რომ ვცდილობდე გასწავლოთ, როგორ წეროთ ლექსები. (სიცოცხლე დარბაზში. ტაში). ჩემი მეგობრის ლექსებში გამოთქმულია იმ დროის ჭკვიანი, მოაზროვნე მუშის ფიქრები ადამიანის ცხოვრების მიზნის შესახებ. ცხადია, ასეთი მისწრაფებით და სურვილით ცხოვრობდა და ცხოვრობს შრომის ბევრი ადამიანი.

მოსიმიენთ, ამხანაგებო, რაზე წერდა ერთ-ერთ თავის ლექსში, რომელიც დაბეჭდილია პროგრესულ ჟურნალ „პრიკუბანსკიე სტეპში“, მუშა პოეტი პანტელეი მახინია:

მე მიყვარს წიგნი, მისი ალალი
ემოციების ცეცხლში მსურს ვეფლო,
რომ მოფუსფუსე ცხოვრების ალით
ვიწოდე, მაგრამ არ დავიფერვლო.
რომ ჩემი ძალა, სწრაფვა მარადი
ხალხს ცეცხლის შუქად გადაეფაროს,
ვებრძოდე ბნელეთს კუბოს კარამდე,
დრო უქმად ხელში არ გამეპაროს.
ძმებო, ვალად გვდევს ჩვენს უნეტარებს
თაობას ნაშრომს ჩვენსას წვეთ-წვეთად
ვაწვდიდეთ, რომ იქ, ბნელეთის მხარეს,
სინდისი აღარ გვქეჯნიდეს მეტად.
(ხანგრძლივი ტაში).

მე მომწონს ეს გულიდან აღმომხდარი სიტყვები.

არ მინდა ვიყო ამ ლექსის მსაჯული პოეზიის თვალსაზრისით, და თქვენც ალბათ არ იქნებით მეტად მკაცრი მსაჯულები. ავტორი დამწეები პოეტი, მუშა მეშანტე, რომლის ნიჭი უფრო სრულად გაიფურჩქნებოდა, მისი სიცოცხლე ტრაგიკულად რომ არ შეწყვეტილიყო. სამოქალაქო ომის დროს იგი პეტლიურელებმა მოკლეს.



აი როგორ ესმოდა მუშა პოეტს თავისი სიცოცხლის აზრი, რა მიაჩნდა მისთვის მისი შრომის მიზნად. ეს იყო ძველ რუსეთში, სადაც ადამიანი უუფლებო იყო და ხალხი ცარიზმის უღელქვეშ გმინავდა. მაგრამ რა მშვენიერი გზაა გახსნილი ახლა ყოველი თქვენგანის წინაშე ხალხისათვის შემოქმედების დიად საქმეში!

საბჭოთა მწერლებმა შექმნეს ბევრი კარგი ნაწარმოები, რომლებიც სიმართლით ხატავენ ცხოვრების სურათებს, მოგვიწოდებენ ბრძოლისათვის. ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ თვით მწერალიც კი, რომელმაც, მისი აზრით, კარგად დაწერა, ყოველთვის როდია კმაყოფილი თავისი ნაწარმოებით. ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა ნაწარმოები როდი იმსახურებს მკითხველის მაღალ შეფასებას. მე წავიკითხე ზოგიერთი ნაწარმოები, რომლებიც გამოცემულია უკანასკნელ დროს. მაგრამ წავიკითხე, სამწუხაროდ, ცოტა. და არა იმიტომ, რომ არა მაქვს მოთხოვნილება, არა მაქვს კითხვის სურვილი. მე ალბათ თქვენზე ნაკლებს როდი ვკითხულობ, მაგრამ ვკითხულობ ელჩების ცნობებს, საგარეო საქმეთა მინისტრების ნოტებს (გამოცოცხლება დარბაზში, ტაში), ვკითხულობ იმას, თუ რა თქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, რა თქვა ამა თუ იმ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა. ასეთ ლიტერატურას ვკითხულობ ვაცილებით მეტს, ვიდრე თქვენს ნაწარმოებებს. რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ეს ლიტერატურა უფრო მიყვარს, ვიდრე თქვენი წიგნები (გამოცოცხლება დარბაზში), არამედ იმიტომ, რომ ჩემს მდგომარეობაში შეუძლებელია იგი არ წავიკითხო. (ტაში). თუ ზოგიერთ თქვენს ნაწარმოებს ვერ წავიკითხავ, იმედი მაქვს, არ დამძრახავთ, მაგრამ რომელიმე დოკუმენტი, რომ არ წავიკითხო, შეიძლება ზიანი მოუვიდეს ჩვენს ქვეყანას. სწორედ ამიტომ მიხდება მრავალი ტომი ასეთი ლიტერატურის წაკითხვა. (გამოცოცხლება დარბაზში. ერთსულოვანი ტაში).

როცა წიგნებს ვკითხულობ, ზოგი გაღელვებს, სიამოვნებას გგვრის, ზოგი წიგნი გულისწყრომისა და აღშფოთების გრძობას იწვევს ამა თუ იმ მოვლენის წინააღმდეგ, რომელიც ასახულია ამ ნაწარმოებში. ზოგ წიგნს ვკითხულობ, თვალელები კი გეხუტება. გინდა წაკითხო, იმიტომ რომ ამხანაგები, რომლებმაც იგი წაკითხეს, გელაპარაკენ ამ წიგნზე. გინდა შენი აზრი გქონდეს მის შესახებ, მაგრამ ძლივს ვკითხულობ. თვალელები კვლავ გეხუტება. მოიფშვინებ თვალელებს, კვლავ დაიწყებ კითხვას, თვალელები ისევ გეხუტება. (სიცილი დარბაზში). მაინც რომ წაკითხო წიგნი, ზოგჯერ იღებ ქინძისთავს, რამდენჯერმე იჩხვლევ, რომ გამოფხიზლდე, რათა ბოლომდე წაკითხო. (სიცილი დარბაზში).

ვინ არის დამნაშავე? ავტორი იტყვის, მკითხველი, მკითხველი ამბობს, მწერალი. ვინ არის მსაჯული? მსაჯული ხალხია. თუ მე ან ვინმე სხვას წიგნი არ მოეწონა — ეს კიდევ არაფერია. იმიტომ, რომ სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვაწიანი გემოვნება და ხასიათი აქვს. მაგრამ როცა მკითხველთა უმრავლესობას შეექმნება აზრი წიგნის შესახებ, ეს უკვე წიგნის შეფასებაა.

ოდესღაც წამიკითხავს რუბაკინის თხზულება „წიგნებს შორის“. საერთოდ ბევრი წამიკითხავს მისი ნაწარმოები და პატივს ვცემდი ამ მწერალს. რუბაკინი ანალიზს უკეთებს მკითხველის ფსიქოლოგიას და ამტკიცებს, რომ ზოგს კიდევაც აშინებს წიგნის მოცულობა. ზოგი წიგნი, ძალიან კარგი შინაარსის წიგნიც კი, ფრთხობს მკითხველს: შენდავს იგი წიგნს, დაინახავს, რომ ღიდი მოცულობისა და მაშინვე უარს ამბობს მის წაკითხვაზე. შესაძლოა ზოგმა მეც ისეთ მკითხველებს მიმაკუთვნოს, რომლებზეც რუბაკინი ლაპარაკობდა. როგორც უნდა იყოს, მაპატიონ იმ მწერლებმა, ვისი წიგნების წაკითხვასაც თავს ვაძალებდი. (გამოცოცხლება დარბაზში).



სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ამა თუ იმ წიგნისადმი, როგორც წინასწარ ბუნებრივი მოვლენაა. ყველა რომ ერთნაირად წერდეს, მაშინ აღარ იქნებოდა ცუდი და კარგი წიგნები. (გამოცოცხლება დარბაზში). აქ თავისებური კანონზომიერებაა. საუკეთესო წიგნს ყველა მწერალი როდი ქმნის, საკმაო რაოდენობით არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, საშუალო წიგნები. არის უარესი წიგნებიც, რომლებსაც მარტო დამწყები მწერლები როდი წერენ. (გამოცოცხლება დარბაზში). აქ უნდა შევნიშნო: თუ დამწყები მწერალი უშვებს ცუდ, არასაინტერესო წიგნს, ეს ასე თუ ისე გასაგებია. მაგრამ ბევრ შემთხვევაში მარტო დამწყები მწერალი როდი წვალობს წიგნის შესაქმნელად, ხოლო შემდეგ ასეთი წიგნით ტანჯავს მკითხველს, — ეს უკვე საწყენია. (გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).

ამხანაგებო! ზოგიერთ ლიტერატურულ წრეებში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე გაჩნდა სიტყვა „შემლამაზებელი“. ეს მეტსახელი სურთ მიაკრან იმ მწერლებს, რომლებიც გვიჩვენებენ ახლის, კომუნისტურის ცხოველყოფელ ძალას. ვფიქრობ, საჭირო არ არის გითხრათ, თუ რა გაბედულად ვააშკარავებთ ჩვენს ნაკლოვანებებს. ახლა, როცა უკვე რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ სასტიკად და უღმობლად გავაკრიტიკეთ წარსულის უარყოფითი მოვლენები, ცოტადა დარჩა ისეთი ადამიანი, რომლებსაც არ ესმოდათ, რომ საჭიროა მკვეთრი, უღმობელი კრიტიკა ყოველივე იმისა, რაც დაკავშირებული იყო პიროვნების კულტთან. პარტიამ, ხალხმა გადაჭრით დაგვმს წარსულის შეუწყნარებელს. მოვლენები და ნაკლოვანებები, რათა, როგორც იტყვიან, ლოდქვემ დაემარხათ გუშინდელი არასწორი მოქმედება, და ეთქვათ, რომ ასეთი მოვლენები და საქმეები აღარ დაბრუნდება არც პარტიაში, არც ჩვენს ქვეყანაში. (მქუხარე ტაში).

მაგრამ, როცა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა დაიწყეს მუშაობა ლენინური პრინციპების, ლენინური ნორმების აღსადგენად პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, ყველამ როდი გაიგო სწორად პარტიის XX ყროლობის გადაწყვეტილებანი. იყვნენ ისეთი ადამიანები პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც კი, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ჩვენი პარტიის ხაზს. თქვენ იცით ეს. უფრო გვიან ცენტრალური კომიტეტის ცალკეული წევრების უთანხმოება პარტიის გენერალურ ხაზთან დამთავრდა ანტიპარტიული ჯგუფის შექმნით, რომელზეც არ ვილაპარაკებ. ყველა თქვენგანმა იცის, თუ რა ბრძოლა გადიხადა კომუნისტურმა პარტიამ ლენინური პრინციპების აღდგენისათვის პარტიისა და ქვეყნის მთელ ცხოვრებაში. საწყისი ფესვები, საწყისთა საწყისი იყო ბრძოლა ახლისა ძველთან, ბრძოლა ძალებისა, რომლებიც მოქმედებენ კომუნისტური პრინციპების გამარჯვებისათვის, ამ პრინციპების დამახინჯების წინააღმდეგ.

და აი ლიტერატურულ წრეში გაჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც სურთ როგორღაც სახელი გაუტეხონ მწერლებს, რომელნიც ჩვენს ცხოვრებას გვიჩვენებენ კომუნისტური პოზიციებიდან, ესე იგი ახლის, კომუნისტურის გამარჯვებას. არ დავასახელებ აქ ეგრეთწოდებულ „შემლამაზებელთა“ გვარებს, არ გავარჩევ მათს შემოქმედებას. ეს არც არის საჭირო, მით უმეტეს მე არ უნდა ვქნა ეს, — მე ხომ ლიტერატურული კრიტიკოსი არა ვარ.

კარგ ლიტერატურულ კრიტიკოსს ყველაზე თვალსაჩინო მწერლისათვისაც კი შეუძლია ძალიან ბევრი რამ გააკეთოს — ჰკვიან კრიტიკული სტატია — ეს თითქოს თავისებური არყის ცოცხია იმ ადამიანისათვის, რომელსაც უყვარს აბანოში სიარული და ორთქლში გატარება. იგი ორთქლში ტარდება და ცოცხს იტყაპუნებს, ხოლო თვითონ თუ არ უნდა ეს გააკეთოს, სხვა გაუკეთებს. ორთქლში გატარება და ცოცხის ტყაპუნი კი ცუდი საქმე როდია, იმიტომ რომ იხსნება ფო-



რები და სხეული უკეთ სუნთქავს, სიცოცხლე უფრო ადვილი ხდება. (სიყვარული და რაბაზში. ერთსულოვანი ტაში).

გთხოვთ, ამხანაგებო, სწორად გამიგოთ. სულაც არ მინდა დავიცვა აღამიანები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში ისე გეხატავენ მოვლენებს, რომ სწყდებიან ცოცხალ ცხოვრებას. აიღეთ, მაგალითად, ზოგიერთი წიგნი, რომლებშიც ცხოვრება დახატულია ისე შელამაზებულად, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს. საექვოა, რომ ასეთმა ნაწარმოებებმა სარგებლობა მოგვითანოს, მაგრამ მე მინდა ისეთ მწერლებს დაუქუირო მხარი, რომლებსაც რატომღაც „შემლამაზებლებს“ უწოდებენ იმის გამო, რომ თავიანთ ნაწარმოებებს საფუძვლად უდებენ დადებითი გმირების ჩვენებას. განა კარგი და საჭირო არ არის ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ავტორი სიმართლით გვიჩვენებს დადებით გმირებს? ასეთ ავტორებს ყველაფერი როდი მოსწონთ თავიანთ დადებით გმირებში. ისინი აღამიანებს ხედავენ ისეთებს, როგორც ეს აღამიანები არიან ცხოვრებაში — ახლის დამკვიდრებისათვის ბრძოლასა და შრომში. და ეს კანონზომიერი და სწორია. აღამიანები უნდა აღზარდოთ კარგი მაგალითებით, ცხოვრებაში დადებითის ჩვენებით გავკაფოთ მომავლის გზა.

მაგალითის ძალა დიდი ძალაა, ამხანაგებო!

რასაკვირველია, შეიძლება გვეითხონ, სატირას რაღა ვუყოთო. ჩვენში არც სატირა ყოფილა როდისმე აბოლიტიკური; იგი ერთ-ერთი ყველაზე ბასრა იარაღია. სატირა დასცინის ამა თუ იმ მანკიერებას, გადმონაშთებსა და ნაკლოვანებებს და თავიდან აცილებს აღამიანებს სენს. ეხმარება აღამიანებს აღმოფხვრან ნაკლოვანებანი. ამრიგად, სატირა კვლავაც უნდა იყოს ჩვენი პარტიისა და ხალხის იარაღი, სატირამ უნდა ანადგუროს ყველაფერი, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას კომუნისმისაკენ.

ამიტომ მთლიანად იმ მწერალთა მხარეზე ვარ, რომლებაც გვიჩვენებენ ახლის ცხოველყოფელ ძალას, ახლის გამარჯვებას ძველზე. მწერლებს, რომელნიც მტკიცედ ეყრდნობიან ცხოვრების რეალურ კონკრეტულ მოვლენებსა და პროცესებს, სურთ ემსახურონ თავიანთ ხალხს, ისწრაფვიან შექმნან ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც იარაღად გამოადგება ჩვენს პარტიას. (ხანგრძლივი ტაში). განა ეს „შემლამაზებლები“ არიან? არა. ესენი არიან ახლის გამარჯვებისათვის, ჩვენი პარტიის საქმისათვის, კომუნისმისაკენ მტკიცედ მიმავალი ჩვენი ხალხის საქმისათვის მებრძოლები.

მაგრამ თუ არიან „შემლამაზებლები“, ცხადია, არაშემლამაზებლებიც ყოფილან. ვინა არიან ეს არაშემლამაზებლები? ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ ლიტერატურის მთავარი ამოცანა თითქოს ის იყოს, რომ ეძებოს ყოველგვარი მანკიერება და ნაკლოვანებანი, ამასთან უგულუბეღყო სიბჭოთა საზოგადოების დიდი მონაპოვარანი. მას ყური მიგდეთ, ძვირფასო მეგობრებო, თუ ვინმე აშუკარავებს და ამქლავნებს ნაკლოვანებებსა და მანკიერებას, ვისაც ამ დროს ხელი არ აუქანკალდება, ამას აკეთებს პარტია, ამას აკეთებს მისი ცენტრალური კომიტეტი. (შეუხარე ტაში).

მიემართოთ თვით ცხოვრებას. განა ვინმე გვაძალბდა გავვეკეთებინა მოხსენება პარტიის XX ყრილობაზე პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ, გამოგვეაშუკარავებინა დაშვებული ნაკლოვანებანი, რომლებიც დაკავშირებულია ამ მოვლენასთან? განა ვინმემ ძალით მოგვაწყობინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი რიგი პლენუმები, სადაც უღმობლად ვააშუკარავებდით ნაკლოვანებებს, მთელი ძალით ვგმობდით მათ, ვსახავდით და ვამტკიცებდით ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებს, ვკვალავდით ახლის გზებს?



სულაც არაინ. ჩვენ რომ ლენინელები, ბოლშევიკები არ ვყოფილიყავით, შეგვეძლო ყველაფერი შეგვეღამაზებინა, ყოველივე ძველი დაგვეხატა როგორც ახალი და მშვენიერი, არ დაგვესახელებინა ძველის შეცდომები, არ გვეჩვენებინა ამ შეცდომებით გამოწვეული ზიანი. მაგრამ არა. ჩვენ ვლაპარაკობდით ძველის ნაკლოვანებებზე. ვამაჟარავებდით წარსულის შეცდომებს იმისათვის, რომ ახლისადმი მიგვეპყრო ადამიანთა ყურადღება. წარსულის მძიმე შეცდომების გამოვრება რომ არ დაგვეშვა. საჭირო იყო ბოლომდე გამოგვეამაჟარებინა არსებული ნაკლოვანებანი, რათა დამყაყებულობის გრძნობას ზიზლი გამოეწვია იმისადმი, რამაც დრო მოჰამა. პარტია ყოველივე ამას აკეთებდა იმისათვის, რომ განეფითარებინა ხალხის შემოქმედებითი ძალები. გზა გეხსნა ახლისათვის. განებორციელებინა ის, რაც დიდმა ლენინმა გვიანდერძა, და წაეყვანა ჩვენი ქვეყანა ლენინურად წინ, კომუნისზმისაკენ. (ხანგრძლივი ტაში).

მე უკვე ვთქვი, რომ არ დავასახელებ არც შემლამაზებლების გვარებს, არც არაშემლამაზებლების, ესე იგი იმ ადამიანების გვარებს, რომლებსაც სურთ დაგვანახონ მხოლოდ უარყოფითი. მაგრამ უარყოფითის ჯაგლაგით არა მარტო ჭაობიდან ვერ ამოვა ადამიანი, არამედ კარგ გზაზეც შორს ვერ წავა. (გამოცოცხლება დარბაზში).

მაბატეთ, შეიძლება მე დავუშვა ზოგიერთი არც თუ მთლად ჩვეულებრივი შედარება, მაგრამ თქვენც, მწერლები, ზოგჯერ არ ერიდებით მაგარ გამოთქმებს, როცა საჭიროა. (გამოცოცხლება დარბაზში, ტაში). და სწორადაც იტყვიით.

ზოდა აი, როცა მწერალი შეუდგება ადამიანის გამოსახვას, მთელი საქმე ის არის, თუ როგორ შეხედავს ადამიანს. თუ ავიღებთ ადამიანს ან საზოგადოებას, ძლიერ მნიშვნელოვანია, რა მხრივ განვიხილავთ მას. შეიძლება ავიღოთ ყველაზე უკეთესი ადამიანი, მაგრამ გამოვსახოთ იგი სხვადასხვანაირად, იმის მიხედვით, თუ მის რომელ მხარეებსა და თვისებებს წამოგვწევთ წინ. მაგალითისათვის მწერალი იწყებს ადამიანის გამოსახვას, რომელსაც აქვს ყველა ღირსება პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ მასთან შედის არა საპარადო შესასვლელით, არამედ უკან ეზოდან, უკანა კარით, და იქიდან იწყებს მისი ცხოვრების დახატვას. მაშინ აქედან, რა თქმა უნდა, კარგი არაფერი გამოვა. განა შეიძლება ასეთი მიდგომისას კარგი რამ დავწერო კაცზე? არა. ასეთ მწერალს მეტისმეტად თავისებური თვალსაზრისი ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, როგორც გორკი ამბობდა, „ქვასაზრისი“ ექნება ადამიანზე. (გამოცოცხლება დარბაზში, საერთო ტაში).

ასევეა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების გამოხატვაშიც, რომელიც მილიონობით ადამიანისაგან შედგება. იქ თქვენ ნახავთ ბროლივით სპეტაკ ადამიანებსაც, მაგრამ არიან აგრეთვე მახინჯები — აშკარა კაცისმკვლელები, თაღლითები. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები კიდევ არიან ჩვენს საზოგადოებაში, იმიტომ რომ ჩვენ ვცხოვრობთ სოციალიზმიდან კომუნისზმზე გადასვლის პერიოდში და გვაქვს ბევრი ნაკლი, რომლებიც მემკვიდრეობად დაგვრჩა წყყული წარსულისაგან.

ადამიანი ზომ ერთბაშად არ იბადება კომუნისტურ ადამიანად. ასეთ კაცს ჯერ ვერაინ ვერ იცნობს და თქვენ იგი არ ვინახავთ. მისი გამოვლენა არ შეიძლება. იგი შეიქმნება კომუნისტური საზოგადოების აშენების პროცესში, სოციალიზმიდან კომუნისზმზე გადასვლის დამთავრების პროცესში. მაგრამ რა არის „დამთავრება“? აქ არ არის გუთნით გავლებული საზღვარი, რომ შეიძლებაოდეს ვთქვათ, აქ თავდება სოციალიზმი და იწყება კომუნისზმი. არა, ასე არ



შეიძლება თქმა. სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პროცესი ხანგრძლივი და მეტად რთული პროცესია.

ზოგიერთმა მწერალმა ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლა ისე გაიგო, რომ მათ იეროშები უნდა მიჰქონდეთ ეგრეთწოდებულ შემლამაზებლებზე და ამით თითქოს ეხმარებოდნენ პარტიას, რომელმაც გამოავლინა ნაკლოვანებანი. მაგრამ რა გმირებს შეასხეს მათ ხოტბა, როგორ წარმოუდგენიათ მათ ჩვენი საზოგადოება?

მე უკვე მომიხდა მელაპარაკა დუდინცევსა და მის გახმაურებულ რომანზე „არა პურითა ერთითა“, რომელზეც ზოგიერთი ჩვენი ავისმდომელი უცხოეთში ამბობდა, რომ ეს კინალამ საუკეთესო ნაწარმოებია, რომელიც რუსულმა ლიტერატურამ მოგვცა. მაგრამ გავიდა სამი წელი. ახლა ვინ კითხულობს ამ ნაწარმოებს, ვის ესაჭიროება იგი? და სწორედ ხომ იქ იყო შეკრული ასეთი სუნიანი თაიგული. რა თქმა უნდა, იქ ყველაფერი ცუდად როდი იყო ნათქვამი. მე წავიკითხე ეს წიგნი და, უნდა ითქვას, უქინძისთავოდ წავიკითხე. (გამოცოცხლება დარბაზში). იქ ზოგიერთი ფურცელი ყურადღების ღირსია.

ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი, რომელმაც ჩემზე ადრე წავიკითხა ის ნაწარმოები, მეუბნებოდა — წაიკითხე, მას აქვს ისეთი მსჯელობანი, რომლებიც თითქოს შენგან მოუსმენიაო!

ღიას, დუდინცემა მარჯვედ შენიშნა ზოგიერთი უარყოფითი მოვლენა, მაგრამ გამოხატა გაზვიადებულად, განგებ განზოგადებულად. მე უკვე ვილაპარაკე ამაზე და ახლა მიმაჩნია, რომ დუდინცევი არასოდეს არ ყოფილა ჩვენი მტერი და არ ყოფილა საბჭოთა წყობილების მოწინააღმდეგე. (ტაში).

მართალია, მე არასოდეს არ მინახავს ეს კაცი, მსურდა მესაუბრა მასთან, მაგრამ სულ არ მეცალა. აი დააპირებ მის მიღებას, აქ საჭიროა შეხედე ხან ელჩს, ხან რომელიღაც დელეგაციას, (გამოცოცხლება დარბაზში). პოდა მინც არ მომიხდა მასთან საუბარი.

მინც რა არის ასეთი ლიტერატურის ნაკლი? მე მარტო დუდინცევზე როდი ვლაპარაკობ, არამედ სხვა მწერლებზეც, რომლებიც შეუდგნენ ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების გამოხატვას თავიანთი „ქვესაზრისით“. როგორც ჩანს, მათაც სურდათ დახმარებოდნენ პარტიას, თავიანთ ხალხს უარყოფითი მოვლენების დაძლევაში, მაგრამ როცა მათ დახატეს დამახინჯებული, გაზვიადებული სურათი, ამ სურათმა ერთბაშად მიიპყრო ჩვენი მტრების და არა მეგობრების ყურადღება. დადგა ისეთი სიმყრალე, რომ ნორმალურ ორგანიზმს არ შეეძლო მისი ატანა, თუ ნიშადურის სპირტი არ ეხმარა. მწერლები, რომლებიც ამკვიდრებენ ახალი საზოგადოების სიმართლეს, ყველა ადამიანი, რომელიც დარწმუნებულია ასეთი დამახინჯებული, ყალბი აღწერის არაკანონზომიერებაში, რასაც ცხოვრების გამოხატვის პრეტენზია ჰქონდა, აღმფთოდნენ, სამართლიანად ამხედრდნენ ამის წინააღმდეგ. დაიწყო ბრძოლა.

მერე ვისკენ ვართ ჩვენ ამ ბრძოლაში? რა თქმა უნდა, იმ მწერლებისაკენ და იმ მიმართულებისაკენ, რომლებიც საფუძვლად იღებენ დადებით მოვლენებს, ამ დადებითი გვიჩვენებენ შრომის ბაბოსს, აღანთებენ ადამიანთა გულს, იწვევენ მათ წინ, უჩვენებენ ახალი სამყაროს გზებს. დადებითი გმირების სახეებით ისინი თითქოს განაზოგადებენ ადამიანთა საუკეთესო ნიშნებსა და თვისებებს, უპირდაპირებენ მათ უარყოფით სახეებს, გვიჩვენებენ ახლის ბრძოლას ძველის წინააღმდეგ და ახლის გარდუვალ გამარჯვებას. გვიჩვენებენ რა დადებითს, ისინი ამასთან ერთად გმობენ იმას, რაც უკუგდებულ უნდა იქნას. მგონია, რომ ასეთი მიდგომა ცხოვრების მოვლენების გამოხატვისადმი სწორია.



ყოველ შემთხვევაში მე ამას ვიცავ და ასე მესმის ეს საკითხები. აი ჩემი დამოკიდებულება ეგრეთწოდებული შემლამაზებლებისადმი. თუშე-
რალი არა ვარ, მაგრამ რამდენადმე თავს ამ ჯგუფს ვაკუთვნებ. (მხიარული
გამოცოცხლება, საერთო ტაში).

მინდა, ამხანაგებო, გამოვთქვა კიდევ რამდენიმე შენიშვნა, რომლებიც ეხე-
ბა არცთუ შორეული წარსულის დახასიათებას. თქვენს წრეში ახლა კიდევ შე-
სამჩნევია იმ ბრძოლის ნაშთები, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ საკმაოდ მწვა-
ვე ხასიათი ჰქონდა. ეს იყო პრინციპული იდეური ბრძოლა რევზიონისტების
წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ უხეშად გაელაშქრათ პარტიის ხაზის
წინააღმდეგ. ასეთი გამოლაშქრების წინააღმდეგ ამხედრდა მთელი მწერალთა
საზოგადოებრიობა. მწერალთა უდიდესმა უმრავლესობამ გადაჭრით გაილაშქრა
რევზიონისტურ შეხედულებათა მატარებლების წინააღმდეგ. გაუზვიადებლად
შეიძლება ითქვას, რომ ამ იდეურმა ჩხუბმა ასე თუ ისე ჩაითრია ყველა მწე-
რალი. მართალია, სხვადასხვა ადამიანი ამ ბრძოლას ეწეოდა სხვადასხვა ზომის
აქტივობით და სხვადასხვა ხერხით.

ზოგიერთმა ლიტერატორმა ფიცხად შეუტია „მოწინააღმდეგის“ ხანგრძ-
ლივ საცეცხლე წერტს და, ფრონტული ტერმინების ენით რომ ვთქვათ, შეიძ-
ლებოდა მათთვის გვეწოდებინა მეავტომატები. ისინი მოქმედებდნენ აქტიურად
და გაბედულად, არ ეშინოდათ ბრძოლის სიმწლეებისა და პირდაპირ ხვდებოდ-
ნენ მათ. ეს კარგი თვისებებია. ადამიანებმა, რომლებიც აქტიურად გამოვიდნენ
ასეთ ბრძოლაში, დიდი და მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს. ახლა ეს ბრძოლა
უკან დარჩა. რევზიონისტურ შეხედულებათა და განწყობილებათა მატარებ-
ლებმა სრული იდეური განადგურება განიცადეს. ბრძოლა დამთავრდა და უკვე
დაფრინავენ, როგორც ნათქვამია, „შერიგების ანგელოზები“, ამჟამად წარ-
მოებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჭრილობების მოშუშების პროცესი. და ის ლი-
ტერატორები, რომლებსაც მაშინ თავიანთი „ქეასაზრისით“ სურდათ განეხი-
ლათ ჩვენი საბჭოთა საზოგადოება, ახლა ისწრაფვიან მალე დაივიწყონ, რომ
სერიოზულ შეცდომებს სჩადიოდნენ.

საჭიროა, ჩემი აზრით, შევეუშუბუქოთ ამ ამხანაგებს მცდარი შეხედულე-
ბებიდან სწორ, პრინციპულ პოზიციებზე გადასვლა. არ უნდა მოვისხენიოთ
ისინი ავი სიტყვით, ხაზი არ უნდა გაუუსკათ მათს ყოფილ შეცდომებს, მუდამ
არ უნდა მივუთითებდეთ მათზე. აქედან სარგებლობა ექნება მხოლოდ ჩვენს
საერთო საქმეს. (ტაში). საჭირო არ არის მოვავონებდეთ ამას, მაგრამ არც უნდა
დავივიწყოთ. (ტაში). როგორც იტყვიან, ყოველი შემთხვევისათვის უნდა „გა-
ვაკეთოთ ნასკვი“, რათა საჭიროების დროს შეგხედოთ და გავიხსენოთ, რამდენ-
ი ნასკვია იქ და ეს ნასკევები ვის ეხება. (გამოცოცხლება დარბაზში).

ლიტერატორთა შორის არიან კიდევ ცალკეული ადამიანები, რომლებსაც
სურთ თავს დაესხნენ „მეავტომატებს“, რომლებიც რევზიონისტთა წინააღმდეგ
გაჩაღებულ იდეურ ბრძოლაში ყველაზე აქტიურად გამოდიოდნენ, სწორ, პარ-
ტიულ პოზიციებს იცავდნენ. ზოგიერთს, როგორც ჩანს, სურს საქმე ისე წარმო-
იდგინოს, რომ ყველაფერში დამნაშავენი არიან სწორედ ეს ამხანაგები, მაგრამ
ეს რა თქმა უნდა, ძირშივე არასწორია.

პრინციპული პოზიციები უნდა დავიცვათ, მტკიცე იდეური ბრძოლა უნდა
ვაწარმოოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც უხეშად ილაშქრებს პარტიული ხაზის წი-
ნააღმდეგ. რა თქმა უნდა, ვაცხარებულ ბრძოლაში ხშირად ისეა ხოლმე, რომ ყვე-
ლას მოხვდება, ვინც ბრძოლაში ებმება.

თქვენ ალბათ ცხოვრებაში არაერთგზის შეგხვედრიათ გენახათ ბიჭების ჩხუ-



ბი, მონაწილეობა მიგელოთ ამ ჩხუბში. მე კი შახტებში მოზრდილთა ჩხუბში მინახავს. იყო ხოლმე შემთხვევები, როცა კურსკელები და ორიოლელები ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს. ამ ჩხუბის საცქერად ზოგიერთი ადრევე გადიოდა, გადგებოდა განზე და უცქერდა, თუ როგორ ჩაღდებოდა ბრძოლა. რა თქმა უნდა, ეს იყო ძველ, რევოლუციამდელ დროს. ეს იყო, ასე ვთქვათ, ხარკი ველურობისა და უმეტრებისათვის. მაგრამ ასე იყო.

ბოდიშს ვიხდი ასეთი გაუბრალოებისათვის, მაგრამ რამდენადმე იდეურ ბრძოლაშიც ხდება ამგვარი რამ. როცა შეტაკება იწყება, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს ჰყავს თანამგრძობნი, რომლებსაც სურთ რამენაირად მიიღონ მონაწილეობა ბრძოლაში. რით გამოიხატება ზოგჯერ ეს მონაწილეობა? თანამგრძობებს ხშირად სურთ გამწვლევა. ისინი ეწევიან ერთ მოჩხუბარს ერთ მხარეს, ხოლო მეორეს — მეორე მხარეს. მოჩხუბრებს კი სურთ განთავისუფლდნენ და, შესაძლოა, იდაყვით ან კიდელ სხვა რამით ურტყამენ გამწვლეულებს. როცა ჩხუბი ვითარდება, ის, ვინც გამწვლეუბას ცდილობდა, ჩივის, რომ მას ვიღაცამ აწყენინა. მას ეკითხებიან: „შენ მონაწილეობა მიიღე ამ ჩხუბში? იგი უპასუხებს: არა, არ მიმიღია მონაწილეობა, მე ვამწვლებდი. მაგრამ შენ ხომ ეწეოდი ერთს, გეჭიორა იგი, ხელებს უჭერდი, ამ დროს კი მას თავს ესხმოდნენ, ჰოდა მან, თავს რომ იცავდა, შენ გითავაზა.“

დაახლოებით ასეთი რამ ხდება იდეურ ბრძოლაშიც, პოლიტიკურ შეტაკებაშიც. სანამ მსოფლიოში კაპიტალიზმი არსებობს, არ შეიძლება არ იყოს იდეური ბრძოლა მოწინააღმდეგეებთან. ჩვენ ყოველთვის, როგორც ამბობენ, გზას ვულოცავდით იმ მეზობლებს, რომლებიც ამ წმინდა საქმეზე მიდიოდნენ, თვითონაც ვიღებდით და კვლავაც მივიღებთ მონაწილეობას ასეთ „ბრძოლებში“. ასეთი ბრძოლები გარდუვალია, იმიტომ რომ წარმოებს იდეური, პოლიტიკური ბრძოლა. ამ ბრძოლაში ნეიტრალური არ შეიძლება იყვნენ, ხოლო თუ შენ გასურს ნეიტრალური იყო, შორს დადექი, როცა აქტიურები იბრძვიან, თორემ მოგხვდება როგორც ამათვან, ისე იმათვან. (ტაში).

მას შემდეგ, რაც ბრძოლა დამთავრდა, ზოგიერთი იმათვანს, ვინც იწყებდა „ჩხუბს“, ვინც იწყებდა ბრძოლას პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, სურს რაც შეიძლება მალე დაივიწყოს, თუ ვინ არის ნამდვილად წამომწყები, ცდილობს გულზე ხელი დაიკრიფოს და თავი ისე დაიპიროს, როგორც ჩვეულებრივ წმინდანებს გამოხატავენ ხატებზე. და ასეთი სათნო პოზით ისინი აცხადებენ, რომ თითქოს მათ ამაოდ აწყენინეს. მაგრამ ამგვარ საჩივარს შეიძლება ეუპასუხოთ კითხვით: „რისთვის გცემეს?“ და უნდა დაეძინოთ: „სწორად გცემეს. ჩანს ცოტა გცემეს, თუ ასე იქცევით“. (ტაში).

თქვენ შეგვიძლიათ იკითხოთ, რისკენ მივიწოდებთ, ბრძოლაში ვნებათა გაღვივებისა თუ შერიგებისაკენ? გიპასუხებთ — ძალთა შეკავშირებისაკენ პრინციპულ საფუძველზე. ვფიქრობ, რომ ეს შეკავშირება უკვე დაიწყო, იგი სულ უფრო მტკიცდება.

ალექსი მაქსიმეს-ძე გორკიმ კარგად თქვა: „თუ მტერი არ ნებდება, — მას სპობენ“. ეს უაღრესად სწორია. ეს კლასობრივი თვალსაზრისია, ჩვენ მას ვიცავდით და ვიცავთ პოლიტიკური, კლასობრივი ბრძოლის შეფასების დროს. როცა საქმე ეხება მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის ინტერესებს, მათს ბრძოლას ექსპლოატატორების წინააღმდეგ, არ შეიძლება მოვუწოდებდეთ შერიგებისაკენ. ასეთ შემთხვევაში შერიგებისაკენ მოწოდება სხვა არა არის რა, თუ არა კაპიტულაცია. ეს არ არის ჩვენი ხაზი, ეს არ არის კომუნისტური, ბოლშევიკური ხაზი.

მაგრამ არის სწორი ანდაზა, წაქეუულს არ სცემენო. და თუ იდეურ ბრძო-



ლაში მოწინააღმდეგე ნებდება, თავს დამარცხებულად აღიარებს და განუხრავად დებს, რომ მზად არის დადგეს სწორ პოზიციებზე, ზურგს ნუ შეაქცევთ მას. ვაუტვით მას, მიეცით ხელი, რომ მან შეძლოს მწყობრში ჩადგომა, თქვენთან ერთად მუშაობა. (ხანგრძლივი ტაში).

მინდა ვთქვა, რომ ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც არ არიან მტრული კლასები და ჯგუფები, სადაც მთელი ცხოვრება შენდება ამხანაგობი-სა და მეგობრობის პრინციპებზე, უფრო გულისხმიერად უნდა მოვეკიდოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც „ეშმაკმა გზა-კვალი აუზნია“.

ჩვენ გვწამს, რომ არ არიან გამოუსწორებელი ადამიანები. თქვენ იცით ფელიქს ძერუინსკის კეთილშობილება, მისი მეთოდი, თუ როგორ ზრდიდა იგი სისხლის სამართლის დამანაშავეებსაც კი და არა მარტო თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. თქვენ იცით, თუ რა ნაყოფი გამოიღო აღზრდის ამ მეთოდმა.

ჩვენს პირობებში ადამიანებს უნდა მივუღდეთ გულისხმიერად, გვეჯროდეს ადამიანისა, ვხედავდეთ მის საბოლოო მიზანს — ბრძოლას კომუნისტებისათვის. უნდა აღვზარდოთ და გარდავქმნათ ადამიანები. პრინციპული კრიტიკის, იდეუ-რი ბრძოლის გზით უნდა ვცდილობდეთ შევაკავშიროთ კომუნისტური ძალები და ის ძალები, რომლებიც მიჰყვებიან ჩვენს პარტიას კომუნისტის აშენებისათვის ბრძოლაში. ეს მთავარია. (ტაში).

მე მინდა, ამხანაგებო, გიამბოთ ერთი, ჩემი აზრით საინტერესო, ფაქტი. სულ ცოტა ხნის წინათ, როცა სოჭში ვიყავი, მივიღე ერთი მოქალაქის წერილი. წერილის ავტორის გვარს არ დავასახელებ იმიტომ, რომ ეს საჭირო არ არის. გავა რაღაც დრო, როცა ეს კაცი მტკიცედ დადგება ფეხზე. მაშინ შესაძლოა აზ-რი ექნეს მისი გვარის დასახელებას. წაგიკითხავთ იმ კაცისაგან მიღებულ წე-რილს, რომელიც მსჯავრდადებული იყო ქურდობისათვის. აი ეს წერილი:

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ

ნ. ს. ხრუშჩოვს

12 წელია ქურდობას ვეწევი, რისთვისაც მსჯავრდადებული ვიყავი ოთხჯერ, უკანასკნელად 1954 წელს მომისაჯეს ექვსი წელი. სასჯელი მოვიხადე. განთავი-სუფლების შემდეგ ოჯახს დავებრუნდი და სამუშაოდ მოვეწეე დურგლად. თვე-ში ვიღებდი 500-600 მანეთს. ბინის ქირას ვიხდიდი 200 მანეთს თვეში და ვერ შეეძლო უზრუნველმეყო ჩემი ოჯახი. ვალად დამედო ბინის ქირა 400 მანეთი და კანტორისა 600 მანეთი. მიმდინარე წლის 25 მარტს დავეტოვე ოჯახი: 4 წლის ქალიშვილი, დედა, ცოლი (ცოლი სამშობიარო სახლშია ახალშობილთან ერთად) და წავედი იოლ ცხოვრებაზე ფიქრით. მაგრამ ჩემი ძველი დანაშაულებრივი ცხოვრების დაწყება არ შემიძლია და ვერც ოჯახს დავებრუნდები, რადგან იგი უფულოდ და ვალებში დავეტოვე. ამ ხუთ დღეში, რაც მე წავედი, არც ერთი დანაშაული არ ჩამიდენია.

მე არ მაშინებს პასუხისმგებლობა და გთხოვთ მიპასუხოთ რჩევით, რო-გორ მოვიქცე. მე დაველოდები ყოველდღე ამ დროის განმავლობაში, რამდენა-დაც ნებისყოფა მეყოფა, დაველოდები საუბარს თქვენთან. თუ საჭიროდ მიიჩ-ნევთ ჩემს დაპატიმრებას, ამის თანახმაც ვარ.

ხელმოწერა“.

ეს იყო სოჭში. მე მოვიწვიე წერილის ავტორი საუბრისათვის. გავიცანით ერთმანეთი. როცა მისი გვარი გავიგე, ვუთხარი, რომ წინათ ვიცნობდი ასეთი გვა-რის ერთ გენერალს.

წერილის ავტორი იყო ახალგაზრდა კაცი, ასე ოცდაათი წლისა. საუბარში



იგი ჭკვიანი და სასიამოვნო იყო. მან მიამბო თავის თავზე, თავის ცხოვრებაზე, როგორ დაკარგა მამა, იმ წრეზე, რომელმაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მასზე. იგი ამბობდა:

— გაიგეთ ჩემი მდგომარეობა, მე შემძლია მტვிரთავად ვიმუშაო, ხედავთ — ღონიერი კაცი ვარ. მაგრამ არ მიშვებენ ამ სამუშაოზე, მიყურებენ როგორც ქურდს. მტვირთავები კარგად იღებენ და მეც შემძლო კარგი ხელფასი მიმეღო, მაგრამ არ მენდობიან. ამ ბოლო დრომდე ბრიგადაში ვმუშაობდი. სხვები ბრიგადაში მეტს იღებენ, ვიდრე მე. მიყურებენ როგორც ქურდს და ამიტომ ნაკლებ კვალიფიციურ სამუშაოს მაძლევენ. რა გქნა ახლა, როგორ მოგექცეოჯახს? ბინას არ მაძლევენ. ვცხოვრობ კერძო ბინაში. სახელმწიფო ბინა რომ მქონდეს, ნაკლებს გადავიხდიდი. დამეხმარეთ. პირობას გაძლევთ, რომ პატიოსანი კაცი ვიქნები, დაგიმტკიცებთ ამას.

ამ კაცს რომ მოეუსმინე, რომ ვესაუბრე, დავუჯერე, იგი კარგი კაცი მეჩვენა. იქნებ ლიბერალურად მივუღდექი ამ კაცს, მაგრამ მესიამოვნა მასთან საუბარი. დავუჯერე მას, და მინდა ვიფიქრო, რომ არ მომბატყუებს. (ხანგრძლივი ტაში).

— რა გსურთ ჩემგან, რით შემძლია დაგეხმაროთ? — ვკითხე მას.

— დამეხმარეთ, რომ შევძლო ოჯახის შენახვა, — თქვა მან. — ეს უწინარეს ყოვლისა. მინდა დავუბრუნდე ცოლ-შვილსა და დედას.

— კარგი, შევეცდები დაგეხმაროთ, — ვუპასუხე მას. — დავურეკავ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანს. ვთხოვ მას, რომ ყურადღება მოგაქციონ, სამუშაოზე მოგაწყონ, დაგეხმარონ კვალიფიკაციის შეძენაში, რომ შეძლოთ მეტი ხელფასის მიღება. მაგრამ ეცადეთ პატიოსნად იმუშაოთ. შემდეგ მე ვთხოვ, რომ კრედიტი მოგცენ. (წარმოიდგინეთ, ყოფილ ქურდს კრედიტი მივცეთ! (სიცილი, ტაში). ეს შესაძლოა მხოლოდ ჩვენს საბჭოთა პირობებში). (ტაში).

თქვენ მოგცემენ კრედიტს, რომ აიშენოთ პატარა სახლი, ან ვთხოვ, თუ ეს შესაძლებელია, რომ მოგცენ ბინა, მაშინ ნაკლებს გადაიხდით. (ცნობილია, რომ ჩვენში ბინის ქირა ყველაზე მცირეა მსოფლიოში; მე ვიტყვოდი, ეს სიმბოლური ქირაა, იმიტომ რომ ეს სახსრები, ალბათ, არ ყოფნის ამ სახლის მეგზოვის შენახვას).

ჩემმა თანამოსაუბრემ მითხრა:

— ეს ძალიან კარგი იქნება. დიდი მადლობელი ვიქნები თქვენი.

დარწმუნდა რა საუბრის დროს, რომ მისი სჯერათ, რომ მას აღამიანურად ელაპარაკებიან, წერილის ავტორმა ასეთი თხოვნით მომმართა:

— ამხანაგო ხრუშჩოვ, იცით, რომ მე ძალიან მინდა თქვენთან ერთად სამსოფროდ ფოტოსურათი გადავიღო. (სიცილი, ტაში).

მე ვუპასუხე:

— ეს შეიძლება, დაჯექით უფრო ახლოს, რომ ფოტოგრაფისათვის უკეთესი იყოს.

ჩვენ დავექეთ, გადავიღეს ფოტოსურათი. მე დავბირდი, რომ გავუგზავნიდი მას სურათს. ეს სურათი მას გაეგზავნა. (ტაში).

საუბრის დასასრულს გამოირკვა, რომ თანამოსაუბრეს ერთი კაპიკიც არ ჰქონდა.

მაშინ მე მას ვუთხარი:

— მე დაგეხმარებით, რომ თქვენ შეძლოთ არა მარტო ჩახვიდეთ შინ, არამედ საჩუქრებიც მიუტანოთ ცოლ-შვილს.

იგი შინ დაბრუნდა, მას დაეხმარნენ სამუშაოზე მოწყობაში. მე ვთხოვე გავგოთ, როგორ მუშაობს იგი, როგორ იქცევა. მაცნობეს, რომ მუშაობს მტვირთა-



ვად და კარგ ხელფასს იღებს. ითხოვა გადმოეცათ, რომ კარგად ცხოვრობდა მადლობა შემომითულა დახმარებისათვის. (ხანგრძლივი ტაში).

აი, ამხანაგებო, ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი ფაქტი. წერილის ავტორი ცოცხალი, კონკრეტული ადამიანია.

ამ წერილსა და მის ავტორს შეიძლებოდა სხვადასხვანაირად მიედგომოდით. წერილი ხომ იმ კაცმა დაწერა, რომელიც ოთხჯერ გაასამართლეს ქურდობისათვის. იგი სამუშაოზე მოაწყეს, მან კი დატოვა სამუშაო, კვლავ წავიდა საქურდულად, ახლა კი სურს ჩემთან შეხვედრა, — სტაცეთ ხელი, მიეცით პასუხისმგებში. ეს ერთი მიდგომაა.

რას მისცემდა ასეთი მიდგომა ამ ადამიანს? იგი მას იქამდე მიიყვანდა, რომ სწორ გზას აცდენილი კაცი საპყრობილეში აიმაღლებდა ქურდის კვალიფიკაციას. ჩვენ კი გვინდა კაცი ჩვენი საქმისათვის, იმისათვის რომ ეს კაცი სწორ გზაზე დაგვეყენებინა, საჭირო იყო სხვა მიდგომა, უნდა ერწმუნო ადამიანს, მის საუკეთესო თვისებებს. შეუძლია თუ არა ამ კაცს იყოს კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე? შეუძლია, ამხანაგებო! (მჭუხარე ტაში).

ჩემთვის ძნელია გავეჯიბრო ასეთი შემთხვევების აღწერაში ყველასათვის პატივისცემე და ცნობილ ავტორს „პედაგოგიური პოემისა“ ანტონ სიმონის-ძე მაკარენკოს. მან გვიჩვენა ადამიანის კეთილშობილება, ადამიანისადმი რწმენის დიდი ძალა. და ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, როგორ ასწილად ანაზღაურეს ეს რწმენა ადამიანისადმი იმათ, ვის მიმართაც გამოჩენილი იყო ყურადღება და ნდობა — ყოფილმა სისხლის სამართლის დამნაშავეებმა და მკვლელებმა. (ტაში).

ზოგს შეუძლია ეძებოს უხეში ანალოგია ჩემს შედარებაში. მაგრამ ვფიქრობ, რომ თქვენ სწორად გამოივებთ. ეს ფაქტი წერილის შესახებ არ ეხება იმას, რაც ამის წინ ითქვა. ეს ფაქტი იმისათვის მოვიყვანე, რათა გიჩვენოთ, რომ ადამიანის აღზრდისა და გარდაქმნის საკითხები უმნიშვნელოვანესი საკითხებია. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არიან დამნაშავეებიც და მკვლელებიც.

უცხოელს, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვა და შეიტყობს ამგვარ ფაქტებს, შეუძლია თქვას, ისინი კომუნიზმს აშენებენ, მაგრამ მე თვითონ ვნახე, რომ მათ მკვლელები ჰყავთო. მაგრამ ჩვენ ხომ სრულიადაც არ ვაპირებთ, ვამტკიცოთ, რომ ბოლო მოვუღეთ წარსულის ყველა გადმონაშთს, შევძელით ყველა ადამიანის გარდაქმნა. მაგრამ ყველა, ვინც უფრო ახლოს გაეცნობა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებას, შეიტყობს, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიადაც არ არის დამახასიათებელი დამნაშავეთა არსებობა, რომ მისთვის დამახასიათებელია ადამიანთა შეგნებულობის სწრაფი ზრდა. ზოგიერთებს შეუძლიათ იკითხონ: იქნებიათ თუ არა დამნაშავეები კომუნისტურ საზოგადოებაში? მე პირადად, მაგალითად, როგორც კომუნისტი, ვერ მოგცემთ გარანტიას, რომ ისინი არ იქნებიან. (სიცილი). დანაშაული არის გადახრა საზოგადოებაში ყოფაქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმებიდან, რასაც ხშირად იწვევს ადამიანის აშლილი ფსიქიკა. იქნება თუ არა დაავადება, ფსიქიკური აშლილობა კომუნისტურ საზოგადოებაში ცალკეულ ადამიანთა შორის? ალბათ იქნება, თუ ეს იქნება, შეიძლება იყოს დანაშაულიც, რაც დამახასიათებელია არანორმალური ფსიქიკის ადამიანებისათვის, ჰოდა ამ ფსიქოპათების მიხედვით ხომ არ უნდა ვიმსჯელოთ კომუნისტურ საზოგადოებაზე? (სიცილი. ტაში). იმათ, ვინც ამგვარი „საფუძვლით“ დაიწყებდა მოწოდებას კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, შეიძლება ვუთხრათ, რომ ახლაც არიან ადამიანები, რომლებიც ებრძვიან კომუნიზმს, მის კეთილშობილურ იდეებს, მაგრამ ასეთ ადამიანებს, როგორც ჩანს, ამკარად არანორმალური ფსიქიკური მდგომარეობა აქვთ. (სიცილი. მჭუხარე ტაში).



ძვირფასო ამხანაგებო! აქ ბევრი მწერალი გამოვიდა. სამწუხაროდ, ჩვენ გვექონდა შესაძლებლობა მოგვესმინა ყველა თქვენი გამოსვლა. მაგრამ ზოგიერთი მათგანი მოვისმინეთ და წავიკითხეთ. ზოგიერთ რამეში თავს ვთვლით მოვალეებად და შევეცდებით წავიკითხოთ თქვენი სიტყვები, გავეცნოთ თქვენს შენიშვნებსა და წინადადებებს.

ვფიქრობ, რომ ჩემს გამოსვლაში არ უნდა დავიწყო თქვენი ნაწარმოებების გარჩევა. როგორც იცით, მე ლიტერატურული კრიტიკოსი არა ვარ, ამიტომ არც ვგრძნობ თავს მოვალედ გავარჩიო თქვენი ლიტერატურული შრომები.

ზოგიერთი ფაქტი მოწმობს, რომ თვით თქვენც არცთუ ძლიერ ხალისით აკრიტიკებთ ერთმანეთს. არა მგონია, რომ გსურდეთ ეს არასასიამოვნო საქმე მე დამაჯისროთ. თვითონ წერთ, უწინარეს ყოვლისა თვითონვე უნდა აკრიტიკებდეთ დაწერილს. (სიცილი. ტაში). თქვენ კარგად იცით, რომ, ნაწარმოებების გარჩევასა, ერთი უნდა აქოთ, მეორე გააკრიტიკოთ, ხოლო მესამე შეუაში დააყენოთ. ხომ არ შეიძლება საქმე ისე წარმოვიდგინოთ, რომ აი მოვიდა კაცი და მოიტანა ორი ტომარა, ერთშია ტკბილი კამფეტები, მეორეში კი მწარე აბები, და დაიწყო დარიგება — ერთს ერთი კამფეტი მისცა, მეორეს ორი კამფეტი, მესამეს კი — მწარე აბი. უფრო სწორი იქნება, თუ თვითონვე კამფეტებსაც დაარიგებთ და აბებსაც მიიღებთ, განსაზღვრავთ, როდის არის ეს საჭირო და ვის რა ერგება. (გამოცოცხლება დარბაზში).

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ლიტერატურული კრიტიკა, ლიტერატურულ ნაწარმოებთა ყოველდღიური ღრმა გარჩევა ჩვენი ლიტერატურის წარმატებით განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. აი ამიტომ უფლება არა გაქვთ თავი აარიდოთ თქვენი მოძმეების კრიტიკას და მათ ნაწარმოებთა გარჩევას. რას ნიშნავს ლიტერატურული კრიტიკა? ეს არის სამწერლო იარაღის გალესვა, ნაწარმოების ღრმა გარჩევა, ეს არის ლიტერატორთა ოსტატობის სრულყოფა. ჩემთვის საჭირო არ არის დაწვრილებით ვილაპარაკო ამაზე, თქვენ თვითონ კარგად იცით ასეთი საკითხების მთელი მნიშვნელობა. ჩვენ გვსურს და ხალხი ელოდება ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, კარგ ნაწარმოებებს, რომლებიც მოგვიწოდებენ ბრძოლისათვის, მოგვიწოდებენ კომუნისმის გამარჯვებისათვის.

თქვენ ალბათ იცით, რომ მე მოუსვენარი ხასიათის კაცი ვარ, არ მიყვარს ღეჰვა. ყოველი კაცი თავის პოსტზე აქტიური უნდა იყოს, ლიტერატურაში დიდი მგზნებარება უნდა იყოს. აქტიურის საქმიანობა, ბრძოლა მაღალი იდეალებისათვის, ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის — ყოველივე ეს კაცს მოსწონს. კაცი რომ პასიური იყოს, ჩვენ ვერ შევძლებდით წინსვლას. მხოლოდ მილიონობით და მილიონობით ადამიანის ბრძოლა ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის, აქტიური, შთაგონებული და მგზნებარე ბრძოლა გვაძლევს საშუალებას სწრაფად ვიაროთ წინ და გავიმარჯვოთ. საექვოა, პასიურმა, გულგრილმა, ფლეგმატურმა ადამიანებმა დაწერონ ნაწარმოებნი, რომლებიც გამსჭვალული იქნებიან მგზნებარებით და მოგვიწოდებენ საგმირო საქმეებისათვის. ან იქნებ ეს შეიძლება? (გამოცოცხლება დარბაზში). ამ საკითხზე კონკრეტული მაგალითები არა მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს საექვოა შესაძლებელი იყოს.

ამხანაგებო! ჩვენ ვამაყობთ უფროსი თაობის შესანიშნავი მწერლებით, ვამაყობთ ახალგაზრდობით, რომელიც მწყობრში დგება. საჭიროა ყურადღებით, მზრუნველობით მოვეპყროთ ახალგაზრდობის შემოქმედებას. მინდა რამდენიმე შენიშვნა გამოთქვა დამწყებ მწერლებთან მუშაობის შესახებ. თუ ახალგაზრდა



შემოქმედებითი ძალები არ იქნენ, ლიტერატურა მთლიანად ვერ ახალგაზრდობა ჩვენი ცვლავს. თვითეული იწყებს რაღაც მცირეთი, ხოლო შემდეგ გავარჯიშდება, შექმნის დიდ, კარგ ნაწარმოებებს და მის ნიქს აღიარებენ. ნიქი ერთბაშად როდი იბადება, იგი თანდათან უმჯობესდება.

შემოქმედებითი ახალგაზრდობის აღზრდაში ჩვენ არსებითი ნაკლი გვაქვს. ეს ნაკლი, ჩემი აზრით, ის არის, რომ ჩვენში ხშირად ქმნიან სათბურის პირობებს დამწყები მწერლებისათვის. (ტაში).

გაიხსენეთ, რა მკაცრი პირობები იყო მეფის რუსეთში საერთოდ ადამიანისათვის, ხოლო მით უმეტეს მწერლისათვის, მოაზროვნე ადამიანისათვის, რომელიც ვერ ურიგდებოდა ძველი საზოგადოების მანკიერებას. თვითონ იყო აღშფოთებული და, გამოხატავდა რა თავის აღშფოთებას ნაწარმოებებში, აღაშფოთებდა მილიონობით ადამიანს, რაზმავდა უკეთესი ცხოვრებისათვის საბრძოლველად. ცნობილია, თუ რა ძნელი იყო იმ დროს შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის გზის გაკაფვა.

ოქტომბრის რევოლუციის შედეგად პირობები ძირეულად შეიცვალა. ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში შექმნილია გასაქანი ადამიანის ყველა შემოქმედებითი შესაძლებლობისა და ნიქის ყოველმხრივი გაფურჩქვნისა და გამოვლინებისათვის. ჩვენ გვსურს, რომ ახალგაზრდობის შემოქმედება უფრო მეტად ვითარდებოდეს. ჩვენს საბჭოთა წრეში ბევრი ტალანტი იბადება. საჭიროა ყოველი ღონისძიებით დავეხმაროთ ნიქიერი ადამიანების ზრდას. მაგრამ ხელოვნურად არ უნდა მოვწყვიტოთ ისინი მიწას, იმ წრეს, რომელშიც ცხოვრობენ.

მე სიმინდის დამცველად მალაჩრებენ. მინდა მოვიყვანო მაგალითი სიმინდის მოყვანისა ნორმალურ და სათბურის პირობებში და ერთგვარი ანალოგია გავატარო ახალგაზრდა ლიტერატორების აღზრდაში. (გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).

სიმინდის მოყვარული ბევრია: იგი უყვართ ქართველებს, სომხებს, უკრაინელებსა და სამხრეთი ოლქების რუსებს. განსაკუთრებით გემრიელია ჭყინტილი სიმინდი. ვისაც ის არ უჭამია, არ იცის, რა გემრიელი საქმელია. ჰოდა აი ადამიანებმა, რომლებსაც სიმინდის მოყვანის გამოცდილება არა ჰქონდათ, მაგრამ ძლიერ სურდათ იგი უფრო ადრე მოეყვანათ, დაიწყეს მისი ჩითილის გამოყვანა სათბურებში. მასხოვს, ერთმა აგრონომმა, იცოდა რა, რომ მე გატაცებით ვუწევ აგიტაციას სიმინდს, ალბათ გადაწყვიტა ესიამოვნებინა ჩემთვის: მან სათბურში გამოიყვანა სიმინდის ჩითილი და შემდეგ მინდორში გადარგო. როცა მე მივედი ამ ყანის სანახავად, შემდეგი სურათი ვნახე: დათესილი სიმინდი ჯერ არ ამოსულიყო, ხოლო სათბურიდან გადარგული სიმინდი 20—30 სანტიმეტრზე გაზრდილიყო. შევხედე ამ ნათესებს და აგრონომს ვუთხარი:

— იცით, რომ თქვენ სისულელე ჩაიდინეთ?

— როგორ? რატომ? — მეკითხება იგი.

მე ვუპასუხე:

— გრუნტში დათესილი სიმინდი, თუმცა ჯერ არ ამოსულა, მაგრამ გაიზრდება, განვითარდება და კარგ მოსავალს მოგვცემს, სათბურებიდან გადმორგული სიმინდი კი დაჭკნება, კარგ მოსავალს არ მოგვცემს, რადგან იგი სათბურის პირობებში გამოაყვადდა. შეხედეთ გადარგულ სიმინდს, იგი უღონო, ყვითელია, სიმწვანე არა აქვს, როგორც მშით არა აქვს გარუჯული სახე იმ ადამიანს, რომელიც ქოლგას იფარებს. რა თქმა უნდა, ეს მცენარე ვერ გაუძლებს ყველა განსაცდელს, რომლებსაც თავის განვითარებაში შეხვდება.

რამდენადმე ზოგიერთი ჩვენი დამწყები მწერალიც მაგონებს სიმინდს, რო-



მელსაც, სანამ გრუნტიში ვადრავდნენ, სათბურში ზრდიან. არის ხოლმე ასე დაწერს კაცი პირველ მოთხრობას ან ლექსს და ერთბაშად ატყდება ხმაური, რომ გამოჩნდა ახალი ვარსკვლავი, ახალი ნიჭი. (გამოცოცხლება დარბაზში. ხანგრძლივი ტაში). ეს ამხანაგი, რომელმაც პირველი ნაწარმოები დაწერა, მწერალს ან პოეტს არ უწოდებდა თავის თავს, მან მხოლოდ სცადა თავისი ძალები, მასზე კი უკვე ბუჯი და ნალარა დაჰკრეს, ეს ნიმუში, ალმასია, რომელსაც კაცობრიობა მიელოდაო, იგი მწერალთა კავშირში შეჰყავთ. თუ ასეთი დამწეები პროვინციაში ცხოვრობს, მაშინ ამბობენ, რომ ბინა უნდა მიეცეს მოსკოვში ან რუსუბლიკის დედაქალაქშიო. ეს ახალი ვარსკვლავია და განა შეუძლია პროვინციაში იმყოფებოდესო?

განა ეს სწორია? მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვი ხომ თავის დედაქალაქში — სტანცია ვეშენსკაიაში ცხოვრობს, აბა, დედაქალაქებო, შეეჯიბრეთ მას ლიტერატურის ასპარეზზე. (ტაში).

საკითხი ის კი არ არის, ვინ სად ცხოვრობს, არამედ ის, ვის რა შეუძლია, რისი ნიჭი აქვს ამა თუ იმ კაცს. (ტაში).

ფიქრობ, რომ სათბურის პირობების შექმნას შეუძლია ურყოფითი გავლენა მოახდინოს შემოქმედი ახალგაზრდობის აღზრდაზე. მართლაც, რა ემართება ზოგჯერ ადამიანს, რომელსაც ხობტა შეასხეს და წაიყვანეს იმ წრიდან, სადაც წინათ მუშაობდა. იგი აღიარებს მწერლად, გადასცეს მწერალთა კავშირის წევრის ბილეთი, მისცეს ბინა დედაქალაქში. მანამდე იგი მუშაობდა წარმოებაში ტრაქტორისტად, კომბაინერად, ხარატად, ზეინკლად, კონსტრუქტორად, ინჟინრად, აგრონომად. იგი ხომ მწერლად არ დაბადებულა, და სადაც იზრდებოდა, შრომობდა. ხოლო მერმე ირკვევა, რომ პირველი კარგი ნაწარმოების შემდეგ ამ კაცს არ შეუძლია დაწეროს ახალი, უკეთესი ნაწარმოები. რა უნდა ქნას მან? აი იგი მსჯელობს: კომბაინის შტურვალთან ჯდომა მწერლისათვის არ ვარგა, ქარხანაში წავიდე, აი იგი ეს ვარგა. მერე სად მიდის? მიდის მწერალთა კავშირში, რათა ფული მიიღოს ლიტერატურული ფონდიდან. (გამოცოცხლება დარბაზში. ტაში). იქ მას კვებავენ. მას მიაჩნია, რაკი აღიარეს, რომ ტალანტია, საწევრო ბილეთი მისცეს, — როგორც მისი ნიჭის დასტური, — მამ მიეცით. და თუ ამდღევთ, მაშინ მეტიც მიეცით. (გამოცოცხლება დარბაზში).

შესაძლოა, რამდენადმე ვაზვიადებდე. არავინ არ აპირებს აქედან ტრაგედია შექმნას. მინდა მხოლოდ გიჩვენოთ, რომ ეს არის იმ ნორმებისაგან გადახვევა, რომლებსაც უნდა ვიცავდეთ. (ტაში).

საჭიროა დაეხმაროთ ახალგაზრდა ამხანაგებს, განავითარონ თავიანთი ნიჭი, მხარი დაუჭიროთ ახალგაზრდობას, როგორც უჭერდა მხარს ბევრი ძველი მწერალი, როგორც უჭერდა მხარს გორკი. მე წამიკითხავს მიხეილ მიხეილის-ძე კოციუბინსკის წერილები, წამიკითხავს მისი მიწერ-მოწერა გორკისთან. რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა კოციუბინსკის, ისე როგორც ბევრი სხვა მწერლის, ხელოვნების ოსტატის შემოქმედებაზე. დაე გამისწორონ უკრაინელმა მწერლებმა — ნიკოლოზ პლატონის-ძე ბაქანმა, ალექსანდრე ევდოკიმეს-ძე კორნეიჩუკმა და მაქსიმე თადეოზის-ძე რილსკიმ, თუ არასიზუსტე დავუშვი, — კოციუბინსკი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა სოფლის მეურნეობის მანებელთა წინააღმდეგ ბრძოლის კომისიაში, მუშაობდა სტატისტიკოსად ერობის გამგეობაში და ეწეოდა სალიტერატურო შრომას. როგორც იცით, იგი კარგად წერდა.

რატომ არ უნდა წავიდეს მწერალი იმისათვის, რომ მუშაზე დაწეროს, იქ, სადაც მუშები ცხოვრობენ და შრომობენ, შეისწავლოს, თუ როგორ მუშაობენ



ისინი. განა უმჯობესი არ არის მათთან ერთად იცხოვროს? განა მცირეა მისი (ტაში). მაშინ მოგზაურობისათვის დროის დაკარგვაც საჭირო არ იქნება. (ტაში).

ამხანაგებო, მე როდი ვფიქრობ, რა თქმა უნდა, შემოვიტანო წინადადება, რომ დედაქალაქელი მწერლები სხვადასხვა ადგილას დავასახლოთ საბჭოთა კავშირის შახტებში, ქარხნებსა და კოლმეურნეობებში. არა, ეს გონივრული არ იქნებოდა. მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ მწერლები უფრო ღრმად უნდა იჭრებოდნენ ცხოვრებაში, სწავლობდნენ მას, მხატვრული სახეებით ახორციელებდნენ ყოველივე ახალს საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში, უფრო ღრმად გვიჩვენებდნენ ადამიანს — ჩვენი საზოგადოების მთელი მატერიალური და სულიერი ფასეულობის შემქმნელს.

განა სასარგებლოა ის ადამიანები, რომლებიც გაიზარდნენ და ცხოვრობენ გარკვეულ წრეში — კოლმეურნეობაში, ქარხანაში, დაწესებულებაში, საზრდოობენ ამ წრის წინადაგიდან, ამოვგლიჯოთ იქიდან და გადავიყვანოთ ხელოვნურად შექმნილ სათბურის პირობებში. ეს რომ ვქნათ, ადამიანს შეუძლია დაკარგოს წინადაგი ფეხქვეშ, ვეღარ მიიღოს მაცოცხლებელი წვენი და თავი ისე იგრიდოს, როგორც მიწიდან ამოვგლეჯდნა მცენარემ. მაგალითად, როცა თქვენ ამოთხრით ძირითად ფესვებს და გადარგავთ ხეხილს, საჭიროა 2—3 წელი, სანამ ახალი განშტოებული ფესვები წამოიზრდებოდეს და ხე კვლავ აყვავდებოდეს. ასე ემართება ადამიანსაც, როცა იგი გამოჰყავთ ჩვეული წრიდან. მას შეუძლია რამდენიმე ხნის შემდეგ ფესვი გაიდგას, დადგეს ფეხზე, მაგრამ შეიძლება კიდევაც დაჰქნეს.

ნებას მივცემ ჩემს თავს მოვიყვანო ერთი დიდი ხნის საუბარი უკრაინელ მწერლებთან. როცა უკრაინაში სამუშაოდ ჩავედი, ეს იყო ჯერ კიდევ ომამდე, ჩემთან მოვიდნენ მწერლები, კარგი ამხანაგები, არ დავასახელებ მათს გვარებს. ჩვენ ვისაუბრეთ ზოგიერთ საკითხზე, ხოლო შემდეგ ისინი მეუბნებიან:

— ამხანაგო ხრუშჩოვ, სათხოვარი გვაქვს თქვენთან.

— რა?

— ჩვენში გამოჩნდა შესანიშნავი სახალხო პოეტი, გლეხი ქალი.

— ეს კარგია, — ვეუბნები, — ახლა ბევრი ნიჭიერი ადამიანი ჩნდება. მერე რა ესაჭიროება მას?

— იგი სოფლად ცხოვრობს, — მეუბნებიან ჩემი მოსაუბრეები.

— მერე რა გინდათ?

— ბინა უნდა მივცეთ კიევში.

მაშინ ამხანაგებს შემიძლია ვუთხარო: ეს ქალი ლექსებს თხზავს კოლმეურნეობის ცხოვრებაზე, თუმცა იგი მცირემცოდნეა, მაგრამ ალბათ ნიჭიერია. იგი ლექსებს თხზავს იმ ადამიანთა და მოვლენათა შესახებ, რომლებსაც ხედავს, რომლებშიც მონაწილეობს. მაგრამ წამოიყვანეთ იგი კოლმეურნეობიდან, დაასახლეთ კრემიატკიზე, რაზე შეუძლია დაწეროს? იგი მალე ჩაჰკნება, ვერაფერს ვერ შეთხზავს, ხოლო თუ წერა მოინდომა, იძულებული იქნება კოლმეურნეობაში წავიდეს.

ჩემმა მეგობარმა მწერლებმა მომისმინეს, შემდეგ კი მაინც მიიღეს ეს კოლმეურნე მწერალთა კავშირში. მაგრამ მისგან არაფერი არ გამოსულა, რადგან იგი ნაკლები კულტურის, მოუმწიფებელი ადამიანია. მან იცოდა მხოლოდ გართიმვა. მაგრამ მარტო რითმა ხომ არ არის პოეზია. (ტაში).

ვფიქრობ, ამხანაგებო, თქვენ სწორად გამიგებთ და დამეთანხმებით, რომ უნდა დავეხმაროთ დამწყებ ახალგაზრდობას განურჩევლად ასაკისა, მაგრამ არ უნდა ჩავაყენოთ იგი ხელოვნურად სათბურის პირობებში. ადამიანი ვერასოდეს



ვერ ისწავლის ცურვას, თუ მას მუდამ ექნება დასაყრდენი წყალში. ცურვა რეგულარული ვისწავლოთ, უნდა გადავეშვათ წყალში, მოვისინჯოთ ჩვენი ძალები, ვივარჯიშოთ. თუ ის, ვინც ცურვას სწავლობს, იხრჩობა, დაეხმარეთ მას, მაგრამ შემდეგ ასწავლეთ, რომ თვითონ იცუროს. მიეცით შესაძლებლობა დამწყებ მწერალს საკუთარი ძალებით განავითაროს თავისი ნიჭი. (ტაში).

ამხანაგებო! შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ „მწერლის უფლებებზე დაუშვას შეცდომები“, „მწერლის უფლებებზე განიცადოს მარცხი“? ვფიქრობ, რომ მწერლის თვით მდგომარეობა და როლი საზოგადოებაში არ აღწევს მწერალს ასეთ უფლებას. კარგად თქვა ლეონიდ სერგის-ძე სობოლევმა მწერალთა პირველ ყრილობაზე 1934 წელს: პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა მწერალს მისცეს ყველაფერი და წაართვეს მას მხოლოდ ერთი რამ — ცუდად წერის უფლება.

ჩემი აზრით, ხალხმა მწერალს წაართვა არა მარტო ცუდად წერის უფლება, არამედ უწინარეს ყოვლისა არასწორად წერის უფლება. ნაწარმოები შეიძლება დაწერილი იყოს, ასე ვთქვათ, არცთუ მაღალ დონეზე. მაგრამ რა ვუყოთ, მკითხველი მისცემს თავის შეფასებას ცუდ ნაწარმოებს. სულ სხვა საქმეა, თუ ნაწარმოები დაწერილია არასწორად, ესე იგი ნაწარმოებში აღებულია არასწორი ამოსავალი პოზიციები. ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუშვათ, რადგან ეს არის ლიტერატურული წუნი.

შეიძლება თქვან, რომ არ არსებობს წარმოება უწუნოდ. ეს მართალია, მაგრამ არის სხვადასხვაგვარი წუნი, სხვადასხვაგვარი შეცდომა. დამეთანხმებით, რომ ერთია რომელიმე დეტალის წუნი, დაშვებული ზეინკლის ან ხარატის მიზეზით, და სულ სხვაა ლიტერატურული წუნი. პირველ შემთხვევაში საქმე იმით ამოიწურება, რომ წუნდებულ დეტალს გადაადგებენ, დაუკვეთენ ახალს და დაიკარგება მხოლოდ დრო, რომელიც დეტალის გაკეთებას მოუხდა, და მასალა. მეორე შემთხვევაში წუნდებულ ლიტერატურულ პროდუქციას ენიჭება სიცოცხლე (შეცდომებიანი წიგნი ხომ გამოიცა!), იგი გაიკვლევს გზას მკითხველებისაკენ და ისეთი მკითხველებისკენაც კი, ვინც ჯერ კიდევ მტკიცედ ვერ დგას ფეხზე და კარგად ვერ ერკვევა მხატვრული ნაწარმოების ღირსებებსა და ნაკლოვანებებში. მკითხველი ხედავს, რომ წიგნი დაწერა მწერალმა, და ნდობით უდგება მას. თქვენ იცით, თუ რა პატივისცემა ჩაუწერა პარტიამ ჩვენს ხალხს მწერლებისადმი, მხატვრული ნაწარმოებისადმი, ბეჭდური სიტყვისადმი. სწორედ ამიტომ ლიტერატურული ნაწარმოები, თუნდაც მასში იყოს სერიოზული იდეური შეცდომები, შეიძლება მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა მიიღოს როგორც ნამდვილი ნაწარმოები, რომელსაც ნდობით უნდა მოეკიდო და რომლისგანაც უნდა ისწავლო ცხოვრება და ბრძოლა. თვითონ განსაჯეთ, თუ რა ზიანი შეიძლება მიყენოს საბჭოთა ადამიანებს, კომუნისტურ მშენებლობას ასეთმა წუნდებულმა ლიტერატურამ.

თქვენ იტყვიან, აბა სად არის გარანტია შეცდომებისგან? დიახ, გარანტიის მიცემა ძნელია, იმიტომ რომ მწერალი, თუ იგი ჰემმარტიად საბჭოთა მწერალია, შეცდომებს უშვებს არა შეგნებულად, არა წინასწარი განზრახვით, არამედ მთელი რიგი მიზეზების გამო — ცხოვრების არასაკმაოდ ცოდნის, არასწორად აღებული ამოსავალი პოზიციების გამო და სხვ. ეს რომ არ დაუშვათ, უნდა გვახსოვდეს, რომ მწერლები ცხოვრობენ საზოგადოებაში, ასახავენ საზოგადოების ცხოვრებას, მათს შემოქმედებას უნდა წარმართავდეს საზოგადოებრივი კრიტიკა, ისინი ყურს უნდა უგდებდნენ მას, ანგარიშს უწყევდნენ, მართავდნენ ამხანაგურ დისკუსიებსა და განხილვას, საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოჰქონდეთ თავიანთი ნაწარმოები.



თქვენ ისევ შეიძლება თქვათ: გვაკრიტიკეთ, კონტროლი გავვიწიოთ, თუ ნაწარმოები მცდარია, ნუ დაბეჭდავთო. მაგრამ თქვენ იცით, რომ არც თუ ადვილია ერთბაშად გაერკვე, რა უნდა დაიბეჭდოს და რა არ უნდა დაიბეჭდოს. ყველაზე ადვილი გზა ის არის, რომ არაფერი არ დაბეჭდო, მაშინ არ იქნება არავითარი შეცდომა, ხოლო ადამიანი, რომელმაც აკრძალა ამა თუ იმ ნაწარმოების დაბეჭდვა, ჭკვიანად ჩაითვლება. მაგრამ ეს სისულელე იქნებოდა. (გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).

ამიტომ, ამხანაგებო, ნუ დააკისრებთ მთავრობას ასეთი საკითხების გადაჭრას, თვითონ ამხანაგურად გადაწყვიტეთ ისინი. ჩვენი აზრით, ეს იქნება კრიტიკა და კრიტიკა ნამდვილი. თუ ეს ჭეშმარიტი ლიტერატურული კრიტიკაა, მისთვის ნათლიმამებსა და ძმებს არა აქვთ მნიშვნელობა, იგი უნდა ზრუნავდეს მთავარზე — ლიტერატურული ნაწარმოების იდეურ და მხატვრულ ღირსებებზე. ასე უნდა დავაყენოთ საქმე.

ვფიქრობ, რომ ალექსანდრე ტრიფონის-ძე ტვარდოვსკი მართალი იყო, როცა თავის გამოსვლაში ყრილობაზე განაცხადა, რომ ლიტერატურულ შემოქმედებაში დიდი მნიშვნელობა აქვს უწინარეს ყოვლისა ხარისხს. სწორია, რომ სულიერ მოღვაწეობაში უპირატესობა ეძლევა „უკეთესს“, ვიდრე „მეტს“. მოგვეციოთ ერთი წიგნი, მაგრამ კარგი. ცოტა წიგნი დაწერა ნიკოლოზ ოსტროვსკიმ, მაგრამ მისი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ ნამდვილი წიგნია. მწერალი გარდაიცვალა, მაგრამ მისი წიგნი, ალბათ, საუკუნეობით იცოცხლებს. არ დავასახელებ სხვა ავტორებსა და სხვა ნაწარმოებებს — ისინი ჩვენში ბევრია. უნდა ვეცადოთ შევქმნათ კარგი წიგნები, რომ მათ დიდხანს იცოცხლონ და სიხარული მიანაწიონ ადამიანებს.

ბავშვობიდან გულში ჩამწვდა ნიკოლოზ ალექსის-ძე ნეკრასოვის სტრიქონები მისი პოემიდან „პაბა“. კარგად მახსოვს ისინი სიტყვისიტყვით.

აი ეს სიტყვები:

საშავ, სასწაულს გეტყვი, თვით ვნახე:
ერთხელ რუსები გადაასახლეს
ერთ უკაცრიელ, უდაბურ მხარეს.
რუსები იყვნენ სულ ერთი მუჭა.
ამუშავებდნენ სილადით მიწებს,
და მათთვის დროც არ გასულა ფუჭად,
ერთი წლის შემდეგ ვეღარც კი იცნეს
თვით კომისრებმა! ნახეს, რომ მართლაც
სადაც ხარობდნენ წინათ ეკლები,
კარგი სოფელი ხალხმა გამართა
ხაბძელ-საწყობით, დიდი ბედლებით;
სამჭედლოებშიც ისმის გუგუნის...
სულ ნახევარიც კი საუკუნის
ჯერ არ გასულა, იქ უკვე დაბა
შეიქმნა დიდი! შეხედეთ, აბა —
შრომას, სილალეს და ადამიანს
რა ძალუბო, რაგვარ საქმეებს ქმნიან!

ნახეთ, რა კარგად თქვა ნეკრასოვმა ადამიანზე, რა შეუძლია ამ ადამიანს. თუ მას მისცემენ თავისუფლებს და მიწას! (მჭუხარე ტაში). მაგრამ მაშინ ჩვე-



ნი მასშტაბები როდი იყო. რას იტყოდა ნეკრასოვი ახლა, მას რომ ჩვენს დროში ვცხოვრობთ, როცა შეიტყობდა, რომ სამ-ოთხ წელიწადში საბჭოთა ადამიანებმა გატეხეს 36 მილიონი ჰექტარი ყამირი მიწა! (ტაში). თუ იგი სასწაული იყო, მაშინ საბჭოთა ადამიანების საქმეებზე ცოტა ითქვას ზესასწაული.

აი როგორ ეპოქაში ვცხოვრობთ ჩვენ, ამხანაგებო! მაგრამ ჩვენ თაყვანს ვცემთ ნეკრასოვის გენიას, რომელმაც შეძლო ასეთ, ჩვენი მასშტაბების მიხედვით მცირე გამოვლინებებში, დაენახა და შეეფასებინა, რომ „მრომას, სილაღს და ადამიანს რა ძალუძთ, რაგვარ საქმეებს ქმნიან“. ჩვენს დროში ვლინდება დიდი შემოქმედებითი ძალები ხალხისა, რომელმაც თავისი სამშობლო მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გარდაქმნა. ჩვენს მოწინააღმდეგეს ახლა უკვე ესმის ეს, ხედავს ამას.

ვიამბობთ ასეთ ფაქტს. ამას წინათ ერთ დარბაზობაზე ვესაუბრე ზოგიერთი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლებს. ახლა ყველაზე საჭირობოროტო საკითხია საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის საკითხი. დასავლეთ გერმანიის ელჩი შემეკითხა:

— როგორ გადაწყდება საკითხი ქენევაში?

— ეს უკვე თქვენ მითხარით, თქვენ თქვენი მთავრობის ელჩმა, თქვით, რას ფიქრობს იგი, მაგრამ რასაც უნდა ფიქრობდეთ, მე შემიძლია ვთქვა ერთი რამ, საჭიროა ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას ორ გერმანიასთან.

— ეს შეუძლებელია.

— არა, ეს შესაძლებელია. თუ დღეს თქვენთვის შეუძლებელია, ჩვენ ხელს მოვაწერთ საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და დაველოდებით იმ დროს, როცა თქვენ გვეტყვი, შესაძლებელიაო, და თქვენც მოაწერთ ხელს საზავო ხელშეკრულებას. (ტაში).

ელჩმა მითხრა, არა, ეს არ იქნებაო. მე მას ვუპასუხე, ნუ ჩქარობთ, ნუ ამბობთ „არას“, დაიცადეთ.

მაშინ კიდევ ერთი ელჩი შემოუერთდა ჩვენს საუბარს. ელჩი, რომელზეც მე ვლაპარაკობ, ოდესღაც ცხოვრობდა ჩვენს ქვეყანაში, მას და მის მამას ჰქონდათ ფაბრიკა მოსკოვში, მაგრამ შემდეგ წავიდნენ აქედან, და ახლა იგი ერთ-ერთი ქვეყნის ელჩია, მშვენივრად ლაპარაკობს რუსულად და ამიტომ მე მათთან უთარჯიმანოდ ვლაპარაკობდი. სწორედ ეს ელჩი მიმართავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩს და ეუბნება:

— იცით, ბატონო ელჩო, მე არ გირჩევთ ნაჩქარევად წარმოთქვათ სიტყვა „არას“. 30 წლის წინათ მე ვთქვი, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს ვერ იარსებებდა, და, როგორც ხედავთ, შევცდი. (ტაში).

ეს იმას მოწმობს, რომ ისეთი ადამიანებიც კი, რომლებიც თავიანთი კლასობრივი მდგომარეობით ჩვენი მოწინააღმდეგენი იყვნენ და დარჩნენ, — იმათაც კი ახლა თვალი აეხილათ და უკვე უსწორებენ თავიანთ კოლეგებს: ნუ ჩქარობ, ნაჩქარევად ნუ ამბობ „არასო“.

ჩვენ კი, ამხანაგებო, კომუნისტები ვართ. თქვენ შეიძლება თქვათ: ყველანი როდი ვართ კომუნისტებიო. ამაზე შემიძლია გიპასუხოთ, რომ, როცა ჩვენში გამოდიან ორატორები, — მწერლები, მუშები, მოსამსახურეები, სიტყვის მიხედვით შეუძლებელია იმის თქმა, კომუნისტია თუ არაკომუნისტი ორატორი, და ეს რომ გამოვარკვიოთ, უნდა შევეკითხოთ თვით ორატორს. ნუთუ ეს არ არის იმის ცოცხალი დემონსტრაცია, რომ ჩვენი პარტიის ფიქრები შერწყმულია ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა ფიქრებთან. (მქუხარე ტაში). ეს არის ყველაზე დიდი ჯილდო ჩვენი პარტიისათვის, ეს არის ლენინური მოძღვრების დიდი



ტრიუმფი. ჩვენი პარტიის მოძღვრება, ჩვენი პარტიის პროგრამა აღარ შეცვლილა. გენს მხოლოდ მეცნიერულ დოკუმენტს, არამედ თვით ცხოვრების დოკუმენტი. ჩვენი დიდი ხალხის შეხედულებები, გაგება, მოქმედების პროგრამა გახდა. (მჭუხარე ტაში).

ეს ჯილდოა აგრეთვე იმიტომ, რომ ამჟამად, ისე როგორც არასოდეს, მაღალია ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი, მაღალია საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ავტორიტეტი, ხოლო ჩვენი მთავრობის პოლიტიკა გამომდინარეობს ჩვენი კომუნისტური პარტიის პოლიტიკიდან და მოძღვრებიდან. ეს, მაშასადამე, იმის აღიარებაა, რომ კომუნისტური პარტიის მოძღვრება ყოველსმდე მოძღვრებაა. ჩვენ ყველაფერი უნდა გვაკეთოთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ ჩვენი სახელმწიფო ჩვენი საქმეებით.

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მოვიყვანო კიდევ ერთი ლექსი. მე მომწონს ივანე საბასძე ნიკიტინის სიტყვები სამშობლოს შესახებ:

აწ ვიცი კარგად,
მძლავრო რუსეთო,
თუ რად მიყვარხარ —
დედას გვიწოდებ.
წმინდად დავიცავ
მტრის წინ შენს სახელს
და თავსაც დავდებ
შენთვის, იცოდე!

ეს შესანიშნავი სიტყვებია. პოეტი თავის დროში ამბობდა, რუსეთს შეიძლება დედა ვუწოდოთო, ხოლო ჩვენ ვიცით, რომ რუსეთი მაშინ ყველასათვის როდი იყო დედა, ბევრისთვის იგი დედინაცვალიც იყო. მე ვლაპარაკობ ყოფილი რუსეთის მოსახლეობის არა მარტო ეროვნულ, არამედ აგრეთვე კლასობრივ შემადგენლობაზე. და მაინც პოეტმა მას დედა უწოდა. მაშ რა შეიძლება ითქვას ჩვენს დიდ საბჭოთა კავშირზე, რომელიც ნამდვილად გახდა ყველა ხალხის დედა, და ჩვენს ქვეყანაში ხალხები ყველანი ძმები გახდნენ. (მჭუხარე ტაში).

ყოველივე ამას კი, ამხანაგებო, ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ დიდ ლენინს, ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა წყობილებას, უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი ხალხების თავდადებულ შრომას.

დავიცვათ სოციალიზმის ყველა მონაპოვარი, გავამრავლოთ ისინი და გავწიოთ წინ სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ. (მჭუხარე ტაში).

ახალ დროს და ახლებურად კარგად არის ნათქვამი საბჭოთა ხალხზე ალექსანდრე ტვარდოვსკის ლექსში „თითქმის ნახევარი საუკუნე...“. იგი გამოქვეყნდა გასული წლის დეკემბერში „პრადავში“, აღარ წავიკითხავ მას, რადგან ყველას წაკითხული გაქვთ და გახსოვთ. ეს ლექსი გამოხატავს თვითეული იმ ადამიანის სულიერ განცდებს, რომელსაც უყვარს სოციალისტური სამშობლო, უყვარს საბჭოთა სახელმწიფო და ამყობს მისი მიღწევებით. (ტაში).

ამხანაგებო! ჩვენ ახლა ვეწევით კომუნისტურ მშენებლობას ფართო ფრონტით. თუ სამხედრო ენით ვიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოება დაწყობილია რაზმებად, რომლებიც ფართო ფრონტით ეწევიან შეტევას.

ბევრ ჩვენგანს თვითონ მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში, და თქვენ იცით, რომ უარტილეროდ ქვეითს ჯარს თითქმის არ ძალუძს გაარღვიოს მტრის სი-



მაგრეები დიდი მსხვერპლის გაუღებლად, რომ შეტევის წინ მუდამ ხორციელდებოდა საარტილერიო მომზადება, რაზეც ბევრი ყუმბარა იხარჯება, იმის მიხედვით, თუ როგორ არის გამაგრებული მტრის პოზიციები. აქ არის მარშალი მალინოვსკი, მას შეუძლია ეს დადასტუროს.

ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ჩვენს საერთო შეტევაში საბჭოთა მწერლების მოღვაწეობა შეიძლება შევადაროთ შორსმსროლელ არტილერიას, რომელმაც გზა უნდა გაუკვლიოს ქვეითს ჯარს. (მქუხარე ტაში). მწერლები თავისებური არტილერისტები არიან. ისინი გვიკაფავენ გზას ჩვენი წინსვლისათვის, ეხმარებიან ჩვენს პარტიას მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

სამი დღის წინათ მე მივიღე ამერიკელები. მათ შორის იყო ერთი მოხუცი მოსამართლე. მან სიტყვა წარმოთქვა საუბრის ბოლოს და განაცხადა: გმადლობთ, ბატონო ხრუშჩოვ, საუბრისათვის, მე დიდად კმაყოფილი ვარ და ჩვენ ყველანი კმაყოფილი ვართ საბჭოთა კავშირში ყოფნით. ჩვენ ძალიან ბევრი რამ ვნახეთ, ხოლო პირადად მე განსაკუთრებით გმადლობთ. ვშიშობ, რომ, როცა დაგბრუნდები და მეგობრებს გაუუზიარებ ჩემს შთაბეჭდილებებს, ზოგიერთი იტყვის, რომ ალბათ, რუსებმა „გაურეცხეს ტვინი მოხუც მოსამართლეს“.

სწორედ ასე თქვა. ცუდად როდია ნათქვამი. და აი, ამხანაგებო, საჭიროა, რომ თქვენი ნაწარმოებებით „ურეცხავდეთ ტვინს ადამიანებს“ და არა უნდა გივინებდეთ. ასლა თქვენ, მწერლებს, გეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ როცა არტილერია ამზადებს შეტევას და თან ახლავს შეტევაში ქვეითს ჯარს, მისი ყუმბარები თავს გადაუვლიან მისსავე საბრძოლო რიგებს. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ ზუსტად მორტყმა, მოწინააღმდეგის მორტყმა და არა თავისიანებისთვის დაშენა. (სცილი, ტაში).

ჩვენ განვიცდით მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების ხანას. ჩვენში ტექნიკაც იცვლება და არტილერიაც იცვლება. ახლა ხდება, როგორც სიმღერაშია: კომბალი და კავი უკვე ისვენებენ, ისინი შეცვალა დედოფალმა — მანქანამ. არტილერია და ავიაცია შეცვალა რაკეტამ, რომელიც უკვე გამოვებულია კოსმოსში და მზის თანამგზავრია.

სწორედ ისევე, როგორც ეს ხდება ტექნიკის განვითარებაში, თქვენთვისაც საჭიროა გალესოთ, სრულყოთ თქვენი იარაღი, რათა იგი უფრო შორს, უფრო ზუსტად ურტყამდეს.

ძვირფასო ამხანაგებო! ვამთავრებ ჩემს გამოსვლას. ნება მიბოძეთ მაღლობა გიძღვნათ თქვენი ყურადღებისათვის, იმისათვის, რომ მომისმინეთ. თუ რამე ისევ ვარა ვთქვი, როგორც საჭიროა, ვფიქრობ მომიტევეთ. უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან ველეავდი და ვმფობთავდი. ჯერ ვფიქრობდი გამოვსულიყავი წინასწარ მომზადებული ტექსტით. მაგრამ თქვენ იცით ჩემი ხასიათი — არ მიყვარს კითხვა, მიყვარს საუბარი. (მქუხარე ტაში).

თქვენ, ამხანაგებო, იცით, რა ძნელია გამოსვლა. როცა სიტყვა დაწერილი და მომზადებულია — შეგიძლია დამშვიდებით იძინო. ხოლო როცა მოგელის უტექსტოდ გამოსვლა — ცუდად გძინავს. გაიღვიძებ და დაიწყებ ფიქრს, როგორ სჯობს ჩამოაყალიბო ესა თუ ის საკითხი, იწყებ თავის თავთან დავას. უტექსტოდ გამოსვლა ძალიან მძიმე პურია ორატორისათვის.

მე, რა თქმა უნდა, არა ვარ დაზღვეული შეცდომებისაგან. ამიტომ ვთხოვთ ნუ იქნებით სასტიკი მსაჯულნი, ხოლო თუ რაიმე შეცდომა შეამჩნიეთ, ძალიან მკაცრად ნუ განმსჯით. (ტაში).

ამხანაგებო! ასახეთ თქვენს ნაწარმოებებში დიადი საქმენი. რომლებსაც



ახორციელებს ხალხი, ახორციელებენ უბრალო ადამიანები. საჭიროა არა მხოლოდ ადამიანებს იცნობდნენ, უკეთ ხელავდნენ მათ, რათა ისინი იყვნენ მაგალითი ყველასათვის, ვინც ეწევა ბრძოლას კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სახელოვან ხალხებს, რომლებიც კომუნიზმს აშენებენ! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს დიად კომუნისტურ პარტიას! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა მწერლებს — ჩვენი პარტიის ერთგულ თანაშემწეებს კომუნიზმის მშენებლობაში! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**



გიორგი ხუბუპილი

ღურჯი ვახუშტი

„თბილისი არი იგი სიმაღლე“...
გალაქტიონ ტაბიძე

ლირიკული პოემა

I

სადგური —
შფოთვა და მოლოდინი,
შეხვედრა, ცრემლი, და განშორება.
აქ იბადება ის მელოდია,
რომლითაც ვიწყებ შენზე პოემას.
აქ ელმავლები დადიან მძიმედ,
ფხიზლობს შენობა მკვიდრად ნაგები.
და გიგანტური საკრავის სიმებს
მე მაგონებენ ლიანდაგები.
და სივრცე — საესე თეთრი მტრედებით,
ურიცხვი ხმით და ურიცხვი ფერით;
განშორებებით და შეხვედრებით
ამ დიდ საკრავზე დღე და ღამ მღერის.
აქ დროც არ მიდის თითქოს ტაატით,
ჭრიალებს დიდი რკინის ჭიშკარი;
აქ იშვიათად ტყუის საათი,
აქ ყველა შფოთავს, ლელავს, იჩქარის...

II

ვილაც ბრუნდება, ვილაც გშორდება,
ასეა ადრე, ასეა გვიან.
ვილაც იცინის,
ვილაც ღონდება,
ყველაფერ ამას ცხოვრება ჰქვია.
შენობას თითქოს არყევს ზღვაური,
თეთრი კედლები გვიან იალქნებს.
უცებ აავსებ ოთახს ხმაურით
წამომაყენებ, მაფორიაქებ.
ღია ფანჯარებში უცებ ჩნდებიან

ლიმილი, მზერა ცოცხალ სახეთა.
და აღრიანი მზე ქუჩებიდან
დაგვიანებულ ჩრდილებს ახეტავს.
ბაზრის კარების გაღების დროა,
ვაგონებიდან ტვირთი გადმოაქვთ;
პირველი ხმები მიაქვს და მოაქვს
ბინის ტელეფონს, ქუჩის ავტომატს.
იღება ქუჩა, როგორც აუზი,
რომ გვიანამდე ღელავით დიდდეს;
და დღე იწყება ტკბილი საუზნით,
ახალ გაზეთით და რადიოთი...
და სადგურიდან შორეულ გზებით,
კაცის მარჯვენით, გარჯით და ზრუნვით,
მოვა სურნელი კახეთის ზერების,
ზღვის, მარილის და თევზების სუნი.
მოვა ხმაური თეთრი არაგვის,
მწიფე ყანების და თავთუხების.
ცრემლი... სიცილი... და ლაპარაკი...
და ფანჯარებიდან გაბასუხება...
ივსები შუქით, ხმებით, ფერებით,
ასეა ადრე, ასეა გვიან.
სავსეს საუბრით და სიმღერებით
ყველაფერ ამას ცხოვრება ჰქვია...

III

გბრუნდები.
სადგურს შევხედავ თრთოლვით,
ფიქრით შენს კედლებს ვეამბორები.
მე გამახარებს ორთქლმავლის ბოლით
შემკრთალი შენი სემაფორებიც.
დიდხანს ვილეღებ, ვერ დავშვიდდები.



ვიკითხავ ტოლებს, ამბებს, ამინდებს.
და აღტაცება მომაქვს იმდენი,
ასე მგონია, ველარ დამიტევ.
თითქოს შორიდან მოსულს მამჩნევენ,
თითქოს უთვალავ ამბავს ჰყვებიან;
ვიფიქრებ ასე: ლურჯი ფანჯრები
ჯერ წაუქითხავ წიგნთა ყდებია...

და შევჩერდები ხილზე რატომღაც
შთავონებული და მოხიბლული.
შენ აღმართულხარ გაღმა-გამოღმა,
ასიათასჯერ თვალით ხილული.
შენი კრიალა მოლურჯო სივრცე
დიდი სახლების კედლებზე მოჩანს.
დავალ ქუჩებში, გეჩვევი ისე,
როგორც საყვარელ ცოლსა და ოჯახს.

მოვედი, ვხედავ ახალ აფიშებს,
ქუჩებს ხმადაბალ სიმღერას ვატან.
ტაქსში, კაფეში და ტრამვაიში,
ჟულიმი შოფერს, გამყიდველს, ვატმანს.
მომნატრებია შენი ზაფხული,
ყელამდე შესვლა ხეთა ბუბუნში.
და ავტობუსის სარკმელს გაკრული
შენი წვიმა თუ თხელი ბურუსი.
და ჰა, შენთან ვარ. ღამის ზმანებებს
მზე უკვე ფანტავს საღდაც, კრწანისთან.
კონდუქტორები და ვატმანები
არ აყოფნებენ პარკთან წამითაც.
და ტრამვაებით, ავტობუსებით,
მანქანებით და ჩქარ ნაბიჯებით,
ამოძრავდები, აფუსფუსდები,
შუალამემდე არ დამშვიდდები.
და გოლიათის გაზმორებითა
ხეივნებიდან, გაზონებიდან
სიბნელესა და ღუმლის გაფანტავ;
გრძელ მიღებიდან რუხ ბოლს აუშვებ
და იძირება ქშენა-ხმაურში
დიდუბის ხიდი თუ შენებადა.
და მემანქანის დაღლილ თვალეზში,
დაღლილ სახეზე ვინმე პილოტის,
აღბეჭდილია შენი ცხოვრება
გარჯით, ოცნებით და უძილობით.
ხილზე, ქუჩაზე, ეზოში, ბაღში,
შემოგლიძიან და მოგძახიან.
დაზგასთან, ცეცხლთან, მაშუთში,
წყალში,

მე ვხედავ ხელებს, ხელებს ძარღვიანს.
ო, ეს ხელები!
მუშის, მეთევზის,
მხატვრის, პოეტის, დურგლის, ხარატის;
გიგრძენია ცაში, ჭერზე, კედლებზე,
სიყვარულივით მძლე და მარადი.

ეს დღე ხმაურობს ჩემში და შენში,
ეს დღე — ყველასი, ჩემიც, იმისიც;
არის ბაასში, ხარხარში, ცრემლში.
არის დავაში, ჯიბრში, ღიმილში.
და არ აქვს მიჯნა, ზღვარი, ნაპირი
ამ ხმებს, ყრიაშულს, და ამ ფერადებს.
ვით არ გიყვარდეს ეს ყველაფერი
დაუსრულებლად, გულის ფსკერამდე!

და შუალამის საათის რეკვით,
ფუნთულორის ბოლო ტრამვაით,
დღე —
ამნაირი შფოთვის და დღეღის
ჯერ კიდევ ლექსად დაუსტამბავი;
ჯერ მხოლოდ განცდა და ყრუანტელი,
უცხო სიმღერა ზვალის სათქმელი;
ჩამავალი მზის ჩუმი ნათელი
დაუხურავი ერთი სარკმელი
თავდება, მიდის, მერე ცხოვრება
თითქოს იწყება ისევ თავიდან.
რალაც მოხდა და არ მეორდება,
რალაც იყო და ჩვენგან წავიდა.
რალაცამ უცებ შენც გამოგცვალა,
კიდევ გაწყინა, კიდევ გახარა,
დღემ, —
როგორც ბავშვის კბილის ამოსვლამ.
ან გაჩენილმა თმაში ჭაღარამ...

IV

საღდაც, პატარა სოფლის შარაზე,
ნაურმალივით დარჩა ბავშვობა;
ეზოს ჭიშკარი როცა ჩაერაზე
და თვალი ნაცნობ ფანჯრებს დაშორდა.
და გზები, გზები... როგორც მიყვარდა
ფიქრით, ოცნებით და მღელვარებით...
და დარჩენილი დედა ჭიშკართან...
და ცრემლიანი მისი თვალები...
აივნის ბოძზე აცმა ზაფრანის,
ოწინარი და ოდა კარდია...
ჩემი ცხოვრების თეთრი აფრანი



ლურჯ სივრცეებში შორს მეძახიან...
 და უკან დარჩა სოფლის მდინარე,
 გადასერილი ხშირად მხარულით...
 დღეები, მზეში პირმომცინარე,
 ბალახი, ცვარი და სიხარული...
 გაუხედნავი ცხენის ჭიხვინი,
 და იონჯაში ბოჩოლა ჭრელი;
 ვენახში მამის ტკბილი ღვინი,
 დაკოყრებული გლეხკაცის ხელი...
 ვაშლის ხეები და აღუბლები,
 შემოდგომაზე შუკის ტალახი...
 ასხის ქედებზე თეთრი ღრუბლები
 და გაეღვება წყალში კალმახის.
 და სახალწლოდ თეთრი ციკანი,
 საწნახელი და მძიმე ჯაგნები...
 და ჩემს საწოლთან სიგრძე-სიგანით
 ვეფხის ტყავები გრძელი ჭანგებით...
 ჩემი ბავშვობის წმინდა სიზმრები,
 ლოგინი, სადაც ტკბილად მეძინა...
 გაუტყორცნელი თხემლის ისრები
 და ტახტქვეშ მწვანე ბურთი რეზინის...
 საღდაც, ძველ წიგნში პირველი ლექსი,
 გაუგზავნელი მორცხვი ბარათი;
 ბებერი ცაცხვი, შიშველი ფესვი,
 და ნანგრევები — წიგნი მარადი...
 ყალიონი და ქისა ბაბუის,
 დედის ალერსი, გაწყრომა მამის...
 აბაშის პირი. ტყე უდაბური
 და ლერწმინანში აღქაჯის ჩქამი...
 ბუხარზე ძველი ბიბლიის წიგნი,
 კედელზე ვიღაც მეომრის სახე;
 რომელიც ბავშვის სიზმრების იქით
 დაუსრულებელ სამყაროს აღებს...
 და აივნიდან ხილული ხვამლი
 და მოხუჭული თვალი ყასიდად...
 კედელზე ნოხი და მამის ხმალი,
 ჩამოტანილი მგონი ყარსიდან.
 ძველ რვეულებში ნაწერი მრუდედ
 და სტრიქონები უცხო და ურჩი.
 და ესპანური მომწვანო ქული
 ვარსკვლავითა და ვეება ფუნჯით...

სტადიონიდან ღელვით, ყიყინით,
 ქუჩებით, ხმებით და ღრიანცელით
 შენ მეძახოდი; მეც დავიყინე,
 და ჰა, უშენოდ ვეღარ გავძელი.
 შეყვარებულთან გარბინა ასე,
 როდესაც იგი შორს ეგულებათ.
 ასდევნებოდნენ ვაგონის სარკმელს
 მცხეთის, ავჭალის ელნათურები...
 და ჰა, რიყრაყე მატარებელმა
 მე მომიყვანა შენს კარიბჭემდე.
 შემხვდნენ ქუჩები ატალღებული
 და გაცეხულს თითქოს მიჰქრდნენ.
 იყავი მკაცრიც, ალერსიანიც,
 მახლობელი და მაინც უჩვევი.
 როგორც პატარა სწავლობს სიარულს,
 ისე ვისწავლე შენი ქუჩები.
 მე მოგიტანე სოფლის სურნელი
 ჩალის, გვიმრების, ლორთქო ბალახის.
 და სიჭაბუკის ფიქრი, სურვილი
 და ჭაბუკური სული ამაყი.
 შადრევანივით მომსკდარი სული
 და აპრილივით ნორჩი მშვენება...
 როგორ გიმხელდა მხურვალე სურვილს
 ძებნის, მიგნების და აღმენების;
 ჩემი თაობა დარღს შეუჩრვევი,
 იმედიანი და უღალატო.
 ის მოღელავდა, შენი ქუჩები
 დავიწროვებულს ჰგავდა კალაპოტს.
 შემომამეგებ სიბოო, ალერსი,
 შენი წყურვილი ვერ მოვიკალი.
 და გაცეხულ ფართო თვალებში
 ვერ დაგიტიე სიგრძე-სიგანით.
 შენი კრიალა ზეცა მეხურა,
 შენ გიზიარე ფიქრი უთქმელი.
 ვიყავ უხეშიც. და უხერხულიც,
 ვიყავი ტლანჩი და მოუქნელი.
 ალბათ გახსოვარ ხშირად ვაკეში,
 მელიქიშვილის ქუჩის ბოლოსთან.
 და დილით ისე როგორ გავეშვი,
 შენი ღმილი არ გამყოლოდა.
 დამდევნებია წვიმა და თოვლი
 და მიყრდნობივარ ტრამვაის სარკმელს
 დამინახინარ უცნაურ თრთოლვით
 ჩემივე სულის საკვირველ სარკედ.
 ოპერის ბალი, თეატრის კარი,
 და წვიმისაგან აშლილი მტვერი...
 სულ სხვანაირი სიცოცხლის ქარი,

ორთქლმავლის ქშენით შორეულ გზაზე,
 გამოუცნობი ღელვით და გზნებით,
 მეძახდი — როგორც მწვერვალი
 მთამსვლელს,
 როგორც მეზღვაურს უხმობენ ზღვები.



სულ სხვანაირი მშვენების ჩქერი...
და არა მარტო ფანჯრების მზერა,
და არა მარტო ქუჩების გზნება.
შენ იქვე ჩემთვის უნაზეს ფერად,
შენ იქვე ჩემთვის ჯადოქრულ ხმებად.

V

და, ჰა, ფანჯრებზე თოვლი კრიალა,
ფიფქები თბილი, ყინული მწველი.
და ღვინით საესე ჭიქის წკრიალით
შემოდის ჩვენთან ახალი წელი.
თან ჟრუანტელი შემოგვიტანა,
ქათქათა თოვლის გუნდები გვტყორცნა.
სადაც მიყუჩდა ტკბილი გიტარა,
ბაგეზე დარჩა პირველი კოცნა.
და შენ გასსოვართ თოვლიან დილით
სიყვარულით და თოვლით მთვრალები.
ვიღაც ამბობდა: — შეხედეთ თბილისს!
და შენით საესე გვექონდა თვალები.
გვეგონა: მუდამ იქნება ასე
და მოყვებიან თოვლს ყვავილები;
და იალქნები იქნება ზღვაზე
და მშვენიერი პალმის ჩრდილები.
გვეგონა: მუდამ იქნება ასე,
მზე მოადგება ფანჯრებს უჩუმრად.
და ვარსკვლავები იქნება ცაზე
და დაგვასველებს წვიმა ჟუჟუნა.

მუხეუმების იღება კარი,
გაგზნავთ დღეებს ტანჯვის და რისხვის.
ჯაქვის პერანგზე ნალექი ჩმალი...
ნაფლეთ დროშებზე ფერფლი და
სისხლი...

ეს მოგონება წლების სავალზე
ჩემში ვერა-რა ძალამ წაშალა;
კედელზე უქმად მაშის სავაზნე,
მიტოვებული მისი შაშხანა...
სურათზე კაცი ხშირი უღვაშით,
გახუნებული მახარა რუხი;
უჭირავს თოფი და მის ლულაში
მისძინებია შორეულ ქუხილს.
და განელებულ დღეთა აჩრდილი
მუხეუმების ქერქვეშ ვიცანი.
როგორც პირველად თითი გაჭრილი,
გრძნობა ტყვილის, გრძნობა სიმწარის.

ჩემამდე აღწევს იმ დღეთა ქრალღმერთები...
წიგნებს ვფურცლავ და ვეხმეაურები.
პიტერის ღამე, კარიბზე სმოლნის,
ბალტიის ქარი, მეზღვაურები...
ვიღაც ჩრდილივით ჩუმად ცახცახებს,
დაუწყევლია ხატი და ბედი...
და კვამლში ძლივს ჩანს ზამთრის
სასახლე,

და ალექსანდრეს ამაყი სვეტი.
მე იქ, ქუჩაზე გავრბივარ გვიან;
ნევაზე ხიდი, მუნჯი ძეგლები...
წამომეწევა იუნკრის ტყვია
და ქვაფენილზე შუბლით ვეხლები.
გაიხმაურებს ბორბლები ეტლის,
ცვივა ფოთლები... ბურუსში ვხედავ:
ტაძარში ვიღაც ლანდივით შედის,
აწყვეტა უნდა ბრინჯაოს მხედარს...
გაცურებული თოვლში მარხილი,
ბურუსით საესე ქალაქის სივრცე...
ჩაფიქრებული და თავდახრილი
პოეტის ლანდი გაივლის ხიდზე...

ღამეში მიიმედ ტორტმანებს მტკვარი,
ღამეში უხმოდ მეტეხი ყვირის...
გამოღებული რესტორნის კარი...
სუფრაზე სუნი დაღვრილი ღვინის...
განწირულივით ვიღაცა მღერის,
ხვალინდელ დღეზე მკითხაობს კარტი...
სასახლეებში თავდება ღუნა,
უკანასკნელად უვლიან კადრილს...
თითქოს შიგნიდან მიწა გუგუნებს,
გრძნობს ქუჩა, კაცი, შენობა, ხიდი,
რომ აყრიალებს ამ საუკუნეს
და იბადება რაღაცა დიდი.

მერე დღეების ხმა უმკვეთრესი...
ისევ ხმაურობს ავღარი მკაცრი...
შორიდან აღწევს ხმები დნეპრპეისის
და პოლარეთში მისული კაცის...
ნაჭაობარში სიციცხლე ღვივის
და გააქვს ტრაქტორს ყამირზე კვალი.
ვიღაცა კვდება კულაკის ტყვიით
და ღამეს გახვევს ბერდანის ალი.
და ჩირაღდნები ენთება ბინდში,
წყალი გადმოქუხს, მიწა ცოცხლდება...
შენც აღიმართე და მთაწმინდიდან

გადმოახედ სულ სხვა ცხოვრება...
კიაფობს შენი ზეცა ფირუზის
და მღვრიე მტკვარიც ხდება ცისფერი.
ღია თვალეში დარჩა ფიროსმანს
ლურჯი სუფრა და მოქეიფენი...
ენას იდგამენ დამწვარი ქვეები,
ენას იდგამენ ჩუმი ჩონჩხები.
მე იმ გმირებთან ვიბრძვი და ვკვდები,
და ყოველ დილით ისევ ვცოცხლდები:
გარბის რკინიგზა, და სივრცე ბოლავს.
ხან ყინულეთში კარავს დავიდგამ.
ხან გამოვადნობ უბადლო ფოლადს...
ბორავს დროება დაუდგრომელი,
არ იცის წუთით დაუძღვრებაც...
ასე იწყება წიგნში, რომელიც
გრძელდება მუდამ, დაუსრულებლად...

არის ამ გზაზე, ყოყმანიც, შიშიც.
ხან გაიღიდარებს, ხანაც იწვიმებს.
ხან მზე ჩადგება ძვალსა და რბილში,
ხან კი ძვლებამდე ატანს სიცოცხე.
ხან ვერ გაუძლებს ტალღებს კაშხალი,
ხან უცაბედი ზვავი იხუვლებს.
ხან მწვერვალეზე ნასროლ მამხალით
გავანდობთ ნიშანს მთების ჯიხურებს.
ხან უვარსკვლავო ღამეს ვისანგრებთ,
გავალთ, გავიტანთ ძალის ძალათი.
ხან გვეწყინება მეგობრისაგან,
ხან დაგვაფიქრებს ქალის დალატი.
როცა პირველად იებს მოკრეფენ, —
მოახლოებულ აბრილს დალანდავ;
სულს ვერ დაიტევს დაუოკებელს
საავადყოფოს თეთრი პალატა;
ამწვანებული აკაციები,
თეთრი ტყემლები და ალუბლები.
სიცილ-სიცილით გავაცილებენ,
სველი ფოთლებით გაილუმპები...
და სასწაული ვიქნებით მაინც,
ავიტანთ, დავძლევთ, დავდგებით ფეხზე.
შევეგებებით მზესა და მაისს,
მოვიშველიებთ სიმღერას, ლექსებს.

VI

გახსოვს? მოგადგა კარზე აბრილი,
შენ იმოსები მწვანედ და ლურჯად.
პირველად მიყვარს, და თავდახრილი

ჩუმად მივყვები ბესიკის ქუჩას,
მუქი ღრუბლები, მთაწმინდა, ქარი,
ჩამორეცხილი ფანჯრის მინები.
შენ და ის ერთი ამაყი ქალი...
მე შივაბიჯებ და ვიყინები...
თითქოს უხილავ ქარებს ეკაწრათ
სული მშფოთვარე და დამსხვრეული-
შენს თეთრ კედლებზე, როგორც
ეკრანზე,

ჩანდა ჩვენება ჩემი სხეულის.
მივყვები აღმართს, ვიწვევ საყვლოს
და უღიმღამო ზამთრის მზესავით,
თითქოს გულგრილი არის სუყველა:
ძმაც, მეგობარიც და ნათესავიც.
და გულში გაჩნდა დარდი წყლულივით.
და გაიზარდა წუთით წუთამდე.
იყო ფიქრები, იყო წყურვილი,
გრძელი დღეები სულს მიხუთავდნენ.
გაუფერულდა ყოველი ირგვლივ,
დამძიმდა ტანი, მუხლი, ქუთუთო...
და მიგდებული საწოლზე წიგნი...
და ქარ-წვიმამი გასვლა უქუდოდ...
ის კი — ამაყი და უღმობელი
თითქოს გამჩნევდა და არც გამჩნევდა.
როგორ ვიდექი მისგან გამობილი
მისი ოთახის ღია ფანჯრებთან.
ეს სიყვარული იყო თუ სხვა რამ?
იფიქრებ, მაგრამ არის გვიანდა.
კაცი მივქონდი ფიქრსა და ვარამს,
როგორც ფოთოლი მიაქვს ნიაღვარს.
გახსოვს? ეს თითქოს იყო გუმინო,
შენი ცა რუხი, გადუღარები.
წვიმამ უეცრად წამოუშინა,
აფორაჯა ტროტუარები.
იყო სიცოცხე და შემფოთება,
იყო ამინდი ავი და უნდო.
მიფრთხილებენ მჭკნარი ფოთლები
როგორც ჩიტების დამფრთხალი გუნდი.
გახსნილი პლაშჩი და ყელზე კაშნე
და სიმარტოვის ფიქრები მძიმე...
როდესაც მარტო ხარ კაეშანი,
და ვერ პოულობ სიხარულს, იმედს.
ვინანე. ასე როგორ გავცუდდი,
როგორ დავკარგე კაცის იერი.
და მომეჩვენა მაშინ საწუთრო
ცივი, სასტიკი და ცარიელი.
თითქოს მესმოდა უცხო ვალობა,



უცებ შეხვედრილ სიკვდილს ვლოცავდი.
სადაც ტირიდა აბესალომი
და გაჰკიოდა ქარში მოცარტი.
შემოდგომური ბინდი, სიცივე
და მოხმაურე წვიმის თქრიალი.
ის თბილ ოთახში მშვიდიად იცინის,
უკრავს, იზრდება ხმა რაიალის...
ჰეი, სადა ხართ, ჩემო ტოლებო,
ნახეთ გრიგალში დაცემა ჩემი.
მე დაგიმალეთ ეს ათრთოლება
და უნებურად მომდგარი ცრემლი.
ის თბილ ოთახში აიღებს ჭიქას
და ულოცავენ დღეს დაბადების.
მერე აცეკვებს ჰაბუკი ვილაც
და ირხევიან მძიმე ფარდები.
და იორთქლება ფანჯრები შიგნით,
ცარიელდება ღამე ბალივით.
დაისადგურებს სიბნელე ირგვლივ,
მივდივარ ჩუმი და თადახრილი...
ო, მეპატიოს გმობა სიცოცხლის,
სულში რეკავდა სევდის ეყვანი.
ასე მეგონა ყველამ იცოდა
ის ხეტიალი და კაეშანი.
ვინ იგარძნოს ჩემი გულის ჩივილი,
შეურაცხყოფა, ქენჯნა, სირცხვილი?
მივარ ქუჩაზე, უკან ჩრდილივით
ამღევნებია მისი სიცილი.
რატომ მომექცა ასე უგულოდ,
რატომ გამწირა ასე ჰკაცრად?
მესმოდა რაღაც უცხო გუგუნნი
და წვიმა მღვრიე სულს მიკაწრავდა..

და შენ უეცრად გაფანტე ბინდი,
თითქოს გავლიე უცნობი მღვიმე.
ლურჯი სადამო და ვერის ხიდი,
ვადაკარგული ამინდი მღვრიე...
კოჯრის გადაღმა გარბოდა წვიმა
შორს გარეკილი ღრუბლების ჯოგით...
და სველ ქუჩებში მივცურავ, მივალ,
არ ვეშურები ოთახს და ლოგინს.
შენ ჩირალდნები აანთე უცებ
და ჩამიყენე სულში ნათელი
და გაატანე ხმაურა ქუჩებს
მღვრიე ფიქრები და სადარდელი.
მოგენდე მაშინ, მოგყევ მორჩილად
და რესტორანის ბოლში ჩავეშვი,
დასველებული, თმაჩამოშლილი

მოურჩენელი ვულის კაეშნი.
შენ გახსოვს: ღვინოს არ ვიკარებდი,
მეგონა იყო მლაშე და მწარე.
ო, რა სიტკბოთი, რა ნეტარებით
ვსვი და შემთვრალი გამოველ გარეთ.

სად არის დილა — შუქის მომტანი,
მივდივარ ქარში, როგორც დევნილი...
ასე მეგონა, მიწა ტორტმანებს,
თითქოს ქანაობს ქუჩა გემივით...
და ახსოვთ ჩემი უგზო ყიალი
შენს ჰადრებს, წვიმით

ფოთლებდაბანილს;
არა მწირის და ონერტილის,
არა ლაჩარის და სულმდაბალის.
თითქოს ფანტავენ დამჰქნარ
გვირგვინებს,
დამსხვრეულ მინებს გაყრიან

წვრილად...
უცებ მაფხიზლებს შენი სიგრილე,
როგორც მეგობრის გარტყმული სილა.
და მეუბნები: „გაუძლებ, დასძლევ.
თუმცა ვიმუხთლა მუხლმა კინადამ.
შენი წუხილი რა არის მასთან,
საუკუნობით რაც მე მინახავს...“
მეუბნებოდი ფანჯრების შუქით
და გამვლელების მშვიდი თვალებით...
მშვენიერ ქალის უთბილეს სუნთქვით,
მშვიდი ჰადრების აშრილებით...
რეკლამებითა და ვიტრინებით,
სანაპიროზე დიდ ჩირალდნებით...
ამიერიდან არ ვიტრინებდი,
ამიერიდან არ ვინალვლებდი...
დიდი სიმშვიდე ჩემთან მოგქონდა,
მშველოდი თითქოს წელში გადრეკილს.
მე გავიარე ჩემი გოლგოთა
კაცი ვიყავ და ფეხზე დავდექი..

VII

...და გაიარა დეკემბრის სუსხმა,
მწუხარებასთან დავდე სამანი.
ჩემს ცხოვრებაში მოვიდა სულ სხვა,
როგორც აპრილში იასამანი.
შემომახვედრე ხელში ნოტებით
და კლავიშებზე ნარბენ თითებთ.
იყო უეცარ ცეცხლის მომღები

და არ სჭიროდა სხვა რამ მზითვეი.
შენი ბრალია მისი სილაღე,
შენ მიანიჭე ეშხი დამწველი.
მისი ბავშვობაც შემომინახე
შენს დიდ კედლებზე ცარცით ნაწერი,
და ჩვენ ვამბობდით: ეს არის ბედი
გამოუცნობი, მუდამ ფარული.
მე დავინახე იმაზე მეტი,
ვიდრეა ქალი და სიყვარული.
გალიმებული, გაციხვებული,
მეწისებრ უხვი, წმინდა ცასავით.
ოცი აპრილი ერთად შეკრული,
ელვა, მზის ცეცხლი, კრთომა
ვარსკვლავის.

ჩვენ ორივენი ერთად ვიქეციით
და ერთმანეთის სულში ჩავსახლდით.
სავეს სითბოთი, თრთოლვით,
სიკეთით.

ზღვა ყრუანტელი, ღელვა ცახცახით
და ერთმანეთის თმით დაბურვილნი
თითქოს ერთმანეთს ვსვამდით
თვალეზით.

ვიყავით მხოლოდ დიდი წყურვილი
და ხორცშესხმული იღუმალეზა...
ეს იყო ჩემი თეთრი ზაირა
და სიყვარული დაუფარავი.
და ჩვენ გვეგონა: ჯერ ამნაირად
არ ჰყვარებია ქვეყნად არავის.
და ჩვენ გვეგონა: ასე არავინ
არ გაჰყურებდა ღრუბლის ქარავანს.
და ჩვენ გვეგონა: ასე არავის
უჩნდა ცა ქუდად, მიწა — ქალამნად.
და ჩვენ გვეგონა: ასე არავის
ქარი და თოვლი არ ჰყვარებია.
და ჩვენ გვეგონა: ასე არავის
ჯერ არასოდეს დაჰღამებია.

(დასასრული შემდეგ ნომერში)





სოჭეკანი

თავი მუშაობა

მას შემდეგ, რაც გიგას თაოსნობით მოხდა შვილებისა და მამის გაყრა, სოსა ერთ ხანს ძმასთან ცხოვრობდა, ხოლო იმ საზიზღარი მკვლელობის შემდეგ წინარეხში წავიდა და თავის დიდელსა და პაპას შეეკედლა. სოსას უკვე დამთავრებული ჰქონდა საშუალო სკოლა. გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზე მოეწყო და თანაც წინარეხის დაწყებით სკოლაში მასწავლებლობდა.

სოსას გზა ასცდა მამისა და ძმის უკუღმართ გზას. მას სულ სხვა ფიქრი და აზრი ამოძრავებდა, პატიოსნება, შრომით მონაგარი ტკბილი ლუკმის ჭამა ყველაფერს ერჩინა. თავაზიანი იყო, ადამიანების მოსიყვარულე. გულისტკივილით განიცდიდა ხოჯერაანთ აწრიალებულ ყოფას. რამდენჯერაც შეხვდა ფილოს, იმდენჯერ ურჩია კეთილ გზას დასდგომოდა. მაგრამ ეტყობოდა ფილო მაგრად ჰყავდა ხელში დათას.

გიგას წლისთავისა და ფილოს ქორწინებაზე ცოტა ხნით ადრე სოსა ესტუმრა ხოჯერაანთ კერას. ძმა გულთბილად შეხვდა, ნახევარძმები და სონაც კარგად დახვდნენ, მაგრამ ტასო არც მისალმებია, დათამ ხელი ჩამოართვა და არაფერი უთხრა.

სოსას გადაწყვეტილი ჰქონდა შერიგებოდა მამის ოჯახს, როგორმე ფილოს გულში ებოვნა ბინა. გაეხარდა, როცა მისი ქალის თხოვის ამბავი გაიგო: ეგებ ახლა მაინც ეშველოს რამე, ჰკუაში ჩაეარდესო. ააჩქარა. ძმები კავთისხევში ერთ ოჯახში შეხვდნენ თბილისელ ლევანს. ლევანს თვალში მოუვიდა ფილო და სიმთვრალეში შეჰპირდა: შენ ერთ კარგ გოგოს გაგირიგებო. თბილისში დაიბარა და აი, რამდენიმე ხნის შემდეგ ფილომ თავი დაუკრა თავის მაჰანკალს. იმ დღეებში ფილო გაიფურჩქნა. სოსას გული დაუამდა და ეგონა, ახლა კი გვეშველა და ეს ბიჭი ისევ პატიოსან გზას დაადგებაო...



მამასთან მომხდარმა ჩხუბმა გუნება მოუწამლა სოსას.

უმთვარო ღამე იყო. სოსას ერთ ხანს გულში ანთებული ცეცხლი მიანჩხებდა წინარებისაკენ. თვალწინ ედგა მამა და ტასო. გუნებაში კიდევ ეჩხუბებოდა მათ, ეჩხუბებოდა, ცხარდებოდა, ძარღვეს იშლიდა. მორჩა, გათავდა, ამერიდნან სოსა მამის ოჯახში ფეხს ვერ დასდგამდა. ვერ ურიგდებოდა და ვერც შეურიგდებოდა ხოჯერაანთ ავკაცობას. ის საცოდავი მარო რა დღეში იქნებო, ცალკე მასზე დარდობდა, ენანებოდა, რომ ეს უწყინარი და პატიოსანი ქალი ასე უღროოდ უნდა დამკვნიარიყო, დაჩაგრულიყო.

გზა ტყისპირას მიდიოდა. ქვევით კავთურა ჩხრილებდა. უუუ! — რაღაც ხმას გამოსცემდა ბნელით ჩამუქებული ხეობა. მიძიმე და ცხელი ღამე იყო. მთვარიანში სოსას ხშირად უბანავია კავთურაში, მაგრამ ახლა გული არ ჰქონდა წყალში შესულიყო. ჩქარობდა წინარეხში დროზე ასვლას. სოსამ იცოდა, რომ დიდედან და პაპას ამ დროს ეძინათ, მაგრამ მაინც ჩქარობდა. ქათმები რომ დაიბუღებდნენ, მოხუცები ლოგინს მიაშურებდნენ ხოლმე. დილითაც ქათმებს აპყვებოდნენ. მთელი დღე ფუსფუსებდნენ. სოსა იყო მათი ოჯახის ნორჩი ყლორტი და მისი იქ ყოფნა ახარებდათ. განსაკუთრებით უყვარდათ, რომ დედის ეშხი და ფერი გამოჰყვა, მასავით თავდაპყერილი და პატიოსანი იყო.

სოსამ აღმართი აირბინა და პაპა თედოს სახლ-კარს მიადგა. პაპამ კაკლის ხის ძირას იცოდა ძილი, დიდედა ნატო კი აივანზე იშლიდა ლოგინს. მღალი, კონტად ნაგები სახლი ჰქონდათ, აივნიანი, კრამიტით გადახურული. სახლი ძველი ნაგები იყო, მაგრამ დღემდე კარგად შენახული. თედოს და ნატოს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდათ და ისიც დათას მიითხოვეს, ოდესღაც მოხდენილს, თვალ-ტანად მშვენიერ ჰაბუკს. დათა დროთა განმავლობაში პატიოსნების გზას ასცდა და ამან დააღწო მისი შეუღლე მეღანო, გარდაიცვალა, წლოვანებით ერთმანეთის მიმდევნო სამი ვაჟი დასტოვა. ქალის სიკვდილმა სიცოცხლე შუა გაუყო თედოსა და ნატოს. ახლა სოსაღა იყო მათი სულის მაცოცხლებელი წყარო, ახლა მას შეხაროდნენ და მისი კაიკაცობის იმედით საზრდოობდნენ.

ფხიზელი ძილი იცოდა თედომ. ფეხის ხმა შემოესმა თუ არა, მაშინვე წამოიხედა.

— რომელი ხარ?

— მე ვარ, პაპა! — მაშინვე შეეხმინა სოსა, ჭიშკარი შეაღო და კაკლის ხისაკენ გასწია, სადაც პაპა იწვა.

თედო ლოგინზე წამოჯდა და ცას ახედა. სოსა მიუახლოვდა და ტახტზე პაპის ფერხითი ჩამოჯდა.

— შუაღამე მოსულა. ასე გვიან რამ ამოგიყვანა, ბიჭო? ცოტა ადრე მოსულიყავ.

— მამაჩემს ვეჩხუბე. ფილო კიდევ გაგზავნა ნაქურდალით. ის ჩემი რძალი მეცოდება, თორემ...

თედომ დარდიანად ამოიხზრა.

— ჰაი, ჰაი, დედასა! რა ბიჭი ფუჭდება! რა დროს მაგისი ცოლი იყო... ან ისეთი ქალი უნდა შეგვეერთო, რომ იმ ქალს ასე დაეჭირა, აი! — თედომ მუშტი შემართა და მერე მოწყვეტით დაუშვა მუხლზე. — შენ როგორც მითხარ, ერთი საცოდავი გოგო ყოფილა. ვერც კი ვნახეთ. აქ მაინც ამოგვეყვანა...

— ისეთ გუნებაზე ვარ, დანა რომ დამარტყან — წვეთი სისხლი არ გამომივა... ფილო ნამდვილად დაიჭირეს, ახლა მამაჩემს მიაყოლებენ და დაინგრევიან ხოჯერაანთ.



ლამის მყუდროებაში სოსას ხმა ისმოდა. დიდება ნატოს გაპლენდინგის
აიენის ხარისხს მოსდგომოდა.

— შენა ხარ, სოსა? რა ამბავი მოიტანე, ბიჭო?

— კარგი არაფერი, დიდედო... აბა კარგს რას მოვიტანდი! ჩვენების ამ-
ბავი ხომ იცი...

— აი, არ გაიხაროს დათამ ჩემი მელანოს ცოდვითა, მისი შვილების აგრე
აწრიალებსთვისა! ღმერთსა ვთხოვ, არ გაიხაროს ქვეყანაზედა! აი, დამიწდეს,
დამიწდეს მისი თავი და ტანი! — ვინ იცის მერამდენედ სწყევლიდა ნატო დათას.
ქალის რბილი, ხავერდოვანი ხმა ლოცვასავით გაისმა. აფუსფუსდა, სოსას ლო-
გინი დაუგო და დასაძინებლად მიიხშო. მაგრამ სოსა ერთ ხანს კიდევ იჯდა პა-
პასთან და გულის დარღებს იქარებდა.

— ჩვენ გამოლმა ვლაპარაკობთ, გალმა კი დათა რასაც უნდა, იმას სჩადის.
აბა რა ვქნათ, რა ვიღონოთ? — ხელები გაშალა პაპამ. — წადი, დაიძინე, შვილო,
დღე გათენდება და უკეთ ვიტყვით რამეს.

სოსა დუმდა. მერე ხელი ჩაიქნია და დასაძინებლად გასწია.

დილით კვლავ ცუდი გუნება აპყვა. მოხუცებთან ერთად უგემურად ისაუბმა
და სკოლისაკენ გასწია. ოც აგვისტოდან უფროსი კლასის მოწაფეები სკოლაში
დადიოდნენ, საშემოდგომო გამოცდებს აბარებდნენ. დაწყებითი სკოლის მასწავ-
ლებლები ათასში ერთხელ გამოივლიდნენ. ხვალ-ზეგ სკოლა აკრიამულდებოდა
ბავშვებით და კვლავ დაიწყებოდა ხალისიანი, მოუსვენარი დღეები. სოსას ერთი
სული ჰქონდა, როდის დადგებოდა ეს ღრო.

წინარეხი თავის სოფელ კავთისხევე არანაკლებ უყვარდა სოსას, უყვარდა
იმიტომ, რომ აქ ძვირფასი მოხუცები ჰყავდა, უყვარდა იმიტომ, რომ აქაურ ბავ-
შვებს ანა-ბანას ასწავლიდა, უყვარდა კიდევ უფრო იმიტომ, რომ...

სოფლის ბიბლიოთეკაში ერთი პატარა, თვალშურთხა ქალიშვილი მუშაობ-
და. ისე ცქრილა და დაუდგარი იყო, რომ ბევრ ბიჭს აუჩქეფა სისხლი და დამე
თურად ათენებინა. რაღაც მეტად საოცარი სხივი ჰქონდა თვალბში და სწორედ
მისი თვალბების გულისთვის კვდებოდნენ ბიჭები, „ოჰმე“ და „უჰმე“ პირზე
დაიკერეს, გონება ოცნებით დაიტვირთეს, მუშტებს მკერდზე იბრაგუნებდნენ
და ყველა თავისთვის იგულვებდა, ყველას თავისთვის და მხოლოდ თავისთვის
სწამდა ცაცო. ბიჭმა ბიჭს გაუგო განზრახული, სხვანი ერთურთს დანასისხლად
გადამტერნენ და კიდევაც მისცხეს ერთმანეთს. იმ ღროს ცაცო დამშვიდებული
იჯდა ბიბლიოთეკაში.

ვინ იცის რამდენი ბიჭი გადასდგომია წინ:

— ცაცო, ცაცო... სიტყვა მაქვს შენთან!

— ბიბლიოთეკაში მოდი და მითხარ ის სიტყვა, აქ გზა არის და უნდა გა-
ვიარო, აბა, ჩამოდექ! — თავს ერთი ლამაზად გადაიქნევდა განზე, მერე გზიდან
ჩამომდგარ ბიჭს ქვეშ-ქვეშად შემოანათებდა თავის ნაპერწკალა თვალბს და
გზაზე თამამდ გაივლიდა. არც არავისი ეშინოდა და არც არავის უფრთხოდა.

და აი, მის გამო ყველაზე უფრო ძალიან უყვარდა წინარეხი სოსას. ბიბ-
ლიოთეკის ხშირი სტუმარი იყო. ცაცო შესთამამებოდა, თავად უჩქევდა წიგნებს
ვაყს. შორით ტრფობამ კარგა ხანს ატკბო-ასევდიანა სოსა. რა შეატყო ვაჟმა,
მარტო წინარეხელი ბიჭები კი არა, ცაცოს მეზობელ სოფლებშიც გაუჩნდნენ
მოტრფილენი და სანახავად საღამოობით წინარეხში გადმოვადნო, სოსამ
იფიქრა, აჩქარებულიყო, არაფრისთვის და არავისთვის არ დაეცადნა და ცაცოს
სიყვარულში გამოტყდომოდა. მაგრამ მარტო ვერსად შეგვდა, მორიდებულსა და
ზრდილ ყმაწვილკაცს ისიც არ უნდოდა, რომ სხვასავით ჯიქურ გადასდგომოდა



გზაზე. ცაცო ყოველთვის მეგობრებით იყო გარშემორტყმული. ბიბლიოთეკაში ჩალიშვილებისა და ვაჟების კარგი თავშესაყარი ადგილი იყო.

წინარეხმა აღრიან გაიღვიძა. სოფელი უკვე აივსო ხალხის, საქონლისა და ფრინველთა ხმებით. გადასარკულ ცას მზის უხვი სინათლე მოჰფენოდა. კაცი-შვილის გული ჩიტს გავდა, უსახლვრო, უდასალიერო სივრცეში გასაფრენად გამზადდებულს.

დილის ანკარებამ, სამყაროს გამწლილმა გულმა გაამხნევა სოსა, დარდი შეუშუსბუჟა, ცაცო მონატრა. არასოდეს არაფრის ნახვა ისე არ მონატრებია, როგორც ახლა ცაცოსათვის თვალის შეველება.

აგერ, აი, იმ სამყედლოს იქით დაბურული ბღია და იმ ბღში სახლი დგას ორსართულიანი, დამშვენებული რიკულებიანი აივნით. კარგია ეს კარ-მიდამო, მაგრამ ცაცო უფრო მეტ სინათლესა ჰფენს მას, უფრო მეტ ეშხსა მატებს. ამის გამო სახლიც სხვაგვარად გამოიყურება და კარიც.

ცაცომ აივანზე გადმოდგომა იცოდა ზოლმე. იმათ აივნიდან კარგად მოსჩანდა სოფლის შემოგარენი. გარემო მშვენების ჰვრეტით თვალს დაიტკობდა, გულს გაიხალისებდა და მერე თავადაც მოხიბლავდა სხვათა თვალს, როცა სოფლის გზაზე ჩაივლიდა ბიბლიოთეკისაკენ.

ნეტავ კი ჩამატარა ცაცოს სახლთანო, ისე ინატრა, თითქოს შეუძლებელი ყოფილიყო ამ პატარა შუკისა და მერე იქით, მწვანე მესერის გაყოლებით გავლა. მაგრამ ერიდებოდა, სატრფოს კარწინ სხვათა ასეთი ტორღიალი არ მოსწონდა და მით უმეტეს, როგორც არ უნდა მონატრებოდა ცაცო, მისი სახლის წინ განზრახ მაინც არ ჩაივლიდა.

სკოლაში მივიდა, ერთ ხანს კოლეგებს გაესაუბრა, მერე, როცა მზე შუბის-წვერზე ავიდა და ჩამოცხა, მდინარეზე საბანაოდ წავიდა. გზად ბიბლიოთეკისკენ ჩაიარა. მაგრამ კარს დიდი ბოქლომი ედო. მხოლოდ მაშინ მოაგონდა, რომ ამ დღეს ცაცო ისვენებდა.

ორღობეში შევიდა და მერე იქით, ველობის პირა ბილიკს გაჰყვა. მიდიოდა ჩაფიქრებული, ნელი ნაბიჯით, დაღვრემილი და უღიმღამო. იქით დაღმართი ჩადიოდა. ქვევით კუნელის ბუჩქები, ალვები, ნერგები და მოჩხრიალე მდინარე იყო.

აღმართზე კისკისით ამოირბინეს ქალიშვილებმა. ერთი წინ მორბოდა, ხოლო მეორე შედარებით უფრო მძიმედ მოჰყვებოდა, რადგან პირველზე უფრო ტანსრული იყო.

ის ზომ ცაცო იყო, წინ რომ მორბოდა! ასე გალაღებული და ასე ბავშვივით არასოდეს არ ენახა იგი სოსას.

მორბოდა, მუხლისთავებზე კაბა უტურდებოდა, მკერდს მოაღელვებდა. სოსამ უზომოდ ბედნიერად იგრძნო თავი. ამ ერთის შეხედვითაც კი მისი გულის საწყაული აივსო, აპირთავდა. ვაჟი გახევდა ერთ ადგილზე. მზად იყო ხელები გაეშალა და თავისკენ გამოფრენილი ქალიშვილი გულში ჩაეკრა. ო, მაშინ გენახათ მისი ბედნიერება! გული უღელავდა, სისხლი უჩქროლავდა.

ცაცომ გამოივია და რა დაინახა სოსა ბილიკზე გაჩერებული, არ მოერიდა, არ შეჩერებულა, ისე ჩამოუქროლა, ხელი მკლავზე შემოჰკრა და მის გარშემო შემოიქროლა. მერე პირისპირ გაუჩერდა ამღელვარებული, ლოყებატკარცალე-ბული...

- ადრე გაუბრძინარ ახალგაზრდობას, სოსა! — ძლივს ამოთქვა დაღლილმა.
- რატომ გგონია, ცაცო?



— ისე დაიარები, თითქოს ორმოცდაათი წლის იყო... ერთს არ გაიტყუებ და აი, ახლაც სახე ჩამოგტირის.

— მე?! — გულწრფელად შეიცხადა სოსამ და გაიღიმა.

— აბა, დამიჭირე, თუ ბიჭი ხარ! — მოულოდნელად უთხრა ცაცომ და მაშინვე მოსწყდა ადგილს.

გული გაულაღდა სოსას, ჩიტივით გაუფრინდა და თავადაც გაჰყვა.

ცაცოს მეგობარი ქალიშვილი ველოზზე ამოვიდა მოწყვეტილი, სულს ძლივს ითქვამდა და ღიმილით შეჭყურებდა ქარივით მსრბოლავ, მოქნილ, მარდსა და დაუღვრომელ ცაცოს, რომელსაც სოსა ვერ ეწეოდა.

აი, საცაა უნდა მისწვდეს... მაგრამ როგორ მისწვდეს?... დაიპიროს?... მერე? აფართქალბული ჩიტი ხელიდან როგორ გაუშვას? არა და იმ წუთის გახსენება, როცა ცაცო მის ხელთ იქნება, რატომღაც გაბედულებას ართმევს ვაჟს. განა ვერ დაიჭერს!...

მირბიან. ცაცო კისკისებს. ნეტა რა დაემართა დღეს? რატომ არის ასე მხიარული, უსაზღვროდ გაღადებული? ის ყოველთვის სიცოცხლით სახვეა, მაგრამ ახლა განსაკუთრებით ეტყობა.

აი ორღობე, მარჯვნივ ბილიკი, პატარა, ჩრდილიანი ბორცვაკი.

დიღალა ცაცო, ბორცვაკზე ხესთან უნდა მიჭრილიყო, რომ ამ დროს მკლავში იგრძნო ვაჟის ხელი. და ერთ წუთს ორი აჩქროლებული გული უცებ შეერთდა. ქალიშვილი წამს ვაჟის ხელებში გაირინდა, სული მოითქვა და ვაჟის ალექსანდრეს სახეს შეხვდა. ქალის სხეულის დამწველმა სიცხემ აღმური მოჰკიდა სოსას, ქალი უფრო მაგრად მიიკრა მკერდზე და იმავე წუთს გამოეყო სამყაროს.

მაგრამ ქალმა იძალა და გაუსხლტა. სირბილით დაეშვა ბორცვაკიდან და თვალს მიეფარა. სოსამ მუხლებში სიძაბუნე იგრძნო მღელვარებისა და თავდავიწყებისგან. ქალის სხეულის სითბო ისევ შემონთებოდა.

სოსას ბიბლიოთეკიდან წიგნი აქვს წამოღებული. სწორედ ავგისტოს ბოლოს დაამთავრა კითხვა და ახლა ცაცოსთვის უნდა ჩაეტანა, მაგრამ აგერ კიდევ რამდენიმე დღე გავიდა და სოფელში ველარ გასულა სოსა. გალაში დამწყვედულ ლომსა ჰგავდა, სიყვარულით კენესოდა. ხვალ-ზევგ სკოლაში უნდა წავიდეს, მოწაფის ხელით გაუგზავნის წიგნს. თავად როგორ ჩავიდეს ბიბლიოთეკაში, იქ თუ ვინმე შეესწრება ცაცოსთან შეხვედრისას, მაშინვე ყველაფერს მიხვდება და იმავე დღეს სოფელს ყველაფერი ეცოდინება, ქვეყანას მოსდებენ, სოსას ცაცო უყვარსო. მერე და ამით რა დაშავდება? მაგრამ მთავარი საფიქრებელი ის ჰქონდა, ვაი თუ ცაცო მწყურალად შემხვდეს, არ მაპატიოს იმდღევანდელი საქციელი. მაგრამ მაშინ რატომ არაფერი უთხრა? ალბათ შერცხვა, უცებ გონს ვერ მოეგო, ხოლო როცა გამოფხიზლდა, უთუოდ გაჯავრდებოდა, სოსას უკმეხ საქციელს არ მოიწონებდა. რა ექნა სოსას, რა მისი ბრალი იყო, თუ კი ცაცო ნიბლიასავით გაიტრუნა მის ხელებში?!

ათას რამეს ფიქრობდა სოსა.

პაპა და დიდედა მოუსვენრობას ატყობდნენ შვილიშვილს, მაგრამ არაფერს ეკითხებოდნენ, რადგან ეგონათ მამისა და ძმის ამბავს დარდობსო, სიტყვით ვერას დაეხმარებოდნენ და საქმით ხომ... აბა რა შეეძლოთ მოხუცებს.

ჩავა სოსა ბიბლიოთეკაში, ნახავს ცაცოს... იქნებ ღმერთმა ქნას და პირმოციხარე შეხვდეს. იქნებ მაშინ თავად უნდოდა ვაჟთან გამართლებულიყო და მის მკერდს აჰკვროდა?! ვინ იცის, ვინ იცის რა უნდოდა!



სოსა ფიქრით თავს იტეხდა და ცაცო რომ გულწრფელად და ძლიერის სიყვარულით უყვარდა, ამის გამო მასთან შეხვედრას ვეღარ ბედავდა. არა, მართლა რა დაემართა მაშინ? რას იტყვის ცაცო, რა სულსწრაფი რამა ყოფილაო. ჯერ ერთი სიტყვაც არ უთქვამს სიყვარულზე და უკვე გულში მიკრავსო. მაგრამ უსიტყვოდ რატომ წავიდა? ესლა აიმედებდა სოსას. მაინც ვერ ბედავდა ქალთან პირისპირ შეხვედრას, ეგონა რალაც მოხდებოდა, რალაც დიდი უბედურება დატრიალდებოდა მის თავს.

სწავლის დაწყების წინა დღეს სკოლაში მივიდა. გულით სწყუროდა შეხვედროდა ცაცოს, მაგრამ კვლავ უფრთხოდა.

იმ დღეს თვალი არ დაუკრავს ცაცოსთვის.

სალამოთი ბიბლიოთეკისა და კლუბის დამლაგებელმა გოგომ, მოდნაანთ პეპელომ, ღობიდან გადმოსძახა ზალში მჯდარ სოსას:

— ცაცომ, წიგნი რომ წაიღე, დაბრუნება უნდაო!

გული შეუქანდა სოსას. ერთ ხანს ყურს არ უჯერებდა, მერე შვება იგრძნო, შემსუბუქდა, გაიხარა, მთელ ქვეყანას მიხედ-მოხედა ყელმოღერებით და ამაყად. თვალი გაუსწორა ღობეს, სადაც ახლახან პეპელო მომდგარიყო, მაგრამ ვაყის პასუხისთვის არ დაეცა და თავის გზაზე მიდიოდა.

წამოხტა სოსა, ღობესთან მიიჭრა.

— პეპელო, პეპელო!

— რა იყო, სოსა? — შედგა პეპელო და მოხედა.

— რაო ცაცომ?

— წიგნი ჩამოიტანოსო... დიდი ხანია რაც წაიღო და აღარ მოაქვსო... სხვა-სადაც უნდა წაკითხვო.

— ეგრე გაბრაზებით თქვა?

— იპ, შენთვის სულერთი არ არი?! გაბრაზებული მე ვარ, ის კი არა.

— ვინ გაგაბრაზა, გოგო?

— ვინა და იმანა... მიწაში ჩასადებმა!

სოსამ მაინც ვერ გაიგო, ვინ იყო ის „მიწაში ჩასადები“. ახლა ფიქრით უმალ ცაცოს დაუბრუნდა. სხვა დროს რამდენჯერ დაუგვიანებია წიგნი, მაგრამ ცაცოს არასოდეს არ უთქვამს და არც შემოუთვლია, ჩამოიტანეო.

— პეპელო, იცი რა... აქ დაიცადე.

— ჰო, ვიცდი.

სოსა ადგილს მოწყდა, ეზო გადირბინა და კიბეზე რამდენიმე ნახტომით აივანზე იყო. შინიდან წიგნი გამოიტანა და ისევე სწრაფად პეპელოსთან გაჩნდა.

— აჰანდე, ჩაუტანე და უთხარი, ბოდიში დაგვიანებისთვის-თქო.

პეპელომ წიგნი გამოართვა, ილიაში ამოიღო და დიდრონი ჩუსტების ფლატუნით განაგრძო გზა.

„რად გავატანე? რატომ მე თვითონ არ წავუღე? ნეტავ კი გამაგებინა, რას ფიქრობს ცაცო, რად გამოგზავნა პეპელო! წიგნი გავუგზავნე, მიიღებს... მერე როგორღა მივიღე და სხვა წიგნი როგორ წამოვიღო. ო, როგორ მენატრებიან და თან როგორ მაშინებენ ცაცოს თვალები!“

იდგა სოსა ღობესთან. ქვევით, ორღობეში უკვე მოძვრებოდა ბინდი, ზაფხულის უკანასკნელი საღამოს წინამორბედი. დღის გამოსათხოვარს თავდავიწყებით სტვენდა რომელიღაც ჩიტი.

მეორე დღეს სოსა უთენია მიადგა სკოლის კარს. აივანზე იჯდა და უცდიდა კოლეგებისა და მოწაფეთა მოსვლას. ეგონა სკოლაში ჰპოვებდა შვებას, მაგრამ აქაც ვერ დაიოკა გულის ჩქაროვა, ვიდრე მოწაფეები არ ახმაურდნენ, ვიდრე



ფუტკრის სკასავით არ აზუზუნდა სკოლა. რამდენიმე ხანს მიყუჩდებოდა ^{პარკის} ^{სკოლის} ეზოკარი, მერე მყუდროებაში ზარის წკრიალი გაისმოდა და ამას მოყოლებული ბავშვთა ჟივილ-ხივილი ლამის მთელ წინარეს ეფინებოდა.

გაკვეთილზე გუგულებივით ჩამომსხდარ ბალებს ესაუბრებოდა სოსა და ისინიც სულგანაბლნი უსმენდნენ. სოსას შეეძლო ნორჩთა გულის მოგება. მის გაკვეთილზე ცელქებიც კი ვერ ბედავდნენ ხმის დაძვრას. პატარებს თავიანთი მასწავლებლის ქება სოფელში გაჰქონდათ და სოფელიც ამ ყველაზე ახალგაზრდა და გულისხმიერ მასწავლებელს პატივითა და რიდით ექცეოდა. ხშირად მოხუცებიც კი ბევრ რამეს ჰკითხავდნენ, სათათბიროდ თავისთან იწვევდნენ.

აგერ უკანასკნელი ზარიც. სოსამ მოწაფეთა თანხლებით სოფლის შარა გამოიარა და შინ მივიდა.

— ნახვამდის, მასწავლებლო!.. — აჰიკვიკდნენ პატარები.

— ნახვამდის, ყმაწვილებო!

სოსა თვალს ადევნებს ქვემოუბნელ პატარებს, კუნტრუმით რომ მიილევენ გზას შინსაკენ.

შუადღეა. რა დაღვეს ამხელა დღეს! სხვა დროს ბიბლიოთეკაში ჩავიდოდა სოსა, კოლმეურნობის კანტორას მიაშურებდა, საბჭოს თავმჯდომარეს ინახულებდა, მინდორში გლეხებს გაუვლიდა, ახალ, ცოცხალ ამბავს მიუტანდა. ახლა ჭილოფი ჩამოიტანა, კაკლის ძირას ბალახზე დაჰფინა და გულადმა წამოწვა.

„ჩავალ, ჰა?! — ეუბნებოდა თავის თავს, მაგრამ ის მეორე, მისივე ორეული, გაუბედავი ჩანდა. — ჩავალ, რა მოხდა! აბა, ადექ, სოსა!“

მაგრამ ვერ დგებოდა. ცის ლაყვარდს შეჰყურებდა და ქვეყნის ეს ამოდენა თვალი ისე მაინც ვერ ხიბლავდა, როგორც ცაცოს თვალები.

„ჩავალ, ჰა? რაც იქნება, იქნება! ეე, რა ლაჩარი ყოფილხარ თურმე... მე კი მეგონა მთებს წამოაქცევდი. ეე, სოსა, სოსა!“

ჩრდილები შებრუნდა. დიდდა ნატო ერთი-ორჯერ მიუახლოვდა ჭილოფზე წამოწოლილ შვილიშვილს.

— შეუძლოდ ხომ არა ხარ, ბიჭო?

— არა, დიდდო.

— შენი დარდით რას უშველი იმათა, წყალწალებულებსა... აი, მიწამ შექამოს ის ჩემი არგამხარებელი სიძე!

ალუბლის ჩრდილი ნელ-ნელა შეცოცდა სახლის აივანზე. მერე ქვემოთ ნარგავი ხეხილის ჩრდილებიც ამოცოცდნენ და... ეზო-კარი დაიჩრდილა.

ღობიდან პეპელოს ხმა მოისმა:

— სოსა!

— ჰა, რა იყო, გოგო? — ელდანაკრავივით წამოხტა სოსა, ერთი ნახტომით ღობესთან გაჩნდა, პეპელოს განრისხებული თვალები დახვდა.

— მე რა თქვენი ისემე ვარ.. — თქვა გაბრაზებით და ის წიგნი, გუშინ რომ წაიღო, უკან დაუბრუნა, — ეგრე თქო, თვითონ ჩამოიტანოსო.

— გაბრაზებული იყო, პეპელო?

— არა. გაბრაზებული მე ვარ.

— ვინ გაგაბრაზა, გოგო?

— ვინა და იმანა... მიწაში ჩასადებმა. მიტრუას ბიჭმა.

თვითონ ჩამოვიდესო?!

ცაცოს დანაბარებით აღევებული სოსა წიგნს ხელში ატრიალებდა. თუ კი სოსაზე გულმოსული იქნებოდა, წიგნს დაიტოვებდა და პეპელოს აღარ გამოაგზავნიდა. თვითონ ჩამოვიდესო. ადგება და ჩავა.



ბიბლიოთეკა სადამოს რვაზე იკეტებოდა. ახლა სწორედ რვა იყო და ცაცოს ვეღარ ჩაუსწრებდა. ხვალამდე კი...

— პეპელო! — გასძახა შარას, მაგრამ პეპელო სადღა იყო.

ან კი რად დაუძახა პეპელოს, მისგან რა უნდა? სოსამ ხელი ჩაიქნია და შინისკენ წავიდა.

მეორე დღეს სკოლიდან ბიბლიოთეკაში ჩაიარა.

სოფლის მხატვარი კედლის გაზეთს აფორმებდა და ცაცოც თავს წამოსდგომოდა. მათ გარდა ბიბლიოთეკაში არავინ იყო. სოსას შესვლისას მხატვარს თავი არ აუღია, ფუნჯით რაღაცას გულმოდგინედ ჰფერავდა.

სოსა ერთ წუთს შედგა და ცაცოს პირდაპირ შეხედა. შენიშნა, გოგონას როგორ შეუწითლდა ლოყები, წამიერად როგორ დაიბნა. ცაცო სოსაზე აღრე მოეგო გონს, წარბი შეჰყარა და ამ ძალად გაწყრომას უმალ მიუხედა სოსა. გულს მოეშვა, სანეტარო რამ ეფონა და ისე გაიღიმა, ისე ალაღად და გულწრფელად, როგორც ბავშვებს სჩვევიათ. ცაცოს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ენას ვეღარ მოაგო. თავის მაგიდასთან მივიდა, მოახლოებულ სოსას წიგნი ჩამოართვა, თავი დახარა და პატარა გრძელ კოლოფში სოსას ბარათი მოძებნა, შიგ წიგნის დაბრუნება აღნიშნა, მერე თაროებისაკენ გავიდა. იქ ერთ ხანს რაღაცას საქმიანობდა, თუმცა მის საქმეს აზრი არ ჰქონდა. თაროს ამოფარებული მალულად აპარებდა თვალს სოსასკენ. რომელიც მაგიდასთან იდგა, კალმისტარს აწვალებდა ხელში.

— წვერი არ გაუფუჭო, — უთხრა ჩურჩულთ და ქვეშ-ქვეშ შემოხედა.

შენი ჰირიმეო, ლამის წამოსცდა სოსას. კალმისტარს ხელი გაუშვა და ხელს ადგილი ვეღარ მოუძებნა.

— ცაცო!

— რატომ არ მოდიოდი?

— აბა რა ვიცი... აქ როგორ ვითხრა... — აწრიალდა სოსა, — რა ვიცი, მე თვითონ არ ვიცი, რა მემართებოდა...

ცაცომ მხატვარს გახედა. და სოსამ ამ ერთ გადახედვაში უმალ წაიკითხა, ნეტავ კი აქ არ იყო. ცაცომ მარდად დასწერა ქალაღლის პატარა ნახევზე: „გიყვარვარ?“ ვაჟმა ვეღარ მოითმინა და ცაცოს ხელი დაუჭირა. შენი ჰირიმეო, ჩურჩულთ უთხრა. კიდევ ბევრი რამ უნდა ეთქვა, მაგრამ უნებურად მხატვრისაკენ გაიხედა. გაიხედა ცაცომატ.

მხატვარი მათ უყურებდა და თვალეები ეშმაკურად უციმციმებდა.

წინარეხელებმა გაიგეს სოსას და ცაცოს სიყვარულის ამბავი. დასამალი აწ აღარაფერი იყო.

პაპა თედო და დიდედა ნატო წელში შესწორდნენ. თავიანთ სახლ-კარს მიხედ-მოხედეს. მათ იმედი ჰქონდათ, რომ სოსა აქ მოიყვანდა ქალს. მაგრამ როგორც კი პაპამ წინადადება მისცა შვილიშვილს, სოსამ ჩაიღიმილა:

— თქვენთან ყოფნას რა სჯობია, პაპაჩემო... მაგრამ ქალი რომ აქ მოიყვანო, ვინ რას იტყვის. ვაჟკაცი არ ყოფილაო, დამძრახავენ, თვითონ არაფერი შესძლებიაო...

— მაშ რას აპირებ, ბიჭო? ვის უგდებ ყურსა?! — არ მოეწონა პაპას შვილიშვილის სიტყვა. — ვინც რა უნდა, ისა თქვას. სახლი — გამზადებული, კარი — მოვლილი, ბაღი — გაშლილ-გალაღებული, ვენახი — მსხმოიარე და ბარაჩიანი... ისეთ ქორწილს გავაჩაღებთ!..



— ძალიან კარგ ქორწილს გავაჩადებთ, პაპაჩემო... მაგრამ მე სახლი დავამთავრო, მე და საწყალმა გიგამ რომ დავიწყეთ... მასალა არი, ნაწილს დავუმატებ და... იქაც ვიქნებით, შენთანაც ვიქნებით, ხალხი სხვა თვალთ შე-
მომხედავს და იტყვის, კაცი ყოფილა, ოჯახის ყადრი სცოდნიაო... ასე, პაპაჩე-
მო, შენ ეს ამბავი ნუ გეწყინება...

— საწყენი რად იქნება, შენი გამრავლება და კარგი დასახლება ყოველთ-
ვის გამეხარდება, მაგრამ აქ, ჩვენთან რომ ყოფილიყავი და ჩვენი გული ამ სიბე-
რის დროს გაგეხარებინა, უფრო კარგი იქნებოდა... არა კმარა, დათასავან და
ფილოსავან რომ გავმწარდით?! წელან კელუას ბიჭმა გამოიარა და... ფილო დაუ-
პტრიათო... შინ მისულან თურმე და იქიდან წაუყვანიათ.

— როდის მომხდარაო? — შეკრთა სოსა და სახე მოეღრუბლა.

— ამ დილასაო.

— საწყალი მარო!.. ის მეცოდება, საცოდავი ქალი... ჯერ ცხრამეტი წლი-
საც არ არის და უკვე სიმწარე ნახა.

— აქ ამოვიყვანოთ, ჩვენთან ცუოს...

— მერე და ამით რა ეშველება?!

— არაფერი, მაგრამ ნუგეშს მივცემთ. ეჰ, ფილო, ფილო! — მოხუცმა თავი
გააქნია, თავისი განუყრელი ჩიბუხი დასტენა. მალე თუთუნის კვამლში გაეხვია.

გიგას სიკვდილის შემდეგ სოსა ფიქრობდა კავთისხევში განეგრძო სახ-
ლის მშენებლობა, მაგრამ ახლა ცაცოს სიყვარულმა ააჩქარა, საკუთარ პატარა
კერიაში მალე დაენთო თავისი ოჯახის ცეცხლი. მთელ სოფელში უტკეთეს ად-
გილს ვერ მონახავს კაცი, გიგამ რომ შეარჩია სახლისათვის. მაგრამ არ დასცალ-
და საკუთარი სახლის აივნებიდან გადაეხედა კავთისხევისა და მისი ლამაზი შემო-
გარენისათვის, რითაც თავდავიწყებამდე იხიბლებოდა გიგა და არანაკლებ გატა-
ცებული იყო სოსა.

ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ, სოსა წინარეხიდან თავის მშობლიურ სო-
ფელში გადავიდა, ხოჯერაანთ ისე გაუარა, თითქო იქ მტრის ბუდე ყოფილიყო,
მაგრამ როცა ბილიკზე შეიმალა, იქიდან მაინც გადახედა ეზოს, რომ მაროს-
თვის მოეკრა თვალი.

ხოჯერაანთა არავინ ჩანდა. უკაცრიელი იყო სახლი, ეზო და გზა.

როცა შეღმართზე ავიდა და კოლექტივის ზვართან გაივავა, გზისპირას,
კუნელის ბუჩქებთან წამოწოლილი გუგულა დახვდა, ძროხას, ფურსა და ხბოს
მწყემსავდა. საქონელი გზის პირას ბალახობდა, ნებიერად ფშვინავდა.

სოსას დანახვასე წამოვდა გუგულა და რაღაც ისეთიანიად გაიღიმა, თითქო
არ უნდოდა და აიძულესო.

— როგორა ხარ, გუგულა? — რატომღაც მარტო ის მოიკითხა სოსამ, ცოტა
ხანს შეჩერდა მასთან, მობრუნდა და ამოვლილ გზას გახედა თავქვე. ქვევით
ხოჯერაანთ კარ-მიდამო მოჩანდა.

თავის თავზე ვერაფერი უთხრა. ფილო დაიჭირესო, პასუხის მაგივრად მი-
უგო გუგულამ.

— ვიცი, ჩემო გუგულა. ვიცი, რომ დაიჭირეს. მამაც დაიჭირეს?

— არა, შინ არი, — ეს თქვა გუგულამ და აქეთ-იქით მიმოიხედა, სოსას გა-
რდა ხომ არავინ მიგდებს ყურსო.

— შინ?! — განცივფრდა სოსა, — არავინ მოაკითხა?

— იყვნენ, მაგრამ ვერ ნახეს... სხვენზე იმალება.



— როდემდე უნდა ვიჯდეთ, რას ამბობს?

— აბა რა ვიცი.

— მარო რასა იქს?

— მარო? იმისი მამა ამოვიდა, იჩხუბა და ქალაქში წაიყვანა.

— ვაი, სირცხვილო! საცოდავო გოგო! — სოსამ თავი დახარა და ერთ ხანს ასე იყო, მერე შეტრიალდა და ბალის ლობეს გაჰყვა. მაროს სევდიანი სახე თვალწინ ედგა. წარმოიდგინა, რა ყოფით ჩამოვიდოდა გაბრიელ თვაური თბილისიდან, როცა თავისი ქალიშვილის ყისმათს გაიგებდა, რა ყოფაში წაიყვანდა უკან, ასე მალე ბედნიერების მზედაბნელებულ ქალს.

სოსას ხასიათი წაუხდა. გადაწყვიტა ერთი დღე გამოენახა და თბილისში ჩასულიყო რძალთან სანუგეშოდ. სოსა არ დაკარგავს მაროს.

მოკლე გზა ფიქრში შეუმჩნეველად გალია და დაუმთავრებელ შენობას მიადგა. აგერ ქვა ყრია, იქით აგური და კრამიტი, დასახერხი ხე-ტყე, კოჭები და ბოძები. მუშახელის შესევვა, ერთი ახალგაზრდული შრომის ყიფინა და კავთისხევის სულ მალე ამაყად გადახედავს წითელკრამიტისანი, ფართო აივნისანი სახლი. მერე ამ გზით მაყრიონი მოვა და ცაცოს მოაცილებენ, მერე სოსა და ცაცო მარტონი დარჩებიან და სულ მალე მარტონიც აღარ იქნებიან... მომრავლებიან. სოსა ახლა სასიამო ფიქრმა გაიტაცა და თავისი კერძის წარმოდგენილმა ცეცხლმა გული გაუთბო, სევდა განუქარვა და ბუნების სილამეც თავისი მადლი დასდო მის გუნებ-განწყობილებას.

მიხედ-მოხედა კარ-მიდამოს, ბოძები და კოჭები გადათვალა, გადათვალა სალამფე და იატაკის საფიცრეები და მერე იქიდან მეორე გზას დაადგა, რომელიც ხევში ჩადიოდა, ხოლო იქით, სოფლის განაპირას, ცხოვრობდა კავთისხეველების უბადლო ხურო და ღურგალი გიგა. ეს კაცი ხანდაზმული იყო და უამრავი ხელოსანი გამოეზარდა, ახლაც რამდენიმე შეგირდი ჰყავდა. ხოჯერაანთ ბიჭებიც სწორედ მას ამუშაებდნენ თავიანთ სახლზე, მაგრამ გიგას სიკვდილის შემდეგ ჯაფხას აღარ გაუწყრიალია დაუმთავრებელ კედელზე.

გიგას მუშაობის შემდეგ კარგი პურისჭამა უყვარდა. დოქით დაიდგამდა ღვინოს, დაისხამდა პატარა ყანწში და ცოლის გასაგონად ამბობდა სადღეგრძელოებს.

ახლაც ასე ქეიფობდა, როცა სოსამ დაიძახა.

გიგას გაეხარდა სტუმრის მოსვლა.

— აბა, პა, დედაკაცო. უთხარი აქ არის-თქო და მოიყვა... ხოჯერაანთ სოსა, ხმაზე ვიცანი.

მალე სოსა კარებში გამოჩნდა და გიგამ საცხე ყანწი მიაგება.

— ეს რა, მარტო ქეიფობ, ძია გიგა?

— როგორც მომიხდება, შვილო, ხან მარტო და ხანაც ხალწში... აბა, ეს ყანწი გამომართვი. მოდი, დაჯექ. აბა, დედაკაცო, ცოტა რამ კიდევ შემოგვაშველე... სოსას ნივრის მწნილი უყვარს...

— გმადლობ, ძია გიგა. შენთან საქმეზე შემოვიარე.

— დაჯექ, დაჯექ... საქმესაც დროზე მივხედავთ.

სოსამ ხათრი არ გაუტეხა, ყანწი გამოართვა, დაილოცა და დალია, მერე ჯაღბურას გადასწვდა.

— ქალი არ მოგყავს, ბიჭო? — რატომღაც იღიმება შეზარხოშებული გიგა და კვლავ ყანწში ასხამს ღვინოს.

— უნდა მოვიყვანო, მამ! — გულახდილად გამოუტყდა სოსა. — ჰოდა, აი, სახლიც მინდა დავამთავრო. ჩემი კერა ხომ უნდა მქონდეს.



— მაშ, მაშ... ჭკვიანი ბიჭი ხარ, სოსა... მასწავლებელი კაცი ხარ და ამ წესს ვერ უბედურა თავი... ჰო, ჰო, დედაკაცო, რა მწნილია, რა მწნილია! პირდაპირ ცხონებაა. აბა, სოსა, შენი საყვარელი მწნილი ეგ არი და მიირთვი, გეთაყვა... ჰოდა, აი, ციხეში ზის ის შენი ძმა. ცოლს რაღად ირთავდა და იმ საწყალ გოგოს რაღად აუბედურებდა?! დათა უნდა დაეჭირათ. რომ ის ბიჭი არ გაეუბედურებინა... აბა, გადაპკარ!

სოსამ დაილოცა და კიდევ გადაპკრა, ნივრის მწნილი მიაყოლა, გიგა ღურგალის პურ-მარილი გაუტკბა.

— ძია გიგა, როდის ამოხვალ შენი ბიჭებით? ხომ იცი, მეჩქარება.

— ეხლა შაყულაანთ გიგუცას სახლსა ვხურავთ, ორ კვირაში მოვრჩებით და შენსას დავიწყებთ. საწყალი გიგა არ მოეკლათ, — სახლიც დამთავრებული იქნებოდა და კარიც. ისიც კარგი ბიჭი იყო და ორივენი კარგად მოირიდებოდით, ტბილად იცხოვრებდით... მოდი იმის სულის სახსენებელი დავლიოთ...

გიგამ ღვინო პურს აწვეთა და შესანდობარი დალია, ყანწი შეავსო და სოსას მიაწოდა.

თამი მერკე

ჩაქრა მაროს ქალიშვილობის გიჟმაყობა. გათხოვებამ უბედურება მოუტანა და სულ მალე ისევ მამის სახლ-კარს დაუბრუნდა. დები ტირილით შეეგებნენ უფროს დას. მარომაც ბევრი იტირა.

იმ საღამოს, როცა მარო ჩამოიყვანა, გაბრიელი დუშმა, გულში დაგროვილი ბოღმა ვერ ამოენტხიანა.

დილას უგუნებოდ აღგა, მცირე რამეზე ბრაზობდა და ივინებოდა, თამრო და ქრისტინე შიშით შეპყურებდნენ გუნებაამღერეულ მამას.

უწინ თუ ალიონიდანვე ხალისით დაუვლიდა ოჯახს მარო, დააწყრიალებდა იქაურობას და მერე გემრიელ საუზმეს შეამზადებდა. ახლა სტუმარივით იჯდა მამის ოჯახში და ვერ გამოკვეთულიყო. გაბრიელი თავს დამნაშავედ გრძნობდა შვილის წინაშე, ააჩქარა და ასე სწრაფად გაათხოვა; მაშინ იფიქრა: მეშველა, ერთი ქალიშვილი უკვე დავაბინავეო, მაგრამ ახლა უფრო მეტი სადარდებელი გაუჩნდა.

გაბრიელი ოთახში აბორიალდა, რაღაც უნდოდა მოენახა თუ გაეკეთებინა, მაგრამ ხელები უთრთოდა და გული ვერაფერს დაუღო.

— ოპ, ლევან!.. — თქვა ხმამაღლა გაბრიელმა და ღია კარს შეხედა, თითქო მისი დამღუპველი ლევანი იქ ყოფილიყო.

მარო ხმას არ იღებდა.

გაბრიელმა ხერხი აიღო და ისევ ქალაქში წასვლა არჩია. თან გაიფიქრა ვაკეში გაველო ლევანთან და ქალის „გაბედნიერებისათვის“ „მადლობა“ ეთქვა. ნათესავი კაცი იყო, მაგრამ არ დაუდევდა, ისეთ სიტყვას ეტყოდა, სამუდამოდ დამახსოვრებოდა.

გაბრიელი ბუზღუნით წავიდა.

მარომ საქმე გამონახა, მაგრამ ძველებური ხალისით ვერაფერს აკეთებდა, მისი სული და გული ფიდოსთან იყო, ფიდოსთან, რომელიც უყვარდა და რომლის ბედიც ახლა ყველაზე მეტად ადარდებდა და ასევდიანებდა, ხშირად ერეოდა ცრემლი, მაგრამ დების ჩუმი იმშრალეობა. როგორ ცდილობდა საცოდავი ქალი თამროს და ქრისტინეს მზიარული სჩვენებოდა, მაგრამ არ გამოსდიო-

და. დები ატყობდნენ ტანჯვას და ისინიც ღონდებოდნენ, თავისებურად ანეგებდნენ დაჩაგრულ მაროს, მაგრამ მის გულს რა განკურნავდა!

იმ დღეს იყო:

მარო ეხოში საქმიანობდა. მეზობლის საზიარო ღობეს ვაჟი მოადგა. ის იყო ოცდაორი-ოცდასამი წლისა, თვაურების გვერდით ცხოვრობდა, მაროს ბავშვობის მეგობარი იყო, მამით ობოლს ყოჩალი და მარჯვე დედა ჰყავდა.

— გამარჯობა, მარო! — მიესალმა ვაჟი.

— სანდრო, შენა?! — ქალი შეკრთა რატომღაც, მიესალმა და თავი დახარა. იმჯერად სანდროს მაგიერად სხვა რომ ყოფილიყო, მარო მაინც შეკრთებოდა, რადგან გათხოვების შემდეგ შინ ასე მალე დაბრუნება ესირცხვებოდა.

ვაჟმა აღარ იცოდა რა ეთქვა. წამს ღუმილი ჩამოვარდა.

— შეიძლება თქვენთან გადმოვიდე? — იკითხა ბოლოს.

— შეიძლებაო?! — გაიკვირვა მარომ, რადგან სხვა დროს ასე არ უკითხავს სანდროს. იგი თამამი, სიცოცხლით სავსე იყო და მეზობელთან ხშირად არა, მაგრამ მაინც დაუკითხავად გადმოდიოდა ხოლმე.

სანდრო ღობეზე გადმოხტა და მაროსთან გაჩნდა, ქალს ხელი გაუწოდა, კიდევ ერთხელ მიესალმა და მერე იქ ჩამოჯდა, სადაც გაბრიელმა იცოდა ხოლმე მუხლის მოსვენება. მარო ფეხზე იდგა.

— დაჯექი, მარო. მე რად მებუტები? მე ხომ არაფერი დამიშავებია შენთვის.

— არა. რას ამბობ! როდის გებუტები, მე ისე...

— ყველაფერი ვიცი, მარო. გული მტკივა... შენს ასე უცებ გამოთხოვებას არ ველოდი, — ვაჟმა კაკლის ძირს ჩამოვარდნილი გამხმარი ყლორტი აიღო და წვრილ-წვრილად დაამტვრია, და სანამ იგი ამტვრევდა, არაფერი თქმულა.

— ჰო, არ მოველოდი, — გაიმეორა სანდრომ, — ხელმრუდი კი გამოგადგა ქმარი, ჰა!

მაროს ცრემლი მოერია.

— ნუ ტირი, მარო... რაც იყო, იყო... შენ ცხოვრება კიდევ წინა გაქვს... გამოჩნდება ადამიანი, რომელთანაც შენ ბედნიერი იქნები.

— რას ამბობ! — შეკრთა მარო.

— იმას, რომ მე შენთვის კარგი მინდა, მარო... შემომხედე... მე ვერაფერი გაგიბედე, შენი სიყვარული კი რამდენი ხანია... რომ წაგიყვანეს გული მიტიროდა, მაგრამ რაღა დროს იყო... მე იმდენს ვფიქრობდი შენზე...

— სანდრო, გათხოვ, მეორედ აღარ გაამაგონო ეს... მე ქმარი მყავს და მიყვარს, — მაროს კვლავ აევსო თვალები ცრემლით.

— გიყვარს? — ჩაიციხა სანდრომ, — ტყუილად ნუ დაიტანჯები... ვინ იცის როდის დაგიბრუნდება და რანაირი დაგიბრუნდება... მე კი შემიძლია დღესვე, მარო... შენ ჩემთან დღესვე ბედნიერი იქნები, — ვაჟი წამოდგა და ეცადა ქალს ხელში მისწვდომოდა, რომ მასთან ახლოს, სულ ახლოს ყოფილიყო, იქნებ ამ სიახლოვით მაინც გაეთბო ქალის გული, მაგრამ მარო შეშინდა, სახე გაუფიფრდა, შეტრიალდა და შინისაკენ უკანმოუხედავად გაიქცა.

სანდრო იდგა ერთ ხანს და თვალს არ აშორებდა პატარას, მაგრამ მკვერვად ჩადგმულ ქალს, რომელსაც სირბილის დროს წვივები ოდნავ მოუჩანდა. სანდრომ იცოდა, რომ შინ ახლა არავინ იყო მაროს გარდა, მაგრამ შებრუნდა, ღობეს გადაეწვლი. აჩქაროებული გული ვეღარ დაიცხრო.

როგორ მორიდებით, როგორ ტრფობით შეჰხაროდა სანდრო პატარა



ქალს! იცდიდა, არა ჩქარობდა, რომ მისთვის გულში ნადები გაეზიარებინა. იმედბული იყო, რომ მაროს არავინ ჰყავდა მთხოველი, ბიჭთან გავლილიც არ ენახა. რამდენიმე ხნით სანდრო მამიდასთან სოფელში სტუმრად წავიდა და იქიდან რომ დაბრუნდა დედამ და დამ ახალი ამბავი დაახვედრეს, მარო წაიყვანესო. „ასე უცებ!“ თავში დაჰკრა სანდროს, დადარდიანდა ყმაწვილკაცი, რამდენჯერაც თვაურების ეზოსაკენ გაიხედავდა, მაროს სახება თვალწინ ედგა. მუდამ მოელოდა მის გამოჩენას, არ ეჯერებოდა, რომ მარო სხვამ წაართვა და სამუდამოდ დაისაკუთრა.

და აი, არ გასულა დიდი ხანი, გაბოროტებული გაბრიელი, მეორედ თუ მესამედ აკითხებდა თამროს კავთისხევიდან გამოგზავნილ წერილს.

ელისაბედს, სანდროს დედას, ყური მოეკრა, ღობეს მოსდგომოდა და ბოლომდე სულგანაბული უსმენდა თამროს. ელისაბედს უყვარდა მარო, მისმა წერილმა ძლიერ იმოქმედა ამ ქალზე, ველარ შესძლო და აცრემლებული გაბრიელს გამოელაპარაკა.

— რალას უყურებ, გაბრიელ, ხომ არ გინდა დააპლექო ის გოგო. წადი და ჩამოიყვანე...

— ოჰ, მე!.. ეს რა ხალხი ყოფილა, ეს რა დამემართა... ოჰ, ლევან, ლევან... — თავში შემოიკრა ხელი გაბრიელმა.

ქრისტინე ტიროდა, თამროსაც ასწყლიანებოდა თვალები.

ეს დღე კარგად ახსოვდა სანდროს.

მარო გულგახეთქილი შევარდა შინ. სწორედაც რომ არ მოელოდა სანდროსაგან ასეთ სიტყვას. ქალს თავზარი დაეცა. ეს დღე სულ არ გავდა იმ დღეს, ფიქროს რომ მოელოდა და სარკის წინ აალებული ღელავდა. ახლა სარკე კი არა, რომ შეეძლოს საკუთარ თავს გაექცეს, გაექცევა.

იმ დღეს შინიდან აღარ გამოსულა. მეორე დღეს დილიდანვე აეკვიატა ფიქრი ფიქროსთან წასვლისა. მოაგონდა კასპელი მილიციელის ნათქვამი, ფიქროსი თბილისის ციხეშიაო. მონახავს ციხეს, უფროსს შესთხოვს, რომ ერთი წუთით აჩვენონ ფიქროს, მხოლოდ ერთ სიტყვას ეტყვის, ბევრი აქვს სათქმელი, ძალზე ბევრი, მაგრამ ის ერთი სიტყვა გულს მოუთხებს, ის ერთი სიტყვაც საკმარი იქნება გულზე დადებული უზარმაზარი ლოდის მოსაშორებლად. არ უთხრას მამას და ისე წავიდეს? იქნებ გაბრიელი სადმე შემოეყაროს. რას იფიქრებს? შინიდან როგორ გავიდეს მარო. ბევრი იფიქრა, ბევრი იაზრა და ბოლოს რაც იქნება — იქნებო, გადაწყვიტა და ალაღბელზე დაადგა გზას. გაბრიელი შინიდან კარგანის წასული იყო. ქალმა ივარაუდა, რომ ფიქროსი ორთაჭალის ციხეში ეყოლებოდათ. ციხემდე ისე მივიდა, რომ გაბრიელისთვის თვალი არსად არ მოუტრავს. ციხის უფროსმა მაშინვე მიიღო.

— შენ ამბობ, რომ აქ შენი ქმარი იქნება? — ახედ-დახედა ციხის უფროსმა, — მერე და რამდენი წლისა ხარ, რომ გათხოვებაც მოგისწრია?

მარომ ამაზე არ უპასუხა, თავი დახარა და თვალში ცრემლი მოერია.

— ჰო, კარგი, ნუ ტირი... პატიმრის გვარი და სახელი მითხარი.

— ფიქროსი ხოჯერაშვილი.

— კასპის რაიონიდან, არა? გამოძიებაზე?

— დიახ.

— ჩვენთან არის განახებთ... ოღონდაც დღეს არა, სამშაბათამდე უნდა მოიკადო.

— იქნებ დღეს, როგორმე...



— ციხეში ჩვენ საგანგებო წესები გვაქვს და ამ წესს ვერ დავარღვევთ.
სოფლიდან ხარ ჩამოსული?

— არა. აქ მამასთან ვარ ვეძისში.

— ჰოდა, მით უკეთესი. დღეს შაბათი, ხვალ კვირა და ორშაბათი. ორშაბათს კასპში დაკითხვაზე წაიყვანენ, სამშაბათს კი ნახავ... მერე და ისეთ კაცს როგორ გაჰყვები ასეთი კარგი გოგო? პატრონი არა გყავდა?

მარომ კიდევ დახარა თავი და ციხის უფროსმა დაინახა იატაკზე როგორ დაეცა ორი მღულარე კურცხალი.

ორთაჭალიდან უკან რომ ბრუნდებოდა, კვლავ გაფაციცებით იხედებოდა აქეთ-იქით, რომ მამა სადმე არ შეხვედროდა. მაგრამ ვეძისს რომ მიატანა, საბურთალოს ბოლოში სანდრო შემოხვდა. უნებურად შედგა მარო.

— რად მემდღური? ჩვენ როგორ კარგად ვიყავით ერთმანეთში, — უთხრა დაბალი ხმით სანდრომ და შეეცადა ქალის ხელი დაეჭირა, მაგრამ მარომ უკან გადადგა ნაბიჯი და ვაჟს ხელი არ დაანება.

— რას სჩადი, თუ იცი! ჩემგან რა გინდა, მე ჩემი დარდიც მეყოფა...

— მარო, ყური მიგდე... სულ ერთია ჩემი იქნები, მე ისე მიყვარხარ!.. შემომხედე! ხომ ხედავ რას გიბედავ... იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხარ და მინდა მალე დავინახო შენი სახე გამოდარებული...

— სანდრო, თავს მომაკვლევიანებ... დამეხსენ, გემუდარები, — და მარომ ისეთი კილოთი შესთხოვა ეს, რომ ვაჟი გზიდან მაშინვე ჩამოეცალა.

მარომ თავისუფალი გზა რომ დაინახა, ადგილს მოსწყდა და შინამდე სირბილით მივიდა.

თამრომ და ქრისტინემ იცოდნენ სადაც იყო წასული, მამა რომ დაბრუნდა არ გასთქვეს და გაბრიელმა ვერაფერი გაიგო.

ხოლო სამშაბათს, როცა მარო მალულად ორთაჭალისაკენ მიიბარებოდა, ქუჩაში დაინახა მამა. გაბრიელმაც შენიშნა შვილი. მაროს არსად წაესვლებოდა, მამის წინ უსიტყვოდ გაჩერდა, სუნთქვა უჭირდა, გული გამალებით უტემდა და აღარ იცოდა რა მოემოქმედნა.

— აქეთ საით მიხვალ, გოგო?

ამას ხომ მოელოდა მარო. მერე და რატომ არ მოიფიქრა თავიდანვე, რა ეთქვა მამისთვის, რა ეთქვა, რომ მოხუცი დაეჯერებინა და მერე თავისუფლად განეგრძო გზა? ახლა? მარომ არ იცის რა უთხრას. უთუოდ გასჭრის მოსწრებული ტყუილი. მაგრამ რომ არაფერი აგონდებდა. უთხრას, რომ ორთაჭალის ციხეში ქმარს უნდა შეხვდეს? მაშინ ხომ აბოზოქრდება კაცი, ქვეყნის გასაგონად შეიკურთხება და მაროს შინისაკენ დაიფრენს. მაგრამ მაროს პასუხის დაგვიანებაც არ შეეძლო.

— სად მიხვალ, გოგო?

— ციხეში, მამი... ორთაჭალაში, — ამოთქვა მარომ და მამას შეანათა მუდარის გამოხატველი სევდიანი თვალები.

— ციხეში? — თქვა თავისთვის გაბრიელმა, ხერხი მარცხენიდან მარჯვენა ხელზე გადაინაცვლა, — მანდ არიო?

— მანდ არის, მამი... თქვეს, რომ მანდ არის, — გული მიეცა მაროს მამის დამთობი, რბილი, დაწეული ხმის გამო.

— მერე და შინ რატომ არ მითხარი?

— ვერ გაგიბედე.



— გიყვარს, გოგო?... ეჰ, ყველაფერი ჩემი ბრაღია და შენ რა უშუალოდ ჩემთვის...
თავი გააქნია გაბრიელმა და ქუჩას გახედა, შვილისაკენ არ მოუხედავს, ისე
უთხრა, — წადი, უნდა ნახო... შენ ცოლი ხარ და მა ვიღამ უნდა მიაკითხოს,
მა ვიღამ უნდა გაუკეთოს გული... როცა გამოვა, მაშინ გავუსწორდები. წადი.

მარო ადგილზე გამეშებულიყო. გაბრიელი შებრუნდა და ნელა დაუყვა
დაღმართს, მიდიოდა წელში მოხრილი, მოტეხილი. მერე იქ, ქვემოთ, მალა
ახედა სართულებს და ხრინწიანი ხმით დაიძახა, შეშა ვისა გაქვთ დასახერხიო.
გზა განაგრძო, მოსახვევში უკანასკნელად მისი ხერხის ბოლო გამოჩნდა და
მიიკარგა.

მარო და ფილო პირისპირ დგანან, ორივეს ცრემლი სცვივა თვალიდან,
სიტყვა ვერ უთქვამთ და ურთიერთს ხელზე უაღერებენ.

ფილო ისევ ისეთი ლამაზი და ახოვანია. სანამ შეხვდებოდა, მაროს წარმო-
ედგინა იგი ფერმკრთალი, წვერმოშვებული და მოტეხილი, მაგრამ ვაჟკაცს
ოდნავადაც არ დამჩნევია პატიმრობის კვალი.

— ახლა სადა ხარ, მარო?

— აქა ვარ, მამასთან... ტასომ სისხლი გამიშრო.

— მამაჩემი?

— მამაშენი, — მარომ აქეთ-იქით მიმოიხედა და რადგან მათ ყურს უგ-
დებდნენ, არაფერი თქვა, შეშინდა და ფილო მაშინვე მიუხედა. დათა რომ დაე-
ჭირათ, ეს ითქმებოდა, მაგრამ მაროს უსიტყვო პასუხმა ფილო მიახვედრა:
დათა იმალებოდა.

— მამ ჩვენი კერა მიატოვე და ისევ აქ დაბრუნდი?

— მე იქ უშენოდ შემიკლეს.

— სოსა? სოსა რაღას ამბობდა?

— მამას ეჩხუბა და წინარეხში წავიდა.

— ახლა ჩვენს კერას ის წუნკალი დედაკაცი უნდა დაეპატრონოს. თავის
შვილებს გაუნაწილებს ყველაფერს და ჩვენ ცარიელ-ტარიელზე დაგვკვამს...
მარო, იმედი მქონდა შენი, რომ ჩვენს კერაში ცეცხლს არ გააქრობდი, დავ-
ბრუნდებოდი და ერთად, პატიოსნად ვიცხოვრებდით... ოჰ, რა ცუდი დღე გა-
მითენდა!.. ვაი, შენ ჩემო თავო!

კიდევ დუმილი ჩამოვარდა. ფილო თავდახრილი იდგა და ყვრიმალის
კუნთები უთრთოდა.

— არ მომიციდი, მარო? — რატომღაც იკითხა.

— ამას რად მეუბნები?

— რა ვიცი... იქ რომ ყოფილიყავი, კიდევ მექნებოდა იმედი... აქ კი, ვინ
იცის... მე ხომ რამდენიმე წელს მომისჯიან... და შენ... იქ რომ ყოფილიყავი
დავიჯერებდი შენს ერთგულებას, მარო... ო, როგორ გაწამე, ჩემო... და თუ მე
ვაჟკაცი ვარ!.. — ფილომ ხელი ჩაიჭინა, ახლა დაქადნება არ გამოდგებოდა,
რადგან წინ პატიმრობის რამდენიმე წელი ელოდა, ციხეში კი, აბა რა ვაჟკა-
ცობა უნდა გამოეჩინა!

— შენ არა გჯერა, რომ მე... აი, თუ შენი გული დამშვიდებული იქნება,
დღესვე წავალ კავთისხევეში. მაგრამ, ტასო?...

— მე იმას შეგუთვლი, ხმა ჩაიკმიდოს... შენ შენთვის იყავ, სოფელი დი-
დია, მარო, კავთისხევეში ბევრი კარგი ხალხია, დაგეხმარებიან... შენი ჭირივე,
გული მეუბნება, შენ აქ რომ დარჩე...

მაროს თვალწინ დაუდგა სანდრო, ფილოს სიტყვებთან ერთად ახლაც ჩაე-

სმა მისი მუდარა და სასიყვარულო სიტყვები, შეკრთა, ფილოსკენ წაიწია უთხრა:

— არასოდეს, არასოდეს არ გილალატებ, ოლონდაც, როცა დაბრუნდები სხვა გზას უნდა დაადგე, ფილო... აი, მე შეგისრულებ ყველაფერს, დაგბრუნდები კავთისხევში... შენც უნდა მომცე პირობა, რომ სულ სხვა იქნები, სულ სხვა... აი ისეთი, სოსა რომ არის.

— მარო! — თქვა ფილომ და ქალის ხელი თავის ხელებში დაიჭირა, უნდოდა გულში ჩაეკრა ეს ხელი, მაგრამ შერცხვა, ციხის თანამშრომელი შორი-ახლო იჯდა.

გამომშვიდობებისას ფილომ უთხრა, კასპში შეხვედროდნენ ერთმანეთს, იქ უფრო ადვილია ჩვენი ნახვაო, ციხის თანამშრომელს გაჰყვა და საკნებს-შორის დერეფანში გავიდა.

სალამოს დეიდა ელისაბედი გადმოვიდა თვაურებთან. მაროს სხვანაირად ენიშნა მისი ზედმეტად მოალერსე ხმა და საქციელი. თავად უკმეხად არ შეხვედრია მეზობელს, მაგრამ არც თუ მაინცდამაინც გაულო გულის კარები. აშკარად იგრძნობოდა, რომ ელისაბედს ძლიერ მოსწონდა მარო და ყველაფერი იცოდა, რასაც მისი ვაჟი ფიქრობდა.

ფილოსთან შეხვედრის შემდეგ მაროს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, დაბრუნებოდა ქმრის კერას, თორემ ესენი აქ არ მოუსვენებდნენ, შინიდან გარეთ თავისუფლად ვეღარ გამოსულა.

ელისაბედი კარგა ხანს იჯდა და წავიდა.

თამრომაც შენიშნა მისი ზედმეტი გულკეთილობა, უფროს დას კიდევაც გაუზიარა თავისი განაფიქრი, მაგრამ მარომ ამაზე არაფერი უპასუხა, ხოლო შემდეგ დები აქეთ-იქით მოისვა, ორივეს ხელი მოხვია, გულზე მიიკრა და უთხრა:

— მე ისევ კავთისხევში უნდა დავბრუნდე, გოგოებო.

— რათა, რათ უნდა დაბრუნდე, მარო?! — შეკრთა ქრისტინე.

— იქ სჯობია? — გაიბუტა თამრო, — იქ სისხლი გაგიშრეს... რა დაგე-მარათ?

— ასეა საჭირო, გოგოებო... როცა გაიზრდებით, მაშინ გაიგებთ, რა არის საყვარელი ადამიანის პატივისცემა და... — კიდევ რაღაც უნდა ეთქვა მაროს, მაგრამ დადუმდა და ფილოსთან შეხვედრის უკანასკნელი წუთები გაიხსენა. ის ჯერ სულ ახალგაზრდაა, მასში ვაჟკაცის სულია... მაროს სჯერა რატომღაც, რომ ის პატიოსნად დაუბრუნდება ოჯახს. შეიძლება ძალზე შორეული იყოს ის დღე, მაგრამ მაინც დაელოდება.

— ვინ არის ის საყვარელი ადამიანი? — არ მოეშვა თამრო.

— ვინაა? ფილო.

— მფლანგველი? მერე და ის გიყვარს?

— თამრო, შენი ჰირიმე... ის ზომ მფლანგველად არ არის დაბადებული... შენ არ შეგიძლია გამიგო... მე კი მჯერა, რომ ეს ყველაფერი დროებითია... მას შეუძლია დანაშაული გამოისყიდოს, მე ვგრძნობ, ვხედავ ამ ცეცხლს... შენ რა იცი!

ნაცნობი ორღობე, ნაცნობი აღმართი.

მარცხნივ ხოჯეარანთ სახლია.



ქიშკრამდე გული მაგრად მიიტანა მარომ. გზაში სულ იმას ფიქრობდა ჯიქურ შესულიყო ხოჯერაანთა და იმ კუდიან დედაბრისათვის შეკრული წარბი ეჩვენებინა. მაგრამ ქიშკართან წამით შედგა და ეზოში შესვლა ვეღარ შეებდა. ვერ იტანდა ტასოს, ვერ იტანდა მის მოწრუბულ ცეცხლა თვალებს... ნეტავ ახლა შინ არ დახვდეს, მერე რამდენიც უნდა იყაყანოს. დათას შესთხოვს და მერე სულ ჩამოიცილებს თავიდან იმ წუბაკ ღედაკაცს.

შეაღო ქიშკარი და შევიდა. ეზოში არავინ ჩანდა. ბოსელთან კრუხი კრიახობდა და უკვე მოფრთიანებული წიწილები დაუდიოდა.

სალამო ხანი იყო. გარინდებულიყო კავთისხევი და მისი შემოგარენი. შემოდგომის პირველ კვირას თავისი ფერი და ლაზათი დაედო ხეხილისათვის. აქა-იქ შეყვითულიყო ფოთლები.

მარო სახლს მიუახლოვდა და სწორედ ამ დროს მოესმა:

— მშვიდობა, თქვენს მობრძანებას, პატარძალო!

მარო შედგა, გახევდა, გულში ეკლად მოხვდა ტასოს სიტყვები, მაგრამ ქალისკენ არ გაიხედა, ნაბიჯიც ვეღარ გადასდგა, ისე მოინუსხა, და ამ დროს მარომ ერთი წუთით მწარედ ინანა დაბრუნება. ძალა მოიკრიბა, ნებისყოფა დაძაბა და გული გაიკაჟა. მაშინლა მიხედა.

ტასო ბოსლის წინ იდგა, ცალი ხელი წელზე შემოედო, ცალით თვალი მოეჩრდილა, თითქოს მზე უშლიდა რძლის დანახვას. ნამდვილად კი ეს დამცინავი ჟესტი იყო მისი. როგორც კი მიხედა მარომ, ხელი ჩამოუშვა.

— ეს როგორ მოხდა. რომელმა ქარმა გადმოგადგო? როგორ მოგეპრიანა მოსვლა, ჰა?

მარომ კვლავ არ გასცა ხმა.

ერთ: წუთს ასე იდგნენ უსიტყვოდ, ერთმანეთს ზვერავენენ, ერთმანეთისაგან მწარე სიტყვას ელოდნენ.

მარომ გეზი შეიცვალა, ადგილს მოსწყდა და სწრაფად ავიდა ბოსლის ბანზე, იქიდან სახლის სახურავზე შესასვლელ კარს მიადგა.

დათა შეიმშუშნა სხვენზე.

— მარო, შეინა?!

ტასომ რაღაც სიტყვა დაადევნა სხვენზე ასულ რძალს, მაგრამ მარომ ვერ გაიგონა. ახლა იგი მამამთილის წინაშე იდგა. დათამ ხელი ჩამოართვა.

— რათ წახვედი, შვილო?

— განა არ იცით, რათაც.

დათამ არაფერი თქვა, სახეზე ხელი მოისვა, პირისახე ნერვიულად მოისრისა.

— ახლა დაბრუნდი? თუ ისევ წახვალ?

— დავბრუნდი... ფილო ვნახე ციხეში და პირობა მივეცი, დავბრუნებუ-ლიყავი. აი, აქ; მის სახლში უნდა დაველოდო... მე აქ ტასომ სისხლი გამოშრო და არ მინდა, რომ მასთან რაიმე საერთო მქონდეს. გთხოვ, უთხრა რაიმე. მე ამისთვის მოველ თქვენთან.

დათა დუმდა, რძალს უსმენდა და წინდებს ისწორებდა. ძალზე მოტეხილი და გამხდარი ჩანდა. ეტყობოდა ამ უღამიანო, ქვეყნისგან დამალულად ცხოვრებას მტკივნეულად განიცდიდა, მზის შუქი ენატრებოდა და სინათლეს მხოლოდ კრამიტებშორის კამარებად ჩამოდვრილს ეტანებოდა და ეწაფებოდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო მისი ტანჯული სულის გასამხნეველად. მას უკვე გასტყდომოდა გული და ახლა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არსებობდა, რომ სული ტკბილი იყო. მიხვდა და შეიგნო, მის არსებობას ამიერიდან



აზრი არ ჰქონდა. ისიც ვერ გაებუნა, რომ მთავრობას წარსდგომოდა, ხალხს სამსჯავროს წინაშე წამდგარიყო. ალბათ ჯიუტი თავმოყვარეობის გრძნობა არ აღგმევიანებდა ამ ნაბიჯს.

მაროს შეპყურებდა ჩაფიქრებულის თვალებით, მერე დაბალის ხმით თქვა:

— მე ვილა მეპუება!

ეს იყო მისი საბოლოო სიტყვა.

მარო შინ ჩავიდა. თავის ოთახში განმარტოვდა და აქეთ-იქით მიმოიხედა. მოელოდა, რომ ტასო ხელს დარეგდა ფიდოს ნივთებს, მაგრამ ეტყობა ვერ გაებუნა და ყველაფერი ხელუხლებლად იყო.

„ახლა რა უნდა ვქნა? რა უნდა გავაკეთო? ვუყურო ამ კედლებს და ველოდო ფიდოს? ის ხომ... ვინ იცის როდის დაბრუნდება?! სჯობს სოსა მოვინახო, სოფელში გავიდე და რამე საქმეს ვეწიო“. — ფიქრობდა მარო. თბილისშიც ბევრს, ძალიან ბევრს ფიქრობდა, თავისი მომავალი ცხოვრების გზებს სახავედა, ფიდოსადმი ერთგულების გრძნობა ყველაფერს აბედვინებდა.

ფიქრში წასულ მაროს გუგულას ხმა შემოესმა. კარი ნახევრად ღია იყო და დარბაზში შემოსული ბიჭი დაინახა კიდევაც. გუგულას სონა შემოჰყვა და მერე პატარა ამირანიც გამოჩნდა.

— სონა! — გასძახა მარომ.

დარბაზში წამს მიწყდა შემოსულთა ხმა.

— სონა! — გაიმეორა მარომ და მალე კარებში სამივენი გამოჩნდნენ.

— მარო, შენა?! — თვალები გაუბრწყინდა სონას, ადგილს მოსწყდა იგი და მაროს მოეხვია. გუგულა და ამირანიც მოვიდნენ.

— როგორ ხართ, ბიჭებო? როგორ ხარ, სონა?

ბიჭები ღუმდნენ.

სონამ მხრები აიჩეჩა.

— სოსას ვერ მაჩვენებთ? — მაშინვე ჰკითხა მარომ და სამივეს გადახედა.

— სოსა ზემოთ არი, სახლს იშენებს, — მიუგო გუგულამ.

მარო გამოცოცხლდა ამის გაგონებაზე.

— ეხლა რომ წავიდე, იქ იქნება?

— ჰო, როგორ არა. გვიან გადადის ხოლმე წინარეხში. — თქვა სონამ.

დარბაზში კარმა გაიჯახუნა.

— სადა ხართ, ბიჭო, გოგო? — გაისმა ტასოს გაბრაზებული ხმა. შეიღებოდა რომ მაროსთან დაინახა, უარესად გაბრაზდა.

მარომ ყური არ უგდო მის ბუზღუნს, დარბაზში გაიარა, ეზო სწრაფი ნაბიჯით გალია და აღმართს შეუყვია კოლექტივის ზერისკენ, რომლის თავშიც სახლს იდგამდა სოსა.

როგორ გაიხარა მაზლმა! გულში ჩაიკრა და დაჰკოცნა რძალი, მოიკითხა და მოეფერა. ხარაჩოზე შემდგარმა გიგა დურგალმაც გაუღიმა ქალს.

ერთ ხანს სიტყვა არ მოდიოდა. რძალ-მაზლი ერთმანეთს ეფერებოდა, მარო ცრემლიანი თვალებით შესცინოდა. სოსასაც ასეთივე თვალები ჰქონდა.

— სოსა, ახლა შენი იმედი მაქვს, ბიჭო... — ამოთქვა მარომ, — დაებრუნდი, სხვა გზა არ მქონდა.

— მოგიკვდეს სოსა! — გულიდან დაიბუხუნა ვაჟკაცმა, — აი, სადაცაა სახლს დავამთავრებ... სანამ ფილო დაბრუნდება, ჩემს ოჯახში იყავი... მალე შენ აქ კარგი მეგობარიც გეყოლება, — და სოსამ ალაღად გაიღიმა. მარო მა-



შინვე მიუხედა, რა აზრიც იმალებოდა ამ ტყბილ ღიმილში, რაღაც მეტოდსავე სოებით: გაციკროვნებულ თვალებში.

— ქალს ირთავ?

— რა დაგიმალო... — თქვა ვაჟმა და მერე სწრაფად დაუმატა, — ჰოდა, აი, ჩვენ კარგად ვიცხოვრებთ, მარო... შენ ყოჩაღად იყავ, გული გაიმაგრე. იმ წუბაკ დედაკაცს ყურს ნუ უვადებ, წაუყრუე... ცოტა ხანს, ცოტა ხანს და... შენ მოგიკვდეს სოსა, თუ მერე დაგაღონოს რამეში... ნეტა კი გამეგო მამაშენის ჩამოსვლა, ან შენი აზრი, გაქცევას თუ აპირებდი, წინარეზში გადავიყვანდი და იქ იქნებოდი დროებით ჩვენ ძვირფას პაპა-დიდედასთან. წამოდი, ამ საღამოსვე წავიყვან, გაეხარდებათ.

— სხვა დროს წამოვალ, სოსა... უთუოდ წამოვალ... კავთისხეველ ქალს ირთავ თუ წინარეხელს? კარგი გოგოა?

— ჩემთვის კარგია, სხვისა რა ვიცი... წინარეხელია, — თქვა და ხარაჩოს გახედა, — ჩამოდი, ძია გივა, დღეს გვეყოფა... ჩამო, ყელი ჩავისველოთ, თორემ პირში ბალახი ამოვიდა, — იხუმრა სოსამ. გული გახსნოდა მაროს მოსვლით, მის უნახაობას დარღობდა. მოაგონდა, როგორ აწამებდა ტასო. ახლა მრავალმეტყველად გადახედა მაროს და უთხრა:

— შენ მე მითხარი, თუ რამე გაგიბედოს იმან... დედას ვუტირებ! ხოჯერაანთ კერას სულ კავთურას გავატან.

იმ დღიდან მფარველი სოსა გაუჩნდა მაროს. მაზლის რჩევით ქალი ხალხში უნდა გასულიყო და რამე საქმე გამოენახა. მაროს გულში ხალისი გაღვივდა, როცა მასში დედობის გრძნობა ჩაისახა. იგი ფეხმძიმედ იყო. გულში ფარულად ატარებდა ამ სიხარულს და ახლა უფრო მაგრად მიეჯახვა ქმრის კერას. შორეული, ძალზე შორეული იყო ის დღე, როცა ფილო დაბრუნდებოდა, მაგრამ მარო ოცნებით უკვე ხედავდა იმ დღეს, როცა პატარა ბიჭუნათი თუ გოგოთი მიეგებებოდა სასაჯლომოხდილ ქმარს და სამნი სულ ახალ, ნათელ ცხოვრებას შეუდგებოდნენ.

ტასო რამდენჯერმე შეეცადა კვლავ მორჩილებაში ჰყოლოდა რძალი, მაგრამ სოსას მხრდაპყრით ზურგმაგარი ქალი ჯიუტი აღმოჩნდა, კერპი და თავნათქვამა. დღე იყო გავიდიდა, რომ რძალი დედამთილნაცვალს ერთ სიტყვასაც არ ეტყოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მარო ასე განუდგა ტასოს და მის სიტყვას აინუნშიც არ ავადებდა, მისი მწლაკე ენა მინც შხამს აწვეთებდა ახალგაზრდა ქალის გულში.

ტასომ ახლა სხვა ხერხი არჩია რძლის დასამორჩილებლად. ნახა, რომ მწარე სიტყვითა და ბუზღუნით არაფერი გამოსდიოდა, დაუტკბა და დაუშაქრდა, მოფერება დაუწყო, მაგრამ ამანაც არ ვასჭრა.

— დამეხსენ, ჩემგან რა გინდა! აგერ, შენი შვილები და იმათ მოუარე! — შეუტია მარომ და დედამთილნაცვალს კარი მიუჯახუნა.

— არა ქენ ტანი! კარგი დაემართა შენ პატრონს, კარგი შენა ხარ. — მიაწყველა ტასომ და იმ დღიდან კიდევ უფრო უმატა კაპასობას, მბრძანებლობას... მაგრამ აწ უკვე აღარ ემორჩილებოდა მარო... მაროს აღარ სცალოდა, იგი ტატე ბერბოქაშვილმა კოლმეურნეობის კანტორაში საქმის მწარმოებლად დასვა.

პირველი შეხვედრა კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან მეტად ციფრით იყო და მაროს კიდევაც შეეშინდა ბერბიჭაშვილისა.

თავმჯდომარე ფანჯარასთან იჯდა, როცა სოსა და მარო შევიდნენ მის კაბინეტში. ტატე ბერბიჭაშვილი გვერდულად გადასწოლოდა ფანჯრის რაფას და ეზოში ვიღაცას უყვიროდა:

— ახლავე ამაიტანოს, თორემ! ღორის ტილს ფეხზე დაისვამ და თავზე აგაცოცდებო... გასწი, ბიჭო!.. რა პირი დაგიღია, შვილოსა, გასწი თორემ დედის გინებას გამამტყუებ და მერე... იხტუნავე!

ფეხის ხმა რომ გაიგო, მოსულთ მოუბრუნდა. ბერბიჭაშვილი იბღვირებოდა, თავისდაკვრით მიესალმა სოსას და მის რძალს, მერე მარო აათვალღერჩათვალღერა.

— ეს არი?

— ეს გახლავთ, — მიუგო სოსამ, — აბა, თქვენ იცით, ძია ტატე.

— ასეთი კარგი გოგო როგორ გაჰყევ ფიდოსა? ბიჭები გაწყდა ქვეყანაზე? ძალიან ერთგული ცოლი კი გამოადექი აი, სხვა უშენო მეორე დღესვე სხვაზე გათხოვდებოდა. მომწონს შენი ქალობა. საქმეშიც თუ ასეთი ერთგული გამოდექი. რამდენი კლასი დაამთავრე?

— მეცხრეში ვიყავი გადასული. ხუთებზე ვსწავლობდი, მაგრამ...

თავმჯდომარემ ყური აღარ ათხოვა, მოაგონდა, წედან რომ ბიჭს აგზავნიდა, ფანჯარაში გადაიხედა და იფეთქა, ის ბიჭი ისევ იქ დაინახა, კოლმეურნეობის შოფერთან ერთად მანქანის ძრავში იყურებოდა.

— ბიჭო ლეო! — იღრიალა თავმჯდომარემ. ბიჭმა მოიხედა და ბერბიჭაშვილმა არც აცია, არც აცხელა დედის ჯივარი გადმოუტრიალა.

... შიშით და გულსითრთოლვით მიუჯდა საწერ მაგიდას. საქმეთა მმართველად დროებით აღმრიცხველი მუშაობდა და ახლა ამ კაცმა გადააბარა საქმეები, ორი დღე უჯდა და ასწავლიდა, რა უნდა გაეკეთებინა. ბოლოს უთხრა:

— უკვიანი გოგო ყოფილხარ... რამდენი დავსვით, რამდენი ვეცადეთ, მაგრამ სხვას ამის ნახევარიც ვერ გავაგებინეთ. ხელიც კარგი გქონია. დაჯექ და იმუშავე... ამას ყველაფერს რომ მიხვდი, დანარჩენს საქმე გიჩვენებს...

ოთახში, სადაც მარო იჯდა, იყო კოლმეურნეობის ბუღალტერიც, ბებერი ამბაკო შაყულაშვილი. დღენიადაც საანგარიშოს შიბებს აჩნაკუნებდა და ხმამაღლა ანგარიშობდა, ხოლო ხანდახან გამოიხედავდა მაროსკენ, გამოელაპარაკებოდა და ისევ საანგარიშოს დაუბრუნდებოდა. დაჩირბული სახე ჰქონდა, ცხვირზე სათვალე წაბრესკუბებინა. სათვალეს, რომელსაც ბაწრის სამაგრი ჰქონდა, მაროსთან საუბრის დროს შუბლზე აიწვედა და მაშინ მოჩანდა მისი ვიწრო, უბებში ჩაცვივნილი, მოციმციმე თვალები. იგი კეთილი მოხუცი იყო. მაროს სულ დაწვრილებით გამოჰკითხა ოჯახური ამბები და მამაშვილურად დაუწყო დარიგება.

კანტორაში მოდიოდნენ კოლმეურნეები, მარო სულ მალე გაეცნო მათ და ზოგიერთს კიდევაც დაუახლოვდა. სოფელში იგრძნო გამამხნეველები ძალა, მხარდაჭერა და აბა ერთი ქალი რას დააკლებდა. მაროს გული მიეცა და სამუშაოდან შინმობრუნებული აწ უკვე თამამად აღებდა ხოჯერაანთ სახლის კარს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ეზუარ კვიციანი

შემთხვევა

სხვაგვარად მიყვარს ხალხით სავსე
დიდი ბაქანი,
ლიანდაგები გაკლავნილა ვერცხლის
ზოლებად,
აქ მივაგენი ჩემს არსებას თუ მივაგენი,
კაცის ცხოვრება შეხვედრათა და
განშორება.
დგახარ ბაქანზე, შენი ფიჭრი
ყველაფერს ერთვის,
მისი თვალები ამ გუგუნში რას
მოგძებნიდა...
და სულ უეცრად ქალიშვილი, უცნობი
შენთვის,
გაგიღიშებს და ხელს დაგიქნევს
მატარებლიდან.
არსად გინახავს და არ იცი საიდან არის,
გსურს გაიხსენო მისი სახე, აშლილი
თმები...
მცირე ხნის მერე უკან დაგწევს
ბორბლების ქარი, —
მატარებელი დაძრულია, შენ იქვე
რჩები..



ღირს გახსენებად ზაფხული წინა,
ამ გახსენებამ სული დაღალა,
უშენოდ ვარ და კვლავ მომეწყინა,
მომენატრე და ნეტავ სადა ხარ.

რალაც არ მჯერა, შენ არ გახსოვდეს,
ბურში ნახვევი თხემები გაგრის,
ჩემი სურვილი ისევ აღზევდა
და ოცნებაში უეცრად გაგრევს.

ხრიოკი მთების ჩანდა ხელები,
მაინც რა მალლა ავედით მაშინ,
ზღვა ძლიერ გავდა ცის გაგრძელებას
და ხომალდები ეკილა ცაში.

როგორ შევედქით ხევის ნაპირას
და როგორ გენთქავდა თვალნი მღვიმეთა,
ოდეს წავიდა მზე თავდაყირა,
შემოლამების იყო იმელი.

მე ვიგრძენ შენი მსუბუქი ტანი,
ვიგონებ ქოლგას ლურჯად გაკეცილს,
არსება ჩემი მე შენთან ვცანი,
წმინდა სახეზე ჩრდილი დაგეცა...

საცა გინდ იყვე — ზენა გვეზარავდეს,
ისევ ჩემთან ხარ, არ მეშორები,
გული იცოცხლებს აწ და მარადის,
იმ ძვირფას დღეთა განმეორებით.

მეორედ ხილვა

რალა ჩიტების დასხდომა უნდა,
ისედაც ცვივა ამ ხეს ფოთლები,
ამ ხეს ფოთლები სულ გაუხუნდა
პატარები და შეუშფოთები.

სად დაიკარგა ფერი მინდორთა,
რამ გამოლია ღრუბლებში ქარვა,
მე შენი ხილვა რალად მინდოდა,
შენი თვალებით — ისედაც არ ვარ.

ქარებმა მძაფრი ამოძრავებით
თითქოსდა ჩემი სული დალაშქრეს,
მხოლოდ ეს რუხი სახურავები,
უცვლელი დარჩა დღეს ამ ქალაქში.



ოთარ ჩაჩავაძე

საბჭოთა კავშირის გმირი

ფანჯარა ფრთხილად

საარაკო ნაღვლი

დათოვლილი ტრამალის ერთფეროვანი ხედი ნელ-ნელა შეიცვალა. ჯერ მცირე ქოხმახებმა ჩაიქროლეს ვაგონის სარკმლის იქით, მერე ბაქნებმა და დიდ-დიდმა შენობებმაც გაიდგაფუნეს. უამრავი ნათურა აციმციმდა.

კუიბიშევი.

ვაგონიდან გამოსვლისთანავე ყინულოვანი ჰაერი სალტესავით შემომეჭლო სახეზე.

— ორმოცდარვაა ნულს ქვემოთ!.. გადაფურთხება მაინც შეიძლებოდა... ფუი! — ვიღაც ბეწვის ქურქიანი გაბრიყვდა და მართლა გადააფურთხა. ბაქანზე ყინულმა გაიღო წკრიალი.

ცნობათა ბიუროში ამ გათოშილ კაცს კიდევ ცივი წყალი გადამასხეს:

— მოსკოვის მატარებელი ზეგამდე არ იქნება...

ახია ჩემზე! რა მომარბენინებდა? და რაკილა წამოვედი, უკან რაღა მიმარბენინებს?

კარგა ხანს ვიხეტილე, ვიდრე ქალაქის სამხედრო კომენდანტამდე მივალ-წევდი და ის სასტუმროში ადგილს მიშოვნოდა. მაგრამ, ამ ყინვის მიუხედავად, ხეტიალი არ მბეზრდებოდა: თვალს ახარებდა ხალხის უჩვეულო სიმრავლე, გაჩახახებული ქუჩები (აქ შუქშენილბვა არ ყოფილა თურმე!).

ბოლოს მაინც დაბინავება ვარჩიე. ოთახში იდგა ოთხი საწოლი; ამათგან სამი დაკავებული აღმოჩნდა. მეოთხეზე მოვკალათდი და ნამგზავრმა უმალ ჩავთვლიე.

შუალამეს აღარაფერი უკლდა, კარის ჭრიალმა რომ გამომაფხიზლა. ოთახში შემოსულმა მახარა გაიძრო და ჩემს წინაშე აღიმართა ბეჭებგანიერი, გოლიათური აღნაგობის შეეწვერა მფრინავი. მკერდს წითელი დროშის ორი ორდენი უმშვენებდა.

მას ფეხდაფეხ შემოჰყვენ კიდევ ორნი, ორთავე პილოტი. ერთი მაღალ-მაღალი, ქერა, შუბლზე თმებჩამოფენილი, ჭორფლიანი. მეორე საშუალო ტანისა, შეუხედავი, ცხვირბაჭუა. უხმოდ მომესალმენ. მე ძალზე კმაყოფილი დავრჩი, რომ ჩემი ტყავის კურტაკი არ გამეხადა და ჩემი მფრინავობა არ გამეღავნებუ-

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 1, 2, 3, 4.



ლა — როგორღაც არ ვიყავი საუბრის გუნებაზე, ჩემი საფიქრალიც ბევრს მქონდა.

ახალშემოსულნი, როგორც საერთოდ მხიარულად გატარებული სადამოს შემდეგ შინდაბრუნებულთ სჩვევიათ, ერთხანს უმიზნოდ და უსავნოდ დაბორიანობდნენ ოთახში. შემდეგ საწოლებზე ჩამოსხდნენ, საუბრის გაბმა სცადეს. არ გამოუვიდათ.

— ვივანშმოთ, ჰა? — ბრძანებასავით იკითხა შავწვერა ვოლიათმა.

— ვივანშმოთ, ვივანშმოთ! — გაიხარეს ორთა.

ჭორფლიანი სადღაც გავარდა და მალევე შემობრუნდა სანოვაგითა და სასაბელებით დახუნძლული.

ერთხანს უხმოდ შეექცეოდნენ ძეხვსა და თევზის კონსერვს. მაგრამ თითო ჭიქა რომ გადაჰკრეს, შავწვერამ გამომხედა:

— შენა, ძმობილო, რაო, საგანგებო მიპატიყებას ელოდები? ან იქნებ ჯერაც საფანტის სუნი არ გიყნოსია და ფრონტელებთან სუფრაზე ჯდომას თაკილობ?

ეს ბრძანებას უდრიდა, ისე იყო ნათქვამი. აღარ მიხვეწინებია, სუფრასთან ვეახელი.

— ვიცნობდეთ, — მითხრა შავწვერამ. — მოიერაშეთა ესკადრილის მეთაური კაპიტანი გაზიზულინი.

— ლეიტენანტი ჩორნიხ, სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, — მომესმა სამხრეთ უკრაინულ კილოზე ნათქვამი სიტყვები ჭერათმიანისა.

— ლეიტენანტი ბოხმატსკი, — მითხრა მესამემ.

მე ამჯერადაც ვამჯობინე ჩემი ვინაობის დაფარვა. სახელისა და გვარის მეტი არაფერი მითქვამს. მაგრამ ჩემმა გვარმა დიდი გამოცოცხლება ჩამოავდო სუფრაზე.

— ოჰო, ქართველი ყოფილხარ! — გაიხარა ჭერათმიანმა.

— საიდან სადაო, კულიბშივეში როგორ მოხვდი? მებრძოლი ხარ? — დაინტერესდა ბოხმატსკი.

იმის ფიქრში ვიყავი, როგორ ამერიდებინა თავი ჯიქურ დასმული კითხვისთვის. უშველოს ღმერთმა, ისეც ვოლიათმა გაზიზულინიმა მიხსნა:

— ქართველი თანამებრძოლები მყოლია. კარგი ბიჭები იყვნენ, კენაცვალი. — და უცებ დაუმატა: — გორში თუ ყოფილხარ, სტალინის სამშობლოში? ვყოფილვარ-მეთქი, დავუდასტურე.

— აბა მე თქვენებური წესი ვიცი, მოდი ერთი იმ ქალაქის სადღეგრძელო დაგვალევიანე! — თითქმის შემეხვეწა იგი.

ისე გამოვიდა, რომ ჩემდაუნებურად თამადაობას მივყავი ხელი. გორისა და სტალინის სადღეგრძელოს ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელო მოჰყვა, ამას კიდევ საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და შევეყვით ასე...

მომცრო ჭიქებით ვსვამდით, მაგრამ დალოცვილი ორმოცგარდუსიანი მალე გამიჯდა ტანში, გამახურა და გამახურა. ცუდად გამოთბარი ოთახის სიცივე სადღაც გაჰქრა, კურტაკში ველარ მოვისვენე, ავდექი, გავიძრე და საწოლზე მივაგდე.

სუფრისკენ მიბრუნებული უნებურად შევდექი: ექვსი წყვილი თვალი ვადმოცვენაზე იყო, ადამიანის უნახავივით შემომჩერებოდნენ ჩემი მეინახენი, განსაკუთრებით კი, ეტყობოდა, ჩემი მკერდი და სამხრეები აოცებდა მათ.

— ხა-ა-ახა-ხა-ა! — აროხროხდა ერთბაშად კაპიტანი გაზიზულინი. — ერთი შეხედეთ, ბიჭებო, ჰა! ძალიან არ გავგაცურა ამ კაცმა! საფანტის სუნიც



არ გიყნოსია-მეთქი, მე ვუთხარი, არა? ოთხი ორდენი, ხედავთ? ოთხი ორდენი უნდა ჰქონოდა პატრონი ყოფილა! როგორი საქმეა, ა?.. — შემდეგ უკვე დამცხრალი ხმით მომიბოღდა: — მაპატიეთ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, მაგრამ შესახედაობა არ გიჯერით. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ასეთი... აიღენი... ჰმ!.. მე რომელია ც სასწავლებლის კურსანტი მეგონეთ!.. მოდი, ნუ მიწყენთ, ჰა! მოიტახელი!

საწყენი რა მქონდა. გულლიად ჩამოვართვი ხელი. და როდესაც ჩემმა მენახებმა კითხვა შემომიბრუნეს — ვინ ხარ, რა სულიერი ხარ, აქ საიდან გაჩნდიო, — აღარ დამიფიცავს, ვუამბე ჩემი თავგადასავალი: ტამანის პოლკში უკვე ესკადრილის მეთაურის მოადგილედ ვიყავი. ცუდ მებრძოლად არ ვითვლებოდი. ამიტომ გადაწყვიტეს ჩემი აქეთკენ გამოგზავნა ესკადრილის მეთაურთა კურსებზე. ბევრი თევზარე — არ მინდა, ვერ წავალ, ფრონტსა და ბრძოლებში დამეგობრებულ თანამებრძოლებს როგორ მივატოვებ-მეთქი, მაგრამ არაფერმა გაჭრა. და აი, ამ ხუთიოდე დღის წინ ჩამოვედი მახლობელ ქალაქში, კურსებზე. საშინელი სევდა შემომაწვა, მოვიწყინე, დავემარდი, გული ვერაფერს დაუდღესულ ფრონტელი მეგობრები და საჭაერო ბრძოლები მეუბნებოდა. იმ პატარა ქალაქში ისეთი რუტინა იყო, ისეთი საზიზღარი სიწყნარე და უმოქმედობა! უშველოს ღმერთმა, კურსების უფროსი გულთაძი კაცი გამოდგა. ერთხელ მესაუბრა, მეორედ ჩემი თავგადასავალი მამბობინა, მირჩია — კი, მართალია, ეხლა ისეთი დროა, ყველაფერი ფრონტისთვის კეთდება, მაგრამ თეორიული ცოდნაც აუცილებელია, უიმისოდ ჭეშმარიტი მეთაური ვერ გამოხვალო. რაკი არაფერმა გაჭრა, ბოლოს ეშმაკურად შემომხენდა და მკითხა:

— ჰო, მართლა, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, თქვენ საბუთები მგონი ჯერაც არ ჩავიბარებიათ, არა?

არ ჩამიბარებია-მეთქი, — მოვასხენე.

— ჰოდა, რაკი ასეა... — აღარ დაასრულა, ჩაახველა და გაიცინა.

— რაკი ასეა... — ვერაფერი გავიგე მე.

— რაკი, ასეა, ჩვენ ჯერჯერობით უფლება არცა გვაქვს... ძალას ვერც დავატანთ... თქვენ ჯერჯერობით ჩვენთან არც კი ირიცხებით ...ვერ გამოიგეთ?..

უშველოს-მეთქი ღმერთმა! მშვენივრად გავუგე და იმავე საღამოს აქეთკენ გამოვქუსლე ჩიტვიით თავისუფალმა! აქედან ფრონტისკენ გავსწიე... ერთადერთი ის მაიჭირებს — ჩემს უფროსებს, ჩვენს ბიჭებს როგორ უნდა დავენახო არ ვიცი, რა პირით შევხედო, რა ვუთხრა? სხვა ნაწილშიც ასე ჩუმად არ მიმიღებენ, დაეჭვდებიან, გამოძიებას დაიწყებენ, საქმე ისევე ჩემს პოლკამდე მივა და შევტყუებ, სასტიკად შევტყუებ! არა და ორ-სამ დღეში უკვე დეზერტირად ჩავითვლები, ისე გამოვა, თითქოს ბრძოლას თავს ვარიდებდე...

ჩემი მენახენი სულგანაბულნი მისმენდნენ. ბოლო სიტყვები რომ დავასრულე, გაზიზულნიმა გაიხარა და რა გაიხარა!

— ეგ კარგი რამე სიტყვი, — თითქმის აყვირდა იგი. — ბევრი საიჭირალი არ გქნება! ჩვენს პოლკში მფრინავები გვაკლია. გუშინ ორი პილოტი დავაწვინეთ ჰოსპიტალში, ეხლა ისე ვართ, ფრონტისკენ ყველა თვითმფრინავის წამყვანიც არა ვკვავს. შენ ნუ გეშინია, გენერალს ვეტყვი... ჩვენს გენერალს — ავალცოვს. ის თვითონაც გამოცდილი მოიერიშეა და პილოტ კაცს სიტყვის უთქმელად გაგიგებს, მიგიხვდება. ნუ გეშინია-მეთქი, შენს საქმეს ავალცოვი მოგვარებს!..

მეორე დღით მე უკვე ავალცოვის წინაშე ვიყავი გამოჰიმული. ხმელ-



ხმელი, მაღალი, ტანნაკეთიანი გენერალი ჩემს საბუთებს ათვალეობდა და მწყრალად ამბობდა:

— მამ ასე, სწავლას გამოეყეცით, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, არა? მერე და იცით თუ არა, რომ თქვენ ეხლა ნამდვილი დეზერტირი ხართ?.. ჰმ, თქვენს ნაწილში გამამწესეთო!.. მე, შვილო, სულ სხვა ფრონტზე ვიბრძვი, თქვენებთან შეუთანხმებლად ამ საქმის გადაწყვეტის უფლება ვინ მომცა!

გამშრალი ვიდექი. გაზიზულის მონათხრობის მიხედვით სულ სხვაგვარ შეხვედრას მოველოდი. აკი მითხრა შევწერა კაპიტანმა — გულახდილად, წვრილად უამბე ყოველივე, გენერალს მართლის მთქმელი ხალხი უყვარსო. მეც ავდექი და დავუჟაკლე ყველაფერი... ფუჰ, რა სულელი ვარ!..

მაგრამ შევწერა კაპიტანი თვალს ეშმაკურად მიპაჭუნებს და ბაგის კილით გამამხნეველად მილიმის. თან თითით მანიშნებს — სუ, კრინტი არ დასძრავო. ეტყობა, არც ისე ცუდადაა საქმე, ჰა?

მართლაც მცირე პაუზის შემდეგ გენერალი ქალაღებდიდან თავს იღებს და შეუქჩამღგარი თვალებით მზომავს.

— არა, ისე, კაცმა რომ თქვას, ცუდი პირადი საქმე არ გქონიათ.. ასეთ ყმაწვილ კაცს, ბოდიში მომიხდია და თითქმის პირზე რძეშუღუმშრალს, ბევრი რამ მოგისწრიათ... გმირობაზეც წარუდგენიხართ, ჰმ... რას იტყვი, გაზიზუ-ლინ, ხელიდან გასაშვები კაცი არ უნდა იყოს, არა?

— არავითარ შემთხვევაში, ამხანაგო გენერალო! — გაიჭიმა შევწერა კა-პიტანი.

— მეც ეგრე ვფიქრობ, გაზიზულინ, მაგრამ... ჰმ...

გენერალს კარგა ხანს ხმა აღარ ამოუღია. ბოლოს სცემდა ოთახში და თი-თებს ატკაცუნებდა. ბოლოს ჯიქურ მომიბრუნდა:

— აი რას გეტყვით: მე ჩემს თავზე დიდ პასუხისმგებლობას ვიღებ... წაგი-ყვანთ... ჩემს დივიზიაში ესკადრილის მეთაურის ადგილია. კაპიტანი კრასოტა დაგვეღუპა... მის ადგილს დაიჭერთ... ჰო, დეზერტირად რომ არ ჩავთვა-ლონ, მოსკოვში დეპეშას მივცემ. მე მგონი ყველაფერი მოგვარდება... ეხლა ჩვენ კუბიშევში ვართ ჩამოსული ახალი საბრძოლო თვითმფრინავების მისაღე-ბად. ორ-სამ დღეში ისევ უკრაინისკენ გავფრინდებით და თქვენც ჩვენთან წა-მოხვალთ...

ორ-სამ დღეში ქარხნიდან თვითმფრინავების მიღება მართლაც დამთავრდა და აეროდრომზე გასაფრენად გამზადებული მანქანები ავუგუნდა. პირველ ექვ-სეულს თავად გენერალი აგალცოვი მიუძღოდა, მეორეს — გაზიზულინი, მე-სამე კი მე მეზარა.

სიხარულით გულათრთოლებულმა მოვწყვიტე დაბეტონებულ ასაფრენ ბი-ლიკს წითელფარსკვლავა მოიერიშე.

ჩემი პოლკის აწინდელი უფროსია პოდპოლკოვნიკი რიმშინი. საშუალო ტანის კაცია, ჩასკენილი, ჩამჯდარი, დარბაისელი. დიდრონი თავლისფერი თვალების გამხვრეტი მხერა და ჯიუტი ნიკაბი ნებისყოფის დიდ ძალას უდას-ტურებს. სახე ქარნაცემი და გარუჯული აქვს—პირველი ნიშანი იმისა, რომ კაბინეტის კაცი არაა, აეროდრომზე ან საბრძოლო გაფრენაზე ათენებს და აღამებს. ერთი შეხედვითვე შეატყობთ — მომთხოვნი, მკაცრი მეთაურია.



შემდეგში აღმოჩნდა, რომ რიშინი დიდი გამოცდილების მქონე მკვლევარია და შესანიშნავი ორგანიზატორი ყოფილა.

ახალ ადგილსამყოფელზე ჩასვლის დღესვე რიშინმა დამატარა მთელი პოლკი, აეროდრომი, შტაბი, მიწურები და საცხოვრებლები. თითქმის მთელი მეთაურთა შემადგენლობა იმავე დღეს გავიდა. შტაბის უფროსმა ევდოკიმოვმა გამომცდელად ამათვალეირა და საბრძოლო ტაქტიკაზე ჩამომიგდო სიტყვა. რიშინის მოადგილე საფრენოსნო დარგში მათიოი ხრაპოვი დაჯერებული სახით მომიახლოვდა, მტკიცედ ჩამომართვა ხელი. გავიციანი საბჭოთა კავშირის გმირი უფროსი ლეიტენანტი სტოლიაროვი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირი ვასილ ანდრიანოვი—მთელი პოლკის საყვარელი კაცი. აქვე, აეროდრომის მოსასვლელთან დგანან პოლკის უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში მათიოი სოპელნიაკი, ლეიტენანტები მიხოლიჩენკო, კურაკინი, სხვანი და სხვანი.

— ეს ვილა არის, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო?

შორიანლოს მფრინავების ფორმაში გამოწყობილი ყმაწვილი დგას, ასე თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა იქნება. ვატყობ—მოსვლა უნდა და ვერც გაუბედა.

— ეს პირველი ესკადრილიის—თქვენი ესკადრილიის შვილობილია, ვასია კრავცოვი, დედამა ფაშისტებმა დაუხოცეს... დიდი ხანი არაა, რაც ჩვენ შემოგვეკვდლა, მაგრამ უკვე ისახელა თავი... აი, კიდევ ერთი შვილობილი თქვენი ესკადრილიისა, ესეც ამას წინათ შემოგვეკვდლა! მიშკა, გაციანი ახალი ესკადრილიის მეთაური!

გავიხედე — ბომბორა, ჩასუქებულ-ჩამრგვალებული დათვის ბელი მობაჩუნობს ჩემსკენ. რომ მომიახლოვდა, უკანა თათებზე შედგა და ისე წამოვიდა. საერთო სიცილში ხელი გავუწოდე. დათუნამ „ჩამომართვა“ და რაღაც წაიბურტყუნა.

— გაუმასპინძლდით, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, თორემ მაგის გულს ვერ მოიგებთ, — სტოლიაროვმა ჯიბეში შაქრის ნატეხი მოიხჩრიკა და გამომიწოდა. — ჩვენ ყველანი დავატარებთ საწუწქარს მიშკასთვის.

დათუნია შაქარს ახრამუნებს.

ნასადილევს პოდპოლკოვნიკმა რიშინმა მთელი პოლკი შეჰყარა, გაამწკრივა და კიდევ ერთხელ წარუდგინა მათ ჩემი თავი. საჭირო იყო მათთვის ჩემი თავგადასავალი მომეთხრო. როდესაც შეკრებილთ მოვასხენე — ფრონტზე ყოფნის განმავლობაში 194 საბრძოლო გაფრენა მაქვს-მეთქი, მეთაურთა და რიგითთა შორის განცვიფრებისა და მოწონების ჩურჩული დაირხა.

— როდის მოასწრო?

— ჩვენთან ყველაზე გამოცდილ პილოტებსაც არა აქვთ ამდენი...

— ბედი ჰქონიათ პირველი ესკადრილიის ბიჭებს...

საიმისო კბილი უკვე მოცვეთილი მქონდა, რომ ამგვარ წამოძახილებს არ გავეყოლოჩებინე, მაგრამ ერთი კი იყო: როდესაც მეორე დილით ჩემი ესკადრილიის მფრინავებთან პირველი მეცადინეობა ჩავატარე და მათ ჩემი ტაქტიკური მეთოდებიდან ცოტა რამ გავაცანი, მე თვითონვე გაოცებული დავრჩი — რამოდენა ცოდნა და გამოცდილება დამგროვებია ჩემთვისვე შეუმჩნევლად! მე თვითონაც ვერ გავიგე, ისე გადავქცეულვარ გამობრძმედილ მფრინავად...

...ახალ თანამებრძოლთა და ხელქვეითთა კარგად გაცნობამდე საკმაო ხანმა განვლო. შეუმჩნევლად მოგვეპარა ორმოცდაათის გაზაფხული. სამაგიეროდ შესამჩნევი იყო მეორე რამ: ჩვენი ჯარების ძლევა მოსილი წინსვლა. სულ უფრო ხშირად გვიხდებოდა ადგილსამყოფლის გამოცვლა. და აი, დადგა დღე, როდესაც უკრაინის ტერიტორიიდან მოლდავეთში უნდა გადავფრენილიყავით.



ეს გადაფრენა ცოტათი თავისებური უნდა ყოფილიყო. ჩვეულებრივ, გილსამყოფელის გამოცვლის დროს მფრინავები ჩვენ-ჩვენი მანქანებით მიგვეგზავრებოდით ხოლმე, ტექნიკური პერსონალი, საჭურველი და პოლკის სხვა ავლადიდებმა კი მატარებლით გადაჰყავდათ და გადაჰქონდათ. ამჯერად რიმშინმა განგვიცხადა:

— სატრანსპორტო თვითმფრინავები, მოგეხსენებათ, არ გვეყოფნის. რკინიგზის გამოყენებაზე ფიქრიც ზედმეტია — საიმისო დრო არა გვაქვს, რომ მატარებლებს დაველოდოთ, ყოველი წუთი საშურია...

— აბა როგორ გადაებარგდებით? — გაცოცდა ვაზიზულინი.

— აი მაგის თაობაზე მოგახსენებთ. ერთადერთი გამოსავალი დაგვრჩენია — საბრძოლო თვითმფრინავთა ძარები უნდა გამოვიყენოთ. პილოტის გარდა ვინც უკან კაბინეტში ვერ მოთავსდება, ძარაში უნდა მოკალათდეს. პილოტებმა კი კარგად დაიხსომეთ, რომ ბომბების ნაცვლად ცოცხალი ტვირთი გექნებათ. რაიმე უბედურ შემთხვევაზე ლაპარაკიც არ გავიგონო!.. იმედია, ტექნიკოსები ყველაფერს გააკეთებენ საკუთარი უშიშროებისათვის... შეგიძლიათ დაიშალოთ...

ტექნიკოსებმა მართლაც ყველაფერი გააკეთეს, რაც მათ ხელთ იყო. არც ერთი თვითმფრინავის არც ერთი ხრახნი არ დაუტოვებიათ, რომ გულდასმით არ გაესინჯათ და არ შეემოწმებინათ. ხუმრობა საქმე არ იყო — ერთ თვითმფრინავსაც რომ ეღალატნა, მარცხი გარდუვალი იქნებოდა.

მიუხედავად მცირედი დაძაბულობისა და მღელვარებისა, გადაფრენის დღეს უმეტესობა ხალისიან გუნებაზე იყო. ვჩქარობდით, მაგრამ არ ავფაცურებულვართ და ყველაფერი რიგზე მიდიოდა. თავდაპირველად პოლკის უფროსის მანქანა აფრინდა. უკანა კაბინაში ბურღულუნ-ბურღულუნით მოკალათდა დათუნია და ძალიან სერიოზულად გამოგვექცეროდა მიწაზე დარჩენილთ. რიმშინის თვითმფრინავს ჩემი ესკადრილია მიჰყვა. შემდეგ სხვებიც დაიძრნენ.

მცირე ხნის შემდეგ დაბლა, მიწაზე პეიზაჟი შეიცვალა: რუხი ტრამალების შუაგულ მდინარე გაიკლაკნა, გამოჩნდა ბორცვები, გორაკები, იონჯით მოზიბინე ველები. შორს, სამხრეთით კი ზღვა ალივლივდა. ეს ხომ შავი ზღვა იყო, ჩემი ზღვა, მშობლიური და საყვარელი! რამდენი მოგონება ამ ზღვასთან დაკავშირებული!..

მაგრამ მალე იძულებული ვაგხდი მოგონებებიდან გამოვრკვეულიყავი. ჩვენს აეროდრომს უახლოვდებოდით და საჭირო იყო ჩემი ესკადრილის ახალგაზრდა მფრინავებისათვის მეტი ყურადღება მიმექცია, რათა რომელიმე მათგანს დაუღევრობის, დაუკვირვებლობის თუ გამოუცდელილობის გამო რაიმე ფათერაკი არ ასტეხოდა.

ყველანი მშვიდობიანად დავეშვიტ. კაბინიდან გამოსვლა ძლივს მოვასწარი, რომ ირგვლივ შემზარავი ყვირილი გაისმა:

— არიქა, დაილუბენ!..

— რას შვრება ეგ შეჩვენებულნი!..

— მიეშველე-ეთი!..

ის იყო აეროდრომს უახლოვდებოდა სტოლიაროვის ესკადრილია. ავიხედე და თვალისთვის არ მინდოდა დამეჯერებინა: მეორე ესკადრილის ერთ ახალბედა პილოტს თვითმფრინავის ძარა ვაგხსნა და მიწისკენ მოფრინავდა და მოფრიალებდა ათასი რამ — თვითმფრინავების შალითები და დიდრონ-დიდრონი სანთლები, ჩემოდნები და დასტად შეკრული კარავები, უზარმაზარი ფუთა და



აკორდგონი, რომელიც ჰაერის ტალღებისაგან ხან იკეცებოდა, ხანაც და და გულის გამაწვრილებლად ჰყვიტინებდა.

ხალხი?..

ჩვენ ჩვენი დაგვემართა, ვიდრე დავრწმუნდებოდით, რომ გახსნილ ძარადან არც ერთი სულიერი არ გადმოვარდნილა.

მეორე ესკადრილიაც დაეშვა აეროდრომზე. პირგამეხებულმა სტოლიაროვმა იმ თავქარიან ახალბედს კაბინიდან გადმოსვლა არ აცალა:

— შენი ბედი, შე გამოთავყავნებულო, შენი ბედი, რომ ჰკუას დავეკითხე და ხალხი არ ჩავისვო ძარაში...

— ამხანაგო მეთაურო... ამხანაგო მეთაურო... მე... მე...

— მე... მე... — გამოაჯავრა სტოლიაროვმა და უტეხ სიცილი აუვარდა, ნერვიული, გულჯავრიანი სიცილი.

შევატყე, ცუდად იყო იმ ახალბედს საქმე და განზრახ უდარდელად მომდინარემ შევეკითხე:

— რა იყო, ძმობილო, რა დაგესიზმრა?

— ჯანდაბას ჩემი თავი, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ესლა მეც მიკვირს, რა დამემართა, ამხანაგმა მეთაურმა ესკადრილიას დასაჯდომად დაშლა რომ უბრძანა, მომეჩვენა — დასაბომბი მიზნის თავზე ვართ-მეთქი და დილს თითი დაეპირე... ჩემი ჰკუთით დაბომბვას ვაპირებდი... ძალიან ველავდი და...

— შენს ბედი, რომ არ გენდეთ და მარტო ბარგი-ბარხანა გამოგატანეთ, ხალხი არ ჩავისვით... შენი ბედი... — იმეორებდა უკვე გაფითრებული სტოლიაროვი.

ბიჭები კი სიცილით მიმოდიოდნენ აეროდრომსა თუ მახლობელ მინდორზე და დამთხვეული ახალბედა პილოტის მიერ „ბომბებად“ ჩამოყრილ მიმოფანტულ ავლადიდებას აგროვებდნენ.



— ამხანაგო მაიორო, ეს რა აეროდრომი მომეცით, სად დამაჯინეთ? — უკმაყოფილო კილოზე ჩასძახა ყურმილში პოდპოლკოვნიკმა რიმშინმა. — მთელი პოლკი ჰაობშია ჩაფლული. აქედან საბრძოლო გაფრენებზე ფიქრიც არ შეიძლება! როგორ?.. ეგ ჩემი საქმე არ არის! დამაკავშირეთ გენერალ ავალკოვს!..

მაგრამ დივიზიის შტაბის ოპერატიულ განყოფილებაში კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ. უკეთესი აეროდრომი არსად იყო ლოვკის მისადგომებთან. სხვა შენაერთებიც ჩვენნაირ დღეში იყვნენ. რიმშინმა ვერაფერი გააწყო.

— უკეთეს აეროდრომს ვერ მივიღებთ... ამინდიც წაწყყენილია... მაგრამ სხვა გამოსავალი არაა. მაინც ვიმუშავეთ; ამ ჰყავშიაც უნდა მოვახერხოთ ბომბებით დატვირთული მანქანების მიწას მოწყვეტა და დაშვება, — მტკიცე ხმით ჩაილაპარაკა რიმშინმა.

მან დაწვრილებით განგვიმარტა შტაბში შეკრებულ მფრინავებს, როგორ უნდა გვემოქმედნა აფრენისას თუ ძირს დაშვებისას. შემდეგ ლენჰეიან აეროდრომზე ყველაზე უფრო მყარი უბანი შევარჩიეთ და მის მოწყობას შევუდექით. ზოგან სილა დავყარეთ, ზოგი ადგილი ხელახლა მოვასწორეთ. მთელ დღეს არ დაგვისვენია. საავარიო რაზმიც აქვე იყო გამოხადებული ბაგირებითა და მძიმე სატვირთო მანქანებით.

ღამით ისეთი თავსხმა წამოვიდა, თვით ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილი პილოტებიც კი შეფიქრიანდნენ და დილაადრიანად გარეთ რომ გამოვიპ-

დით, თითქმის ყველამ ერთხმად დაასკვნა — ასეთ პირობებში აფრენა შეუძლებელია.

მაგრამ დივიზიის შტაბიდან უღმობელი ბრძანება მოვიდა: რაღაც უნდა დავგვჯდომოდა, აუცილებელი იყო ბრძოლაში ჩაბმა, ჩვენი ქვეითი ნაწილებისათვის დროული დახმარების გაწევა.

სამ დღეს წვიმა — კოკისპირულად, გადაუღებლად, უღვთოდ და განუკითხავად. და ასეთ ამინდში ჩვენ შეუსვენებელი გვიხდებოდა გვეფრინა, გვებრძოლა, გვევაჟკანა. არც ერთი მფრინავის პირიდან ჩივილი არ მომისმენია, არავის მოსდიოდა აზრად აწუწუნებულები ან მცირე რამ სამღურავი მაინც გამოეთქვა.

როგორც კი თავისუფალ დროს მოვახელთებდი, მე განვაგრძობდი ადრე დაწყებულ მეცადინეობას ჩემი ესკადრილის მფრინავებთან. ისინი უკვე შეეჩვივნენ ჩემი მუშაობის სტილს თეორიული მეცადინეობის დროსაც და ჰაერშიაც. ვატყობდი — კმაყოფილი იყვნენ ჩემი ხელმძღვანელობით და ყველანი შეხმატბილებულად ვცხოვრობდით, თითქმის სიტყვის უთქმელად გვესმოდა ერთმანეთისა.

მაგრამ ისეც მოხდებოდა ხოლმე, რომ ზოგიერთი ახალმოსული თავდაპირველად ძნელად ითვისებდა საჰაერო ბრძოლის თეორიასა და ჩემეულ ტაქტიკას.

ჩვეულებრივი სურათია: გარეთ გადაუღებლად წვიმს. ჩვენ ესესაა დაებრუნდით საბრძოლო გაფრენიდან, წავისაუზმეთ და მთელი ესკადრია ხელახლა შეიყარა — უნდა ვიმეცადინოთ. ძველისძველ ბარაკში ჩვენს გარდა სხვებიც არიან — სამივე ესკადრია აქ არის შეყუყულები: სხვა რამ თავშესაფარი, გარდა პატარა კარვისა, რომელშიაც მზარეული შიშკინი კერძებს გვიმზადებს ხოლმე, აეროდრომზე არ მოიძებნება. ეს ბარაკი გვიწევს შტაბის შენობის, საერთო საცხოვრებლის, სამედიცინო პუნქტის, კლუბის თუ სამეცადინო ოთახის მაგივრობას. შიგ ერთავად გაბმული ზუზუნნი დგას. მხოლოდ მაშინ მიუყრდება ხოლმე ბარაკი, როდესაც ტელეფონი აწყობილია და ყუთებით სახელდახლოდ შეკონწივებულ მაგიდასთან მიმჯდარი რიმშინი დივიზიის შტაბს ან გენერალ ავალცოვს ელაპარაკება. სხვა დროს კი ყველანი თავთავიანთი საქმით არიან გართულები, უქმად კაციშვილს ვერ ნახავ.

და აი, ჩამი ესკადრია ამ ბარაკის ერთ კუთხეში ატარებს ტაქტიკურ მეცადინეობას.

— საჰაერო ბრძოლის ხანგრძლივობა შესაძლოა სულ რამდენიმე წამს არ აღემატებოდეს, — ვეუბნები ჩემს მფრინავებს. — სწორი მანევრის მოსაფიქრებლად თქვენ წამის მეათედი თუ მეასედი დრო გრჩებათ. ამიტომ საჰაერო ბრძოლის დროს დაყოვნება სიკვდილს უდრის. თქვენ გიხდებათ ერთდროულად ფიქრიც და მოქმედებაც. ასეა, არა? მაშ შევეუდგეთ ბრძოლას, ვნახოთ, ვინ რამდენად მკვირცხლია.

მფრინავები თვალგაფართოებულნი მომჩერებიან. სულ დაავიწყდათ ბარაკი და დანარჩენი ხალხიც. ყველა დაძაბულია — არავინ იცის, ვის შევთავაზებთ ორთაბრძოლას. მე ხელში წამშზომს ვიღებ და ისე ვაძლევ ამოცანას ამა თუ იმ პილოტს. პასუხის მოსაფიქრებლად ერთობ მცირე დრო მაქვს დანიშნული.

— ლეონოვ, თქვენ მიფრინავთ ზახარჩენკოს მეწყვილედ. სიმაღლე რეაასი მეტრია. უკანიდან თქვენზე მაღლა „ფოკერები“ გამოჩნდებიან და ჯვარედინ ცეცხლში მოგაქცევენ. თქვენი გადაწყვეტილება? პასუხისათვის ათი წამი გეძლევათ. ვინიშნავ...

— სკვორცოვ, თქვენ გადამლობ ცეცხლში მოხვდით. იერიშიდან გამოსვლისას კი მარჯვენა მხრიდან ორი „მესერი“ დაგესხათ თავს. როგორ მოიტყვევით?



ასე ვაყრი შეკითხვებს ზედიზედ, ერთიმეორის მიყოლებით. ვიდრე ვიხსენებ მოიფიქრებდეს, მეორეს ვაძლევ დავალებას, იმავე წამს პირველს გამოვკითხავ — პასუხი თუ მოიფიქრე-მეთქი და ასე და ამრიგად.

ახალბედა ლეონოვს შუბლი შეუჭმუნხნია და გაჭირვებით ღერღავს:

— მე ასე მგონია, ამხანაგო მეთაურო, რომა, თქვენ მიერ მოცემული ამოცანის გადასატრელად ყველაზე სწორი იქნებოდა... ისა... ისეთი მანევრის მოფიქრება, რომელიც...

— კმარა, ლეონოვ! თქვენი თვითმფრინავი უკვე ჩამოგდებულა... ახლა ისლა დაგჩენიათ, თუკი ჯერაც ცოცხალი ხართ, პარაშუტის რგოლს ხელი გამოჰკრათ და მტრის ტერიტორიაზე დაეშვათ...

ასე გადიოდა დღეები.

ერთადერთი საწუხარი ის მქონდა, რომ ამ წაწყმენდილი ამინდის გამო ვეღარ მივსდევდი ჩემს საყვარელსა და აზარტულ ხელობას — „თავისუფალ ნადირობას“.

„თავისუფალი ნადირობა“ მოიერიშე ავიაციის საბრძოლო საქმიანობის უძნელესი სახეობა და უმძლესი ფორმაა. ამგვარი ნადირობის მოტრფიალეთა და მსურველთა რაოდენობა ჩვენს პოლკში დიდი იყო, მაგრამ ყველას როდი შეეძლო მისი დაუფლება. ზოგიერთი მფრინავი შესანიშნავად იბრძოდა ჰაერში, იერიშის მიტანის ოსტატიც იყო. ამ დროს მას ერთგვარად ამხნევებდა თანამებრძოლთა თუ გამანადგურებელთა სიახლოვის შეგრძნება. მაგრამ საჰაერო ნადირობის დროს ამგვარი გამამხნეველი ფაქტორები არსად იყო. მონადირეს უხდებოდა მარტოდმარტო ან მეწყვილესთან ერთად ღრმად შეჭრილიყო მტრის ზურგში, იქ „ჩასაფრებოდა“ მტერს და მოულოდნელად თავს დასხმოდა მის თვითმფრინავებს ხმელეთზე თუ ჰაერში, გაენადგურებინა ავტომანქანები, ორთქმავლები, მატარებლები, რადიოლოკაციის დანადგარები და სხვა და სხვა.

„თავისუფალი ნადირობის“ დროს მოიერიშე მფრინავი შესაძლოა ათასგვარ მოულოდნელსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევას გადაეყაროს. ამიტომ სანადიროდ წასვლისას ის კარგად უნდა იყოს დაჯერებული თავისთავში, თვითმფრინავში, მსროლელსა თუ მეწყვილის უნარიანობაში. ამგვარი ნადირობა ძალზე სახიფათო, სარისკო, საინტერესო საქმეა. ამასთან სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ ნადირობის დროს შენ შენი თავის ამარა ხარ, შენი ბედი შენზევეა დამოკიდებული და სამიზნე თუ საიერიშე ობიექტსაც საკუთარი შეხედულებისამებრ ირჩევ ხოლმე. აი ამ დროს გამოგადგება მთელი შენი გამოცდილება, საზრიანობა, გამბედაობა და ეშმაკობაც.

ამგვარი მონადირეი თანდათანობით ჩემს ესკადრლიაშიც მოვამრავლე. მართალია, თავდაპირველად ძალზე ვფრთხილობდი, ესა თუ ის მფრინავი მხოლოდ ჩემს მეწყვილედ დამყავდა. მაგრამ ბიჭები ნელ-ნელა დახელოვნდნენ და დაოსტატდნენ, ასე რომ გადავწყვიტე უჩემოდაც გამეშვა წყვილები სანადიროდ.

პირველად გაფრინდნენ რუსლან მიხოლიჩენკო და კირილე კურაკინი. ესკადრლიაში ახალმოსულთაგან ამ ორს ყველაზე მეტად ვენდობოდი. განსაკუთრებით მიხოლიჩენკოს იმედი მქონდა. მასზე მუყაითი, გულისყურიანი და საზრიანი მფრინავი იშვიათად შემხვედროდა. რა დავალებაც უნდა მიმეცა — თავს მოიკლავდა და შეასრულებდა. ფრთხილი იყო, აჩქარება არ უყვარდა, მაგრამ თავის დროზე სიშვერიცხლევ შეეძლო და თავგანწირვაც. მის გაბედულებას სიფრთხილე სულაც არ ვნებდა.

ღრუბლებში შემალულმა წყვილმა ლეოვის სანახებს გადაუქროლა და ღრმად შეიჭრა მტრის ზურგში. უკვე შეიძლებოდა საკბილოს ძებნა. ბიჭები თხე-



ლი ღრუბლების ფენაში დაემყენ და იქიდან დაიწყეს მიდამოს თვალთვალი.

— ავტომანქანები! — პირველმა შენიშნა კურაკინმა.

— სად არის?

— აგერ, ჩვენს მარჯვნივ, თემშარაზე, რუხი კოლოფები...

— მართალი ხარ! — გაუსარდა რუსლანს. — მივდივართ იერიშზე!

რამდენჯერმე მიიტანეს იერიში. ის იყო გზის განგრძობას აპირებდნენ, რომ რუსლანმა შორიანლოს რკინიგზის ლიანდაგს მოჰკრა თვალი. უმალ რუქას დახედა. მათი ადგილსამყოფლიდან აღმოსავლეთით, ფრონტის მხარეს, სადგური იყო აღნიშნული.

— შევბრუნდეთ! — გასცა მან ბრძანება. — შეიძლება გვარიან ბუნაგს მივაგროთ.

მიხოლიჩენკოს ვარაუდი გამართლდა. სადგურზე საბარგო მატარებლების ოთხი ეშელონი ჩამწყრივებულიყო. მეხუთე ეშელონი ცისტერნებისა იყო.

„რამდენიმე ბომბი იმ საწყვავის ცისტერნებში და აქაურობა ჯოჯოხეთს დავმსგავსებ“, — გაიფიქრა რუსლანმა. აღარ დაუყოვნებლივ, ღრუბელთა საფარველიდან გამოიჭრენ და სამიზნეს მიაშურეს.

თავგამეტებით მიჰქრის რუსლან მიხოლიჩენკოს მანქანა. ცოტაც და დრო იქნება სასსლეტს დააწვეს.

უეცრად მას საშინელი აზრი დაებადა: ერთ ეშელონს პირი დასავლეთისკენ აქვს მიქცეული. ორთქლმავალი მოთეთრო კვამლში გახვეულა, საცაა უნდა დაიძრას. რუსლანს გაახსენდა დაზვერვის მიერ წინა დღეს მოწოდებული ცნობა — ამ სადგურიდან საბჭოთა ტყვეების ეშელონის დასავლეთისკენ გამგზავრებას აპირებენო. ვაი თუ მართლა საბჭოთა ადამიანები არიან იმ მატარებელში?

მიხოლიჩენკოს თმები ყალყზე დაუდგა ამის გაფიქრებისას. არა, ასე განუკითხავად დარტყმა არ იქნება.

— კირილ, მანქანა შეაბრუნე, ვითომ უკან მივფრინავთ, ჩვენი ტერიტორიისაკენ!

კირილეს ამ მანევრის აზრი არ ესმის და უხალისოდ ემორჩილება რუსლანს, ვერ გაუგია — რატომ უშვებენ ხელიდან ასეთ მდიდარ საკბილოს. ღრუბლებში რომ შეიმაღენ, რუსლანმა განუმარტა საქმის ვითარება:

— გახსოვს, ესკადრილის მეთაურმა რომ გვიამბო — კინაღამ ბომბები დაეყარეთ ფაშისტების საჭურავლის საწყობთან მირეკილ საბჭოთა ადამიანებს. მერე, როცა მივხვდით, ვინც იყო ის ხალხი, იქაურობას დროებით გავეცალეთ, მცირე ხნით ღრუბლებში მივიმაღეთ, ბომბების ნაწილი ზღვის პირას ჩამოვყარეთ და, როცა გერმანელებს უკვე შინ დაბრუნებულნი ვეგონეთ და სოფელში ხალხი საწყობს მოაშორეს, მოულოდნელად თავს დავატყდი. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, თორემ შესაძლოა...

მიხოლიჩენკოსა და კურაკინის თვითმფრინავებმა გეზი ჯერ აღმოსავლეთისკენ აიღეს, ცოტა ხნის შემდეგ კი რკინიგზის სადგურიდან დასავლეთით თავს დაატყდნენ ტრამალზე მიმქროლავ მატარებელს. რუსლანმა თავი დაუარა და ლიანდაგს ბომბები უპირდაპირა. ეშელონი შეჩერდა. ამასობაში კურაკინის ბომბმა მატარებელს დასაბრუნებელი გზა აუფეთქა.

წინ წყალი, უკან მეწყერი...

ეხლა იერიშის დრო იყო. თავბრუდამხვევი სისწრაფით დაექანენ ბიჭები ეშელონისკენ. ზემოდან ჩანდა, როგორ კისრისტეხით სტოვებდნენ პირველ ვაგონს ფაშისტები. დანარჩენი ვაგონები სიცოცხლის ნიშანწყალსაც არ ამჟღავ-



ნებდნენ. მაგრამ როდესაც ეშელონს ახლოს გაუქროლეს, დაინახეს მისი დაგმანულ სარკმელებს ხალხი მოწყდომოდა. ალაგალაგ თეთრი ცხვირსახოცებიც აფრიალდა.

— ჩვენებია, კირილ, ჩვენები!.. — აღმოხდა გამწარებულ მიხოლიჩენკოს. იქ, დაბლა, ფაშისტების მატარებელში იყვნენ საბჭოთა ადამიანები, რომლებიც დამპყრობ ბარბაროსებს დასაუღეთისაყენ მიჰყავდათ საკონცენტრაციო ბანაკებში საწამებლად თუ ციხეებში გამოსალპობად. და ბიჭებს სტანჯავდათ აზრი, რომ არ ძალუძდათ მათი დახსნა საშინელი ტყვეობიდან. ერთადერთი ნუგეში ის იყო — ეხლა ეშელონს ერთი დღეღამით მაინც დაუგვიანდებოდა დასაუღეთისაყენ წასვლა, ვიდრე აფეთქებულ ლიანდაგს გამართავდნენ.

გული იმით მოიოხეს, რომ ველად გაფანტულ ფაშისტებს დაუშინეს ცეცხლი, შემდეგ კი რკინიგზის სადგურს მიუბრუნდნენ და ქვა ქვაზე არ დაუტოვებიათ...



როდესაც ჩენი თვითმფრინავები ფრონტის თავზე დაჰქრიან, ჩენს სმენამდე ვერ აღწევს დაბლა, მიწაზე მიმდინარე ბრძოლის ხმაური — საარტილერიო კანონადა, ჭურვების სკდომის ხმა, ნამსხვრევების წული. მოტორის გუგუნის ახშობს ყოველივეს. სამაგიეროდ რადიოში რას არ გაიგონებ კაცი! ყვირილი, ძახილი წყევლისა თუ გამხნეებისა, მუქარისა თუ ბრძანებისა, აღელვებისა თუ მოწონებისა. ზოგჯერ სალანძღავ-სავინებელი სიტყვებიც მოსწევდება შენს სმენას, როდესაც რომელიმე ჯგუფის უფროსი ზომაზე მეტად აღელდება და წონასწორობიდან გამოვა ვინმე დამთხვეული პილოტის უთავობაზე. ასეთ დროს მიწაზე მყოფი რადისტი ქალები თავიანთ ნაზ თითებს ყურებისაყენ გააქანებენ — ვითომ ეს რა გვესმისო. მაგრამ ჩვენ, რალა თქმა უნდა, დიდად არ აღვშფოთლებით ხოლმე. პირიქით, ინტერესითაც ვუთვალთვალებთ დამნაშავეის თვითმფრინავს და ჩვენის მხრივაც ერთს ლაზათიანად შევუყურებთ ხოლმე გულში.

საიმიო დრო თუ გვექნა, თანმხლები გამანადგურებლების მოქმედებასაც ვუკვირდებით — ვინ როგორ ასრულებს თავიანთი უფროსის კაპიტან შუტის ბრძანებებს. გამანადგურებელთა დივიზიის უფროსი უფერალი ბარანჩუკი მკაცრი ადამიანია. ვაგლახად არაფერს მოგთხოვს, მაგრამ თუ მოგთხოვა — თავი უნდა მოიკლა და შეასრულო. კაპიტან შუტზე ამბობენ — ბარანჩუკისგან ბევრი რამ ისწავლა და ქვეშევრდომებთან ურთიერთობისას ხშირად მას ჰზაძავსო. მაგრამ მიბაძვაცაა და მიბაძვაც. კაცი სხვის მოქმედებას მაიმუნივით რომ იმეორებს, სასაცილოა და მეტი არაფერი. მაგრამ თუკი სხვის კარგ თვისებებს უკვირდება და სხვის სიკეთეს აზრიანად ითვისებს, ამაზე ვის რა უნდა ეთქმოდეს?

მართლაც კაპიტან შუტს თავის ქვეგანაყოფში საქმე ისე აქვს დაყენებული, რომ იტყვიან — საათივით აწყობილია. ყოველმა გამანადგურებელმა თავისი საქმეც იცის და მეთაურის ხასიათსაც კარგად იცნობს. ამიტომ ჩვენ მუდამ კმაყოფილნი ვართ, როდესაც თანმხლებ გამანადგურებლებად შუტსა და მის ბიჭებს გამოგვაყოლებენ ხოლმე.

საინტერესო ისაა — ჯერჯერობით პირადად არცერთ მათგანს არ ვიცნობთ — ერთმანეთს მხოლოდ ჰაერში ვხვდებით. მაგრამ თითქმის ესეც საკმარისია მათს გასაცნობად. ჩვენ უკვე შევისწავლეთ რამდენიმე მათგანის ხასიათი.

— ეგოროვ, მთვარეულივით ნუ დაბორიალებთ, მწკრივის წესიერად გამოპყევით! — გაისმება რადიოში შუტის ხმა და უმალ გამანადგურებელი, რომელ-



საც ვეება თხუთმეტნიანი აწერია, „თავქუდმოგლეჯილი გარბის“ შეცდომის გამოსწორებლად.

— ვაკარინ, ფხიზლად იყავით, პირველ ესკადრილიას „მესერები“ უახლოვდებიან!

თუმცა ვაკარინს გაფრთხილება არც ესაჭიროება — მისი ტემპერამენტისა და თვალის ამბავი კარგად იციან ჩემი ესკადრალის ბიჭებმა. როდესაც ვაკარინი მოგვყვება მცველად, ეს იმას ნიშნავს, რომ შენს მოიერიშემდეგ მტრის ვერც ერთი გამანადგურებელი ვერ მოაღწევს ცოცხალი თუ მკვდარი...

დღეს რადიოში უცნაური რამ მომესმა:

— მერკვილაძე, მარცხნივ აიღეთ, იერიში დაიფართო! მტრის გამანადგურებლები გამოჩნდნენ!

ჰა, ხომ არ მომატყუა სმენამ? მაგრამ არა, პასუხად გამოკვეთილი ქართული აქცენტით ნათქვამი სიტყვები მესმის:

— ყველაფერი გასაგებია! არის დავიფარო!

გამანადგურებელი ნომერი ოცდაორი. მამ ამ მანქანას ქართველი კაცი მართავს?

ჩვენს თავზე სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. მერკვილაძეს კიდევ ერთი ჩვენი გამანადგურებელი ახლავს. გერმანელები კი ექვსნი არიან — ჩვენი ბიჭების პირისპირი ორი „მესერშიმდტი“ მოქრის, მალლიდან კიდევ ოთხი მიეშურება. როგორც ჩანს, მერკვილაძემ მარტივად იანგარიშა: ვიდრე ზედა ოთხი მოუსწრებდა, მან და მისმა მეწყვილემ ქვედა ორზე მძაფრი იერიში მიიტანეს. აჰა, აბოლებული „მესერშიმდტი“ მიწისკენ წავიდა პროწიალით. იქნებ მეორის ჩამოგდებაც მოასწორნი! მაგრამ არა, მან ჯერჯერობით თავს უშველა, თავისიანებს შეუერთდა. ესლა უკვე ზუთი ფაშისტი უტევს. უთანასწორო ბრძოლა გაჩაღდა. მერკვილაძის მეწყვილის მანქანა ისე დაზიანდა, ბრძოლაში მონაწილეობის მიღება აღარ შეეძლო. ჩემი თანამემამულე მარტოლმარტო დარჩა ზუთი პირდაღრენილი ფაშისტის პირისპირი.

შორიდან შეძლებისამებრ ვუთვალთვალე მის ბრძოლას, მის ვაჟკაცურ კვეთებას და აღტაცებას ველარ ვფარავდი. მაგრამ აღტაცება აღტაცებაა, მერკვილაძის ბედი კი ბეწვზე ეკიდა. თხუთმეტითადე წუთი გავიდა, ვიდრე ჩვენ ჩვენს იერიშებს მოვამთავრებდით და მოძმეს მივეშველებოდით. როდესაც „ბრძოლის ველზე“ ჩვენც გავიჭერთ, მერკვილაძის პირისპირი სამი ფაშისტილა იბრძოდა, ორი „მესერშიმდტი“ უკვე საიქიოს გამგზავრებულიყო...

ასე გავიცანი საბჭოთა კავშირის გმირი გარი მერკვილაძე. შემდგომში ჩვენ არა ერთი და ორი ბრძოლა გადავიხადეთ ერთიმეორის მხარდამხარ. მაგრამ ერთსა და ორ დღეს არ გაუვლია, ვიდრე ჰაერში დაძმობილებული ქართველები რადიოს მეშვეობით საუბარს აღარ დაჯგერდებოდით და ერთიმეორეს პირისპირ, ხმელეთზე შევხვდებოდით და ხელს ჩამოვართმევდით.

რას იზამ, გარი მერკვილაძის შენაერთი ჩვენი ადგილსამყოფელიდან საკმაოდ მოშორებულ აეროდრომზე იყო დაბინავებული...

უჩვეულოდ აღტაცებული დავბრუნდი იმ დღეს ბრძოლიდან. ყურებში მდგა ჩემი თანამემამულის ხმა, თვალწინ მეხატებოდა მტერთან მისი ვაჟკაცური შერკინების სურათი. ნეტავ როგორია გარეგნულად მერკვილაძე, სადაურია, რა კაცია, რა ზნისა და ხსიათისა? ამას ვფიქრობდი და ჩემთვის მივლიდინებდი თვალეში შექჩამდგარი და პირზე ღიმორეული.

ასე გადავეჩეხე ვიღაც უცნობ პილოტს. უფრო სწორად, თვითონ ის გადავეჩეხა — საიდანღაც სირბილით გამოქანდა, მიწურისკენ მიმავალს შემომღრიალა:



— ამხანაგო მეთაურო-ო.. ატა-ა-შა-ა!
 ჰოი საკვირველებზე! ეს ხომ პეტრუხაა, დონბასელი ნიკოლოზ პეტროვიჩი,
 ჩემი პირველი მსროლელი და კავკასიონის მთებში ჩემი გადამრჩენელი!
 — პეტრუხა, შენი ჭირიმე, მოჩვენება ხომ არა ხარ?
 — არც მიფიქრია, ამხანაგო მეთაურო! — ლამის აცრემლებული მღერის
 პეტროვი და ჩემი ხვევით ვერ გამაძლარა.

— საიდან, შე შეჩვენებულო, რა ქარმა გადმოგავადო?
 — ჩვენი პოლკი ფრონტიდან მოხსნეს და ზურგში გააგზავნეს — ახალი
 ტექნიკა უნდა აითვისოთო, — განაგრძობს სიმღერას ჩემი მსროლელი. — მე
 ბედმა მიწია, ნება მომცეს ფრონტზე დავრჩენილიყავი. აქეთ გამომამწესეს, დი-
 ვიზიის შტაბში შემთხვევით თქვენი გვარი გავიგონე და დავედრიჯე — იმ პოლკ-
 ში გამიშვით, სადაც ჩეჩელაშვილი იბრძვის-მეთქი. შეისმინეს ჩემი თხოვნა და
 გამომისტუმრეს. ჰოდა... აი... ჩამოვედი... და... ჩამოვედი და...

— ჰო, მეცა გხედავ, რომ ჩამოხვედი, რას დაიბენი? — ვერაფერი გავიგე მე.
 — იმას დავიბენი, რომა... აქ კი ჩამოვედი, მაგრამ ჯერ ხომ არ გადაწყვე-
 ტილა — რომელ ესკადრილიაში მოვხვდები, ვის მანქანაზე?
 — მაგას რა კითხვა უნდა, შე დალოცვილო, ვისთან უნდა მოხვდე ჩემს გარდა.
 — მართლა? — გაუბრწყინდა ალალი თვალები პეტრუხას, — მართლა აგრე
 იქნება? არ გაძნელდება? ხომ იცით, ამხანაგო მეთაურო, მე არსად გილალატებთ...
 თქვენს დროს ხომ ოთხმოცდარი გაფრენა მქონდა... უკვე ას ორმოცდაცამეტი
 მაქვს... მაშ არ გაძნელდება?..

თავი ველარ შევიკავე და კიდევ ერთხელ გადავკოცნე ეს ბალღად დარჩენი-
 ლი მებრძოლი, ეს ალალი დონბასელი ბიჭი, რომელსაც, საჭირო რომ გამხდარი-
 ყო, თავს უყოყმანოდ ვანაცვალებდი.

და მეორე დღესვე კინადამ მართლაც ვანაცვალე...
 იმ დამეს გვიანობამდე ვერ დავიძინეთ მე და პეტრუხამ. მან წვრილად მო-
 მითხრა მორკოვენი პოლკის ამბები. შემდეგ დაუმატა: დიდხანს გელოდით
 ჩვენს პოლკში, ვეგონა — აი დღეს დაბრუნდება, აი ხვალაო. ბოლოს მივიღეთ
 შენი ბარათი, რომელშიაც პატიებას გვთხოვდი „ლალატისთვისო“. ძალიან შევ-
 წუხნდით, ჯერ ერთი იმიტომ, რომ შენი დაბრუნების იმედი გადავვიწყულა, მეო-
 რეც იმისთვის, რომ შენს თავს დიდ დამნაშავედ თვლიდი და სინდისის ქნჯნას
 გრძნობდი ჩვენი პოლკიდან წასვლის გამოო. დანაშაული რა შუაში იყო — სა-
 დაც უკეთ გებრძოლებოდა, რაღა თქმა უნდა, იქ უნდა წასულიყავით.

პავლოვს ისიც უთქვამს:
 — ვენაცვალე, სწორად მოიქცა ოთარი, ის კი არა, ნეტავ მეც მოიერიშებე
 გადავსულიყავი, ბევრად უკეთესი იქნებოდაო.

ბოლოს, როცა გახეთქებში რამდენჯერმე წავიკითხეთ შენი ბრძოლის ამბე-
 ბი, პავლოვმა ველარ მოისვენა, აწრიალდა და იმდენი ჰქნა, მალე მართლაც მოა-
 ხერხა მოიერიშე თვითმფრინავზე გადასვლაო.

პეტროვმა მცირე ხნით იყუჩა. ვატყობდი — კიდევ აპირებდა რაღაცის
 თქმას და ვერ კი გადაწყვიტა. გუმანით რაღაცას მივუხვდი და ვკითხე:

— ეს ყველაფერი კარგი, პეტრუხა, შენ ის მითხარი, თქვენიანები როგორ
 არიან, სოფელში, ოჯახში რა ამბებია?

ვკითხე და იმავე წამს ვინანე — ენაზე ვინ მექაჩებოდა-მეთქი. პეტროვი უც-
 ნაურად შეკრთა, აირია, ხმა ველარ ამოიღო. დაბა-ლუბით წამოუყვია ცრემლები,
 მერე აქვითინდა და მართლა ბალღივით ჩამეკრა გულში, ნუგეშის მაძიებელი
 უმწეო ბალღივით, კვნესით, ცახცახით, მონდობილად.

კარგა ხანი გავიდა, ვიდრე დამშვიდდებოდა და თავისი ოჯახის ამბავს მთლიანად მოიხსენებდა.

მამამისზე ფაშისტებს იმთავითვე ექვი აულიათ — პარტიზანებს ესმარებოდა. დიდხანს უწამებიათ და, რომ ვერაფერს გამხდარან, დაუხვრეტიათ თურმე. ოჯახში ოთხი გერმანელი ჩაუსახლებიათ. ერთ მათგანს პეტროვის უმცროსი და — თხუთმეტი წლის ლიუდა თვალში მოსვლია, ძალის ხმარება დაუპირებია, დანარჩენები იქვე ისხდნენ და ხარხარებდნენ თურმე. ხმაურსა და ლიუდას ყვირილზე ოთახში დედამისი შევარდნილა და თავგანწირული დასტაკებია გამხეცებულ ფაშისტს. ამის დანახვაზე სხვები წამოცვენილან, ხანდაზმულ ქალს მისტანებთან და... და ისეთი რამ მომხდარა, ენით რომ არ ითქმის, მოსმენით რომ არ მოისმინება...

როდესაც შებიწფული, პატივანდელი დედა და ქალიშვილი გონს მოეგენ, ფაშისტებს ისინი გარეთ, ყინვაში გაუთრევიათ, ცემით დაუსისხლიანებიათ და ხეებზე მიკრულნი დაუტოვებიათ მთელი ღამით...

ჩვენმა ჯარებმა დონბასი რომ გაათავისუფლეს, პეტროვმა ორიოდ დღით შევებულება გამოითხოვა და თავის სოფელს მიაშურა. იქ დაუხვდა გაპარტახებულ-გავერანებული კარმიდამო, დაცარიელებული სახლი და მთელი მისი ოჯახის ამოწყვეტის შემზარავი ამბავი, მეზობელთაგან მოთხრობილი...

პირგამეხებული ავდექი მეორე დღით. ისეთ გუნებაზე ვიდექი, მინდოდა პირდაპირ ფრონტისაკენ გავქცეულიყავი, ფაშისტთა რიგებში გადავჭირილიყავი და დაუზოგავად გამეჟლიტა, ვინც კი შემომეყრებოდა. მერე აღარ დავეძებდი, თუნდაც მოვეკალი. პეტროვის მონათხრობი ტვინში ლურსმანივით მქონდა ჩაქედილი და ამ ტვინს მიბურღავდა, ყველაფერს მავიწყებდა შურისძიების გახელებული წყურვილის გარდა.

იმდღევანდელი დავალების თანახმად ჩვენი ესკადრილიები პატარ-პატარა ჯგუფებად უნდა დანაწილებულიყო და იერიში მიეტანა მტრის ტერიტორიის სხვადასხვა უბნებზე, რომლებიც ჩვენს რუკებზე კვადრატებად იყო მოხაზული, ჩემი ჯგუფის ობიექტი იყო მეთექვსმეტე კვადრატი.

მიზანს მალე ვუწიეთ. მარცხნივ გამოჩნდა ჩვენი სამოქმედო უბანი.

— პაერში სიმშვიდეა, ოთარ, მტრის არც ერთი თვითმფრინავი არა ჩანს, საზენიტოებს კი შენ თვითონვე მოუვლი... — გადმოცა რადიოთი გარი მერკვილაძემ.

ძალიან კარგი, თუ სიმშვიდეა, უკეთ ვიმუშავებთ. თუმცა ისეთ გუნებაზე ვარ, ფაშისტთა ათი თვითმფრინავიც რომ დამესხას, უყოყმანოდ შევებმები და, თუ ვერ დავამარცხე, თავს მაინც შევაკლავ.

— მოემზადეთ იერიშისთვის! — ვაძლევ ბრძანებას ჩემი ჯგუფის მფრინავებს.

ქვემოდან ძლიერი საზენიტო ცეცხლი გავვიხსნეს. ჩვენ მაინც შეუპოვრად მივექანებით მიზნისაკენ, ქვემეხების, ტყვიამფრქვევების ცეცხლით ვზუგავთ იქაურობას. მტრის პოზიციები ერთიანად დაცხრილეთ ტყვიებითა და ჭურვებით.

სანგართა პირველი მწკრივი რომ მოვილიეთ, ასეთივე მეთოდური სიზუსტით მივყავით ხელი მეორე მწკრივის დაცხრილვას.

შემდეგ მესამე ხაზი, მეოთხე მწკრივი...

ჩვენი ჯარების შეტევისათვის გზა იკაფება.

— ოთარ, იკმარე, შენი ჰირიმი! მეთექვსმეტე იერიში მიგაქვს უკვე... უკან



დასაბრუნებლად საწვავი აღარ მეყოფა! — მეხვეწება რადიოში მერკურის მინა

— ეს ერთი იერიშიც, გარი, ეს ერთიც და...

ამ უკანასკნელი იერიშის დროს თითქმის აღარ ისმოდა ჩვენი ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ხმა — ტყვიების მარაგი ყველას გამოვლია.

— მცელავ სიმაღლეზე ვიფრინოთ, მიწას გავაკრათ ფაშისტები, გზა გავუხსნათ ჩვენს ქვეით ჯარს!.. — ბოლშევიკური ვუყვიროდი ჩემს მფრინავებს.

თავად პირველმა გადავიქროლე გერმანელთა გვამებით მოფენილი მიწის თავზე. გახელებული კიდევ უფრო დაბლა დავეწვი, სულ დაბლა, ისე რომ ჩემი თვითმფრინავი თითქმის სანგართა მიწაყრილებს გაეხახუნა.

აღგზნებული თვალებით ვხედავდი — უამრავი მკვდარი ეყარა დაბლა. გერმანელთა სანგრებში რალაც საშინელება ხდებოდა. ზარდაცემულ, გონდაკარგულ ჯარისკაცებს ვერაფერი მოესაზრებინათ. სანგრებიდან ამოხტებოდნენ და გარბოდნენ უგზო-უკვლოდ, არეულად, დამფრთხალ ფარასავით უაზროდ და დამღუპველად. სულ ახლოს ჩანდა მათი მუზარადები, მათი რუხი ტანსაცმელი...

ისე ვიყავი გახელებული, ამ იერიშის შემდეგაც ვუბრძანებდი ჩემიანებს ახალ იერიშზე წავიდეთ-მეთქი, მაგრამ სამეთაურო პუნქტიდან გადმოგვცეს — ჩვენი ქვეითი ჯარი წინ გაიჭრა; გზა გაწმენდილია და სარდლობა მოიერიშეებს მაღლობას გითვლით თავდადებული დახმარებისათვისო...

ახლად მოვიკრიბე აზრი და უკანვე მშვიდი ხმით ვუბრძანე ჩემს ჯგუფს უკან გაბრუნდა. და ახლად შევინაშნე, რომ ჩემი კაბინის მინა რალაც წითელი სითხით იყო დაწინწკლული.

ერთიმეორეზე დავეშვიტე აეროდრომზე და დაგუბებული წვიმის წყლის შადრევნები წამოვმართეთ. საშინელ ჭყაპსა და ლაფში მივაგორებდით ჩვენს თვითმფრინავებს, რათა როგორმე ჩვენ-ჩვენს სადგომამდე მიგვეღწია.

კაბინიდან რომ გამოვედი, დავინახე — აქვე ახლოს სანიტარული მანქანა გაჭედლიყო ტალახში, რომელიც ღერძამდე სწვდებოდა. მანქანა მთელი ძალით ღმუოდა და ბუქსაობდა. მისი სირენა გაბმულად ყვიროდა. იმ მხრიდან ჩემსკენ გამალებული მორბოდა პოდპოლკოვნიკი რიმშინი. ცალი ხელით ქუდს ისწორებდა, მეორით კი თეძოზე ჩამოკონწიალებულ მოქანავე პისტოლეტს იმაგრებდა. მისი ჩექმებიდან ლაფი აქეთ-იქით ცვიოდა.

— რა მოხდა, დაჭრილი ხომ არა ხარ? — შემეკითხა აქლოშინებული რიმშინი.

— არა, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, რატომ უნდა ვიყო დაჭრილი?

— შენ რომ ჯდებოდი, იქვე ვიდექი და დავინახე, რომ მინა სისხლით იყო დაწინწკლული. ამიტომ გამოვაგზავნე სანიტარული მანქანა...

ჩვენ შემოვუარეთ თვითმფრინავს. პროპელერსა და „მუცელზეც“ სისხლის კვალი აღმოჩნდა. ნეტავ რა უნდა იყოს, საიდან გაჩნდა სისხლი?

ესკადრილის შვილობილი ვასია კრავცოვი მორტორზე აძვრა, მინის გაწმენდას შეუდგა და უცებ დაიყვირა:

— ამხანაგო მეთაურო, ვერა გრძნობთ? წყლის რადიატორიდან დამწვრის სუნი მოდის!

ეხლა ჩემი ტექნიკოსიც დაინტერესდა, პროპელერს მიაშურა და...

დაბლა ჩამოსულს ხელით ეკავა გერმანული მუზარადის გაკვეთილი ნახევარი.

— ძალიან ნადავლით დაბრუნებულხარ! — გაიღიმა რიმშინმა. — პროპელერით დაიწყე მტრების ცელვა?

კ რ ე მ ლ ი

პირველი ესკადრილიის სადგომის წინ მთელი პოლკის მფრინავები გაქი-
მულან. ოდნავ შესამჩნევად ცრის. ქარი აფრიალებს ჩვენი პოლკის გვარდიულ
დროშას, აბრეშუმით ნაკერსა და ამოქარგულს.

— საბჭოთა არმიის ნაწილები გადავიდნენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო
საზღვარზე, — გვეუბნება ადელვებული პოლკის უფროსი. — უკრაინის მეორე
ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე პრუტი. ბრძოლები გადატანილია რუმინ-
ეთის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ტერიტორიაზე. მაგრამ კარგად უნდა
გვახსოვდეს, რომ ჩვენი არმია დასავლეთ ევროპაში შედის არა როგორც დამ-
პყრობი, არამედ როგორც განმათავისუფლებელი. ჩვენ უნდა ვიხსნათ ხალხები
ფაშისტური მონობისაგან, ღირსნი უნდა ვიყოთ განმათავისუფლებელთა დიადი
მისიისა.

სამგზის დაუბრინა მწკრივებს მოგუგუნე „ურამ“.

— თვითმფრინავებზე! — ბრძანა რიმშინმა.

სწრაფად გვემართეთ ჩვენ-ჩვენი მანქანებისაკენ. მოხასხასე, დანამული
ბალახის ჭვრეტა გვიორკეცებდა სულში ჩამდგარ დიდ სიხარულს. ნაბიჯს თან-
დათან ვუჩქარებდით. შემდეგ კი, თითქოს ვისმე ბრძანება გაეცეს, ყველამ ერ-
თად სირბილით მივაშურეთ აეროდრომს.

იქ, სადაც ასაფრენი ნიშანია, ფრიალებს, ელვარებს გვარდიული დროშა,
თითქოს დასავლეთისაკენ გვანიშნებდეს. ყოველი ჩვენგანის თვითმფრინავმა
გუგუნით ჩაუქროლა ამ წმიდათაწმიდა ადგილს. უკანასკნელი აფრინდა პოლკის
უფროსი.

ახლა სწორკუთხოვანი აეროდრომი დაბურული ტყის შუაგულშია მოქცე-
ული. სულ ცოტა ხნის წინ მიატოვეს ეს აეროდრომი გერმანელებმა. ფრონტის
ხაზი აქედან ექვს-შვიდ კილომეტრზე გადის. ჩვენი დამცველი საზენიტო ქვემე-
ხები ჯერაც არ მოსულან. ჩვენი ესკადრიალია პირველი დაეშვა და მაშინვე
შეუდგა თვითმფრინავების ტყეში შეგორებას, გულდასმით შენიღბვას. ღია ცის
ქვეშ ერთი მანქანაც არ უნდა დარჩეს.

ღამე აეროდრომიდან რამდენიმე კილომეტრზე გავათიეთ, ვილაც ყოფილი
ფაბრიკის პატრონის სახლში. ჯერ არც ერიყრაჟა, რომ ისევე აეროდრომზე ვი-
ყავით — იმ დღეს მრავალგვარი საქმე მოგველოდა. მიხოლიჩენკო და იარლი-
კოვი ასაფრენად გამზადებულ თვითმფრინავებში ჩასხდნენ — დაზვერვაზე
უნდა წავიდნენ. რიმშინი, სტოლიაროვი და მე სამეთაურო პუნქტთან ვდგა-
ვართ. ვასია კრავცოვი — პოლკის მეკავშირე — ჩვენზე ადრე გაჩენილა აქ.
ირგვლივ სიწყნარა. რიმშინს ხელთ დამბაჩა უჭირავს, საცაა მზვერავებს ნიშანი
უნდა მისცეს მწვანე შუშხინით.

საკვებით მოულოდნელი იყო ამ სიმყუდროვეში დასავლეთის მხრიდან მო-
დენილი მძლავრი გუგუნე. წუთიც და ჩვენ თავზე ოცამდე „ფოკე-ვულფი“
გამოჩნდა. აფრენა უკვე დაგვიანებულია — გერმანელებმა აეროდრომის პიკი-
რება დაიწყეს.

— ხერვლებში, სწრაფად! — დასუქა რიმშინმა.

ერთადგილიან ორმოში მოვთავსდი. ტყვიამფრქვევის თუ ქვემეხის ცეცხლი
ან ნამსხვრევები აქ თითქმის ვერ მოგწვდება კაცს, პირდაპირი მოხვედრაა მხო-
ლოდ საშიში.

დაბლისკენ მოფრინავს, მოწივის და მოსტვენს მტრის ბომბები, გამაყრუე-
ბლად ფეთქდება და მიწას აზანზარებს. თუ ბომბმა შიშინით ჩამოიქროლა, ეს



იმას ნიშნავს, რომ სულ ახლოს დაცემულა. სტვენის ხმა როცა მოდის, მაშინ ბომბი უფრო მოშორებით ეცემა.

ნეტავ პატარა ვასიამ თუ მოასწრო ხვრელში დამალვა?.. რა კარგი ვქენით, რომ თვითმფრინავები დროულად შევინიღებთ... რიმშინი ხომ არ დაიჭრა?.. — მიელავს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები.

ამ ფიქრს მაწყვეტინებს გამაყრუებელი გრიალი — ჰაერში ორი „ფოკე-ვულფი“ ერთიმეორეს შეეჯახა. აეროდრომის განაპირას დაენარცხენ მიწას. იერიშები მიინც არ ცხრება. ფაშისტებმა ეხლა ტყვიამფრქვევები და ქვემეხები აამოქმედეს, ბომბების მარავი, ეტყობა, გაუთავდათ. საათს დახვედე: ჩვიდმეტი წუთი გასულა. მასასადამე ამ აეროდრომის ბლოკირება გადაუწყვეტიათ. საცაა ბომბდამშენები მოფრინდებიან. ფრონტის ხაზის ახლოს ჩვენნაირი აეროდრომი სამია მხოლოდ. გერმანელებს, ცხადია, ჭკუაში არ უჯდებათ ის ამბავი, რომ სამივე ჩვენს ხელთაა.

ოთხი-ხუთი წუთი კიდევ გავიდა. მტრის თვითმფრინავები არ გვეშვებიან. მაგრამ არა, არ დასცალდათ! აეროდრომს მცელავ სიმაღლეზე ჩვენი „იაკოვლე-ვების“ ექვსეული მოუახლოვდა და სასტიკი საჰაერო ბრძოლა გაჩაღდა. ერთიმეორეზე წავიდა მიწისკენ აბოლებული „ფოკე-ვულფები“. ერთმა ფაშისტმა ზურგი უჩვენა ჩვენს გამანადგურებელს. ეს უკანასკნელი მიინც არ ეშვება, კულში მისდევს და აყრის და აყრის ტყვიებს თუ ჭურვებს. ბოლოს ცეცხლიც გაუჩინა. გერმანელი იძულებულია პარაშუტით გადმოხტეს და ზედ შუა აეროდრომზე დაეშვას. პარაშუტი მოიშორა და საშინელი სისწრაფით გამოიქცა ტყისკენ, ეგონა თავს შეაფარებდა, მაგრამ პირდაპირ სტოლიაროვს ჩაუვარდა ხელში.

„ფოკე-ვულფები“ სწრაფად გაეცალენ აქაურობას. ჩვენები მისდევენ და არ ეშვებიან. ჩვენი პოლკის მფრინავებმა თავი მოიყარეს. არავინ დაზიანებულა, თვითმფრინავებიც უვნებელია. ეხლა დგანან, მხიარულად ყაყანებენ, თავთავის შთაბეჭდილებებს ჰყვებიან. ვიღაც გაცხარებული უმტკიცებს მეორეს — ჩემი თვალით დავინახე ჩვენმა „იაკოვლევა“ ორი „ფოკე“ ჩამოაგდო და მესამე ზედ ეს დამთხვეული ტყვედ ჩავარდნილი ფრიცი მიაყოლაო.

— რომელი იყო, ვერ ვენიშნე? — ჰკითხეს აქეთ-იქიდან.

— ოცდამეორე ნომერი.

— ო-ო, ეგ, ძაო, მერკვილადის მანქანა ყოფილა. აბა რას იზამდა!

სიხარულისა და სიამაყის გრძნობით მევსება გული. თან ვფიქრობ — ნაადრევი ხომ არ არის-მეთქი ჩემი განსაკუთრებული სიხარული. იქნებ დღეს სხვა მართავდა ნომერ ოცდამეორე თვითმფრინავს!

ამასობაში სტოლიაროვი აღტაცებული მომითხრობს ვასია კრავცოვის ამბავს. რომელიღაც ტექნიკოსს დაჰკვიანებია ორმოში დამალვა. მტრის იერიში რომ დაიწყო, ის ტყისკენ გამოიქცეულა, ნამსხვრევი მოხვედრია და წაქცეულა. თურმე ვასია ვერაფრით დააკავეს — მაშინვე დაჭრილთან მიიჭრა, ხალათი გაიძრო, წყლული შეუხვია და დიდი გაჭირვებით შეათრია ტყეში.

კომკავშირელი ვასია კრავცოვი, თხუთმეტი წლის მამაცი მებრძოლი, თავდახრილი, აწითლებული ღვას და თვალებს მორცხვად აპარპალებს.

აეროდრომის თავზე გადმოიჭროლეს ჩვენმა გამანადგურებლებმა, რომლებიც წედან ფაშისტებს გამოენთენ. სალმის ნიშნად ფრთები დაარხვის და თავიანთ სამყოფლისაკენ გაემართნენ. მაგრამ ერთი მათგანი დანარჩენებს გამოეყო, გეზი ჩვენსკენ აიღო და დასაფრენ ბილიკზე დაეშვა. ეს იყო თვითმფრინავი ნომერი ოცდამეორე.

პირველი მე მივიჭერი ამ მანქანასთან და კვლავაც უზომოდ გავიხარე, როცა



კაბინიდან მერკვილადის თვალბმა გამოანათა. უმალ სხვებიც მოიჭრენ, მაშინვე მფრინავი ხელში აიტაცეს და ჰაერში შეისროლეს, ისევ დაუშვეს და ისევ შეისროლეს. თან აღტაცებულნი ყიყინებდნენ, ულოცავდნენ, იცინოდნენ, როხ-როხებდნენ.

მოვიდა პოდპოლკოვნიკი რიმშინი.

— თქვენი დიდად მადლობელი ვართ, — მოკლედ მოუჭრა მან უკვე ფეხზე მდგარსა და გაქიმულ მფრინავს. — მანქანა ხომ არ დაგიზიანდა?

— ზეთის სადენი მოშალა ტყვიამ, ამიტომ მომიხდა დაშვება.

პოდპოლკოვნიკმა თვითმფრინავს თვალი შეავლო. მისი მზერა შეჩერდა კორპუსზე, სადაც ბრწყინავდა მერკვილადის მიერ ჩამოვადებულ მტრის თვითმფრინავთა რაოდენობის აღმნიშვნელი თორმეტი ვარსკვლავი.

— მოსიყევ, საქმეს შეუდექით! — კვლავ მოკლედ მოსჭრა რიმშინმა.

ტექნიკოსი მოისყევი უმალ მიხვდა, რასაც უბრძანებდნენ. მცირე ხნის შემდეგ მან იმ თორმეტ ვარსკვლავს სამიცი მიუხატა გვერდზე.

ასე თხუთმეტი ვარსკვლავით დამშვენებული თვითმფრინავით მოსწყდა მიწას მერკვილაძე ჩვენი აეროდრომიდან.

*
* *

ათას კილომეტრზე მეტია ფრონტის ხაზის სიგრძე. ბალტიის ზღვიდან კარპატებამდე გადაჭიმულია ეს ვეებერთელა ასპარეზი ბრძოლისა და სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებისა. ამ ასპარეზის ერთ-ერთი უბანია ჩვენი ადგილსამყოფელი — სანდამირის პლაცდარმი, რომელიც ჯერ კიდევ აგვისტოში დაიკავეს ჩვენმა ჯარებმა. აქედან უნდა წარიმართოს ჩვენი ფრონტის ნაწილების ძირითადი დარტყმა. შემდეგში გამოირკვა, რომ ეს დარტყმა ყოფილა გაშლილი შეტევის გრანდიოზული გეგმის ერთი პირველი ნაწილთაგანი.

ოპერაციის დაწყების წინა დამით მეტეოროლოგებმა რიმშინს მოუტანეს უკანასკნელი სინოპტიკური რუკა. ამინდი კარგს არაფერს გვიქადა. მთელ ფრონტზე ციკლონი მძვინვარებდა. თოვლის, ნისლის, დაბალი დრუბლიანობისა და — ყველაზე უარესი — საშინელი ყინვის აღმნიშვნელი ლაქები იმაზე მეტყველებდა, რომ ხვალინდელ დღეს ფრენაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. მაგრამ ჩვენც იმიტომ გვერქვა საბჭოთა მებრძოლები, რომ შეუძლებელი შესაძლოდ გავგეხადა. ასე გეგვალებდა სარდლობა.

პოდპოლკოვნიკმა შეარჩია ყველაზე გამოცდილი მფრინავები, „ბრმა ფრენის“ ოსტატები.

გამთენიის ხანს ჩვენ უკვე აეროდრომზე ვიყავით. შორით მოისმა ყრუ გრუხუნის, რომელიც უფროდაუფრო ძლიერდებოდა.

— დაიწყო! — ჩაილაპარაკა ოდნავ დაძაბულმა რიმშინმა. — აბა, თვითმფრინავებზე!

„შინ“ ეტოვებთ მრავალ გულდაწყვეტილ მფრინავს, განსაკუთრებით ახალბედებსა და ნაკლებ გამოცდილებს. ისინი ვერ შერიგებიან იმ ამბავს, რომ ბრძოლაში ვერ ჩაებმებიან — ასეთ ამინდში საფრენად საჭიროა დიდი ოსტატობა, რაც მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ.

ჰო, ისინი გულდაწყვეტილნი რჩებიან, ჩვენ კი ვწყვილებთ და ისე მივეშურებით დასავლეთისკენ, რათა ჩვენი დარტყმებით სახმელეთო ნაწილებს შეტევა გავუადვილოთ. საგანთიადო ბინდ-ბუნდსა და თოვალში ძლივს მოვატანე თვალი დაბლა გაკლავნილ ვისლას. საერთოდ კი თითქმის არაფერი ჩანს.



ფრონტზე ჩამოვარდნილი სიწყნარის დროს ფაშისტებს მიმდგომი მხარეები ძლიერ გაუმაგრებიათ. თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრიგალისებური სახენიტო ცეცხლით ვგვხვდებიან. ღრუბლიანობა ძალზე დაბალია, ასე რომ ზენიტ-საწინააღმდეგო მანევრირება ჭირს. დიდი სიფრთხილე და გულისყური გვმართებს. ჩემს გამო იმდენად არა ვწუხვარ, ჩემი ბიჭების ბედი მაფიქრებს — ერთად მაინც ვიყოთ, რომ გაჭირვების ქამს დახმარების გაწევა შემეძლოს...

პირველ დღეს რვაჯერ მოგვიხდა დასავლეთისკენ გაფრენა. იანვრის დამდეგის მოკლე დღე თვალსა და ხელს შუა მიიღია. საბოლოოდ რომ შევიყარეთ, შვებით ამოვისუნთქე — ყველანი უვნებლად დაბრუნებულნიყვენ, თვითმფრინავიც სერიოზულად არავის დაზიანებოდა.

მაგრამ მეორე დღემ დიდი მწუხარება მოგვიტანა.

„თავისუფალ ნადირობაზე“ წასული ალექსანდრე კროტოვი, ჩვენს ესკადრილიაში აღზრდილი მამაცი მოიერიშე, აეროდრომზე აღარ დაბრუნებულა.

ალექსანდრე კროტოვი გადაჰყარა მტრის ეშელონს, რომელსაც ჯავშნოსანიც ჰხლებია. იერიში რომ მიიტანა, მის თვითმფრინავს პირდაპირი დამიზნებით მოხვდა ჭურვი. გამოსავალი აღარ იყო, მაგრამ კროტოვმა მაინც იმდენი ოსტატობა იხმარა, თვითმფრინავი „მუცლით“ დააჯინა მტრის ტერიტორიაზე.

დანარჩენი სამი დღის შემდეგლა შევიტყუეთ, როცა ჩვენმა ჯარებმა ის ტერიტორია დაიკავეს. გერმანელებმა გონდაკარგულ მფრინავს მიუსწრეს, საშინლად აწამეს და შემდეგ ცოცხლად ჩაფლეს მიწაში, მხოლოდ თავი დაუტოვეს მიწის ზემოთ. ბოლოს მხეცებმა ესეც არ იკმარეს და ჩვენს საყვარელ თანამებრძოლს ორივე თვალი ხიშტებით ამოთხარეს.

ყველანი შეგვაძრწუნა ამ გაუგონარმა მხეცობამ. არავის უთქვამს, არავის უბრძანებია, ისე შეიყარა მთელი პოლკი. არც სიტყვით გამოსვლა დაუფალებიათ ვინმესთვის — ბიჭები თვითონ დგებოდნენ და სამი-ოთხი წინადადებით ფიცს სდებდნენ, რომ ფაშისტებს ასკეცად აღუვინებდნენ ამ დანაშაულს. ბოლოს რამდენიმე კაცი გამოყვავით, სოფელში გავაგზავნეთ, ცხედარი გადმოვატანინეთ და ვისლის ნაპირას მიწას მივაბარეთ მამაცი მფრინავი ალექსანდრე კროტოვი...

სანდამირის პლაცდარმიდან დაწყებული მედგარი შეტევა გრძელდებოდა. ჩვენი ჯარები სულ უფრო სწრაფად მიიწეოდნენ დასავლეთისკენ.



თებერვლის დამდეგს ჩვენი ფრონტის ჯარები უკვე ოდერს უახლოვდებოდნენ. ჩვენ დაგვავალეს ყოველმხრივ შეგვეწყო ხელი ქვეითი ნაწილებისათვის ოდერის გადალახვის დროს. მდინარეზე კვლავაც მიიმე ღრუბლები ეკიდა. კვლავაც ძნელი იყო დაბალ სიმაღლეზე ფრენა და მანევრირება, მაგრამ ჩვენ კვლავაც შეუძლებელს შესაძლოდ ვხდიდით. ყოველ დილას ახალი და ახალი საზრუნავი მოჰქონდა, ყოველ საღამოს ცხადი ხდებოდა, რომ იმ დღეს მეტი გაფრენა მოგვეხდინა, უკეთესი შედეგებისათვის მიგვეღწია.

უკანასკნელ ხანს ჩვენი დარტყმები უმთავრესად მიმართულია ქალაქ ვროცლავისაკენ. ეს ქალაქი და მისი მისადგომები ფაშისტებმა ნამდვილ ციხე-სიმაგრედ აქციეს. ყოველი სახლი, ყოველი ხე თუ ბუჩქი ცეცხლს აფრქვევდა და სიკვდილით იმუქრებოდა. და, მიუხედავად იმისა, რომ მიმდგომი სანახები საბჭოთა ჯარებმა უკვე დაიკავეს, რომ ვროცლავი უკვე ვარშემორტყმული იყო, მისი აღება მაინც ერთობ გაძნელდა.



იმ დღეს სამჯერ გავრფინდით ვროცლავისაკენ. უკან დაბრუნებულნი ვავს მოვიწარაგებდით, ერთი-ორ ლუქმას გადავყლაპავდით და კვლავ დასავლეთით მივეჭურებოდით.

მეთხე გაფრენისთვის მზად ვიყავი, როდესაც ბრძანება შეიცვალა. მე რიმ-შინთან დამიბარეს სასწრაფოდ.

პოდპოლკოვნიკის ოთახში ჩვენი შენაერთის უფროსი გვარდიის პოლკოვნიკი დონჩენკო დამიხვდა. ეს იყო სახედამწვარი, ენერგიული, ჩასკენილი კაცი. შესვლისთანავე სწრაფად ამთვალეირა და მზერა ჩემს გამხდარ სახეზე შეაჩერა.

— ფრონტის ჩვენს უბანზე ბრძოლები უმთავრესად მიმართულია მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების გასანადგურებლად, — მშვიდი ხმით დაიწყო რიმშინმა. — მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ჯარების დარტყმები ერთობ ძლიერია, გერმანელების ცეცხლის ინტენსიობა არ მცირდება. დასკვნა თავისთავად იზადება: ამ ტერიტორიაზე მოთავსებული უნდა იყოს საჭურჭლის დიდი საწყობი. აუცილებელია მისი აღმოჩენა და მოსპობა. დაუზუსტებელი ცნობებათ საწყობის აღვიღმდებარეობა საგულეებელია აი აქ, — მან რუკაზე წრე შემოხაზა. — საქმეს ის ართულებს, რომ საწყობი ისეა შენობილი, ჰაერიდან მისი აღმოჩენა ვერასგზით ვერ მოხერხდა. და აი... — რიმშინმა მცირე პაუზა გააკეთა, შუბლზე ხელი გადაისვა და იმედნეული მზერა მომამყრო. — და აი, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ამ ამოცანის შესრულებას თქვენი ესკადრილია შეძლებს...

— თქვენ დიდ ნდობას გიკვადებენ, ამხანაგო გვარდიის კაპიტანო, — ბოხი ხმით მომმართა დონჩენკომ.

— შევეცდები გავამართლო თქვენი ნდობა!

— იმ საწყობს დღესვე უნდა მოედოს ბოლო, — მტკიცედ დაუმატა მან.

— გასაგებია? — კვლავინდებურად მშვიდი ხმით შემეკითხა რიმშინი.

— ყველაფერი გასაგებია, ამხანაგო მეთაურო, შევეცდები არ დაგაღალატოთ.

— მაშ გავრენის წინ თქვენი გეგმა გამაცანით.

გულდასმით შევისწავლე დაზვერვის მონაცემები, საბრძოლო გეგმა შევადგინე და რიმშინს ვვახელი. პოდპოლკოვნიკმა აზრი მომიწონა. ამის შემდეგ ეკიბაჟი შეეყარე და დაწვრილებით გავაცანი დავალემა. ჩემს თანამებრძოლთა თვალეზში ეჭვის ან დაზნეულობის ნატამალიც არ აკიაფებულა.

— თვითმფრინავებზე! — გავეცი ბრძანება გამხნევებულმა.

საიერიშე დარტყმისთვის მოხაზული რაიონი მოზრდილი დასახლებული პუნქტის ახლოს მდებარეობს. მიახლოებისთანავე საშინელი ცეცხლი გავვიხსნენს, მაგრამ ჩვენ არაფერს ვეპუებით.

თვითმფრინავს ფრთიდან ფრთაზე აქეთ-იქით ვაწვენ, ასე უფრო მოსახერხებელია დაკვირვება.

უკვე კარგა ხანია ამ უბანს თავს დაეტრიალებთ, მაგრამ ჯერჯერობით ისეთი ვერაფერი შევნიშნეთ, ოდნავ მაინც საეჭვო იყოს.

შორით გამოჩნდა მოზრდილი, ხელოვნურად გაშენებული ტყე, მის ნაპირას კოხტა ფერმა და კარ-მიდამო. აქ, რა თქმა უნდა, საწყობს არავინ გადმოიტანდა, მაგრამ მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, გული რომ დამეჯერებინა, თავზე გადავუფრინე და გულდასმით დავაკვირდი. როგორც ჩანდა, ფერმაში კარგა ხანია აღარავინ სახლობდა, იქაურობა გავერანებულიყო.

აღრენილმა შემოვებრუნე თვითმფრინავი — ამოიდ დავკარგე-მეთქი ძვირფასი დრო და ძვირფასი საწყავი. სწორედ ამ დროს თვალი ვკიდე ფერმიდან დასახლებული პუნქტისაკენ მიმავალ გზას. ეს იყო ჩვეულებრივი სასოფლო გზა,



საკმარად ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული. მაგრამ დაკვირვებული თვალი ღრმად აღიქვამდა ლიდანაც უმაღლესი შენიშნავდა, რომ ამ გზაზე დღეიდანაც გაცხოველებულ მოსვლა უნდა ყოფილიყო.

ჰოდა, რა საქმე უნდა ჰქონოდა ტრანსპორტს მიტოვებულ ფერმასთან? გადაწყდა, აქ არის საწყობი!

ერთადერთი ის არის გაუგებარი, რომ იმ ფერმის მიდამოებში საზენიტოების ჩამი-ჩუმი არ ისმის. არა უშავს, ეს ამბავიც გაირკვევა.

— ყურადღება! — გადავეცი ეთერში ჩემიანებს. — იერიში მიგვაქვს ფერმასზე. ვიწყებთ პიკირებას!

ესკადრილია მწყობრად შემობრუნდა. ტყის პირისაკენ დავექანეთ. იმავე წამს ხეებს შორის ცეცხლოვანი ენები გამოკრთა და იქაურობა საზენიტოების გრიალმა შეძრა. ტყვიამფრქვევთა ტრასები ჩვენი თვითმფრინავებისაკენ გამოიჭრა. ირგვლივ ჭურვების თეთრ-ყვითელი სოკოები სკდებო.

რამდენიმე ტონა ბომბი ჩამოვყარეთ ფერმის თავზე. ჭურვების მარავიც ზედ მივახარჯეთ. თავდაპირველი ყრუ აფეთქების ხმა საშინელმა გუგუნმა შეცვალა. ფერმას თანდათანობით ეშორდებით, მაგრამ იქ არ წყდება მძლავრი გუგუნის.

საჭურვლის საწყობისგან აღარაფერი დარჩენილა.

*
*
*

თებერვლის მიწურულს როგორც იქნა გამოიძარა, ღრუბელი და ნისლი გაიფანტა და მზემ ოდერი ააქაშკაშა. ამინდის გაუმჯობესებისთანავე ბრძოლები გამძაფრდა და გასასტიკდა. ჩვენმა ჯარებმა სწრაფად წაიწიეს წინ და ჩვენი ზარმურტებიც შეიცვალა — მტრის უფრო შორეულ ზურგში იქნა გადატანილი.

მივფრინავთ რკინიგზის მოზრდილი სადგურისაკენ. ცხრა მოიერიშეს ოთხი „იაკოვლევი“ ახლავს მცველად. უკან დარჩა ალყაშემორტყმული, ცეცხლსა და კვამლში გახვეული ვროცლავი და მისი სანახები.

მცირე ხნის შემდეგ მარცხენა ფრთის ქვეშ თვითმფრინავთა დიდი ჯგუფი გამოჩნდა.

— შეხედეთ, ამხანაგო მეთაურო, რამდენი თვითმფრინავია, — მიყვირის რადიოში პეტროვი. — ალბათ იერიშიდან ბრუნდებიან.

მანქანა მარცხნივ გადახვარე და შემხვედრ ბომბდამშენებს დაეაკვირდი.

— პეტრუხა, ეს ხომ ფრიცები არიან!

— როგორ ფრიცები? თითქოს ჩვენი მოიერიშეები უნდა იყვნენ...

— აბა დაუკვირდი, „იუნკერს-52“, როგორ ვერა სცნობ?

გერმანელების სატრანსპორტო თვითმფრინავებია. ორმოცამდე იქნება. მძიმედ მიიზღაზნებიან აღმოსავლეთისკენ. აჰა, ცხადია, საითაც მიდიან — ვროცლავთან მომწყვდეული ჯარებისთვის სურსათი და საჭურველი თუ მიაქვთ, პარაშუტებით ჩაუყრიან.

— რას იტყვი, პეტრუხა, ხელიდან გასაშვები არიან ეხლა ეგ სულძაღლები?

— არავითარ შემთხვევაში! — მიდასტურებს ნიკოლოზი.

— სწორი ხარ, ჭირიმე!.. „იაკოვლევებო“, „იაშკებო“!.. — გამოვუძახე მერკვილაძესა და მის ბიჭებს. — დაბლა ორმოცდაათორმეტანების დიდი ჯგუფი მიემართება. ერთი თქვენებურად დააქაჩეთ... ჩვენ როგორმე ისედაც იოლას წავალთ, უთქვენოდ!



— თავიდან ასე გეთქვა, ოთარ, გენაცვალე, თორემ პირდაპირ კბილებში
მიკაწკაწებდა იმათ შემყურეს... — გაიხარა გარიმ და ეთერში უმალ გაისმა მისი
ბრძანება: — „იაკოვლევებო“, მე მერკვილაძე ვარ. ერთი დაცხოთ სატრანს-
პორტოებს, მაგათი პატრონი...

მერკვილაძის ოთხეული მკვეთრად შებრუნდა და „იუნკერებს“ გამოენთო.
გამონთებით კი გამოენთენ, მაგრამ ოთხი ორმოცთან რას უნდა გახდეს? —
გავიფიქრე. — გერმანელებს დიდი რიცხოვრივი უპირატესობა აქვთ. ვაი თუ
ცუდად წაუვიდეთ ბიჭებს საქმე! მოდი შევებრუნდე, ჩვენი ესკადრილიც მივა-
შველო, ჰა? მაგრამ უბედურება ისაა, ჩვენი თვითმფრინავები ბომბებით ისეა
დატვირთული, საძრაობა აღარ აქვთ. ბრძოლა ჩვენც ძალზე გაგვიძნელებდა.
ესეც არ იყო, ესკადრილიაში სამი ახალბედა, სულ გამოუცდელი მფრინავია
და ბრძოლაში რომ ჩავებმებით, შესაძლოა დამძიმებული მანქანის სწრაფად
წართვასა და მანევრირებას თავი ვერ გაართვან და რაიმე მარცხი მოუვიდეთ.
არადა მერკვილაძის ბიჭების ორმოცი „იუნკერის“ პირში შეტოვებაც არ
იქნება და არა.

ამასობაში წამი წამს მისდევს. წუთი — წუთს და ჩვენ სულ უფრო ვშორ-
დებით ბრძოლის ადგილს. ვინ იცის, რა ხდება იქ ახლა?

მღელვარებისა და დაძაბულობისაგან თრთოლა დამაწყებინა, ოფლმა და-
მასხა.

რადიოში მომესმა მერკვილაძის ბრძანებები. ბრძოლა ის იყო ჩაღებოდა.
და უცებ თვალწინ წარმომიდგა სურათი: ალყაში მოქცეული გამწარებული,
დამშეული, უტყვიაწამლოდ დარჩენილი ფაშისტები გამალებულნი აწყდებიან
აქეთ-იქით და ჰაერშივე იჭერენ პარაშუტებით ჩამოგდებულ სურსათს, ტყვიე-
ბის, ჭურვების, ხელყუმბარების ყუთებს და კვლავ საბრძოლველად მიემართე-
ნიან ძალმოცემულნი. კვლავ უნდა დაიღუბონ მათ მიერ ნასროლი ტყვიებით
ჩვენი მებრძოლები, რომლებმაც ასე მოახლოეს გამარჯვების ნანატრი დღე.
ვინ იცის, რამდენი ხარკოველი, აშხაბადელი, ვოლოგდელი თუ ჭიათურელი ჭა-
ბუკი უნდა განიგმროს იმის გამო, რომ მე აქ ვყოყმანობ და ვერ გადამიწყვეტია
ბრძოლაში ჩავაბა ჩემი ესკადრილი!

არა, არ იქნება, არ შეიძლება! რაც უნდა მოხდეს, რაც უნდა მითხრან,
თუნდაც ჩინი ამყარონ თვითნებური გადაწყვეტილებისთვის.

ბრძანება არ გამიცია, ისე შევატრიალე და უკან გავაბრუნე ჩემი ეს-
კადრილი.

— სპექულანტები უნდა დავაწიოკოთ? — მიმიხვდა განზრახვას მიხოლი-
ჩენკო. — კარგსა ვშვრებით, ამხანაგო მეთაურო, მე და ჩემმა ღმერთმა, ალალი
საქმეა!

გამოვლილი კილომეტრები თვალის დახამხამებაზე დავფარეთ.

— გარი, ოთარი ვარ, თქვენს დასახმარებლად მოვეშურებით! — გადავეცი
მერკვილაძეს:

— გავიგე, ჩემო ოთარი! — გაიხარა მერკვილაძემ.

ორი-სამი წუთიც და სატრანსპორტოების გუნდს გავერიეთ. რაც კი გაგ-
ვაჩნდა, ყველა იარაღი ავამოქმედეთ. ისინი კიდევ უფრო აირივნენ და აწრიალ-
დნენ. მრავალ მათგანს ჭურვი მოხვდა, „მუცელი“ გაეხსნა და იქიდან ტვირთი
გადმოიხნა. ჩვენს სახმელეთო ჯარებს პირდაპირ სანგრებში ჩაუფრინდათ
პარაშუტიანი სიგარისებური ტომრები.

ჰაერში ნამდვილი დომხალი იყო. ჩვენი თვითმფრინავები „იაკოვლევებო“



აირია, ყველანი ერთად კი „იუნკერებს“ შევერკინეთ. აი, მერკვილაძე მერკვილაძის სატრანსპორტო დიმიტროხელა და მიწას დაანარცხა. აგერ იარლიკოვის მანქანიდან ცეცხლმა იფეთქა და ნამსხვრევებად აქცია მეორე იუნკერსი.

— გაამოს! — დავლოცე რადიოთი იარლიკოვი და ამ დროს ჩემს თვითმფრინავს კინაღამ ჩამოეჯახა მაღლიდან დაქანებული „იუნკერს-52“. შემკრთალმა სწრაფი მანევრით მარჯვნივ გავაქანე მანქანა. პეტროვსაც ეს უნდოდა — „იუნკერსი“ მიზანში ამოიღო და „ზურგზე ბოლი აღინა“.

ვიღრე მეორე სატრანსპორტოს ამოვითვალთვალე, ჩემს თავზე შეუბოვარი ბრძოლა გაჩაღდა — უმწეო „სპეკულანტებს“ თავიანთი გამანადგურებლები გამოეძახებინათ და მერკვილაძის ბიჭები ეხლა მათ ერკინებოდნენ. ორი-სამი თვითმფრინავითურთ მე სატრანსპორტოებს თავი დავუარე და ხელახლა ვეკვეთე გამძაფრებული. პეტროვი სულ გადაირია — ტყვიამფრქვევს აკაჯანებს და აღარ აჩერებს თუ ვეღარ აჩარებს.

— გეყოფა, პეტრუხა, მთავარ დავალებაზე რილათი აპირებ წამოსვლას?

მაგრამ ჩემი გაფრთხილება საჭირო აღარ შეიქნა: ჩემი მანქანის უკან, პეტროვის მხარეს ერთი „იუნკერსი“ აღარ დარჩენილა. მათ პირი იბრუნეს, ერთობლივ დასავლეთისკენ მოუსვენს და ბრძოლის ველზე რვა ჩამოგდებული თანამომე დატოვეს.

ეთერში გაისმა სახელმოხვეცილი გამანადგურებლის პოკრიშკინის სიგნალები:

— მოიერიშებო, მე პოკრიშკინი ვარ! დიდი მაღლობა, რომ ამდენ ხანს შემიჩერეთ ეს წყეული სატრანსპორტოები!..

და იგი თავის ჯგუფითურთ შევარდენივით გაერია გაქცეულ „იუნკერსებს“.

მე კი კვლავ შევკრიბე ჩემი ცხრა მოიერიშე და ოთხი გამანადგურებელი და, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, დავალების შესასრულებლად გავემართე...

ჩვენს აეროდრომზე დაბრუნებულნი სამეთაურო პუნქტთან მდგარ რიშკინს ვეახელით.

— თქვენი დავალება მთლიანად შესრულებულია, — ვუბატყე მე. — გარდა ამისა, იქითობას გადავეყარეთ და ბრძოლა გავუმართეთ მტრის სატრანსპორტო თვითმფრინავების დიდ ჯგუფს, რომელიც ალყაშემორტყმული ქალაქისაკენ მიდრინავდა. ჩამოგდებულია რვა „იუნკერს-52“. ხუთი მათგანი მერკვილაძის ჯგუფმა ჩამოაგდო, დანარჩენთაგან ერთი — იარლიკოვმა, მეორე — მსროლელმა პეტროვმა, მესამე კი მე მხედა წილად. თვითმფრინავების ჩამოგდებაზე დამოწმების გამოგვიგზავნიან — ქვეითი მეკავშირეები შეგვპირდნენ ამ საქმის მოგვარებას. მოგახსენებთ გვარდიის კაპიტანი ჩეჩელაშვილი... — და გავიღიმე.

მაგრამ პოლბოლკოვნიკს არ ეღიმიებოდა:

— ვინ მოგცათ უფლება, რომ ბომბებით დატვირთული მოიერიშეები ბრძოლაში ჩააბით? საამისოდ თქვენ გამანადგურებლები გახლდნენ თუ არა? — თითქმის ხმას აუწია მან. — რა, ვადაწყვეტით გამოუტყდელი მფრინავები დამილუბოთ? თქვენ დავაგიწყდათ, ამხანაგო ჩეჩელაშვილო, რა არის თქვენი უპირველესი მოვალეობა, დავაგიწყდათ, რომ...

შევატყე — ცუდად მიდიოდა საქმე, ამიტომ გაკადნიერება ვარჩიე და სიტყვა შევაწყვეტინე:

— ჩვენი უპირველესი მოვალეობა გახლავთ გვანადგუროთ მტერი მიწაზე, წყალში და... — კვლავ გავიღიმე: — და ჰაერში...

— დასწყევლოს ღმერთმა, აღარ ვიცი — მოიერიშეთა პოლკის უფროსი

ვარ თუ გამანადგურებლებისა! — გაეცინა ბოლოს რიმშინსაც.

— ამხანაგო მეთაურო, — ჩაერია საუბარში შტაბის უფროსი, — მე მგონი ამათ ჯილდოს მეტი არაფერი დაუმსახურებიათ.

— ჰო, ჰო, კარგი, ნუ შემომიჩნდით! — გაწყრა რიმშინი. — ისა სჯობბა, ქაღალდები გაამზადოთ, თორემ ამათ დაბრუნებამდე დივიზიის შტაბიდან დამირეკეს — სარდლობას უკვე ყველაფერი შეუტყვია და გენერალმა ამათი ჯილდოზე წარდგენა ბრძანა... შენ კიდევ შენს ბიჭებს მიხედე, ოთარ, წადით და დაისვენეთ!

„შენობით“ და „ოთარობით“ მომართვა უკვე სრულ შერიგებას ნიშნავდა და მეც გახარებული გავტრიალდი.

*
*
*

იმ დღეს დიდი ბრძოლა გადაგვხდა, იმდენად დიდი, რომ ყველანი თითქმის ილაჯგაწყვეტილნი დავბრუნდით. საღამოვდებოდა. ახალი საბრძოლო დავალების მიღება მოსალოდნელი აღარ იყო, ამიტომ პოლკის უფროსთან რომ გამოვეცახეს, მაინცდამაინც აღფრთოვანებულნი არ წამოვმდგარვართ ჩვენ-ჩვენი ადგილებიდან. ხოლო როდესაც რიმშინმა ხვალინდელი დღის ყველასთვის უკვე ნაცნობ დავალებაზე ჩამოგვიგდო სიტყვა, მფრინავები უკმაყოფილოდ შეიმშუმუნენ. გაზიზულნიმა რალაც „გააქირა საქმე“ მაგვარიც კი ჩაიბურტყუნა.

— შეკითხვები ხომ არა გაქვთ? — როგორც იქნა დაასრულა პოდპოლკოვნიკმა.

ვინ გიყი იქნებოდა შეკითხვებით გაეკიანურებინა დრო. ყველანი მოუთმენლად ველოდით ნანატრ სიტყვებს: „თავისუფალნი ხართ“. მაგრამ რიმშინი ასე არ ფიქრობდა.

— ცოტა ხანს კიდევ უნდა შეგაჩეროთ, — რალაცნაირად პათეტიური ტონით დაიწყო მან მცირე პაუზის შემდეგ. — ჩვენ პოლკში მიღებულია დეპეშა და მინდა წავიკითხოთ.

— საინტერესოა, საინტერესოა!.. რა დეპეშა უნდა იყოს? — გულს გარეთ იკითხა გაზიზულნიმა და ერთი ისეთი მიაშქნარა სტოლიაროვს, ზრდილობის ყველა ნორმა აშკარად დაარღვია.

სხვა დროს რიმშინი ასეთი საქციელისთვის ვინც უნდა ყოფილიყო ტყავს გააძრობდა. ამჯერად არაფერი შეიმჩნია, თვალის კი აარიდა გაზიზულნის და ავლავ პათეტიურად განაგრძო:

— მართალია, ეს დეპეშა გვარდიის კაპიტან ოთარ ჩეჩელაშვილის სახელზეა, მაგრამ მე მგონი ატაშა არ გვიწყენს, თუ საჯაროდაც წავიკითხავთ. დეპეშა საპაერო არმიის სარდლისგანაა...

გაზიზულნი უკვე მეორედ აპირებდა დამთქნარებას და სტოლიაროვმა საჩვენებელი თითიც კი მოამზადა, რომ მისთვის პირში ჩაეჩხირა, მაგრამ პოდპოლკოვნიკის ბოლო სიტყვებმა მაგიურად იმოქმედეს. შევწვერა კაპიტანს მთქნარების ხალისი დაეკარგა და პირი ღია დარჩა, სტოლიაროვს გაზიზულნიც გადაავიწყდა და თავისი თითიც; სხვებიც ერთბაშად გამოცოცხლდნენ, ჯერ შეჩოჩოლდნენ, აჩურჩულდნენ, მერე გაიტრუნენ. პოდპოლკოვნიკის ოთახში წამით სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა და ამ სიჩუმეში მკაფიოდ გაისმა რიმშინის აწეული ხმა:

— აი რას იწერება სარდალი: „ამხანაგო ჩეჩელაშვილო, სულით და გუ-



ლით გილოცავთ უმაღლეს ჯილდოს — საბჭოთა კავშირის გმირის წოდების შიშის
ნიჭებას... ვისურვებთ ჯანმრთელობას და ახალ-ახალ წარმატებებს თავისებე-
თან ბრძოლაში“...

პირველი ვასია კრავცოვი გამოქანდა და ყელზე ჩამომეკონწიალა. ოთახში
ტაში გრიალებდა. ბიჭებმა რიმშინს აცალეს ჩემთვის ხელი ჩამოერთმია და გა-
დავეკოცნე, მერე კი ყველანი ერთად მომცვივდნენ, პაერში ამიტაცეს და ისე-
დაც თავბრუდასხმული შემისროლეს და შემისროლეს მაღლა-მაღლა...

... ორი-სამი დღის შემდეგ ჩვენი დივიზიის რამდენიმე პილოტი სატრანს-
პორტო თვითმფრინავით გავემგზავრეთ მოსკოვისაკენ და მალე მე ჩემს სიცო-
ცხლეში პირველად წარვდექი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ-
მის თავმჯდომარის მიხეილ ივანეს ძე კალინინის წინაშე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



შედგინო ბასია ღოკა

მოჭრეს სამი ხე

სამი ხე იდგა
(დღემ მოიტანა ცულის ხმაური)
ორილა დარჩა
(ფრთამოტეხილი ორი ფრინველი)
ერთი-ლა იდგა,
ჩერე — არცერთი
და ნაკადული დარჩა შიშველი.

ბზაჯვარაღინი

აშარი ქარი.
წვიმა, ფანარი,
და გულში ჯიქურ —
— დანა.
ქუჩა... მავთულის ზუზუნი ურჩი,
ღამეა ცივი, ქარია ლურჯი...
ყოველის მხრიდან,
წაუხვალ განა.
მოგელის ჯიქურ —
— დანა!

გიტარა

გიტარა იწყებს
მწუხარე ქვითინს.
იმსხვრევა დილა —
— გიტარა მღერის.
გიტარა იწყებს
მწუხარე ქვითინს,
ო, მღუმარებას მისგან ნუ ელი.
ო, მღუმარებას მისგან ნუ ითხოვ.
შეუსვენებლად გიტარა ტირის.
ის დაბორკილი წყალივით ტირის,
ის თოვლიანი ქარივით ტირის,

ო, მღუმარებას მისგან ნუ ითხოვ,
 ო, მღუმარებას მისგან ნუ ელი...
 ასე შესტირის შუალამე ნათელ განთიადს.
 ის არი, მიზანს აცდენილი ქვითინებს ასე.
 ასე მისტირის სასოებით მცხუნვარე ქვიშა
 კამელიების ცივ სილამაზეს.
 ასეთი კვნესით ეთხოვება სიცოცხლეს ჩიტი,
 რომელსაც გველის შხამიანი ისარი ელის...
 ო, ეს გიტარა დაკოდილია,
 ხუთი უწყალო ჯალათის ხელით.

პეიზაჟი

ზეთისხილების მღუმარე ველი
 მარაოს გაშლის და ისევ კეცავს.

ზეთისხილების მღუმარე წყებას,
 მკერდით დაეყრდნოს — ზეცამ ინება.
 ზეთისხილებზე ციდან ნათელი,
 ცივი ნაკადი მოედინება.

არხის ნაპირას კანკალებს ღამე,
 კრთება ლერწამი ღამესთან ერთად
 და რუხი ქარი მათთან მესამე.

ფრთოსანთა მოთქმა არეს ედება, —
 ზეთისხილების მღუმარე წყებას
 შეჰკედლებია ფრინველთა გუნდი
 და ნაცრისფერი, რუხი ბინდ-ბუნდი,
 მათ გრძელ ბოლოებს ეთამაშება.

თარგმნა ნანა ხატისკაცმა





ვოსტალიონის ხმა მემამულებებისას არა ჰგავდა, დედამიწაზე მზის ხელახლად მოსვლას რომ ასწრებდნენ და ეზოში სიმღერასავით შემოიძახებდნენ ხოლმე: მაწონიო. ვოსტალიონის ხმა სწრაფად გათავდა, თითქოს პირზე ხელი დააფარესო.

ჩვენი ეზოს სიძე მოვიდაო, ვილაცამ დაიძახა და ჩაიკისკისა.

ვოსტალიონს ვითომც არაფერი გაუგონია, მხოლოდ ტუჩებზე გამოუქრთა მცირე ღიმილი და მერე რატომღაც ისევ მოიღუშა. მსუბუქი ნაბიჯით შემოვიდა ეზოში, წელში ოდნავ გადახნილიყო და შარვლის განიერ ტოტებს კაბის ბოლოსავით მოაფარფატებდა. ყვავილისგან ოდნავ დაკენკილ მოგრობ სახეზე მკრთალი დაღრეჯილობა აჩნდა, თითქოს ტანში რაღაც ტკივილი აწუხებო.

მემამულებთა ხმა დიდი ხანია აღარ ისმის. მზემ ამოიწია და ამჟამად ხეთა ჩრდილები მიწაზე ირწყევა. აივნებზე გამოფენილი ხალხი გრილ ჰაერს ეწაფება და თვალს წყალს ალევინებს.

ვოსტალიონმა გახეთქილი ბოძის ძირას მიაწყო, ცოტაოდენი ილღიაში ამოიჩარა და მეორე სართულის აივანზე სწრაფად აირბინა. ფეხებს განზე დგამდა და მუხლებში მცელავივით ოდნავ იკეცებოდა. აივანზე რომ ავიდა, ჩიტაძეო ჩახლეჩილი ხმით ისე სწრაფად დაიძახა, თითქოს ორმოში ვინმეს ჩასძახისო.

ოთახიდან მწყერავით გამოგოგმანდა ჩათოქმებული დიასახლისი, სველი ხელები ხალათზე შეიმშრალა და ვოსტალიონს წერილი ჩამოართვა.

— მანეთიანი უნდა! — უთხრა ვოსტალიონმა.

— თუმნინი იყოს!..

— შენ მაგას ვერ გაბედავ, ნათესავო!

პატარა დიასახლისმა ჩაიკისკისა. ეს კისკისი იატაკზე ბრინჯივით გაიბნა. ვოსტალიონის სახეს კი ერთი უღიმღამო ღიმილიც არ გაეკარა. ის საერთოდ ოდნავადაც არ იღიმებოდა, როცა მის სიტყვაზე სხვები ქვეყნისას იცინოდნენ.



იგი კიბეს ზღაზღით ჩამოჰყვავა, ხალათის ჯიბიდან ზანტად ამოიღო, რომელიც ალბათ საგანგებოდ ჰქონდა შენახული. კონვერტს დახედა, რადგან ეს მისი მოვალეობა იყო ან შეიძლება არ იყო; თუმცა ამჟამად ძალიან კარგად იცოდა ვის ეკუთვნოდა წერილი — მაინც დახედა და კი არ დაიძახა — წაიმღერა:

— ციალ-ა, ლამაზი ციალ-ა!..

ეზოში თავაწყვეტილი ხარხარი გაისმა. მან ჩვეულებრივად არ გაიცინა, არც ის შეიმჩნია, დიასახლისები რომ მის საქციელზე ხარხარებდნენ.

სიცილი ჯერ არ დამცხრალიყო, რომ ეზოს კუთხიდან. ფოსტალიონისკენ წამოყვლეულავდა ლამაზი ქალიშვილი, მოდიოდა და მოარხევდა გათქვირებულ ტანსა და თხელ აბრეშუმში გამოკვალთულ თეძოებს. ყალყზე შემდგარი მკერდი, თითქოს სუნთქვა შეუკრავსო, ისე გაყუჩებოდა. იგი გააწითლა აივნებიდან მოშინარალმა თვალბმა და თავი ჩაღუნა. კისერი კი რატომღაც ოდნავ მორღეცილი დარჩა. ბიჭს რომ მიუახლოვდა, წამიერად მალა აიხედა. მოაჯირის გასწვრივ ისევ ციმციმებდნენ ცნობისმოყვარე თვალეები. კიბის ფილაზე შემდგარიყო ფოსტალიონი და ქალიშვილს უხმოდ დაჰყურებდა. მის ცისფერ თვალეებში კრთოდა უცნაური, მიმქრალი ღიმილი. ქალიშვილს ესმოდა მისი მამაკაცური სუნთქვა და ხედავდა, მკერდის ქვემოთ შეჭმუხნილი ლურჯი სატინის ხალათი როგორ ირხეოდა.

ციალამ წერილი კი არ გამოართვა, გამოსტაცა და შინისკენ ტუსტუსით წავიდა. ქოშები ქვაფენილს ეხეთქებოდნენ და მკვეთრ, მონოტონურ ხმას გამოსცემდნენ. ნაირფერად მოჩითული ხალათის ბოლოდან ქალიშვილს მოუჩანდა თეთრი და ფუნჩულა ფეხები.

— რამ აგაწითლა, გოგო, უი დაიწვი შენ, როგორ ატყარატყარდა!

გადმოსძახა ქალიშვილს სქელმა ფეფენამ, პარმალზე რომ წამოყუნტულიყო და ისე იხედებოდა, თითქოს სიცილს ძლივს იკავებსო. მერე ფოსტალიონს გადახედა და თვალი ჩაუკრა.

— ამ გოგოს ნუ გააწითლებ ხოლმე შენ, მიშავ, იცი რა ხარ!

ფოსტალიონი ვიღაც მოხუცს ფანჯარაში გაზეთს აწვდის და საყვედურზე ასე პასუხობს:

— ჰა, ნათესავო, ნუ გიყვარს ხოლმე ხუმრობა აი!..

ციალამ სადღაც კისრის არეში იგრძნო ფოსტალიონის გამჟოლავი მხერა. იგი კარებში სწრაფად შევარდა, ასე გონია, ნიაღვარს შეასწროო. კარების ღრიალში ცოტახანს მოჩანდა ორი გაღუებული ნაკვერჩხალი. მიშა ზურგით იდგა და ვერა გრძობდა, მის ბეჭებსა და კისერს როგორ ბურღავდნენ ეს ნაკვერჩხლები. იგი ბეჯითად განაგრძობდა გაზეთებისა და წერილების ჩამორიგებას, თითქოს ამის მეტი ქვეყანაზე ყოველივე დავიწყებოდა.

...მიშა ხუთი წელი იყო, რაც ამ ქუჩაზე ფოსტალიონად მსახურობდა. მას უხაროდა ყოველი ახალი დღის გათენება და დღეს დასაწყისშივე ზეზეურად ხედებოდა, როცა ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ იყო, გარდა გრძელუღვაშებიანი მეეზოვეებისა.

ფოსტაში არავინ დახედებოდა დარაჯის გარდა, რომელიც თავს უხეიროდ მოიქეჰავდა და თვალების ოდნავი მოჭუტვით ეტყოდა ხოლმე:

— შენ რა, აქ გეძინა საღმე?

ამაზე არაფერს უბასუხებდა, მხოლოდ გაღიმიებდა და მხრებს ისეთნაირად აიჩეჩავდა, რომ დარაჯი სიცილს ძლივს იკავებდა.



ერთხელ მიშას სხვა ქუჩაზე გადაყვანა დაუბირეს. გაჯიუტდა: სამუშაო სულ მივატოვებო.

— არა, ამ ქუჩას, ამ ქუჩას კი არა, ამ ეზოს ვერ შევლეოდა.

ქმრის წერილს რომ მოუტანდა, როგორ იქნებოდა ციალას დედას შინ არ შეეპატივნა:

— შემოდი, ბიჭო, ხელები მოითბე!

წერილს რომ გადაიკითხავდა, გაიღიმებდა კიდევ, ამოიხრებდა კიდევ, მერე განანახულ არაყს გამოაძვრენდა კარადიდან და დაუსხამდა:

— დალიე, შვილო, გახურდები.

თუ უარს იტყოდა, ქალი დედის სულს დააფიცებდა და ერთს კი არა, მესამესაც გადააყლაბებდა.

გონებაში მძიმე გამაბრუებელი ნისლი ჩადგებოდა და ფოსტალიონი უფრო თამამად ვაპარებდა მხერას მაგიდასთან მიმჯდარ გოგოსკენ. გოგოს ღიძრონი თვალები ჰქონდა და თეთრი სახე. ისიც ჩუმად იღიმებოდა და ქვეშ-ქვეშ უყურებდა მიშას.

ერთხელ დედა სადღაც გავიდა. მესამე რომ უნდა გადაეკრა, ბიჭი გოგოსკენ მიბრუნდა.

— ეს შენ გაგიმარჯოს, ყველაზე კარგი ხარ!..

გოგომ გაიცინა.

— რომელ კლასში ხარ? — უთხრა მიშამ.

— მეცხრეში.

— ალბათ ფრიადებზე სწავლობ.

— დიახ.

როცა ფოსტალიონი გარეთ გავიდა, ფეფენამ ჩაიციხა და ციალას დედას გადაულაპარაკა:

— ეგ ბიჭი ძალიან დაგიშინაურდა და სიძობა არ მოგიწოდომოს.

მეზობლებმა გაიცინეს. ფოსტალიონი კი ჩუმად გაიძურწა ეზოდან, ხოლო იქ, ქუჩაში რომ გავიდა, რაღაც საამო, თბილ რძესავით ჩაეღვარა სხეულში. მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა და ეს ყველაფერი მაინც მეორდება...

ყოველ დილით თითქმის ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე საათს შემოდის მიშა ეზოში. ეზოში უხარიათ მისი მოსვლა, ის შემოვა და შემოიტანს რაღაცნაირ მხიარულებასა და სიცოცხლეს. ეზოში უკვირთ ან შეიძლება უხარიათ, რომ ფოსტალიონი ასეთი მხიარულია.

მას ხშირად ფართოტოტიანი შარვალი აცვია და შარვლის ბოლო ყოველთვის მიწაზე დასთრევს, ხოლო როცა წვიმიანი დღეები ერთმანეთს გადაებმება, შარვლის ტოტებს წინდის ყელეებში ჩაიტანს და ფეხებს ოდნავ შორიშორ ადგამს. საწვიმარს უბრალოდ წამოისხამს, თითქოს აგერ იქვე მეზობელთან უნდა გადაირბინოსო, გუმბათივით ქუდს თავზე ჩამოიმხოვს, გახეთებს საწვიმარქვეშ ამოიჩურთავს და მერე თუნდა ცამ პირი გაიხსნას. დადის არხეინი ღიღინით, არხეინად შემოვა ამ ეზოშიც, გუშინწინდელ ბაჯაღლო ხასიათზე შემოვა და ვიღაც ისევ ამოიჩხავლებს, ჩვენი ეზოს სიძე მოვიდაო. ამაზე ალბათ ჩაიქირქილებენ. ღმილისაგან მიშას ტუჩები უნებურად დაეძვებება, მაგრამ მის დაგუდულ უბეებში ჩამჯდარ თვალებიდან ღმილის ნიშანწყალიც არ გამოკრთება.

მერე, როცა წერილებსა და გაზეთებს ჩამოარიგებს, აუცილებლად ციალას მოჰკრავს თვალს. გაუცინებს და ჩუმად შეზვერავს, გოგოც ჩუმად შეჰლიმებს და ამ დროს ალბათ მასზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არ მოიპოვება.

თუ ციალას არა, სასიდედროს ხომ ნახავს. ნახავს და ოდნავი ღიმილიც ეტყვის:

— სიდედრო, როგორა ხარ?

სხვებთან ერთად „სიდედრიც“ გაიცინებს და ზედაც არ შეხედავს, ისე უპასუხებს:

— რა ხუმარა ხარ, ბიჭო!..

მერე ყველაფერს რომ მოათავებს, მუხლებს შეასვენებს, ეზოს ტოლ ბიჭებთან პაპიროსს გააბოლებს და ეზოში ცოტახანს იტრიალებს.

...ახლა კი არც წვიმიანი დღე იყო, არც ქარიანი. იყო მშვენიერი მზიანი დღე. ფოსტალიონმა უკანასკნელი გაზეთი ციალას მეზობელს მიუტანა. იგი ყოველთვის ასე იქცეოდა, საბოლოო გაზეთს ციალას მეზობელს მიუტანდა ხოლმე. ციალანთ ოთახის კარებზე ფარდა იყო ჩამოფარებული, ფარდის უკან ვიღაც იდგა და ფარდა ირხეოდა. მერე ფარდა გადაიწია და სასიდედრო გამოვიდა. იგი სწრაფად მივიდა წყლის ონკანთან, თითქოს ფოსტალიონი არც დაუნახავს.

— სიდედრო, როდის მოგტაცო ქალი?

წითლადშეღებულ ტუჩებშიორის თეთრ ვიწრო ზოლად გაიღვეს ქალის კბილებმა. მან უცებ მოათვალაიერა ეზო და ფოსტალიონს იგივე უპასუხა, რასაც ოთხი წლის მანძილზე პასუხობდა:

— რა ხუმარა ხარ, ბიჭო!..

ფოსტალიონმა ღიმილი რომ დაიოკა, ზღაზვნით გამობრუნდა. ბოძის ძირას მიწყობილი გაზეთები აიღო, ზრთხელაც მოათვალაიერა ეზო და დაბალ ხმაზე წაილიღინა:

— გაზეთი, გაზეთი!

იგი ხუთი წლის განმავლობაში ყოველ დღე ღიღინებდა ამ სიმღერას, როცა ეზოებიდან გადიოდა და კაცმა არ იცოდა, ამ სიმღერას გულის გადასაყოლებლად ამბობდა თუ იმისთვის, რომ ეზოსთვის ერთხელ კიდევ შეეხსენებინა: თქვენთან აღარაფერი საქმე დამრჩენიაო.

ქუჩაში რომ გავიდა, უხერხულად შეტრიალდა. გარემო მოათვალაიერა. ქუჩაში გამოდიოდა ციალანთ ბინის ორი ფანჯარა. ამ ფანჯრებზედაც ფარდები იყო ჩამოშლილი. ფარდა ოდნავ შეიჩხა, ვიღაცამ გაიარა, მერე აღარაფერი გამოჩენილა.

„წინათ ის იღიმებოდა, ხან კიდევ სიცილისაგან დაოსდებოდა ხოლმე, ახლა რაღაც კუშტად იყურება, თითქოს ნალვლიანად“, — ფიქრობდა ფოსტალიონი.

ცოტა ხანს იდგა, მერე ფეხათრევიტ წავიდა. ქალღმერთის სიმძიმეს მკლავი დაეძაგრა და ოდნავ შერუჯულ კისერზე ყოველი ნაბიჯის გადადგმისას უცნაურად ხტოდა რომელიღაც ძარღვი. ის მიიჩქაროდა მეორე ეზოსკენ, სადაც მას ელოდნენ, ან შეიძლება არც ელოდნენ.

*

* *

გვიანი შემოდგომა იყო. ხეთა ტოტებიდან გადაყვითლებული დამქანარი ფოთლები მიწაზე მიფარფატებდნენ.

ციოდა. არ იქნა, ცამ და მიწამ გული ვეღარ იჯერა. მეხუთე დღე გადიოდა, გაუთავებლად სცირდა. თბილისის ეზოებში უჩვეულო სიწყნარე გამეფდა. ქვეყანა გაისუღრა.



ორ თვეზე მეტმა გაიარა. მიშა აღარავის დაუნახავს. ვიღაც ხნიერი კაცი შემოდიოდა, წვერმოშვებული ბოშასა ჰგავდა, ფეხაკრფით ჩამოარიგებდა წერილებსა და გაზეთებს და ისე ხმისამოუღებლად გავიდოდა, თითქოს მისი ერთი სიტყვა თვალ-მარგალიტად ფასობდა.

ეზოში კითხულობდნენ ძველ ფოსტალიონს. ზოგი ამბობდა, ავად არისო. ზოგმა დაიჩემა ფოსტალიონობა მიატოვაო, დანამდვილებით ვერაფერი გაიგეს.

შვიდი ნოემბრის უქმე დღეებიც ჩამოთავდა. ცოტახანს ვადაილო, სამხრეთის ქარმა წამოუბერა და ღრუბლები დაიშაბრნენ. მერე ისევ ქვენა ადგა და თოვლ-ჭყაბი მოიყოლა.

ერთ ასეთ დღეს, ამ ვიწრო პატარა ქუჩაზე, სწრაფი ნაბიჯით მიტუსტუსებდა მიშა-ფოსტალიონი. მხრებში ჩამალულ კისერზე პალტოს საყელო აფარებინა და დაბალ ხმაზე ლიღინებდა. მკრთალი ფერი ფარავდა მის სახეს, თვალგზზე ყავისფერი ჰქონდა შემოვლებული, მაგრამ მაინც ამაყად და მხიარულად უელავდნენ.

ეზოში რომ შევიდა, რალაცნაირად თავისდა მოულოდნელად გაეღიმა. შესასვლელში მალალი, განიერი თალი იყო გადაყვანილი. ამ თალის ქვეშ შეჩერდა, საყელო ჩამოიყეცა, გაზეთები იქვე მიაწყო და დაიძახა:

— გაზეთი!

ეზოში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. სახლების სახურავებიდან გველივით დაკლაკნილი ბოლი იზღაზნებოდა და სადღაც ცისიერში უჩინარდებოდა. სახურავებიდან ქვაფენილზე დახეთქებული წვეთების ხმაღა ისმოდა...

„რა მოუვიდათ ამ უპატრონოებს, ხომ არა სძინავთ!“ — გაიფიქრა მიშამ და მეორე სართულის აივანზე ისე აირბინა, კბე დაირწა. ოთახიდან უეცრად გამოვარდა ვიღაც ქალი და გაზეთი გამოსტაცა. სიცივისგან აძაგძაგებული მყისვე უკან გაუცხცუნდა, თან ფოსტალიონს მიიძახა:

— ცივა, მიშავ, ცივა!

— როგორ მიხვდი!..

— ხე, ხე. შენ აღარ ჩანდი, ავად იყავი, კარგი საქმე არ მოგსვლია!

კარები სწრაფად მოკეტა. აღარ გაუგონია, რას ეუბნებოდა ფოსტალიონი. ორიოდე ოჯახს წვრილები მიუტანა მიშამ. ისინიც ავრე საკიკმაკიკოდ ვაგსაუბრნენ. მეტი არაფერი, მალევე შეაფარეს თავი თბილ ოთახებს.

ფოსტალიონი ეზოში ცოტახანს შეჩერდა. ცილაანთ ფანჯრები დარაბებით იყო ჩახურული და როგორღაც სევდიანად გამოიყურებოდა. ასე მოეჩვენა მას. აღარავინ გამოსულა. სადღაც მეორე სართულის აივანზე ვიღაც ოთხად მოკეცილმა გაირბინა. იატაკზე რალაცას დაავლო ხელი და სწრაფადვე შეძვრა ოთახში.

„ნუთუ წყალზე მაინც არავინ გამოვა — გაიფიქრა ფოსტალიონმა, — მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ამას რა მნიშვნელობა აქვს, რა მენაღვლება, გამოვლენ თუ არა“.

ერთი ადგილი კარგახანს სტკებნა.

ეს ამინდი რალას გაძაღლდა!

მიშამ ერთხელაც მოათვალთვინა ეზო და ის ჰანგი წაიღიღინა, ეზოდან გასვლისას რომ მღეროდა ყოველთვის.

ქუჩაში რომ გავიდა, დარაბებჩახურულ ფანჯარას მიუახლოვდა. ოთახიდან ჩქამი არ ისმოდა. თითქოს მთელი ოჯახი სადღაც ვადასახლებულიყო. კედლებილა დაეტოვებინათ, ეს დარაბებჩახურული ფანჯრებილა დაეტოვებინათ.

მეორე დღეს გამოიდარა. უცნაურად თბილი დღე გამოვიდა. ოდნავ სუს-
ხიანი ნიავილა დაწანწალეზდა. თბილ ამინდს აიენებზე გამოეყარა ხალხი.

ფოსტალიონმა თითქმის ყველა ეზოს ჩამოუარა. ყველგან ერთსა და იმა-
ვეს ეკითხებოდნენ: სად იყავიო, რითი იყავი ავადო.

ის პაწია ვიწრო ეზო კი რატომღაც საბოლოოდ შემოინახა, თუმცა ერთი
სული ჰქონდა როდის მიაღწევდა იქამდე.

აი ერთი ეზოდა დარჩა და მერე, მერე იქაც მიაღწევს.

შევიდა. სწრაფად ჩამოარიგა წერილები, გაზეთები. ერთი წერილია დარ-
ჩა. რაღაც უცნაური გვარი დაიძახა. ვილაცამ კარები გამოაღო. უცბად არ
დაუნახავს, ვინ გამოვიდა აივანზე. შეხედა და გამვერილი ხელი ნაკბენივით
უკან წამოიღო. აივანზე ცილა გამოვიდა. მოდიოდა ზანტად, თითქოს რაღაცას
დაემძიმებინა, თითქოს უჭირდა ფეხის გადმოდგმა. ფანელის ჰრელი ხალათი კო-
ჭებაამდე უწევდა. მის დიდრონ თვალეზში ის ცელქი ღიმილი, მხიარული გამო-
ხედვა გაქარწყლებულიყო და გარდა ამისა რაღაც სხვაც წასულიყო, გაფრენი-
ლიყო.

ქალი განცვიფრებით უცქერდა ფოსტალიონს, უცქერდა მის გაფითრებულ
სახესა და დასევდიანებულ თვალეზს. მერე წერილი უხმოდ გამოართვა და ისევ
ისე ზანტად გაბრუნდა. კარებთან შეჩერდა. მოიხედა და მოეჩვენა, ფოსტალიონი
კი არ მიდიოდა — მიბარბაცებდა.

— გაზეთი-ი! — მეორედ აღარ წაუღიღინებია, ალბათ ესეც წამოსცდა.
ძალზე სევდიანი იყო ეს ღიღინი.





მხარზე თოფი აქვს გადაკიდებული, წელში ნაჯახი გაურჭვია, მაღალია, ბეჭებგანიერი. ბარდებშორის მიიკვლევს გზას. ჯარისკაცის გახუნებული გიმნასტურა და ძველი შარვალი ბუჩქნარის ფოთლისფერს ერწყმის, არ ისმის მისი მსუბუქი ნაბიჯის ხმა. შავ-შავ, მსხვილნაკეთიან სახეზე ფიჭვის დალი აზის, მაგრამ რუხი მახვილი თვალთ ყველაფერს ამჩნევს — ფიჭვზე შემოკოდილ ქერქსაც და ირმის კვალსაც, მის ყურს ჩქამი არ გამოეპარვის, არა... ისმის ხმა, და ყველას გონია, რომ ეს ნისკარტის ცემის ხმაა, მაგრამ ერთმა იღომ იცის, რომ ეს კოდლა კი არ არის, სადღაც შორს, დათვის ხევის იქით, ხესა ჰკაფავს ვიღაცა ფრთხილად.

სადამო ხანზე ილო და ის მკაფავი — ფეხებდაბრეცილი კოლმეურნე ალექსი — სოფლისაკენ მიდიან.

კარგი იქნებოდა, რომ ალექსის ეთხოვა და მეტყვევსაც ოთხივე მხარეს დაეგდო გზა, ან არა და. უბრალოდ, თავისი სადარდელი მაინც მიეწვდინა მისთვის. ავკაცობით ხომ არ მოუჭრია ხის ტოტები, არამედ ისე, შემთხვევით. ვერ იქნა და ვეღარ მოიცალა, რომ წავიდეს და შუშა გამოიწეროს. სიმინდს თოხნიდა, ტყისპირას გავიდა, იფიქრა: რა იქნება, რომ ცოტაოდენი ნაყარ-ნუყარი მოვკრიფო, მიტრიალ-მოტრიალდა და საიდანღაც ის დაწყევლილი ფიჭვიც გამოტყვრა. მოდი, მოსაკიდებლად, ფისიან ტოტებს შევაჭრით. ხელმა წინ წაუსწრო და... ეხლა — გადაიხადე ჯარიმა, გაუჩინე წამოსაყვედრებელი თავმჯდომარეს, გაუძელი საკუთარ გოგონას ცილას წიწმატს... კარგი იქნებოდა, რომ ეს ყველაფერი ეთქვა და მეტყვევისთვისაც გაეგებინებინა, მაგრამ განა ის ყურს დაუგდებს! მიდის და ბაიყუშით დღუმს. პირწავარდნილი მამაა, ისიც ასეთი პირამოკერილი იყო და ზარიც ასეთი ჰქონდა.

მილაყუნებს მეტყვევის გვერდით ალექსი და არ იცის, რომ არც ილოა უარს მასთან გამოლაპარაკებაზე. მხოლოდ ესაა, რომ დუმის არის მიჩვეული. ბავშვობისას სულ მთებში დაეხეტებოდა მამასთან ერთად, თითო სიტყვას თუ



მიუგდებდნენ ერთმანეთს; მას მერე კი, რაც მამამისი ხემ დაიყოლა მარტო დარჩა, ლაპარაკს მთლად გადაეჩვია.

ერთს ამას იტყვის:

— მოიტა!

ანდა:

— აპა, წაიდე!

და სულ ესაა.

ამ ბოლო ხნებში ცოტ-ცოტა ენა ამოდგა — ელაპარაკება თავის თავს, ხეებს, ღრუბლებს, ვარსკვლავებს, ხოლო უფრო ხშირად თავის ძაღლს — ცუგას.

ჩაიმუხლავს, გადაუსვამს ზურგზე ხელს და ადუღუნდება:

— პა, ჩემო ძაღლო!..

ალერსს უჩვევი ძაღლი წკმუტუნებს, მიწაზე გორავს, პატრონს ხელებს ულოკავს.

— ხომ კარგი გოგოა, პა, ცუგა! — ამბობს ილო და ვერ ამჩნევს, რომ ძაღლი მის სახეს სწვდება და ლოყაზე ენას უსვამს, — ლამაზი გოგოა, მაღალი, ღონიერი.

უცებ დაირცხვენს, გაჩუმდება, ძაღლს დაუტევს:

— გადი, დაიკარგე აქედან! დახე რა მოიღონინა!

ილო ქალებს ზედ არ უყურებდა, თითქო ვერც კი ამჩნევდა, მაგრამ გასულ შემოდგომაზე შინ ბრუნდებოდა და სოფლის პირას ერთ გოგონას წამოეწვია. ის გოგონა ტყიდან თხას მოდენიდა და, ზურგსუკან რომ ნაბიჯის ხმა მოესმა, მიიხედა. ილომ თავი უხმოდ დაუქნია და წინ გაუსწრო. გოგონას სახე თითქმის არ დაუნახავს, მაგრამ დასაძინებლად რომ დაწვა, უცებ გაახსენდა მისი წყნარი, გვერდ-გვერდ მომზირალი თვალები, ნატიფი ცხვირი და კაკლის წენგოთი მოხუხუნული ბოცოცა ტუჩები. ყელმოღერილი იყო, ტანად თითქმის მისი სიმაღლის იქნებოდა. ნუთუ ეს მაროა, ბრიგადირი შალიკოს გოგო, ის ხომ სულ ესლახან მთლად პატარა იყო... რამდენი წლის უნდა იყოსო და, რომ მოიანგარიშა, სულ სამი-ოთხი წლით უმცროსი გამოვიდა ილოზე. როდის მოასწრო ასე ვაფურჩქენა და გალამაზება.

იმ საღამოს შემდეგ, ყველასდა გასაოცრად, მეტყევემ რკინიგზის ბაქანზე დაიწყო სიარული, სადაც საღამოობით სოფლის გოგო-ბიჭები იყრიდნენ თავს და მღეროდნენ, ცეკვავდნენ. მოდიოდა ტანისამოს გამოცვლილი, აბრეშუმის ახალი ხალათითა და კოსტუმით. რომელიც ისე ედგა, თითქოს ეს-ესაა იმ უზარმაზარ მხრებზე გადაასკდებოდა. არა ცეკვავდა, არ მღეროდა. ჩადგებოდა ბიჭებში და უხერხულად ხელებჩაშვებული თვალდაუხამხამებლად მისჩერებოდა მაროს. სხვა გოგონებს შურდათ, უჯიკავებდნენ მაროს, ხითხითებდნენ და ჩასჩურჩულებდნენ:

— ი შენი ბიჭი ისევ შენ გიყურებს! ჰკუთა დააკარგვინე მთლად.

მარო მხრებს იჩეჩავდა.

— ჩემი ჯავრიც ეგ არის!

მაგრამ სინამდვილეში სურვილი სწვავდა, სული ესწრაფოდა — როდის იქნებოდა, რომ ეს ღონიერი ლამაზი ბიჭი გამოელაპარაკებოდა და ეთქვა ის, რის გაგონებაც ასე ახარებს ხოლმე პირველად ყველა გოგონას.

მაგრამ ილო დუმდა.

დუმდა მთელი ზამთარი, მთელი გაზაფხული...

მარო ჯერ ცდილობდა, რომ გული გადაეხსნევიებინა. გვერდზე რომ

გაუვლიდა, თითქო უნებურად მხარს გაკვრავდა, მაგრამ ილო ყურებზე და
წითლდებოდა და ღუმლის განაგრძობდა. მისი შიშით სხვა ჭაბუკებს ზედ ვე-
ლარ შეეხედათ მაროსთვის. ბოლოს გოგონას შესძულდა მეტყვევე... გამოვა
ილო ბაქანზე და მარო იმ წამსვე შინ მიდის, თვალს დაჰკრავს სადმე მის მა-
ღალ ლანდს და—ამოეფარება ღობეს.

მეტყვევის უტყვი სიყვარულის ამბავმა მაროს მამამდეც მიიღწია. მზი-
არულმა და დიდრიალა შალიკომ ჯერ გადაიხარხარა, მერე გაბრაზდა და გო-
გონას დაემუქრა:

— სახლიდან გაგაგდებ, თუ გაგიგე, რომ შენ იმასთან.. არ მომწონს სი-
ფათში და მორჩა!

ეს ალექსი შალიკოს მეზობლად ცხოვრობს, ილო მთელი კვირა ტყეში
დაწანწალებდა და ეხლა ერთი სული აქვს, უნდა გაიგოს — ახალი ხომ არა
არის რა სოფელში, შალიკოს ეზო-ყორეზე, მაგრამ კითხვას მაინც ვერა ბედავს.
მიდიან ასე უბრადა. წინ ილო, უკან ალექსი — ლაყუნა, დაღვრემილი,
გაბოროტებული. ძალიც იქვე, მახლობელ ბუჩქნარს სჩხრეკს

შევიდნენ სოფელში. ილო კოლმეურნეობის კანტორისაკენ უნდა წასუ-
ლიყო, მაგრამ კლუბთან რომ გაიარა, გაჩერდა.

— წამო რაღა! — მოწყენით ლულლულებს ალექსი. არ უნდა — აქ იდგეს
და ყველამ დაინახოს. მაგრამ მეტყვევე თითქოს გრგვინავს დაეყრუებინოს.
ალექსიმ იქით გაიხედა, საითაც ის იყურებოდა. კლუბის კარებთან ბრიგადირ
შალიკოს გოგო იდგა და ახალგაზრდა მასწავლებელს შეჰკისკისებდა.

— წადი! — უტვებ წაიღულუნა მეტყვევემ, ნაჯახი ხელში შეაჩჩა და მი-
მედ გააბიჯა კლუბისაკენ.

ალექსი ძლივს მიხვდა — საქმე რაშიც იყო. ცას შესწვდა სიხარულით,
თვალის დახამხამება და — კუთხეს მიეფარა.

მეტყვევე კი მაროსთან მივიდა და ხმისამოულებლად დაუდგა გვერდზე.
გოგონა გაფითრდა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქო არ დაენახოს. მასწავ-
ლებელს მკლავში გამოსწია და მასთან ერთად ბიბლიოთეკის კარში გაუჩი-
ნარდა.

ილო გაშეშებული იდგა, ტუჩებს უხმოდ ამოძრავებდა, ხან ხელს უჭერდა
და ხან გაუშვებდა ქამარქვეშ გამოჩრილ ნაჯახის ტარს.

ამასობაში კი შორიახლოს ბიჭ-ბუჭობამ მოიყარა თავი. ისინი რიდით
აღდევენდნენ მეტყვევის საქციელს თვალს.

მეტყვევემ შენიშნა, შეცბა, წყნარად გაშორდა იქაურობას.

ილომ არ იცოდა, რომ თავზარდაცემული მასწავლებელი ბიბლიოთეკის
ფანჯრიდან გადაძვრა და ბედის ანაბარა მიატრევა გოგონა. სამაგიეროდ ბი-
ჭებმა იჯერეს ხარხარით გული, როცა მასწავლებლის გაქცევის ამბავი გაიგეს.

მეტყვევე შინ მივიდა, წაიხმესა, ძალსაც აჭამა და ისევ გზას გაუდგა.
გულში თითქოს რაღაცა ჩასწყვეტოდეს. აქამდე მხოლოდ უყვარდა, ეხლა
ეპვიც შეუჯდა. ეხლად გაიფიქრა, რომ, შესაძლებელია, უტყვი მოწმე გამხდა-
რიყო მაროს ქორწილისა. რა უნდა ექნა მაშინ?

ყველაზე კარგად ტყეში ფიქრობდა ხოლმე და ეხლაც ტყეს მიაშურა.

მიდიოდა ფიჭვების ქვეშ, რომლის ტოტებს შორის თვით ბადრი მთვარის
შუქიც კი ვერ ატანდა, რბილად მიაბიჯებდა წლითი-წლობით ნაცვენ, მიწაზე
სქლად დაგებულ ხმელ წიწვებზე და თავისთვის რაღაცას ლაპარაკობდა. ცუვა
გაჩერდებოდა, მოკლე ყურებს ასცქვეტდა, პატრონის სიტყვებს დაიყურადებ-

და, რომ დარწმუნდებოდა — პატრონი მას არ ელაპარაკებოდა, გარბოდა.

— ჩვენ ერთად კარგად ვცხოვრობთ, მართ, ძალიან კარგად ვიცხოვრებთ. სახლი მაქვს — ცხენი გაჭენდება, ყველაფერს ბლომად ვიჭონიებ... ახალ საწოლებს ვიყიდი, რადიოსაც გავიყვან, სულ ხელით გატარებ. — ნაზად წარმოთქვამს ილო, — შენ ერთი მეყვარეები მუდამ, მხოლოდ შენ ერთი...

ესმის საკუთარი სიტყვები მეტყვევს და ოხრავს — აი ასე რომ უთხრას ყველაფერი მას — ხმაილადა, გაბედულად!

— ეგხ...

ილო მწვერვალზე მოექცა მთას. მთის სამხრეთი ფერდო, სოფელს რომ გადასცქეროდა, მწირი და კლდოვანი იყო, მხოლოდ შვინდი და ასკილი ამოზბუებულიყო აქა-იქ. ჩრდილოეთის კალთები კი ატეხილ წიწვნარს დაებურა.

მეტყვევ კლდეზე ჩამოჯდა და მთვარის შუქით გაბრწყინებულ სოფელს გადახედა. მხოლოდ ერთ სახლში ციმციმებს შუქი — იქ თავმჯდომარე სერგო ცხოვრობს. მარცხნივ, ქლიაების ჩრდილში, ბაგრატის სახლი შეყუჟულა, იმის იქით ქვრივი ალექსის ქოხია, ალექსის ქოხს კი ბრიგადირ შალიკოს ახალ ყაიდაზე აშენებული, შუშაბანდიანი, მაღალი სახლი ემიჯნება...

გათენებამდე გაქვავებულივით იჯდა იმ კლდეზე ილო. გამთენიისას, ცას რომ სიწითლე შეეპარა და მიწას ცვარი გაეგო, წელში გაზრზნა, ადგა — ფხაზე ჩაკლაკილ ბილიკს დაჰყვა. მიდიოდა დაღვრემილი და დანალვლიანებული. საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ გამბედაობა არ ეყოფოდა — მისულიყო მაროსთან და პირდაპირ ეთქვა ყველაფერი...

თითქმის მთელ დღეს ტყეში დაეხეტებოდა, მაგრამ სადამო ხანზე გულმა მაინც სოფლისკენ გაუწია.

ბუსნო რამეზე ვადავიდა და შეამჩნია, რომ ცუგა შეწრილადა; სადღაც გაიქცა, მობრუნდა, შეამტერდა პატრონს თავისი ყავისფერი თვალებით, დაიწყებულა და ისევ თავქვე დაეშვა.

ილომ ნაბიჯს აუჩქარა, საიდანაც კვამლის მწარე სუნი დაიყარა.

ხეში ჩაიჭრა, თვალის დახამხამებაზე ავარდა მეორე ნაპირზე და დაინახა ბუჩქებზე თეთრად აბოლქვილი კვამლი და ალისფერი ცეცხლის ენები, რომლებიც ხმელ ფიჭვის ძირს ულოკავდნენ. ძალი იმ ცეცხლს უყეფდა და ხანდახან პატრონს მოუბრუნდებოდა.

ფიჭვის დრო არ იყო, მხრიდან თოფი მოიხსნა, ორჯერ ისროლა ცაში და ყვირილი მორთო.

— ეჭეჭეი!.. ხალხნოუ!..

მერე უსარგებლო თოფი მიაგდო, ნაჯახი გაიძრო და აბოლებულ წვრილიანს ეკვეთა.

ცეცხლი ბუჩქნარის ძირებს გაჰკიდებოდა, ხმელ წიწვებს ნთქავდა და მხოლოდ ერთ ადგილას წასწვდენოდა ხეს. კვამლისაგან სულშეგუბებული ილო ბუჩქების კავვას შეუდგა — ცეცხლს ფიჭვნარისკენ გზას უჭრიდა. ნაკაფის ფართო სერელი გაიტანა და შეამჩნია, რომ ცეცხლი, თითქო ცოცხალი ყოფილიყოს, ხტუნვა-ხტუნვით ადიოდა ხმელი ფიჭვის ძირითა ტოტებიდან კენწეროსაკენ. ფიჭვი განმარტოებით იდგა, მაგრამ ნიავს ადვილად შეეძლო ნაპერწკლების სხვა ხეებზე გადატანა.

ილომ ხალათი გაიძრო, იმ ხალათით მახლობელ ბუჩქებზე მოდებული ცეცხლი ჩააქრო და ისევ ნაჯახი აიღო.

ნაპერწყლები და დანაპერწყლებული ტოტები თავსა და მხრებზე ეყრდნობოდა, მაგრამ ილო წვას ვერა გრძნობდა. გამძვინვარებული, გამწარებული სჭრიდა იმ ზეხმელ ფიჭვისა და უფრო და უფრო ხურდებოდა. ნაჯახს ზარივით გაჰქონდა წყრიალი.

ფიჭვი ჭახჭახით ჩაიჩეხა და ირგვლივ ანთებული ტოტები მიმოაბნია. ილომ ნაჯახი ძირს დაუშვა, აალებული ნაპერწყლები ჩათქერა და აქაქანებული შედგა. თვალებიდან ცრემლები მოსდიოდა, დაფუფქული სახე და ზურგი ეწვოდა.

მაგრამ აი, ისევ დაინახა ცეცხლის გველი, რომელიც ჩანელებულ ბუჩქნარიდან, მის მიერ გაყვანილ სერელზე გადავლით, ხეებისკენ გასრიალდა და იქ გაქანდა.

სოფელში თოფის ხმა გაიგონეს, მალე კი ტყიდან ავარდნილი კვამლიც დაინახეს.

მოხუცმა ბაგრატიმ შინდარჩენილი კაცები მოაგროვა, ვინც ყოჩაღი ქალი იყო, იმათაც დაუძახა და ნიჩბებით ხელში ყველანი ტყისკენ გაიყოლა.

ხანძარი უკვე წითელ-წითელ კოცონებად ინავლებოდა, როცა კოლმეურნეები იქ ავიდნენ. მხოლოდ მეტყევის მიერ წაქცეული ხმელი ფიჭვილა იწვოდა ნათელი, თეთრი ალით.

როგორც მტრებს, ისე ეკვეთნენ კოლმეურნეები დუღდულა ნაკვერცხლებს. გაიღვეს ნიჩბებმა, გაიშალა შავი მიწა... მოხუცი ბაგრატი ყვირილით ამხნევებდა ყველას:

— აბა, ბიჭებო! ცოცხლად, ბიჭებო! კარგად დააყარეთ, კარგად!

მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ შეამჩნია ვიღაცამ მოშორებით მდგარი მეტყევე. წარბები და უღვაშები შესტრუსოდა, პირი-სახე და მხარ-ბეჭი მჭვარტლით გაშავებოდა, აქ-იქ წითელი ბეებერები დასხდომოდა, მძიმედ, ხრინწიანი ხმით სუნთქავდა და ხმისამოუღებლად შესცქეროდა ცეცხლისმქრობელ კოლმეურნეებს.

ხალხი მისცივიდა.

— ილო! — შორიდან მოისმა გოგონას გოცებელი ხმა.

მეტყევე შებარბაცდა, ხეს გამოეცალა და იმისკენ წავიდა, ვინც მისი სახელი დაიძახა. კოლმეურნეებმა გზა დაუგდეს. მარო უძრავად იდგა და სახე-შეშლილი მეტყევეს შეჰყურებდა. უცნობი, გაშავებული სახე მისკენ დაიხარა:

— გამარჯობა, მარო.

— გაგმარჯოს. — მიუგო მეტყევის ხმის გაგონებით გაკვირებულმა მარომ.


— შენი ნახვა მინდოდა, მარო. — თითქოს ადრეც ხშირად ელაპარაკნოს — ისე გაბედულად, ადვილად ამბობდა მეტყევე თავის სათქმელს. — მინდოდა მეთქვა რომა...

აქ კი ჩაახველა.

მარომ წამწამები დახარა, მაგრამ, ილომ რომ სული მოითქვა და სიტყვის გაგრძელება დააპირა, ტუჩებზე თითისწვერები დააფარა — დაჩუმდით.

— როგორ გახურებულხარ, ბიჭო! — თქვა მან. — უღვაშები მთლად შეგტრუსია...

— მარდად! აბა მარდად! — ქუხდა ბაგრატი, — ვიჩქაროთ, სანამ არ დამებულა, ვიჩქაროთ!



თოვლის ფაფუკი ფანტელები ფრინველებივით ნელ-ნელა ეშვებიან ხეებზე, სახლების სახურავებზე, ყინვისაგან გათოშილ დედამიწაზე.

ცილა — ტანყარილი, გრძელკანჭა თერთმეტი წლის გოგონა, აივანზე დგას და სიცივისაგან აბუზული სოფლის ვიწრო შუკას გასცქერის. ბამბაზის ძველი კაბა დაპატარავებული აქვს, დამოკლებული სახელოებიდან გამხდარი, გაწითლებული მაჯები მოუჩანს. გოგონას სცივა, მაგრამ მაინც ისევ აივანზე დგას და დაბუხულ თითებს ისრესს.

ცილა მამას ელის. მამამისი ალექსი კრებაზე წავიდა. კარგა ხანია მეზობლები დაბრუნდნენ, ალექსი კი არ ჩანს. სანამ მთლად არ ფიჩხდება, გოგონა შინ არ შედის. შედის, თუნუქის ლუმელთან ჯდება და ზედ ეფაფრება.

ოთახში რკინის ქალიანი ნეთის ლამფა ანთია — ყვითელი შუქი მრგვალად ეფინება მაგიდას. ნახევრად ჩაბნელებულ კუთხეებში ძველი კამოდი, ტახტი და ხის საწოლი მიყუჩულან.

ცილა ვაბა, ფანჯრის რაფიდან რვეულები, წიგნები და სამელნე ჩამოიღო, მაგიდას მიუჯდა და გაკვეთილების მომზადებას შეუდგა.

მალე ნაბიჯის ხმა ისმის — როგორც იქნა მამა დაბრუნდა. ალექსი დიდხანს აბრაზუნებს ფეხებს აივანზე, ჩექმებიდან თოვლს იბერტყავს, მერე კარს აღებს და ოთახში იჭკრიტება.

— შინა ხარ?

— შინა ვარ, აბა მა სად ვიქნები! — მკვახედ მიუგებს გოგონა.

მამა ჩექმებს ზღურბლთან სტოვებს და ღაზლის თეთრი წინდების ამარა შემოდის, ლუმელს მიუჯდება. თბება და თან გოგონას შესცქერის, ატყობს, რომ ცილა გაბრაზებულია, მაგრამ ხმის ამოდების სურვილი მაინც სძლევს.

— მე და სიმონი შეგვკამათდით! — ამბობს ალექსი.

— კრება როდის დამთავრდა? — ისევ მკვახედ ეკითხება გოგონა. კილო აქვს — დიდი გეგონება.

— კრება... — სიტყვას აგრძელებს ალექსი, — კრების შემდეგ შალიკოსთან გადავიარე.

— ზედ გეტყობა, როგორც გადაიარე! — ბუზლუნით შენიშნავს ციალა. — მე კი აქ ამოცანა არ გამომდის...

ალექსი თავს დამნაშავედ გრძნობს, რაც მართალია, მართალია — დაიგვიანა. შალიკოსთან თითო ჰიქა გადაჰკრეს და მთლად დაავიწყდა, რომ გოგონა მარტო იყო და მას უცდიდა. ეხლა უხარია, რომ ასე იოლად გადარჩა და გულდაგულ ეკითხება:

— ამოცანა? აბა, ერთი რა არის ისეთი?

— რა არის და... პირველი ნაკვეთიდან, რომლის ფართობი ოთხ არს უდრის, 380 კილოგრამი ჭარხალი ამოიღეს. მეორედან, ორი არის ფართობზე — 226 კილოგრამი. გაიგეთ ჭარხლის საშუალო მოსავლიანობა ორივე ნაკვეთის თვითეულ არიდანო.

— ხოო.. დღუღუნებს ალექსი, — ეგრეა?.. მაშასადამე... სად მოჰყავთ მერე მაგდენი ჭარხალი, მანდ რა, არ არის ნათქვამი?

— ო, ერთი შენც!... წყრება ციალა. — ეს ხომ ამოცანათა კრებულიდანაა.

— ხოო... მაშინ... მაშინ უნდა ჯერ შევკრიბოთ და მერე...

ალექსი და ციალა დიდხანს ეწვალეებიან, ამოცანა ჯერ ერთად იყვანეს, მერე ცალკ-ცალკე. ციალა პირველი ხსნის სწორად და კმაყოფილი კითხულობს:

— თავმჯდომარეს რაზე შეეკამათე?

— სიმონს? რაზედა და, იცი რა, მე იმას ვეუბნები, რომ ხე-ტყის სახერხი ჩვენთან უნდა ავაშენოთ-მეთქი. ის კი გაიძახის: აზრი არა აქვსო. როგორ-მეთქი, ტყე აქვე გვაქვს, მტკვარი წინ ჩაგვიდის, ხე, თუ გინდა დააცურე, თუ გინდა გაღმა გაიტანე, იქ დაუღე მანქანას და... ის...

ალექსი დიდხანს ყვება, ათას რამეს ედება, ცხარობს, ხელების ქნევას იწყებს. მერე შემთხვევით შეხედავს გოგონას და დაინახავს, რომ გოგონა არ უსმენს. ყურებში თითები დაუცვია, ცხვირი წიგნში ჩაურგავს და რაღაცას იზებირებს, გულისყური მთლიანად წიგნში აქვს, ხშირი წარბები შეუქმუხნავს, უხმოდ ამოძრავებს ტუჩებს.

მამას უნდა, მივიდეს და თავზე ხელი გადაუსვას, მაგრამ ეშინია — ხელი არ შეუშალოს. ღვინო ისევ უღიტინებს და თავისი თავისა და გოგონას სიბრაღით გული უჩუყდება... ეებს, რას იზამ, რაც მარიკა გარდაიცვალა, ოჯახში ყველაფერი უკან-უკან წაიდა. ძროხა გაყიდეს, არავინ არის, რომ გოგონას რაიმე შეუტეროს. შეკერილი უყიდოს და — ნორჩ ალვისხესავით იზრდება, მეორე დღეს აღარ გამოადგება... მაინც ვის დაემსგავსა ასეთი — მარიკა პატარა და ხორცსავსე ქალი იყო, არც ალექსია მაინცადამაინც ტანალი.

ალექსის ისევ ახსენდება ცოლი და ოხრავს. ადგეს, ხელახლა დაქორწინდეს და გოგონას დედინაცვალი მოჰგვაროს? სოფლის მეორე ბოლოზე ქვრივი ცხოვრობს, ნადია ღონდაძე, ჯერ ისევ ახალგაზრდა ქალია, ქმარი შარშან მოუკვდა, შვილები არ ჰყავს და, როგორც ალექსის ეჩვენება, ის უარზეც არ დადგება. ბევრჯერ უსაუბრია მასთან ამ მთისა, თუ იმ ბარის ამბებზე. მიუგზავნოს ვინმე, თუ თვითონ უთხრას პირდაპირ? ნადია გამრჯე დედაცაცია, სახლსაც მოუვლის და ძროხასაც მიხედავს. მერე რა, რომ დიდი თვალადი არ არის, არც ალექსია დახატული, ჩიაა და ფეხებდაბრეცილი.

ალექსი ოცნებამ გაიტაცა. წარმოიდგინა, რომ სამზადში, თონესთან ნადია ტრიალებს. გომურში ძროხა იცოხნება, ცხელი პურისა და თბილი რძის სუნი



დგას... ციალს ყველა გაკვეთილი დამზადებული აქვს და, როგორც მისთვის მემბს, თავის ოთახში წვება.

— ჭკვიანი გოგონა! — ალერსით ამბობს ნადია, — სულ ხუთიანები მოაქვს. საკმაოდ შეზარხონებული ალექსი ნადიას შეჰყურებს, რომელიც ლოგინს შლის.

— მოდი რაღა, დაწეი! — ეძახის ის. — ხვალ ადრე უნდა ადგე. ალექსი მარდად იხდის, წვება და მაგრად ეხვევა ნადიას, ეხვევა მაღლიერების გრძნობით აღსავსე, რომ მან, ნადიამ, ასე მოუაღერსა მის გოგონას, გაუღვივა მიმჭრალი კერა, გაუთბო ქვეშაგები საბრალო ქვრივს.

— კარგი ხარ, კარგი! — ხმამაღლა იძახის ალექსი.

— რა თქვი, მამა? — ეკითხება ცილა. მას უკვე რვეულები წამოუკრეფია, გვერდით უდგას და დაფიქრებულ სახეში შეჰყურებს.

ალექსი გოგონას თავზე ხელს უთათუნებს.

— დაჯექი ჩემთან...

ცილა ტახტურეტზე ჯდება და მამას ეკვრის.

მტკვარს გაღმა ნელ-ნელა მიზოზავს ავტომანქანა. ფანჯარა წამით ნათდება და ჩანს, როგორ ფარფატებენ თოვლის ფანტელები მინის იქით. ქარი ღულღუნებს საკვამურში.

— ქარბუქია, — ამბობს ალექსი, — ხვალ გზის გაწმენდა მოგვიწევს.

ცილა ჩუმად ეგლასუნება მამის მუხლს.

— მამა! — კითხულობს ბოლოს, — თხუთმეტი წლისა უკვე დიდია, არა?

— თექვსმეტისა დიდია, თხუთმეტისა კი — ჯერ ისევ პატარა. რათ გინდა ეგა?!

— აი ცოტა კიდევ გავიზრდები და ყველაფრის გაკეთებას მე თვითონ ვისწავლი. მამინ შენთვისაც კარგი იქნება, ფულს მოვაგროვებთ, ძროხას ვიყიდით... რუსულში რომ სამიანი მყავს, იმასაც გამოვასწორებ. ბიბლიოთეკარმა ნაზიკომ მითხრა — დაგეხმარებო.

ალექსი ახველებს და პირს იბრუნებს, რომ გოგონამ სახე არ დაუნახოს.

— მალე კერვასაც ვისწავლი, — განაგრძობს ცილა, — ყველაფერს თვითონ შევიკერავ. დედასავით...

ალექსი მწარედ ოხრავს.

— მამა, რად არის, რომ ზოგს ხელახლა მოჰყავს ხოლმე ცოლი?

— როგორ ხელახლა?

— აი, ხელმეორედ... ძია თეიმურაზმა ხელმეორედ მოიყვანა და მისი ახალი ცოლი ნინა თამრიკოს სცემს ხოლმე. თამრიკომ თვითონ მაჩვენა ჩალიღვებული ადგილები მკლავზე; რად დაქორწინდა ძია თეიმურაზი? იმას რა, არ უყვარდა თავისი ცოლი?

— უყვარდა, როგორ არ უყვარდა, — იწურავს მხრებს ალექსი. — აუხ, რა ქარია! მოდი დავწვეთ, დავიძინოთ, შვილო.

— დილაზე ეგ ხალათი გაიხადე. — მქნარებით ამბობს ცილა, — გაგირეცხავ. კამოდში სუფთაა და ის ჩაიცვი...

ცილას მალე ეძინება.

ალექსი ტახტიდან დგება, ბავშვის საწოლთან მიდის და გოგონას ლოყაზე ჰკოცნის. ის ძილში იწმენდს ხელისგულით ლოყას.

მამა ისევ წვება, მაგრამ ძილი არ ეკარება, და ცდილობს ფრთხილად გადაბრუნდ-გადამობრუნდეს, რომ ძველი ტახტის ქრიალმა ცილა არ გამოაღვიძოს...



მკვლელობის შემდეგ

მთელ სოფელს აოცებს ბაგრატი — აღარავის არ ახსოვს, რამდენი წლი-საა, ნამდვილად მეცხრე ათეულს ეჭიდება, ბებერზე ბებერია, მაგრამ განა ის იკმარა, რომ ისევ კოლმეურნეობას დაუბრუნდა, ისე ირჯება გეგონება საიქიო სასუფეველს შეჰპირებია.

— რაო, ბაგრატი, შენ ის ხომ არ გინდა დაგვიმტკიცო — ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო, — ეუბნებიან კლების წინ კიბეზე ჩამომსხდარი მოხუცე-ბი, — ან არა და — თავიდან ხომ არ იწყებ ცხოვრებას. თუ ეგრება, მაშინ სულ თავიდან დაიწყე, — ჩაწევი აკვანში და აღუ-აღუ იძახე.

ბაგრატი თავის დაფანჩულ წარბებს შეჰყარის, თვალით დაჰპურღავს იმ მოხუცებს, მერე უღვავებში ჩაედინება და მიუარაყებს:

— ვირმა რა იცის ხურმა რა ხილია, თქვე ძუძუმწოვრებო, თქვენა!

ვინც კი სამოცდაათ წელს ქვემოთ არის, ბაგრატს ჯივლად ეჩვენება, ხოლო თუ სამოცისა ხარ, ძუძუმწოვარი ხარ და ეგ არის!

ძუძუმწოვრებო — ერთხელაც მიუგდებს მოხუცებს, გადაიკიდებს საგზ-ლით სავსე აბგას და წავა მთაში — იქ, სადაც კლდეთა და ნაძვნარს შორის შავ-შავ ხალებად გაფანტულა ახალი ნახნავები.

მიდის ბაგრატი ციკაბო ფერღობზე და ელიმება.

მართლაც და, დიდი ხანია თავი ასე მხნედ აღარ უგრძენია, როგორც ამ გაზაფხულზე. თითქო ახალგაზრდობა დაჰბრუნებოდა. იმ ენადაღესილ ხალხს უკვირს, მაგრამ მან კარგად იცის — ასე რატომ უდღულს ძარღვებში სისხლი. მთელი ოთხი წელიწადი ხომ არაფერი არ გაუკეთებია! იჯდა შინ, მოწყენილი იყო, და ამ მოწყენილობამ თავი ავადმყოფადაც კი წარმოადგენინა. ანიკომ და თავისმა რძალმა თითქმის ძალით წაიყვანეს ბორჯომში. იქ ექიმებთანაც და-ლიოდა, საავადმყოფოშიც იწვა, მაინც უარესი დაემართა.

ძლივას გამოაღწია იმ ექიმებს თავი. ეშინოდა — იმდენი არ ექნათ, რომ საავადმყოფოში მომკვდარიყო და თავისი სოფელი ვეღარ ეხილა.

დაბრუნდა შინ, დაბრუნდა და ნახა, რომ კოლმეურნეობაში ათასგვარი ახალ-ახალი რაღაცეები შემოედო. საიდანღაც სერგოც გამოტყვრა — ახალი თავმჯდომარე, მხიარული, კირკიტი ჭაბუკი. ისე შეაგულიანა ბაგრატი, რომ ადგა და ცოლის, შვილის, რძლისა და ექიმების ჯინაზე ისევ სამუშაოდ გა-ვიდა. პირველ დღეს, ცელი რომ აიღო, კინაღამ ქოშინით მოკვდა. ერთი კვირის მერე კი თავი მთლად გამოჯანსაღებულად იგრძნო.

დღეს მაინც განსაკუთრებით კარგ გუნებაზეა ბაგრატი, სიმღერასაც კი ამბობს თავისი ჩახლეჩილი ხმით.

ხვალ უნდა ჩამოვიდეს ნუგზარი — საყვარელი შვილიშვილი, ყველაზე დიდი სიხარული ამ ქვეყანაზე. ნუგზარი პირველად ჩამოვა მარტო — უმამოდ, უდედოდ. როგორი კმაყოფილი დარჩება! მთლად დიდად წარმოიდგენს თავს! თუმცა რა, აღარც პატარა — სადაცაა ათის უნდა გახდეს.

ბაგრატმა თავის ადგილს მიადწია, საგზლით სავსე აბგა მიწაზე დაავლო, ზუჩქებდნან ხარები გამორეკა, უღელში შეაბა და ხვნას შეუდგა.

აქედან, ამ მთებიდან, მთელი ხეობა კარგად მოჩანს. მოჩანს რკინიგზის



წერილი ზოლი მტკერის გაყოლებით, თეთრ-წითლად აყვავებული ხეხილი და ჩითული ძელური სახლების სახურავები და აქა-იქ მიმოფანტული ნახსენებები ერთ ნახსენებ ტრაქტორი დაილოდება და კვამლის თეთრ ფანტელს ისვრის, ცოდვია აქ ტრაქტორი — ბრუნავს ერთი ციკქა მინდვრებზე, თითქო ბავშვის ხელის გულზე ტრიალებდეს, აქ კი, მთების კალთებზე სულაც არ შეუძლია ამოსვლა. ამიტომაც, რომ ხარებით უხლებათ ხვან. კიდევ კარგია — ახალმა თავმჯდომარემ ითავა — რა საჭიროა, ჩვენს კოლმეურნეობაში რომ ხვან-თვისას ვეწევით, უმჯობესია მეზობტნეობას მიყვეთ და ტყიან ველებზე საკენ-კრები გავაშენოთ. აქ, ბაგრატი რომ ხნავს — მოცხარას და ჟოლოს დარგავენ, ხილს კურორტებისათვის ჩააბარებენ და შრომა დღეებზე ბევრად უფრო მეტს მიიღებენ, ვიდრე ადრე იღებდნენ. ბაგრატი გრძნობს, ცივად რომ უვლის ნიავი ოფლიან ზურგში, მაგრამ შესვენება არ უნდა.

— ხმ. მამო, ხი! — უჯავრდება ხარებს, რომლებიც ჩოქურით ეწევიან მძიმე უღელს აღმართში.

მაგრამ ბოლოს მაინც ქანცი ელევა მოხუცს. ხარებს აჩერებს, ოფლს იწმენდს და დაფიქრებული გასცქერის საკუთარ სახლს. სახლის გვერდზე შავი წერტილი ღიმილივებს, ძლივს შესამჩნევად ტოკავს — ეს ანიკო რეცხავს აივანთან. ანიკოც მოუთმენლად ელის ნუგზარის ჩამოსვლას.

ბაგრატს საჩუქარი აქვს დამზადებული ნუგზარისთვის — ნამდვილი სანადირო თოფი, რომელსაც შვილიშვილი ჯერ ისევ შარშან სთხოვდა... სიხარულით ცას მოეწევა ბიჭი, თოფს რომ დაინახავს, შეახოხდება საკოცნელად პაპას და...

მოზღვავებული გრძნობა ღრმად ამოაოხრებს ბაგრატს, სიყვარულით გახედავს ადიდებულ მტკვარს, რომელსაც ის კუნძულიც დაუფარავს, სადაც ისა და შვილიშვილი თევზს იჭერენ ხოლმე.

მოხუცს თვალები თავისდაუნებურად უწყლიანდება.

კარგია! რა კარგია ამ გაზაფხულზე ირგვლივ ყველაფერი!

მაგრამ კმარა! შეისვენა და ეხლა საქმე!

ბაგრატი გუთანს მხარს უქცევს და ყვირის:

— ჰამო, ხიო, ხარო!

ფერდოს ხარები ფეხმარდად ჩასდევნენ. მოხუცი გუთანს ხელკუდებზე აწეება, მაგრამ სახნისი წარამარა უვარდება ხნულიდან.

— ჰაჰაი, თქვენი!... — ბრაზობს ბაგრატი.

უცებ ხელები უღუნდება, გუთნეული წინ უსწრებს, დამსუბუქებული გუთანი მირახრახებს.

მოხუცი პირქვე ეცემა, წამოდგომა უნდა და ვერა დგება, ფართოდ გაშლილი ხელებით მიწას ფხოვნის, მსუყვე, სურნელოვან ნიადაგს იხვეტავს.

ნუთუ ეს არის მისი ბოლო? ელდად გაუვლის გონებაში.

არც ტკივილებს გრძნობს, არც შიშს. ეჩვენება, რომ მძიმე, მძიმე ძილქუშმა წამოიუარა უცებ...

ასე მაინც ნუ, პირქვე მაინც ნუ! ერთხელ მაინც ადგეს და კიდევ შეხედოს ცას. მზეს, ლურჯი ნაძვანართ გადაბურულ მთებს.

მაგრამ ხელები რომ გაძრას, დაეყრდნოს მათ და წამოიწიოს — ამის ძალა აღარ აქვს.

უცებ, თითქო რაღაც დაჰკრესო, წამოიჭრება, თვალს მიმოავლებს აყვავებულ ხეობას და... უკუნეთი იფლვებს ყველაფერს. ის უკვე ძირსა წევს და



ლოყით ეკვრის თბილ ოშხივარმოდებულ მიწას. უღვაშებს რომ მკვეთრი ნაო-
კები ერკალებოდა, მსუბუქ ღიმილად გაელუნა სახეზე...

ხარები ველის პირს ჩერდებიან, ზანტად იქნევენ კუდებს და მხიარულად
მოზუზუნე ქინქლებს იგერიებენ. მოხედავენ პირქვე მწოლიარე პატრონს, რო-
მელსაც ხელები ისე გაუშლია, თითქო გულში ჩაუხუტებიოო ესეოდენ საყვარე-
ლი, სანატრელი მიწა და მერე წასწვდებიან თხილის ნორჩ, სულ ეხლახან გამო-
ფურჩქვნილ ფოთლებს.

ხეობას კაშკაშა მზე დაჰნათის.

სიწყნარა.

მხოლოდ დაუდეგარი მტკვარი მოშხუის ჰოროხებზე.

თარგმნა რევაზ ინანიშვილმა



ბიოგრაფიული

ბირაქის დგენა

დედამიწა!.. დედამიწა!..
არა, მეზღვაურები როდი იყვნენ, ან მოგ-
ზაურები და გეოგრაფიულ სიახლეთა აღმო-
ჩენნი.

ხევსურები იყვნენ და თვალანთებულნი, ბირ-
კამშრალნი ბირველად გასცქეროდნენ შირაქის
უნაპირო ველს.

ოჯახის უფროსებს ზურგში ამოსდგომოდა
ჯალაბობა—მანდილიანი და სათაურიანი დია-
ცები, ჭრელ-ჭრულა ყელმოღერებული გოგო-
ები და წვევმაღალი ყმაწვილები.

ქულოსანნი წინ გადმომდგარიყვნენ.
აქა-იქ, კანტიკუნტად მოჩანდა მოვერცხლილი
ხანჯლები, სწორი ხმლები და შექპარტლული
ფარები.

შორი გზისა და მზისაგან დასიცხულნი,
მტკერწყარილნი და ჟანგიაანი, თვალებს იფშე-
ნეტდნენ და პორიზონტს აყოლებდნენ მზერას.
ჩურჩულებდნენ და გოცებულნი ერთმანეთს
შესცქეროდნენ.

არაგვის ქარაფებზე და გულის ქალის ვიწ-
როებში გაზრდილებს, საიდანაც მხოლოდ ცის
დანახვა თუ შეიძლება, კიუხებისა და მყინვა-
რების ბინადართ, სადაც იმდენი სწორე ადგი-
ლიც კი არაა, რომ მგზავრმა ხელბარგი დაღოს
და შესვენოს, ახლა აღევლებისაგან თითქოს
ენაც ვეღარ მოგებრუნებინათ ბირში.

მათ წინ სწორი, სულ სწორი მინდორი ლიე-
ლივებდა ოქროსფრად.

ზღვა არის თუ მინდორი?!

გაზომვა თუ შეიძლება ნეტავ?..
მეორე ნაპირს თუ მიწვდება კაცი?..

— მართალი ასა? — მწყურვალედ კითხუ-
ლობდნენ დიაცები და წინმდგომებისაკენ
იგრძელებდნენ კისრებს.

— ეს რაი ას? — ცქმუტავდნენ თვალჭრელი
გოგოები. მათ არავინ პასუხობდა. ვინ უპასუ-
ხებდა! ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცები რა-
დაცას ჩიფჩიფებდნენ.

— სად გავინილას?...— ეკვობდა ზოგიერთი,
წინ მდგომმა თმაშეთეთრებულმა ყულია
წყელაურმა ვეღარ მოითმინა და წამოიძახა:

— ცხენი!
და იქვე აყუდებულ უმცროს ვაჟს აბიკას
ხელიდან წაპგოჯა სადავე. მსუბუქად მოვე-
ლო შეჩვეულ ნისლას ტანმორჩილი ყულია,
მერე დასქყავლა და მთაში განთქმული მეწი-
ნავე ცხენი შირაქის ველზე გააფრინა.

დადგა მტვერი, ძახილი, მიხლა-მოსხლა; ხე-
სურები აირივნენ.

— გაგიდა. — დაასკვნეს ზოგიერთებმა.
*გაგიდა, ნამდვილად გაგიდა!..
მტვერის კორიანტელი კი თანდათან გულში-
რაქისკენ მიიწვედა.

გადმოიღეს სოფელში ნაქები ღურბინდები,
გაუქვირტეს, თავები გააქნის.

ნისლისფერი ნისლა გაეკრა მინდორს.
რისთვისღა დაზოგავდა მხედარი თავის
საფერხეს, ახლაც თუ არ გამოადგებოდა!
არც მათრახი სჭირდებოდა ნისლას, არც
ღეზები, ისეც იცოდა პატრონის ხასიათი.

მოყვითალო ბუქმა გადაიარა გულშირაქი.
მხედარს მხოლოდ წინ მიემართა ცეცხლო-
ვანი თვალები, მაგრამ რაც უფრო ერეკებოდა
გაქაფულ მერანს, მით უფრო ემატებოდა მინ-
დორს სიგრძე.

იარა ყულიამ და იარა ცისა და მიწის შესა-
ყარმაც; ვერა, ვერ დაეწია ყულია მწვანე
ზღვის დასალიერს.

მაშინ ბირველად უთხრა სამღურავი ნისლას;
გულდაწყვეტილმა მოსწია აღვირს და წამოი-
ძახა:

— მართალი ყოფილას!
გადმოხტა, მუხლზე დაემხო, პეშვით იღო
შირაქის მადლით გაპოხილი მიწა და სახესთან
მიიტანა; დაყნოსა, ხელიდან ხელში გადააჩრია
და თან ჩურჩულით იმეორებდა:



— მართალი ყოფილას...

და დედამიწა რომ ნამდვილად დედამიწაა, პირველად აქ იწამეს ხევსურებმა.

არაინ იცინოდა გარშემო; არც არაფერი ვაკვირებდით. დამხედურებმა — ქედელმა და არხილოელმა კოლმეურნეებმა კარგად იცოდნენ რაც ხლებოდა ახლად ჩასახლებულთა გულში.

მათთვისაც ნაცნობი იყო ეს გარნობა, ისინი და მათი წინაპრებიც ასევე მოვიდნენ ფშვიდან, მთიულეთიდან, ხევიდან. წინ მოუძღვით ლევა ბაქიჭებში გამოწყობილი დეკაკი ვაჟა-ფშაველა. მან უროსავით დაჰკრა ფეხი ჯერ გაუტეხავ ყამირს და ხალხს მიმართა:

— ეს მიწა თქვენია! მტკიცედ დადგეთ აქ და ფეხი არ მოიცვალოთ!

და მარტო ამას როდი დასჯერდა. მოხუცები იმ ადგილსაც უჩვენებენ, სადაც ვეამ ღაზათიანი სილა დაეკრა გათავებულბულ ცისკაროშვილს, რომელმაც ფშაველების აყრა განიზრახა, ასე რომ, სამუდამოდ დაუკარგა ამაყ „პრისტავს“ ქედელბოან დავის ხალსი. შირაქელბმა გულთბილად მიიღეს ახალი მეზობლები; დააბინავეს მათთვის წინდაწინვე მომზადებულ სახლებში; გამოჰკითხეს მთის აშბავი, თვითონაც მოუთხრეს ბარისა.

თურქე სულ ახლობლები ყოფილან — ერთი წყლისა და ერთი ხეობისა, საერთო მთა ჰქონიათ საილალოდ და სანადიროც ზიარი.

მალაი საბუდარიდან გდმოფრედილან ლიქოკლნი და ბარისახოელნი, ბაცალოგოსა და როშკის ბინადარნი, გორშედლიონნი და წყალსიქთოელნი; დასთეს მყინვარები, დაავდეს დაბრეცილი გზაწერილები და შირაქის ველზე დაიღეს კერა.

— აი, ეს მიწები რები სულ ჩენია, — ხელს იშვრენ ქედლები, — რასაც თვალი ხედავს, დღეიდან თქვენც გეკუთვნით.

შირაქზე მძიმედ დახრილა მზისფერი თავთავი და ელის ვეჟაკის ხელს.

ხევსურეთის არაგვი და ფშავის არაგვი ერთად ებრძვიან გალიბულ კლდეებს, მერე ყიფინით მოეგებება მთიულეთის არაგვი და, სამივე, ხელიხელგადახვეულნი თავიანთ აბორგებულ ჯანს უერთებენ საქართველოს მთავარ ძარღვს მცხეთაში.

და არაგველები რატომაც არ გადახვევენ ხელს ურთიერთს შრომაში, რატომაც არ ასახელებენ სამშობლოს!

მაშინ ჰრელებურგანინა ვაქებმა ისევ მოიყარეს თავი, მოისხნეს იარაღები, დააწყვეს ფარები, ყაწიმიანი ხმლები, ხანჯლები და იშვიშელენ... ძარღვიანი მკლავები

მერე ეს მკლავები შირაქის ველისაკენ გაიშ-

ვირეს, არხილოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვინო ქავთარაძეს და ზემოქედელთა მძღვანელს არსენა კობაიძეს მტკიცედ ვანუცხადეს: „მიგვიშვიო“!

ვინო ქავთარაძე და არსენა კობაიძე დიდი ხანია ვამოიწერთნენ საქმეში, კარგად იციან ვის როგორ მოვყრან და საიდან დაიწყონ. ეს მათ დაეყენეს ფეხზე დიდი და პატარა, მათ დასძრეს ლაშქარი საიერიშოდ.

მაგრამ ახლანამოსულბმა ჯერ დაისვენონ, მიმოიხედონ, ალლო აილონ.

დამკლავებულო ვაქები კი მტკიცედ დგანან თავიანთ სიტყვებზე:

— მიგვიშვი!

დასვენება რაილ ბედენია ას! ვანა წინაპრები ისვენებდნენ, როცა სამშობლოს მათი თავი უპირდა, როცა უწმინდური შავად მოვიგრაგნებოდა, ვანა ისინი არ შეღალადებდნენ:

— მეფეო, მიგვიშვი!

მეფემ იოლა რასაც ნინშავდა ამ შვილივით მოზიდული, ჩაფხუტიანი რაინდების მიშეება და ამიტომ ვადაწყვეტი წუთისათვის ინახავდა მათ.

მახვილშემაართული მხედრები სარდალს შესთხოვდნენ:

— სარდალო, მიგვიშვი..

მერე დაიწყებოდა ხმლების ლაბაბი და სანგრებს ვადაუვლიდა იმედიანი ყიფინა:

— ხევსურები მოდიან! ხევსურები!

ეს ყიფინა კარგად ახსოვს შაქორისა და აწყურის ლოლებს, ბახტარიონის ნანგრევებს, კრწანისის ლამიან მიწას.

არავის უნახავს ზურგშეშეკეული ხევსური, არც შრომაში დაიხვეწენ ისინი უჟან.

მეორე დღეს ქედის მიწდვრებს მოედვენ ბეჭმობატული როშეკლები, ლიქოკლები, ბუჩუქურლები..

ქულზე კაცი ვამოვიდა.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელები გულმოფონებულები გასცქეროდნენ მიწდორს.

ბევრი ხელის ჰირიმე და ერთი პირისაო!

ყულია წილაურმა როცა არხილოელთა ზერებს ვახედა, ვერც თვლი მოაცილა და ვერც გული. აიარა და ჩაიარა კვლებზე, თითოეთული ვაზი ვასინჯა თავიდან ძირამდე, არც მტევანი დატოვა და არც ფოთოლი უყურადღებოდ; მერე ახალ მარაწში მასპინძლებთან ერთად ჰაშნიქად დიდხანს იგემოვნებდა და იმავე დღეს ვადაწყვიტა როშკის ძველმა მკედრმა, რომ ამ დაზიანის ვამახარული მცენარის მოვლა-პატრონობა ესწავლა რადაც არ უნდა დასჯდომოდა. რა შეუშლიდა ხელს? სიბერე? აბა ეს რა მოსატანი იყო. მართალია, სამოც წელს ვადაბაზავა, მაგრამ თუ საქირიო



გახდება, კიდევაც არ დასთმობს პირველობას სათემო დღესში. აქა ჰყავდეს თავისი ნისლა თორღე... და ბევრი აღარც უფიქრია, თქმას შესრულება მოჰყვა.

როცა თმაქალარა მოყმემ ყუდიამ ბარი დაქკრა ზილიჩაის ველს, „მამინ დაიძრენ მიწა-ნი“.

გამოდის შავად გაპოხილი ყამირი, სახნის-უნახავი, ცელუნახავი, კაცუნახავი.

და, თუმცა კლდეები არ ჩამოგრეულა, არც შტონი დალევნიან ტყისანი, მაგრამ ახალმა მწვანე ზერებმა მზე დააჩრდილა ზილიჩაის ველზე.

ყუდია წიკლაურმა ისე ჩაიყურყუმელავა საქმეში, როგორც ორაგულმა მორვეში.

თვითონ მევენახეობის ბრიგადაში გადავიდა საცხოვრებლად. მას არც ოჯახის წევრები ჩამორჩნენ. კომკავშირელმა ქალიშვილმა ძილამ მეძროხეობის ფერმა აირჩია, კომკავშირი მავალენსო თქვა უფროსმა ვეჟმა და ცხვარს გაჰყვა მთავი, უმცროსი სწავლას განაგრძობს.

ყუდიაც გაცხარებით დაეწაფა სწავლას, მაგრამ სკოლის მერხზე ყი არა.

აგრონომს ყურადღებით უსმენდნენ, მეცნიერებას ენდობოდნენ, მისი დასკვნები სჯეროდათ, მაგრამ ეს მაინც არ იყო საყმარისი. საჭიროა თავად გემორჩილებოდეს მკაჯა; თითის-გულმა ერთი შეხებით უნდა იგრძნოს რა უჭირს ვაზს, რომელი კვირტია ზედმეტი, სად უნდა დატოვო რქა. არცერთი ვაზი არ ჰგავს მეორეს თავისი ჯანით, ფესვითა თუ აგებულებით. ოსტატმა მრავალი რამ უნდა მიიღოს მხედველობაში: მზე, ჰაერი, ნიადაგი და მისი დახრილობა, რქის კვება და მხოლოდ ამის მიხედვით დატვირთოს ყოველი ძირი.

ჭეშმარიტად ძნელ საქმეს მოკიდეს ხელი არიხილოებელმა. მაგრამ მათი გადაწყვეტილება მტკიცეა: რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, დაუფლოთ ამ ნაზი დედოფლის საიდუმლოებას.

და ყუდიაც გაფაციცებით ცდილობს საიდუმლოს ამოსხნას. ყურს ადებს მიწას და გრძნობს, როგორ აფხვიერებს ფესვი ნიადაგს, როგორ იგსება სიცოცხლით ყოველი მარცვალი, რას ჩურჩილებენ ფოთლები..

ამ წიგნს დილიდან საღამომდე კითხულობს მოხუცი მევენახე.

ყოველივე ამას ის საოცარი შედეგი მოჰყვა, რომ ყუდია წიკლაურზე გაპიროვნებული ნაკვეთი ერთ-ერთი საუკეთესოა მთელს ბრიგადაში. სამეგალითო მოსავლის ოსტატმა ჯილდოდ დამისახურა და ხალხის სიყვარულიც. ახლა მასთან მოდიან რჩევისათვის, მის მუშაობას აკვირდებიან, გამოცდილებას იზიარებენ.

დაცა იყო იმაზე, რა სიძლიერისაა უნდა გამოეყენებინათ ამ შეწამლვაზე ცენტრთან თუ პროცენტნახევრიანი. ეს დღეები ხომ ამინდის, დროსა და ადგილის მიხედვით მუდამ ცვალებადია. ამას გარდა, კიდევ მრავალი რამ უნდა გაითვალისწინოს მევენახემ ისეთი, რისი ამოკითხვაც არც სახელმძღვანელოებში შეიძლება და არც სანიმუშო რეცეპტებში. აქ მხოლოდ საკუთარი ალღო და დაკვირვების უნარი თუ უშველის; და ზოგჯერ, თითქმის პატარა შეცდომას შეიძლება საბედისწერო შედეგი მოჰყვეს მოსავლისათვის. ყუდია დაკვირვებით იმეორებდა თავისას:

— მე პროცენტები არ ვიცი; აი ამ საწყაოს ჩეყრი სამჯერ და მერე თქვენ შეამოწმეთ, როგორ ხსნარს დავამზადებ.

ახალგაზრდა აგრონომმა ღიმილით დასთმო: — ვაეცლოთ; ყუდია არ შეცდება.

და არც შემედარა; დღემამწა..

ადრეც მიწის თელავდა ყუდიას ქალამანი, მაგრამ როშყის ჩამორტყხილი ქარაფები მისთვის ღედინაკვალი იყო და არა დედა.

განა დაავიწყდა!

ფრჩხილებით კაწრავდა ქვიშას, მოხრილ ახანას აღრიღებდა ფერღობზე და იმეამინდელ მორენულ ლოდებს სახნისით ღარავდა. იმ ღარებზე, როგორც იეროგლიფებზე აქამდე იკითხება დაღვრილი ოფლისა და უღროოდ გაცვეთილი ჯანის მწუხარე ამბავი.

ცოტა ქერი მოჰყავდა მშრომელ მთიელს, ცოტა ჰვავი, ცოტაოდენიც მთის ფეტვი-კრუმა.

მაგრამ კალაზე მიტანას როდი აცლიდა ღორღისფერი სეტყვა, ნახნავივე იღუწებოდა კალო. რაც სეტყვას გადარჩენოდა, იმას რთვილი მომუშავედა, რთვილს თოვლი მოჰყვებოდა და მეორე ხანამდე წაებურებოდა ოჯახის უკანასკნელ იმენს.

ყუდია ხელს ჩაიქნევდა და გულმოსულად გადახედავდა თვალცრემლიან ცოლშვილს. მერე „ჯორაკას“ შეკამხავდა, გადააჯდებდა ხურჯინს და გასწევდა ბარისკენ „პუტრობად“.

არა, არ დაევიწყებდა მძიმე ბარგის თრევა არაგვის ვიწროვებზე, არც ზევისი ქუხილი, არც ჯალაბის შიში და ელდა.

გრძელი იყო მთის ზამთარი, ბევრჯერ დაიცლებოდა ხურჯინი, ბევრჯერ სჭირდებოდა დაქედვა „ჯორაკას“.

სამქოთა ხელისუფლებამ ბარისახომდე მოახლოვა, როგორც კაცთა სარჩო, ისე ჩასაცემლე-დასახებო. თითქმის ეშველა ყუდიის.

მაგრამ ახალ დროში ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. თანდათან გალღვა ყინული, ხეებმა



ახსენს ბორკილი, ახელდნენ და დასძრეს ბარისაკენ ქაფიანი ღვარები. მიღიან, მიჰყეფენ თავებზე და უკან აღარ ბრუნდებიან. სამაგიეროდ იქიდან უბერავს გაზაფხულის მაცოცხლებელი სიო, სიოს თან მოსდევს ფოთოლი, ახალი ცხოვრების მაინე, თან მოსდევს ყვავილი.

მზემ ქვასაც გაუთბო გვერდი. გული იშლებოდა ლაღად, სიცოცხლე ფუთფუთებს ფეხქვეშ.

ახალგაზრდები გასცქერიან თავქვე დაქანებულ ღელეებს და ამ ღელეებივით უჩქროლავთ სისხლი ძარღვებში. ადგილს ვეღარ პოულობენ შინ, ერთმანეთთან გადადიან საფეხგნოდ, მერე სხედან და ბჭობენ ცისპირის გატეხამდე. როგორც დაბმულ ვეფხვს ტყე, ისე ეძახის მათაც დღა-ბარი.

როცა ეს შეიტყო ყუღია წიკლაურმა, ძვალობაში დაუარა:

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა...“

მინც შეუღლა მზადებას, თემის პირს არ ტეხავდა, თუმცა გული შეჰყენესოდა.

და ერთ დღეს ბარისახოდან დაიძრა ავტობუსების გრძელი ქარავანი.

მანქანებზე მოჩანდნენ შირაქის ახალი მოსახლენი — როშკიონნი და ლიქოკელნი, ბუჩქუჩურელნი და ათიოდ სხვა სოფლის ჩაქანებული მკვიდრნი.

დედაწულიანად აყრილ მთიელებს აცილებდა არაგვის აქოჩრილი ჭალა.

ყუღიას ჯალაბობას ერთი ავტობუსი დასჭირდა.

მაგრამ ორწყალში, როცა ნაცნობი მწვერვალები თანდათან თვალს მოეფარა, წიკლაური ისე აბორვდა, რომ კინაღამ გადმოვიარდა მანქანიდან. შეეკრთალა შოფერმა ძლივს მოასწრო დამუხრუქება. ყუღიამ ყური არავის ათხოვა, გადმოვიდა, ჩოქი მოიხარა დინჯად და ქუდმოსხლმა შეღადადა არაგვის ხეობას:

„მშვიდობით მთანო, სანჯავ-სათინო, ტყენო, ქალანო, მშვიდობით...“

გაჩერდა გრძელი კოლონა. კაბინიდან გაოცებულ შოფერებს გამოეყოთ თავები. გზის პირას დაიჩქილი მოხუცი ზეესური მონოლოგს უკითხავდა ვარსმოჯარულ ქიუხებს.

და ახლა, არიხილოს კალაში, როცა ნაცნობი შოფერი თვალს მოჰკრავს ეზოში მოფუსფუსე მოხუცი, აღტაცებას ვერ ფარავს:

— ვახ, აი ამ ზევსურმა რა სიტყვები თქვა მაშინ, იცი? კინაღამ მეც გავწიკლაურდი.

არიხილოელნი ღიმილით პასუხობენ:

— აბა ახლა ჰკითხე!

ღიას! ახლა ჰკითხეთ არიხილოელ წიკლაურს!

შემოდგომით, როცა ყველაფერი აიწონა და დაიწონა, წიკლაურთა ოჯახის შრომადღებზეც ერთად მიიყარა თავი. მაშინ წელგამარ-

თული მიადგა ოჯახის უფროსი საკოლმეურნეობის საწყობს. დიდხანს ავესებდნენ, წონიდნენ და აწყობდნენ ცალკე.

— ლხინში და ბედნიერებაში მოგახმაროს, ყუღიავ! — დალოცა ბოლოს საწყობის გამგემ.

გაკვირვებულმა ყუღიამ ერთხელ კიდევ გადაათვალიერა სავსე ტომრები. თორმეტი ტონა შირაქული ხორბალი უნდა წიაღი შინ. თორმეტი ტონა სარჩო ზევსურის ოჯახში! ეს ხომ მთელს როშკას გამოკვებადა ერთ ზამთარს!

ახლა ამას დაუმატეთ სხვადასხვა: სიმინდი, მზესუმზირა, ფული, ერო-ყველი და ღვინო — ყუღიას ხელით მოყვანილი.

— მარტო პრემია შემხვდა ასსამოცი ლიტრა, კარგ არ ასა ჩენისთანა გლეხისთვის?

თითებზე ითვლის ყუღია, და თითოეულ მოხრილ თითს ზედ აყოლებს „კარგ არ ასა?“

თან ისე გვიყურებს, თითქოს არ გვეჯერა, რომ ეს ნამდიღად კარგია და ნამდიღად სასიხარულო.

მართლა, არც ის გოგონა უნდა დაევიწყოთ, დამფრთხალი შველვიით რომ ჩამოჰყავა მოხუც მამას და აბრე გაოცდა შირაქის უჩვეულო სანახაროთ.

თავიდანვე საქონელს მიჩვეულმა აქაც ფერმას მიაშურა. ძილას ხშირად აქებენ არა მარტო სოფელში, არამედ რაიონშიაც და უფრო შორსაც.

ღიღაც დაოსტატდა თავის საქმეში მთიელი ქალიშვილი, მაგრამ იოლად როდეს მიიღწია ამას.

ძილა წიკლაური კიდევ მეტს ვეპირდება. და გვეჯერა, რომ იგი თავის სიტყვას შეასრულებს.

კვიცი გვარზე ბტის!

ხოლო წიკლაურების გვარში ზარმაციები და უქნარები არ უყვართ.

მევენახეობის ბრიგადაში მარტო როდია ყუღია; მის მხარში უდგანან თანასოფლელები: სუმბატა არაბული, ბაია და ალექსი წიკლაურიც. ახლელი ფეხდაფეხ მისდევენ თვიათ დებეშოლ მეთაურს, ზებერ მგელს. თუ ვინმე ჩამორჩა, იმას დატუქსვაც არ ასცდება, როგორც წესი და რიგია: „რას იტყვის ხალხი, სირცხვილია ას!“

მაგრამ ხალხი კარგის მეტს არაფერს ამბობს ამ თავადებულ მშრომელებზე.

მარტო როშკელი წიკლაურები არ დამკვიდრებულან შირაქის მიწაზე; ეფეხვიით ევაები ჰყავთ ლიქოკელებს, ჰინჯარაულებს, გოგოჭურებს, არაბულებს... მარტო სახელები რად ღირს: რამდენია მათში ეფეხვია, დათვია, ფოცხევა, მგლოცია...

ქვემო ქედში კარგად იცნობენ კომუნის-



ტებს: ხეთისო გოგოპურს, თოთია ჭინვარულს, დავით წიკლაურს. თოთიას საკოლმეურნეო საწყობი მიანდევს ქედელეგმა, თავიანთ ნაშრომ-ნაღვაწის მცველად დააყენეს. პატიოსანი ახალგაზრდა მართლაც თვალისჩინივით უფროსილდება საერთო ქონებას. დავითი ფერმის ახმარს თავის გამოცდილებას, მეჯოგეთა ფერმის ხელმძღვანელობს ხეთისო გოგოპური. მათ რომ კითხო, ბევრს არაფერს აკეთებენ; მათი შრომა რა გამოსარჩენია იმ დიდ ამოცანებთან, რასაც ახალი შვიდწლეული გვისახავს.

მომთხონელობით და პირდაპირობით განსაკუთრებით ცნობილია ხეთისო გოგოპური. მისზე ამბობენ: ამოღებული ხმალივით სჭრისო. ამა გავსაუბრეთ და ნახავთ, როგორ გონებასმახილურად არკვევს სადღესო ავკარგს.

ოდესღაც ხეთისო პირველი ხევსური ახალგაზრდა იყო, რომელმაც პარტიული სკოლა დაამთავრა. შემდეგ მრავალ წელს ხელმძღვანელობდა ბარისახოს სოფლის საბჭოს და ხევსურეთში არაერთარი სიახლე არ გატარდებოდა ისე, რომ მის მონაწილეობა არ მიეღო. ბარში ჩამოსახლების ერთ-ერთი ინიციატორიც სწორედ ის ვახლდათ. „თუ ხეთისო მიდის, მამ ცუდი არ იქნება“ — ამბობდნენ მეზობლები და, როგორც კრულს წიწილები, ისე მისდევდნენ თემის თავკაცს.

დიდი ეკონომიური პირობები წყდება დღეს შირაქში. აქ ჩამოთვლილთა გარდა, კიდევ რამდენიმე ასეული ადამიანის დასახლება შეიძლება, რომლებიც დინჯად, თავმდაბლად აწყობენ აგურს აგურზე, და ამით მომავალ ბედწიერ ცხოვრებას საძირკვეს უზარებენ. სწორედ ისინი შესვლიან დღეს ზილიჩაის ველს, რომ დროულად გამართლონ მთავრობისათვის მიცემული სიტყვა. მათ კარვად ესმით, რომ ესაა საშვილიშვილო, ეროვნული მნიშვნელობის საქმე, — ქართული ზერებით დაბურონ თვალწვივდენი ზილიჩაის ველი.

ზილიჩაი...!

გავერახების, დაცემისა და აღდგენის ცოცხალი სურათი, გადაქელილი ისტორიის ქაობორბალას მიერ და კვლავ ქრილობა — მოშუშებული. მეჯოგეთა საიალალო, თავშესაფარი მტაცებელ ნადირთა და უფრო მტად მტაცებელ ავაზაკთა. აქ, საზღვრისპირა სანახებში, მლაშე წყლებთან დასცემდნენ კარავს ისინი, ვინც ბნელ ღამეში მოიპარებოდნენ საქართველოსაკენ. აქედან, როგორც საყურში განახული მზირი, ისე უთვალთვალდნენ მშვი-

დობიანი სოფლის ქიშკრებს. ახლგაზრდობა ვერ შეუვლით აკლებისა და თარეშის უტყვე მოწმეებს: ყველგან ნალიბოვრები, ნასახლარები, ნასოფლარები. ბარს დაქარავეთ მიწას და გადმოდის: ჯამის ნატეხი, გუთნის ნატეხი, ხმლის ნატეხი... განა მართო ზილიჩაის ველი, ასეთია მთელი შირაქი, ასეთია აღვადარა, რომელსაც დიდად აქებს ვახუშტი ბაგრატიონი, „ნადირიანი, ფრინელიანი, სასვე ყოვლითა“. ხოლო შემდეგ გულსტიკვილით ჩაურთავს: „აქა დასახლდა ელი ფადარი“.

ესლა კი, ჩვენს თვალწინ გადებხეს გვერანებული ტრამალი ქედელეგმა. და რა მომავალს უმზადებენ ამ გულუბრ მიწას მკლავმედიანი მევენახებები!

ასეთია შირაქი — საქართველოს ბედელი! ეს გამოთქმა არ არის ახალი.

ახალია სხვა: შირაქი — საქართველოს მარანი! ვინა თქვა, სად ვაგონილი? იტყვიან, სულ მალე გაევიგონებთ. პურის შირაქს გვერდით უნდა დაუდგეს ვაზის შირაქი. და ეს რომ ასე იქნება, ამაში გვერწმუნებს თუნდაც ზემო ქედელთა ვაქაციური სიტყვა: მათ გადაწყვიტეს, უახლოეს ოთხ-ხუთ წელიწადში რეაასი ჰექტარი ვენახი გააშენონ.

რეაასი ჰექტარი — ადვილად ითქმის! მგარამ ზემო ქედლები მართო სიტყვას როდი სჯერდებიან, ისინი უკვე შეუდგნენ საქმეს. მეზობლებს არც ქვემო ქედლები უთმობენ, ხუთასი ჰექტარით გაიზრდება მათი ზერებიც, ამდენსავე გვიპრდება არიბილოს კალი. პირველ ასეულ ჰექტარებზე უკვე იჭიმება მავთული.

მალე, სულ მალე ფოლადის მავთულებს დაზნეპავს საფერავისა და რქაწითელის გათქვირული მტევენები.

მალე, სულ მალე „წინანდალის“, „შაშინის“ და „მუჟუზანის“ გვერდით თარობებზე გაჩნდება ახალი წარწერა „შირაქი“.

და დიდ ქალაქებს შუქრეკლამა თავაზიანად ამცნობს: „მიირთვიეთ, ქართული ღვინო „შირაქი“!

ღამისხით შირაქული! — მოითხოვს მუშაკაცი სადილობისას.

ხოლო შირაქის სოფლები უფრო ლაღად გაშლიან მხარ-ბექს, უფრო იყვავებენ გულმკერდს.

ოდესღაც ვაჟა-ფშაველა გულამოსკენით წერდა:

„დღეს ქედლების საჩივარი და სატირალი სასმელი წყაროების სიმციკრეა და სუნით დაეძებენ ამ მხრზე მათ გამაბედნიერებელ ად-

მიანს, ჰიდრაგლიკებს, — ისინი არაფერს, სულ-საც კი არ დაზოგავენ, თუ ვინმე წყალს ამოუ-ყვანს სოფელში“.

დიღხანს ელოდნენ გამაბედნიერებელ „ჰიდრაგლიკებს“ და მხოლოდ ჩვენს დროში მოვე-ლინენ ისინი ქედს. გულდასმით მოჩხრიკეს შირაქის გეოლოგიური ქანები და რაკი იქ არ აღმოჩნდა ნანატრი წყალი, მაშინ ისინი სხვა გზას დაადგნენ. მეზობელ აზერბაიჯანის რეს-პუბლიკაში კატეჩჩაის, კატეხის წყალს დაადგეს თვალი. კავკასიონის ნაჟური თავანჯარა მდი-ნარე სწორედ მისწრება იყო ქედღელებისათვის, მაგრამ რამდენი დაბრკოლება ელოებოდა ამას წინ! წყალს ხომ აღმა უნდა ედინა, მრავალი მყარალი ჭაობი გადაელახა, გადაელახა ფართო ალაზანი.

არც ამ სიძნელეს შეუშინდნენ „ჰიდრაგლი-კები“, ახლა თუჯის მიღებაში მომწყვედულმა კატეჩჩაიმ უკვე გადმოაბიჯა ალაზანს და საცაა შადრეენად იფეთქებს გულშიარაქში.

ასრულდება დიდი პოეტის ოცნება და ქედე-ლების თანდაყოლილი ნატერა. გულს და ყელს გაიგრილებს დასიცხული შირაქელი და მერე ნახეთ ახალ-ახალი სასწაულები!

ხოლო დიდ პოეტს რომ მცირედ მაინც დაუფასონ ზრუნვა და ამაგი, მისთვის უკეთესი ძეგლის დადგმაში ერთმანეთს ეჯობრებიან შირაქის სოფლები.

რად უნდა ძეგლი ვაჟა-ფშაველას! ქვა რა სიმაღლეს შემატებს პოეზიის იალბუჯს! მაგრამ ქედღელები თავისას არ იშლიან: დე, მისი გა-მოსახულებაც ჩვენს შორის იდგეს, მანაც უც-ქიროს ახალ შირაქზე მზის ამოსვლას, განა არ ეკუთვნის? ნამდვილად ეკუთვნის; დე, აგრე იყოს, შირაქელებო!

ეს კიდევ ცოტაა. ქედღელებმა გადაწყვიტეს დიდი წინაპრის ხსოვნას უძღვნან ახალი, კეთილ-

მოწყობილი ბროსპექტი. ვაჟა-ფშაველას ბროსპექტი! ასე დაერქმევა მაგისტრალს, რომლის სიგრძე თხუთმეტ კილომეტრს აჭარბებს. მის გაყოლებით უკვე რვავენი ათასობით ძვირფასი ჯიშის ხეებს, მალე დაიწყება მოსაფლატება და, განათლებული, გამშვენებული ბროსპექტი გა-დაიჭიმება იქ, სადაც ნახევარი საუკუნის წი-ნით, უტებ ყამირზე ცხენს მიაჩქარებდა ვაჟა, რომ მიშველებოდა უმიწაწყლო, გაჭირვებულ მთიელებს. ვაჟა-ფშაველას ბროსპექტი გადა-კვეთს ზემო და ქვემო ქედს, არიხილოს კალოს.

რა აებედითი სახელი შემორჩენია ამ სო-ფელს. საშინელია, ამაზრზენია თვით გადმო-ცემაც კი ასეთი სახელის წარმოშობისა. აჰ, მომადლო ადგილზე ჩვილი ბავშვების კალო უღეწიათ უღმობელ დამპყრობლებს, და იმ საშინელი სანახაობის კვალმა ჩვენამდე მოაღ-წია, როგორც გაფრთხილებამ; დღეს კი სულაც არ შეეფერება ამგვარი სახელი მოწინავე სა-კოლმეურნეო სოფელს.

მარტო ყუღია წიკლაურმა როდი იხილა აქ ახალი ცხოვრების გემო. ახა ვადახედეთ მის მეზობლებს, თვალი მოავლეთ ამაყად წამოჭი-მულ ორსართულიან სახლებს, რომელ მათგან-ში არ ხარობს ბედნიერი ოჯახი!

ხოლო ყუღია წიკლაური კი...

კვლავ თავს დასტრიალებს ზილიჩაის ველს. ქართულ ვაზს ამყნობს შირაქის მიწაზე რომ-კის ძველი მკვიდრი, ქართულ მარანს უყრის საფუძველს.

სად არის აქ ლეგენდა!

შირაქზე მძიმედ დახრილა საესე თავთავი და ოქროსფრად ლიციეებს.

ნელა იმართება წელში მოხრილი ვაზი და მკლავივით იშვერს მზისკენ გალაღებულ რქას. ნეტავი რას მოეჭიდება, ნეტავ, სადამდე მიწე-დება?



ჯუმაბაი ჭუმბურიძე

აღ. ორბელიანის წერილი დ. ჭონქაძის

„სურამის ციხეზე“

XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორია შე-
მოქმედდა მცირე რიცხვს იცნობს, რომლებიც
მწერლობას მხოლოდ ერთი ნაწარმოების წყა-
ლობით შემორჩინენ. ერთი ამთავანია დანიელ
ჭონქაძეც. თავისთავად ეს ფაქტი „სურამის ცი-
ხის“ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთით-
ებს. ამიტომ გასაგებია, რომ გასული საუკუნის
60-იან წლებში, როდესაც ქართული მხატვრული
პროზა კვლავ იწყებდა აღორძინებას, „სურამის
ციხეზე“ მკითხველი საზოგადოებისა და სალი-
ტერატურო კრიტიკის საგანგებო ყურადღება
მიიქცია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ
პირველ ხანებშივე ოფიციალური პრესის ფურ-
ცლებზე ამ მოთხრობის ავტორიანობა არ შეფა-
სებულა.

წინააღმდეგობა, რომელმაც ამ პერიოდში იჩი-
ნა თავი ლიტერატორთა ძველსა და ახალ თაო-
ბებს შორის, სავსებით ბუნებრივად გამოვლინდა
„სურამის ციხესთან“ დაკავშირებითაც, რამდენ-
ადაც დ. ჭონქაძის მოთხრობა დიდ სოციალურ
პრობლემას ეხებოდა.

ამ მხრივ საინტერესოა ს. ჯანაშიას სახელო-
ბის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელ-
ნაწერთა განყოფილებაში (S — 1641) დაცული
აღქაწიანდრე ორბელიანის წერილი — „დარ-
თულს დართული“. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ
პირველსა და ვრცელ რეცენზიას დ. ჭონქაძის
„სურამის ციხეზე“. „დართულს დართული“ და-
წერილი უნდა იყოს დაახლოებით 1863 წელს,
რადგან ავტორი აღნიშნავს, რომ „ავდენი ხანი
გავიდა, არავის აღარა უთქვამსრა ჭონქაძეზე...
სხვებსაც გულიდან გადავარდნილი ჰქონდათ
ეთქვათ რამე იმაზე, ახლა კიდევ განაახლეს
ჩვენი ბატონების მოსაკონათ“. აღ. ორბელიანი
ამ შემთხვევაში უთუოდ გულისხმობს კ. ლორ-
თქიფანიძის წერილს — „ორიოდ სიტყვა
„ციცკარზედ“ და ახალის ქურნალის სარგებლო-
ბაზედ“ (ციცკარი, 1862, № 9) და განსაკუთრე-
ბით კი ა. ფურცელაძის რეცენზიას — „სურამის
ციხე“ დ. ჭონქაძისა“ (ციცკარი, 1863, № 1), რო-
მელშიც პირველადაა მოცემული დ. ჭონქაძის
მოთხრობის საფუძვლიანი შეფასება.

აღ. ორბელიანის ამ წერილის ტენდენციის გა-
სარკვევად საჭიროა გავისვენოთ, რომ ავტორმა
ჯერ კიდევ 1859 წელს „ციცკარში“ დაბეჭდა
სტატია — „უწინდელს დროს ბატონყმობა სა-
ქართველოში“, რომელშიც იგი ამტკიცებდა—ძვე-
ლად საქართველოში ადგილი არ ჰქონია კლასო-
რივ ბრძოლას მონაღადლოებრივ ურთიერთო-
ბასაც ბატონყმობის სახე არასოდეს მიუღო-
აო. აღ. ორბელიანი, მაგალითად, ასეთ იდიო-
ურ სურათს გვიხატავს: „საქართველოში მება-
ტონეთ ყმობა მონად (მონება მესმის მე, დაჩაგ-
ვრა) არ იქმნის. მართალია სიტყვა ყმობა იყო,
მაგრამ საქმე მონებას არ აკმადავებს. უწინდელს
დროში გარეშე კაცი იმას ეძებდა მებატონე ეი-
შოვნო და იმას შეევიხიზნოვო, ამისათვის რომ
მეზატონე თავის ყმასა შეილსავით ყურს უგდებ-
და და შეილის მზავსად გული სტივოდა ყმისათ-
ვის“. ამ „მამაშვილური“ ურთიერთობის ჩვენე-
ბით ავტორი თანადროულობას გაიღვალეებულ
წარსულს უპირისპირებდა და თავგამოდებით ამ-
ტკიცებდა — ფეოდალურ საქართველოში არსე-
ბული გამძაფრებელი სოციალური წინააღმდე-
გობანი ადამიანთა შორის შესაძლებელი კერძო
კონფლიქტის ხასიათს ატარებდაო.

„სურამის ციხე“ ქართულ მწერლობაში პირ-
ველი ნაწარმოებია იყო, რომელშიც ავტორმა გა-
აშვილდა ბატონყმური ურთიერთობის ნამდვილი
სახე. ეს მოთხრობა ერთგვარად თითქოს აღ.
ორბელიანის ზემოაღნიშნული წერილის პასუხსაც
წარმოადგენდა და უჩვენებდა, რომ აღ. ორბე-
ლიანისა და მისი თანამოაზრეების მხრივ ძველ
საქართველოში კლასთა პარამონიული ურთიერ-
ობის მტკიცება მხოლოდ ფიქტია იყო.

ბუნებრივია, ისეთი იდიოლოგიის კაცი, რო-
გორსაც აღ. ორბელიანი წარმოადგენდა, „სურ-
ამის ციხეს“ აღტაცებით ვერ შეეგებებოდა. პი-
რიქით, მოსალოდნელი იყო, რომ იგი პასუხს
გასცემდა დ. ჭონქაძეს, რათა საკუთარი თვალ-
საზრისი დაეცვა. და, მართლაც, აღ. ორბელიანს
დაუწერია „დართულს დართული“, რომელიც
აღარ დაბეჭდილა, საფიქრებელია უფრო იმიტომ,
რომ რედაქტორმა ი. კერესელიძემ იმ დროს მზა-

ტონყმობის გადავარდნის პერიოდში უკვე ზედ-მეტად ჩათვალა „ციხეში“ მისი გამოქვეყნება (მით უმეტეს, ანტონ ფურცელაძის რეცენზიის შემდეგ).

ამ წერილში ალ. ორბელიანი კვლავ თავგამო-დებით ამტკიცებს, რომ საქართველოში კლასობრივი ურთიერთობა სავსებით ნორმალური იყო და იგი შეეფერებოდა საერთო ეროვნულ ინტერესებს. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოებაა ალ. ორბელიანისათვის გადაწყვეტი: მისი აზრით, სოციალურ ურთიერთობას მხოლოდ ერთიანი ეროვნული მისწრაფება განსაზღვრავს. ამიტომ, რომ იგი ასე პრინციპულად ილაშქრებს დ. ჰონჭავჭავაძის მოთხრობის მეკეთილად გამოხატული კლასობრივი ტენდენციის წინააღმდეგ. ალ. ორბელიანი — გულწრფელი მამულიშვილი — მზადაა ყოველგვარი ეროვნული მანკიერება ამხილოს, ოღონდ არ დაუშვას გამწვავებული კლასობრივი წინააღმდეგობის ჩვენება. მართალია, იგი იძულებულია აღიაროს, რომ „ახლანდელი ჩვენი ზოგიერთის მებატონეებისაგან ბევრჯელ მომხდარა თავის ყმების ძირიანათ ავლება და ჯარიმების წართმევა“, მაგრამ ეს მას მიაჩნია მხოლოდ ცალკეული აღმართების პიროვნული უღირსობის გამოხატულებად. კრიტიკოსი აზარებს დ. ჰონჭავჭავაძის მოთხრობის ზოგიერთ ღირსებასაც, მაგრამ დაასკვნის, რომ საერთოდ ავტორმა ვერ მოახერხა ჰუმანიტური მხატვრული ნაწარმოების შექმნა, რადგან მწერალს ყალბად ემსის ამ უკანასკნელის ჩამოყალიბების პრინციპებით: „რამაინ ანუ მოთხრობა რა არის? — ნამდვილ საგნიდან გააკეთონ. ეს არის, თუ ჭორი-დან? — ვინც იცის, მამიგებს: ნამდვილიდან, მხოლოდ დიხ გაფრთხილებით და დაფარულად

სახელების გამოყვანით, რომ განგაში არ მოხდეს ხალხში. ვიზედაც არის უწყინად იგრძნოს, დი-ჯგორს და გასწორდეს კიდევ თვისებაში. აი ეს არის რამიანისა და მოთხრობისა მიმართულე-ბა“. ალ. ორბელიანის სიტყვით, ის პირები, რომელთაც დ. ჰონჭავჭავაძე გულისხმობს თავის მოთხრობაში, სინამდვილეში კეთილი მებატონეები იყვნენ და მწერალს არ ჰქონდა უფლება ასე თვით-ნებურად დეამხინჯებინა ფაქტები. საერთოდ, ალ. ორბელიანს არ ემის მხატვრული განზოგადების, ტიპიზაციის ბუნება და გულუბრყვილოდ ამტკიცებს, რომ სიტყვაჯამულ ლიტერატურაში შეიძლება აისახოს მხოლოდ ნამდვილად მომხდარი ამბავი.

აკრიტიკებს რა „სურამის ციხეს“, როგორც ბატონყმური სინამდვილის ამსახველ ნაწარმოებს, ალ. ორბელიანი ამით არსებითად უარყოფს იმ თემატიკას, რომელიც 60-იანი წლების რევოლუციურმა ლიტერატურამ წინ წამოსწია.

ასე რომ, ალ. ორბელიანის „ღარათულს დართული“ მნიშვნელოვანი დოკუმენტია 60-იანი წლების კრიტიკული აზროვნების ისტორიის შესასწავლად და ნათელყოფს, რომ ქართველ საზოგადოებაში განსხვავებული პოზიცია, რომელიც ლიტერატურათა ძველ თაობას ეკავა „სურამის ციხის“ შეფასებაში, საკმაოდ თანმიმდევრული იყო.

ქვემოთ გამოქვეყნებულ ტექსტში სავსებით დავიკვივით ავტორის მართლწერა, მხოლოდ ქარაგმები გავსენით, ხმარებიდან ამოღებულ ძველი ასოები შევცვალეთ და აშკარად კალმისეული შეცდომები გავასწორეთ. კვლავ აღუდგინეთ ფრჩხილებში აღდგენილია ავტორის მიერ გადახაზული უფრო მნიშვნელოვანი ადგილები.

ღარათულს დართული

სულ რომ კაცისაკენ,
ერთხელ მაინც ეშაქისაკენ.
ძველად თქმული

რა იცის კაცთან კაცისა, ან როდის რა დაემართება კაცსა? — მიდის გზაზედ კაცი, უეცრად წაიქცა, შუბლი ქვას დაჭრა და ტვინი ზედ შეანთხია. იქდა კაცი თავის სწორს ამხანაგებში, დაამტნარა და მამინე მოკვდა. ბევრი კაცის ბედის წერა ამ გავრია.

აბა რა ვიცოდით, უბედურის ჰონჭავჭავაძის ბედის წერა, ის პავროვანი ყმაყვილი კაცი ისე ჩქარა გარდაიცვლებოდა? — კარგა კაცზე ასე ვსთქვით, რომ ღმერთმა სისუფეველი დაუშკიდროს იმას და ჩვენც შერისხული არ ვიყვნეთ ამხედ.

იმან რომ ის თავისი თხზულება გამოისცა, თვალყურის დევნა დაუწყეთ, ვინ რას იტყოდა? — არავის რომ არ შეეხებოდა, არავის არა

უთქვამსრა, გარდა ორისა, ამისთვის რომ პირდაპირ იმაზე იყო მიმართული ის თხზულება და იმათი სახელიც გამოყვანილი. იმისთანა თხზულებაში, ისე პირდაპირ დაწერა იმ პირებზე, რა გაზრდილობას იტყვიან. ევროპაში ხომ ის განათლებულები სისხლსაც შეასხამენ ერთმანეთს. გრამონმა მეუბრინაღ დილონი დუელში მოკლა: ჩემი სახელი ცხადად რად განკიცებო. კიდევ რადღენი ამისთანა მაგალითებია. აქ მხოლოდ ორს პირს ეწყინათ, ამის მეტი თავის გამოდგება არა ყოფილარა.

იმ თვალყურის დევნაში გავიდა კარგა ხანი, გვიანდლა პასუხი დაგვეწერა, მაგრამ ამასობაში შორს გზას მოგვიხდა წასვლა, სადაც ვიყავით



კარგახანი და იქიდან რომ მოვედით, აღარ იყო საწყალი. გვეყენა იმისი გარდაცვლება. იმისთანა ყმაწვილი კაცის დაკარგვა საქართველოს დასაკლავია. ეტყობა იმის თხზულებას, კარგათ გამიპართავდა ხელს იმ გვარის მწერლობაში, იქნება პოლოდროს დიდი სახელიც დარჩენოდა, ეხლავე გვაპატიეთ.

რამინ ანუ მოთხრობა რა არის? — ნამდვილი საგნიდან გააკეთონ, ეს არის, თუ ჭორიდან? ვინც იცის, მაიმეტებს: ნამდვილიდან, მხოლოდ დიპა ვაფრთხილებით და დაფარულად სახელების ვამოყვანიო, რომ განგავში არ მოხდეს ხალხში. ვიხრდაც არის უწყინად იგრძნას, დიჯეროს და ვასწორდეს კიდევ თვისებებში. აი ეს არის რამინისა და მოთხრობისა მიმართულეება.

ავდენი ხანი გავიდა, არავის აღარა უთქვამსრა ჭონქაქმეზე, სახელიც დარჩა მაშინ და ის სახელივე დარჩებოდა კიდევაც. სხვებსაც გულიდან გადავარდინო ჭქონათ ეთქვათ რამე იმაზე, ახლა კიდევ განახალეს ჩვენი ბატონების მოსახლანათ, საყვედურის ღირსნიცა ვართ, მაგრამ რომელს შემთხვევაში? კარგი, მითამ მართალია ყველა, მაგრამ რა ექნათ, რა საშუალება ვიპოვოთ, რომ ყველაში კარგნი ვიყენეთ მებატონენი? გვიპოვეთ საშუალება და კარგნი შევიქნებით, თუ არა და, ტყუილის დაწერით როგორ გავიტანო საქმეს. ამით უფრო გაჯავრება მოხდება და ვერც გავსწავლით რიგიანათ. განა ჩვენ ვერ ვხედავთ ჩვენს ნაკულღეავენებს, მაგრამ ისეთი შეტეული ტყუილი წერა კარგს არას უთხრობს ჩვენთვის. ჩვენც ვემდურით ჩვენს თავს, აი ამ შემთხვევაში. ყველანი გვძრძობთ გულამდინის და ცხადათცა ვანობთ: დიდი მოშურნენი ვართ ერთმანერთისა, მაგრამ ასე შეკრული ვართ თვით ჩვენის შურისაგან ერთმანეთი [თ], რომ ვეღარ მოერევივართ იმას, ვეღარ დავგძალავს: ძლიერს ცეცხლსავითა მოდებულა მისი ვენება და ამის გამოვხდენთ ურთიერთსა. უწყინდელს დროში ითვლი, ხმალი და განთქმული ექვაცობა იყო, მაგრამ ახლა, შებღალული შურით, ვხოცამთ ერთმანეთსა. უწინ მამულისათვის პატიოსანს რომეში იკლავდნენ თავსა ჩვენი მამა-პაპები, რომელთაცა სახედინიროდ მიანჩნდათ ამისთანა საცევილი, მაგრამ ახლა შეხედეთ რა განსხვავებაა?—ვინც ვის შური და ბეზლობით მოჰკლავს (წახადენს), იგი არის ბედნიერი, რომლისაგანაცა მოაწონებს თავსა და ყველაგანი ფიცავს, მითამ იმან არაიციოდესრა. შეჩვენებული შური ხასიათათ ჩათესილა ჩვენს ბუნებაში. ყველაან არის შური, მაგრამ ასე ამძორებულნი, როგორც ჩვენში, სად იქნება? ყოველი ჩვენი პატიოსნების მდგომარეობა ჩვენი საფუგადლობისა სრულიად გავფუქებულია, გავფუქებული ჩვენი ხასიათის ვამო. ამისთანა საზიზღარი შური ამისთანა გავფუქებულმა ხასიათმა იცის. იამ ასე ვართ, მაგრამ კიდევ დარჩომილა

რამ ნუგეში ჩვენში: გულის სიკეთეში, სიწრფელე და გული ქართველური.

ჩვენის მებატონებისაგან რომ ამბობენ დაჩაგვრასა თავის გლეხებისას, იმას რატომ აღარ ამბობენ, რამდენს როგორ პატრონობენ თავის გლეხებს? ჩვენს ახლანდელს და გლეხების განწვალასთან ზოგიერთების სიფიზიზობა გვაყლია. დაწერონ, ღმერთი აღდგერძელებსთ, უფრო ბევრი წინ დიხუხედავი სიფიზიზობა...

[მოლაყბის ფურცელი იმიტომ უფრო კარგია, რომ ყველას შესაფერადა სწერს და არც უშვერს ხელსა: ავერ ის არისო. მართალია, იმანაც ორჯელ თუ სამჯერ წყარა, მაგრამ ბოლოს დროს ვასწორდა საქმე და თავიც მოგაყვინა. ახლანდელი მწერლობა ასე უნდა, თვინიერ მწერლების ერთმანეთის შებაასებისა, იმათ კი უნდა უთხროან ერთმანეთს სახელი: შენი წერა ასეთა, ამისათვის რომ ერთმანეთისა ესმით, მაგრამ ლანძღეავი არა].

შურო, შურო! ავრე ადვილათ ხელს ვერ ავიღებთ, რომ კიდევ არა ექვავთრა შენზედ. ჩვენ მოშურნეებმა ადრითვე უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგიერთი ჩვენი მწერლები ჯერ ჩვენ შემოგეცქირიან, იმედი აქვთ გავსწავლიდეთ: ქართველსა საკმაო გონება აქვს დანახონ ავი და კარგადა თუ აღარა იქნარა, მეტი ღონე აღარ ექნებოთ, უნდა ყოველი ჩვენი გავლელი დასდასობა სათვითით სთქვან: ჭრელ გველსავით ჩვენი სიჭრელე, ჩვენი ხასიათის მახინჯობა და ჩვენი ამოკუხტული თვისება [მაშინ ვაი ჩვენი ბრალი, კაბულტებისა და მონტეციებისა], მაშინ თავს მოგვაუხუხინებენ, ანუ სარკვეში რაფერ სახეს დავინახავთ ჩვენსას. დღმერთო, მოვიტყეო, ავერ რას ამბობენ: კაცი არ არის საქართველოში¹, ესე იგი, [იმ ზოგიერთს] უსარგებლოს ქონებასა, უქონლობა სჯობიაო. უხარიაან ხურო ნაზარასა. იმ ხურო ნაზარას დასისას რალს იტყვიო, რომლებიცა იყრიდნან, გაჰყდიდნან სიკრულით და ორპირობით?

ამა ახლა კონსერვატორთ და პროგრესისტებს ვეწვივებთ, მივიდეთ, მშვიდობის მყოფლობით თავი დაუტყაო.

მართლა ეტყობა, რომ ორი დასი იხადება, კარგი ნიშნია. ეს ის არის, წინ მოვდივართ და უკან აღარ ვრჩებით. პროგრესისტებს უნდათ კონსერვატორები გაიგონო წინ, კონსერვატორები შეჰყურებენ ჯერ სახეში იმათ: ვნახათ რა იქნებაო. რალა რა იქნება, უნდა პასუხი ვესთქვათ ჩვენის აზრისამებრ ასე: კარგს ამბავსა ძველსას

¹ ავტორი გულისხმობს ორ მოსიხსლე გვარს შექსპირის პიესაში „რომეო და ჯულიეტა“.
² ცხადია, ავტორი გულისხმობს ი. ჭავჭავაძის ცნობილ სიტყვებს: „რომ შენს მიწაზედ, ახდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ეტყვი ვანლო, გრძნობა ჩემი განუღიარო“ (1861 წ.).



უნდა პატივი ვცეთ და ახლანდელს განათლებას თავყენს ვცემდეთ. ოღონდ კარგი რამ ითქვას, რომ საზოგადოს ზნეობისა ვასაყებებელი იყოს, გონების სინათლის მიმცემი და ქვეყნის სასარგებლო, თორემ სულ ერთია, რაც გინდაჲ თქვით, ვინდ ძველი, ვინდ ახალი განათლებისა. კარგსა კარგი მოაქვს და ცუდსა ავი. ძველი კარგი ამბავი უნდა გონებაში გვექონდეს საფუძვლად და ახალი განათლებისა ვისწავთ კარგი შენობის დასადგმელად, თორემ უბრალო თავილობა კარგი არ არის, ის არის მხოლოდ თავიანთი ახალი ნება.

ვერ მიმხვდარვარ, არ მესმის მე, ძველის ამბის მწერლებს ხელსახოცი რათა ჰკერენ? — რად უნდათ, რომ ძველი გაიკაფოს და მითამ ახალი აღმოაცენონ. თუ კარგი ფერმერები არიან, ძველზე უნდა ამწარს, კარგი გემოვანი ხილი მოიპოვონ, რომ ჩვენი შვილიშვილები მადლობასა შემოსძენდინენ იმათ. ცუდსა და კარგსა ვარჩევა უნდა, კარგად როგიადად ვაბრკვიონ საგანი და არა ისე, როგორც თავიანთი ახალი ნება.

ბევრს რაღაცას ამბობენ ჩემზე, იმათ შორის ამასაც მწამობენ მე: ოღონდ ქართული იყოს და რაც უნდა იყოს სულ ერთია იმისთვისა. აღვიარებ საზოგადოების წინაშე, რომ სწორეთ არის ნათქვამი. იმ რაც უნდა იყოღვან, თავის დროზედ ნათელი გაზი აენთებას.. მაგრამ ამას კი დავილაპარაკებთ, რომ არავიზედ ნაკლებ არ გვესმის ქართული ჩვენი. პირველი „ცისკრის“ დაწყებულდან აქამომდე ძველი ამბები არ ჰკლებია „ცისკრას“ და რა დაუშავდა „ცისკრას“? „ცისკრის“ შემდეგ აი რა მიეცა ჩვენს ქვეყანას: არამეტუ პირველი პირები, ბევრი მბაბაღნიც კითხულბოენ „ცისკრას“ ცოლშვილებში და მომადლებულნი არიან კარგის ამბებისათვის ისინი, ამით ძალიან გამოეცვალათ ფიქრი მრავალთ და ახლა კარგსა გზასა უუფრებენ ისინი განათლებისას. „ცისკრამა“ გულგულითა ხელი მისცა მასა თვისსა და მეგობარს, ყველას გვიხაროდეს: „საქართველოს მოამბე“, „ცისკარმან“ „გუთნისდედა“ მოიპოვა და გვასწავლის პატრონობას ყოვლისფრისას, „ცისკრის“ დროსა ქართველთა კერძობითა პირებმა ახალი სასწავლებლები გახსნეს ვათა და ქალთა ყმაწვილებისა, „ცისკრის“ დროსა რადენი ყმაწვილკაცები მოვიდნენ აქა, რადენი აქაც გამოვიდნენ ქართველთა ძენი საქართველოში და დღე და ღამ სულ ამას ზრუნვენ: საქართველო და საქართველოს შვილები გავაყეთოთ. ესენი, რაც ითქვა აქ, სულ ჩვენი ეთილმდგომარეობის საფუძველი არის და, თუ კიდევ მოუმატებთ სიტყვას ამას, სხეებისაგანაც არის ბევრი რამ შემბატებული კარგი. თუ „ცისკრისაგან“ შევიწყნარებთ, ყველამ თელში ჩავიფიქროთ: ჩვენს გონებას მოსცა რამე კარგი ჩვენმა „ცისკარმან“, ანუ არა? — მართლის მდევნელებს უთქვამსთ:

დიახ, მოგვცა კარგი. ჩვენ ვიცით მოაუწყურებელი ოღონდ „ცისკარა“ წავითხოთ და „ცისკარმან“ გულსისათვის კითხვა უსწავლიათ ქართული.

ავდენ „ცისკრის“ განმავლობის დროსა ეს ავდენი კარგი შემოვიდა ჩვენს საქართველოში, გავიგონე: მეტად იმერეთშიაო. და მას რომელს აუქოლა კარი ძველმა ამბებმა: კარზე აღარ ვამბობდენ მეცნიერება, თორემ ხმლით დაიდგებოთ კარებში. პოო, ახალი მიმართულება, ახალი.

ვაუჩხრკველი და წინ დაუხედელი თავის სიყვარული, ანუ პატივისა რა არის? გონებასა აუქორელებს და ყოველსა სავანს თავისებულებით დაინახებებს, მაშინ ვილა დააჯერებინებს, რომელთაცა დასჩემდებათ იმის ენება: ვგ აგრე არ არისო. ნაცვლად დაჯერებისა, უფრო მძლავრ შეჯღღებია და თავისა წერტილისა მეოთხესა ენდოდგანა ქანაგებას დაიწყებდა ამყოფად, ვინდ რაღაც განსხვავებულთა უნდა გამოიყვანონ თავიანთის ფიქრით ყოველი თავიანთი აზრი, მაგრამ გონებისა ის სისწორე სადღა არის?].

მართალია, ახალი მიმართულების აზრი ეს არის, რომ საერთო ხალხს განათლებს. საერთო სწავლა შემოვიდეს, საერთო მეცნიერება, საერთო ცხოვრების წესი და სხვანი... მას ურთიო არ იქნება ამ საგანზედ ითქვას რამე უწინდელი მცირედ მიინც, რადღან ზოგთ არ მოსწონთ, რომ დავინახოთ კარგი რამ ყოველა მაშინდელი დრო ანუ არა, ანუ ეკუთვნის ახლანდელსა მიმართულებასა ის ძველი? ახლანდელი სწავლისა ზომ არა იქნებოდა უწინ, მაგრამ უწინდელი ჩვენი სწავლა ქართული—სამართო, საერო, კითხვა თუ წერა, ბევრით დაწინაურებული იყო მბაბაღს ხალხში, მინამ ეხლა, ასე რომ, თუ ეხლა ერთბა იცის, მაშინ ცხრამ იცოდა, ნამეტრავად დედააკებმა. ყოველს მდგელსა და იმისთანა მსწავლულ დიდბაყებს თავიანთი შესაფერი სასწავლებლები ქონდათ, სადაც მწიგნობრობის გარდა, კარგს ზნეობას ასწავლიდნენ. უწინდელს ჩვენს გლეგების მდგომარეობასა აღეწერიდ სოფლიურსა, მაგრამ მეტად გაჭედილება, ამისათვის ამ მდგომარეობაში, რაც ეხლა ჩვენ ვიმყოფებით, იმას დაუბრუნდეთ და იმაზედ ვილაპარაკოთ, უფრო შესაბამი იქნება.

ჩვენი ქალაქი ტფილისი რატომ აღარ გავგონდებთ, აქ ამის კუთხებში რა ამბავია, კარგი თუ არა კარგი? კარგი ცოტა და არა კარგი ბევრი. სამჯერობებისას მე რას ვიტყვი, იმას თავისი მომდინარეობა აქვს, თავისი სამართალი. ჩვენ კერძობითზედ გადმოვიდეთ, ეს არის ჩვენი დასაბერი, ჩაგებულყოთ ამას, მაგრამ ცოტადენის ძველის ამბიდან დაიწყეთ, უფრო შეათანასწორობს მკითხველი უწინდელსა დროსა და ახლანდელსა და აქედან დაინახავს მკითხველი ყველას. შეაღამის დროსა აბანოღან გამოვიდა კაცი ვინმე მივიარისს ღამეში, აბანოღის ხილზედ გამოვიდა, საბაჟოს სახლის მოაჯირზედ ლეკური ნაბლები დაინახა კუთხეში მიყუდებული, კიბე-



შინვე ქერივი ქალი მივიდა, კითხვა: ვინა ხარო?—
ნაცვლად პასუხისა, სამი მანათი ხელში ჩაუღო
და წავიდა ჩქარა თავის გზაზედ ისევე, რომელიცა
ყოველს ხუთსა დღეზედ მივიდოდა ასე. მაგრამ
ვინ იქნებოდა ის ღვთიანი ვილაც?

— აგერ მოადგა, კარგა ღამეს გასულში, ერთსა
დღედაცსა და მომავლი შედგა.

— დღედავ, ვინა ხარ, რა გაწუხებს, რად სტირი
აგერ?*

— „მიშველე, ღმერთი გადღვეგრძელებს. სოფ-
ლიდგან წყალობისთვის ჩამოვიდე ვითხოვო, მშო-
ფრი და სიღარიბით ვიწვი-ვიღავი წვრილის შვი-
ლებითა, ეგება ვიშვოო რამე და მივბრუნდე ჩე-
მი წვრილის შვილებისაკენ. ეხლა აქ რომ მოველ,
ყინვა-სიცხევეს ვეღარ გაუძელ და ვადიქვებ გა-
ყინულში“. მაშინვე ხელი სტაცა; საჩქაროთ თა-
ვის სახლში მიიყვანა და მწუხარებისაგან გამო-
ახსნა.

მოვიდოდა კაცი ვინმე სტუმრობიდად შუალა-
მის დროსა და ერთსა დასსა შეხვდა გლოთე-
ბულთ და ხელი სტაცეს დასაქერათ, დაუყოვნად
ერთსა ლოთსა ყურში რაღაც უთხრა, იმანაც თა-
ვის ამხანაგებს და მაშინვე ჩამოეცალნენ ყვე-
ლანი. რა ვიცით, რა იქნებოდა ის იმითი?

— „მდიდარო კაცო, აი ასი თუმნის ბილეთი მო-
ვიტანე, ამის მეტი მე არა მაქვს; გმვედრები
ნაღდს ფულზედ დამიხურდაო“, — უთხრა ასის
თუმნის პატრონმა.

— „მაგ ასი თუმნის ბილეთს ივიღებ და ოთხ-
მოცდარავს თუმანს მოგცემ მაგასი“.

— „ღმერთი გადღვეგრძელებს, უღიარობას ნუ
მიზამ. ოარიბი ვარ“. ბევრი ეხვეწა, მაგრამ არა
გააწყურა. რამთენი ამისთანა მდიდარი მოიარა,
მაგრამ მაინც არა ეშველარა, ბოლის ზარაფთან
მივიდა, იმან ას თუმანზედ ოცდათუმეტის
თუმნის დაუღება უთხრა. ამ საწყალომა რა ეს
გაიგონა, გაოცდა და ძახილი შექნა. ავდენის
ცოდვისაგან სრულიად აყრილებულია ეს ჩვენი
ქვეყანა. ეს კიდე არაფერი, ჩვენ ვიცით იმისთა-
ნა ფულის გამცემლები, რომ ას თუმანზედ სა-
მოც თუმანს წლის სარგებელს იღებენ. ეს კიდე
არაფერი, ასი თუმნის ახალი ნასესხები ვექსილი
სამ წელწადზე ექვსას თუმნათ შეკვეცილა ის
ექსილი. რავედნი ამაზე უარესი მაგალითებია,
ვინ მოსთვლის.

კაცი მოდიოდა ქუჩაში და თვლების ცრემ-
ლებს იწმენდა. — „ვინა ხარ, რა გატირებს კა-
ციო?“ — შეხვდა ვინმე და კითხა.

— „მე ვარ ღარიბი, მე მყავს ცხრა წვრილი შვი-
ლი. ეხლა ერთს მდიდარ კაცთან მივედი ამისთანა
დიდსა დღესასწაულში, თავი შევებარადე და ხუ-
თი აბაზი ვთხოვე დღეის ჩემი ხიზნის გამოსაყ-
ვებლად. ნაცვლად წყალობისა, გამომაგდო და
მითხრა: თუ ფული არა მაქვს, წაიღე, თავი წყალ-
ში დაიხრიეო“.

მთხოვარა გლახებმა პირობა შეკრეს, — „ვინც

ამადად მდიდრის კაცისაგან წყალობას გამოე-
ტანს, ოროლს შურის მიცემითო“. იცისრა ერცხმა
და წამოვიდა. იმ დროს თონილგან პური ამოყა-
რათ და ის მდიდარი თავზე ადგა. მთხოვარა გლა-
ხა მივიდა და წყალობა სთხოვა. მდიდარმა ხმა
არ გასცა, მეორედ კიდე სთხოვა, კიდე ხმა არ
გასცა და მესამედ რომ სთხოვა, გაანჩხლებულმა
პურის ხელი წამოაგდო და გლახას შესტყორცნა,
ქვა ეგონა; ეხლავ დაიკარგე აქედგან, თორემ ცე-
მით ვავადღებნებო. გლახამ სანაძლეო მოიგო.

ესეც ჩვენი მოწყალენი მდიდრები. იმ მდიდ-
რების მძაღლები მცნობები კი ყველას არმუ-
ნებენ: დიდს ქველის მოქმედებას იქონიერო. მერ-
წმუნეთ, თუ თავიანთი სარგებლობის ანგარიში
არ იყოს, ლუკმასაც არ მოუშვერენ არავის, თუნ-
და შიმშილით ამოსდიოდეთ სული.

წერილშვილიანმა დედაცაკმა ზაზარში ჩა-
ირბინა: პური ვიყიო, წვრილი შვილები მშვი-
რები მყავს და ორი აბაზი მეტურეს შეაძლია—
პური მაყიდუო (ეს იყო მაშინ, როდესაც რომ
პურის სიძვირე მოხდა საქართველოში, ეხლახანს
საზოგადოდ, სადაც ბევრი დედაცაკი და კაცი
მინდერებში დადიოდნენ და ნოყიერს ბალახს ძი-
რებს სთხრიდნენ, იმას ხარშავდნენ და იმითი
ისღებოდნენ). მეტურემ ორი აბაზი გადაუღდო.

— „ამ ორი აბაზის ლუკმასაც არ მოგცემო“.

— „დედაშვილობას, წვრილი შვილები მშვირე-
ბი მიწვიან და იქნება კიდეც დამეხოცენ, თუ
ჩქარა არ მივეშველები. მაგის მეტი ვერ ვიშვოვე,
თორემ ვისთვის დავზოგადიო“.

— „დაიკარგე, ვილაც ოხერი ხარ“ — და გაუცი-
თხავად გამოაგდო. ვისთანაც მივიდა, ყველამ ასე
უყვეს და იძულებულ ქმნილმა თავვადლებით
წარმოსთქვა: მე ჩემს მშვიერს შვილებთან ვეღარ
მივალ. საჩქაროთ წავიდა და მტკვარში თავი გა-
დიგდო. უფრო მომატებულს სხვა უარესს ამბე-
საც მოგითხრობდით, მაგრამ არ დაიჯერებო, რომ
ძალიან ძნელი სათქმელია, ასეთი საშიში
და საზიზღი ამბები არის.

ესეები იქნებოდა უწინ? — არ არის სასწავლე-
ბელი? — არ არის ახალი მიმართულება? — არ
არის ახალი დროისა? — ანუ არ არის დასაწერი
ის პურმარდიანი, კეთილი და გაუტირებელი
ცხოვრება და არა ახლანდელი გაჭირებულობა
დიდი: ქარის მონაბერს ნამცეცხს პურის მარც-
ვლებს ხელს რომ ვავლებთ, ძირს არ ჩამოცივი-
დეს.

აი ვისაც ნამდვილი მიმართულება უნდა ჩვენი
სიტყვიერებისა, უნდა ზევით თქმული იმისთანა
ამბები ეტებონ და თვითონ საგანზედ თვითო რა-
მანი ანუ მოთხრობა ააშენონ, ამ ჩვენს ქვეყანაში
ავდენია, „სამბარალოებისთანა“ (მოხერაბლ)! ამ-
ბებია, რომ უანგარიშო, რომლებსაგანაც ბევრს

* ავტორი გულისხმობს ვ. პიუგის რომანს
„საბარალონი“.

კარგს ვისწავლით, თუ როგორც რიგია ისე ააშენებს მწერალი იმ საგანსა, თუ არა და ჩხავეჩხუვით რა იქნება?

ახლა კი დრო არის, რომ ვიხილოთ მცირედლისა ძღვენი პატარა ტბაქუჩედ დაწყოხილი ჭონქაძისა თხზულება. ისევ პირდაპირ ჭონქაძის თხზულებაზედ დაწეროთ რამ, ასე სჯობია, მაგრამ უფრო შემოკლებით, თავის შეწყენისა არა იყოს-არა; ტყუილი და მართალედ გაიჩინოს.

მართალი ყოფილა, რომ იტყვიან: არც კარგი და არც ავი დაიკარგებოდა, როგორც ესლა შემთხვევა მოგვეცეს, ასე გვგონია განგებობა, იმ გვამის გამოართლებისა, ვისაც ნასუფრალსად დღურ-მიშანს სჰამდა და შემდეგ თავისუფლად წყაროს პირთან, რა გემრიელი იყო თავის ბატონის ნასუფრალის მაგიერი, იმისი საკუთარი პური(!).

საქართველოში თუ ითქმის კარგი მებატონე გლეხისა, ის იყო, ვინც განკიცხა ჭონქაძემ, გლეხებისათვის ჩავარდა ვალში, საკმოდ ვერ იმსახურებდა მეტის სიბრალულის გამო გლეხებისა. რაედენსამე წელიწადსა სამსახურში გაგზავნეს შორის ქვეყანას, სადაც თავის მეუღლესა წაიყვანა, მხოლოდ იმისათვის—ყოველი ჩემი გლეხი ჩემის გამოსაღებიდგან განგვათავისუფლოვო, და კიდევ აღასრულა ეს სიტყვა. იმისი ზოგიერთი მოსამსახურენი იმისაგან დაიზარდნენ ყმაწვილები, რომლებიცა დააქორწინა ყველა თავის დროზედ და დღეს ბედნიერათ ცხოვრებენ თავის ცალ-შვილებში ისინი. უნდა გენახათ ის გვამი, თ(აგადი) გ. (სახელი) თავის გლეხებში, როგორი ბედნიერი იყო ხოლმე! გარს რომ შემოისხამდა და სამი თუ ოთხი საათი როგორ სიამოვნებდა იმათში ყოფლის კარგის გლეხურისა საუბრითა. თუ სოფელში წავიდოდა, იმის სადილი და ვახშამი უგლეხობით არ იქნებოდა. ისე კარგათ და კეთილად ექცეოდა თავის გლეხებს, რომ ბევრნი სძრახავდნენ იმას, ისე როგორც ჩვენს მეშურ-ნობას შეეფერებოდა.

ჩემო ხელმწიფეო! აბა ახლა მიბძანეთ, ის დღურმიშან ვინ არის, მე არ გამოგონია იმისი სახელი და არც ყოფილა იმათ სახლში, რომელიცა ყველას ვიცნობდი იმათ კერძობასა, დიდსა და პატარას. დაგარწმუნებთ, რომ დღურმიშან არავინ ყოლია იმას და არც მომხდარა მაგვარი რამ ანბავი იმათ სახლში, თორემ მე მეცოდინებოდა, მაშასადამე გამდლის ნაამბობი არის: ფრთებ დაკვეცილი ჭორი. თუ მოახლის ამბავსაც გაიგონებთ, გეტყვი, — იმას ორი მოახლე ჰყვანდა, იმის მეუღლესა მ... ერთი თავისუფალი — თ... და მეორე საკუთარი მ... თავისუფალი თ... გავიდა, ქმარი შეირთო. საკუთარმაც მოინდომა გათხოვება, გათხოვდა. სხვა ამბავი არა ყოფილარა იმათ სახლში ამის მეტი. თუ განკიცხვას ეგუთვნოდეს ეს, განკიცხვოს იგი!

ჩვენს მებატონებზედ რომ მოუყულებიათ ჯოხი და იმ ჯოხს ჩვენის ბეჭებიდან აღარ იღებენ, ის არ სჯობია, რომ რაშიც საინგებელი ვართ

ნამდვილათ, იმაზედ გვეგონ, იმაზედ გვგონ-ძღონ, იმაზედ დაიჩვილონ და იმაზედ იმსახურ-იწუხონ ჩვენთვის, როგორმე გამოვიცხადოთ თავი ჩვენის შურისაგან, შურის საშინელისაგან!... თუ არა და მოყოლიან და საყვირს ავიკრებენ: გლეხ-სა კევრში აბამს მებატონეო, გლეხსა არბნინებ-სო კალოში და სხვანი... თუ წყურთ რამანს ანუ მოთხრობასა, რატომ არ გამოიკითხათ მართალ-სა და ტყუილსა, იმისი კევრში შეგმა და კალოში სირბილი დედაშვილისა მართალია თუ არა? მე ნამდვილათ ვიცი გაგონილს ჭორზედ არის აშენებული ის თხზულება ჭონქაძისა ამისათვის, რომ ვინც და რომელმანაც გააკეთა ის ჭორი და სახალხო გამოიტანა, მრცხვენინა, თორემ იმ მეშურნის სახელს გამოიკაცებდები, ყველა ვი-ცი წვრილად.

ის საკვირველი ოსმან აღა! ის ვასამტერებელი რაინდი! ის გულოვანი გმირი? რაო რებებია, ის ამდენი მიყრ-მოყერა, წაყვან-წამოყვანა, გაქ-ცევა-გამოქცევა, მითათრებ-მითათრება, ვაი-ვიება, ანუ სიკვდილი, ანუ მკვლელობა და ანუ წყალში დახრობა? — იყო, მართალია, ერთი საშინელი საცოდობა, საცოდობა საიდუმლო შურის სიმსხვერპლედ, მაგრამ არა ის, როგორც აღწერს ჭონქაძე, — ცოტადი მიეგვანება იმას. რაც მკვ-ლელობა შემოვიდა ახლა ჩვენში, დიჯერეთ სულ შურისაგან. ღვთის მტრები შევიქნენით, ასე გან-ძლიერებულნი არის ეხლა ჩვენში შური. რაც კან-ცია თავის თავს უზამსო, იმას მტერი ვერ უზამსო. ასე არის ჩვენი ყოფა ეხლა.

სხვათა შორის: ერთს მებატონესთან მივიდ-ნენ სხვის მებატონის გლეხი ცაცი — კარგის ძღვენიათ და თავის მებატონეზედ შესჩივლეს სისხლედ შემდგარნი ის გლეხნი. გამოიკითხვის შემდეგ, მართალია, სამსახური მეტი იყო, თავგა-მოსადებო კი არა. მაგრამ, სისხლო, სისხლო... შეიწყალე ეს საკოდავი, შესაბარლი ხალხი, ოღესმე კეთილ-მართალნი, რომელნიცა თავის ბატონებთა მამად ხადიდნენ და ახლა მგმობელ-ნი ბატონებისა, არა ყველა — ბევრნიკი. ღვთის მადლობით დამშვიდებულნი მიიქცენ ის გლე-ხები თავის სახლში და არა ადამიანის სისხლით შესვრილი ღრმის ტყეში. მასუკან რალას იტყ-ვით, თუ იმ მებატონესაც კევრი დაეკრა იმათ-თვის, წაიქეზებინა? — დღეს მთელი სახლეუ-ლობა გამქვრივო იქნებოდა და მრავალნი საქმის გაუჩხრეკლები დაიძვებდნენ: არამც თუ ეხლა, უფრო ადრე უნდა ექნათ იმათისაო.

1859 წლის დეკემბრის თვის „სიციკარში“ სულ ახლანდელი ჭორის ამბავია და 1860 წლის ი.ვ.რის „სიციკარში“ მითამ ძველი ამბავი სურამის ციხისა. მართალია, როგორცა სწერს ჭონქაძე, ისე ვაგონილა სურამის ციხის ამბავი, მაგრამ ნუ გაწყ-რებთ, ისიც ტყუილია. ის ჭონქაძის თხზულება უფრო ლეგენდას მიეგვანება, მინამ ნამდვილს რამანს ანუ მოთხრობასა. ისე, ანბათ რომ ავი-ლოთ ის თხზულება, წამკითხვლსა უსაბამონო



საქართველო
საქართველო

არ დაავდებს, მაგრამ ზნეობა იქაც შერყეულია. ჰო, მცირედი კი ისწავლება რამ იქიდგან, მაგრამ ესეი აღარ ვიცი, არსად არ გავგიგონია და არც წაგვიციოთხამს, შეიძლება თუ არა, რომ ახალი ამბავი კარგა ხნის ძველს ამბავს გადაჰკინდონ და მასუქან ერთ მოთხრობად გამოსცენ? ის ჰონჰაძის თხზულება ასე არის გადაბმული ერთი მეორეზედ, რაც უნდა კი ესთქვათ, ვინც იმისი ნამდვილი ვინაობა არ იცის, სულ ვერას მიხვდება და ნაღდათ მიიღებს იმის სრულსა თხზულებასა: ძველს კოშკსა გავს, ნახევარი ჩამოქცეული ხელმეორედ რომ განახლონ და კარვად გაღვსონ ოთხსავე კუთხივ. უცხო ვინ იტყვის ახლად არ იყოს აშენებული? ქვის შენობა ასე შეიძლება, მაგრამ ამ გვარს რამანს ანუ მოთხრობასა რა დეარქოთ ახლა? ახალ-ძველი? მაშ, ამას იქით თუ შეიძლებოდეს იმ ჰონჰაძის თხზულებასა ეს დაუძახოთ?—

ახალ-ძველო სურამისა ციხეო,
კახ მეფისა და სპარსების მახეო,
ამილახვარ გივმა თქვა აქ ვსახეო
ომი ბევრი, ჩემი ტყვევნიც ვნახეო.

ისტორიით ვიცი, და კიდევ გავგიგონია, რომ ბოლოს და ბოლოს გივმა ამილახვარმა უფ-

რო თავი დიდათ გამოიღო მეფის ვახტანგის ლისათვის, და ან სურამის ციხე როგორ გაამაგრა, ან როგორ ეომა მეფე თეიმურაზს და ნადირშაისაგან გამოგზავნილს სპარსის ჯარსა,—ესენი სულ ცხადია. რა რომ ვეღარ შესძლო ციხის გაამაგრება, გამოვიდა და სპარსეთში ტყვეთ წაიყვანეს სპარსელებმა, მაგრამ იქაც არ დაკარგა თავის ღირსება; იქ ნადირშაისთან დიდად გამოიჩინა თავი და ბოლო ღრის ღიდის სახელითაც მოვიდა საქართველოში.

ესეც ისტორიული. ისტორიული ამისთანებზედ უნდა აშენდეს, თუ არა და ჰორზედ რა რიგია რამანისა ანუ მოთხრობისა დაწერა? — საქუროსი რა შვილს მისცემს ქვეყანასა?

მართალია, ახლანდელი ჩვენი ზოგიერთის მებატონეებისაგან ბევრჯეღ მომხდარა თავის ყმების ძირიანათ აკლება და ჯარიმების წარომევა, მაგრამ ეს ამ გვარი საქმეები სრულუბით არ მომხდარა ამ ჩვენს ქვეყანაში, ნამეტნავად იმ პირებისაგან, ვიზედაც ამბობს ჰონჰაძე. ამ გვარს საქმეებსა ძალიან კარგათ გამოკითხვა უნდა და მასუქან შეუღღეს წერას, თუარადა აჩქარებით სოფელი არ აშენებულა.



მეღა გუგუნია

მკითხველი და მაცურებელი

თანამედროვეობის შესახებ დაწერილი პიესა, რომელიც ქართველ დრამატურგს ეკუთვნის, ჩვეულებრივად დიდ ინტერესს იწვევს ხოლმე. და ეს საესებით გასაგებია: ყველას უნდა ნახოს სცენაზე ის, რაც ხდება მის ირგვლივ ყოველდღე. თანამედროვეობის თემა ყველაზე მახლობელი და მტკივნეული თემაა ჩვენი მაცურებლისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ აი ასეთი პიესები არ ამართლებენ ხშირ შემთხვევაში იმ იმედს, რომლითაც მოდის ჩვენი მაცურებელი თეატრში.

ამასწინათ, ერთი ჩემი ქუთაისელი ნათესავი მეკითხებოდა, თუ რა ჯობდა, რომ ენახა მას თბილისის თეატრებში. და როცა მე ჩაოვეთ-ვალე სპექტაკლები, უნებურად შევამჩნიე, რომ მათ შორის თითქმის არ დამისახებლებია თანამედროვეობის შესახებ დაწერილი პიესა ქართველი დრამატურგისა, თუ რასაკვირველია მხედველობაში არ მივიღებთ პ. კაკაბაძეს.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ჩვენმა თეატრებმა ვერ შექმნეს თანამედროვეობის ამსახველი ისეთი სპექტაკლი, რომელიც მაცურებლის საერთო მოწონებას დაიმსახურებდა. და, მე მგონია, ამაში დამნაშავეა უპირველესად ჩვენი დრამატურგია.

თუ თქვენ იარუსიდან უყურებთ სპექტაკლს, ადვილად შეამჩნევთ ნახევრად ცარიელ დარბაზს, თუმცა პრემიერა სულ ამ ათიოდე დღის უკან იყო... პირველი მოქმედების შემდეგ, ანტრაქტზე, ფოიეში მოსივრნეთა შორის თქვენ უფრო ნახავთ სხვა ქალაქებიდან ჩამოსულთ, ვიდრე თბილისელებს. ხოლო სპექტაკლის მსვლელობაში დარწმუნდებით, რომ მსახიობებს ხშირ შემთხვევაში გაცილებით მეტს გაცეთება შეეძლოთ, ვიდრე ამის საშუალებას მათ აძლევდა როლი.

სწორედ ეს — პიესების დაბალი მხატვრული დონე მიზეზია ყოველივე ზემოთქმულისა.

როდესაც — ამასწინათ, მარჯანიშვილის თეატრში განაახლეს „კოლმეურნის ქორწინება“

დარბაზში ტრევა აღარ იყო. ამ სპექტაკლში შეუღარებელი, თითქმის განუმეორებელი იყო გ. შავგულიძე. მაგრამ ცხადია, რომ თვით პიესა იძლეოდა ამ წარმატების საშუალებას.

საერთოდ შეიძლება ითქვას (და ალბათ არავინ იკამათებს ამის გამო), რომ ჩვენს პოეზიასთან და პროზასთან შედარებით დრამატურგია საგრძნობლად ჩამორჩება. იგი როგორც ცალკე დგას და უფრო ხშირად ლიტერატურული კრიტიკა მათ მათში ეხება ხოლმე, როცა რომელიმე რეცენზიაში განიხილავენ ამოთუმი თეატრის სპექტაკლს.

ჩვენ ამ წერილში დავეკაყოფილებით ზოგიერთი კერძო შენიშვნით პიესების შესახებ.



მხოლოდ ცხოვრებისეულ კონფლიქტებს განაჩნია შესაძლებლობა, მყარ ნიადაგზე დაყენოს და მისცეს ძლიერება ტრაგედიასა და სიცილს, — ამ ორ ერთადერთ პოლუსს ხელოვნებისა. ჩვეულებრივად იგი მოცემულია ხოლმე ადამიანთა მოქმედების მიღმა და თითქმის არასოდეს არ გამოირჩევა განსაკუთრებულად. მისი ბუნებრიობაც სწორედ ამაში ჩვენს დამარცხებს. ავტორმა არ უნდა უგულვებელყოს ასეთი ბუნებრიობა, პირიქით — იგი უნდა გააძლიეროს კიდევ. ასე მოიქცა მავალითად პ. კაკაბაძე თავის მშვენიერ კომედიაში „ყვარყვარე თუთაბერი“. სიცილი, რომელსაც იწვევს ყვარყვარე, იქიდან მომდინარეობს, რომ იგი გაცილებით უფრო რეალურია, ვიდრე თვით სინამდვილე. ცხოვრებაში ყვარყვარე, უკეთეს შემთხვევაში, აღშფოთებას თუ აღძრავდა. პ. კაკაბაძეს ეს აღშფოთება, როგორც მწერალს, არ აინტერესებდა, იგი თავისი ტემპერამენტით სიცილისთვის იყო განწყობილი. და აი მან გააზვიადა, უფრო გამოყო და თვალსაჩინო გახადა ცხოვრებისეული კონფლიქტი ნაკარნახევი ხასიათი და



არამცთუ დაარღვია ბუნებრივობა ამით, არამედ უფრო გააძლიერა იგი.

ცხადია, ეს ეხება არა მხოლოდ კომედიას, ასეა ყოველთვის ქეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებში.

კონფლიქტი არის ის აუცილებელი მასალა, რომლიდანაც შეიძლება აშენდეს ქარგი პიესა; ხოლო ამ უკანასკნელის ორგანიზაცია დამოკიდებულია იმისგან, თუ რაოდენად არის დაცული სინამდვილის სწორად წარმოსახვის ხარისხი აღებულ კონფლიქტში, ავტორის ცხოველი ინტერესის სავანი რომ გახდა.

აი სათანადო მაგალითებიც: ქალიშვილს არ უნდა წასვლა მშენებლობაზე, მას ქალაქში ურჩევია. ბიკს ე უნდა. და როცა მოვლადნულად გაირკვევა, რომ უკანასკნელი თურმე უარს თქვა ასპირანტურაზე (ეს დედალი პიესაში შეტანილია, როგორც აუცილებელი შტრიხი დადებითი გმირისა), ისინი სცილდებიან ერთმანეთს. რატომ არ უნდა ქალიშვილს, რომ მისი შეყვარებული მშენებლობაზე წავიდეს? ამისათვის, ცხადია, საჭიროა ქალიშვილის ოჯახის ჩვენება, სადაც ჩვენ ვეცნობით პასუხისმგებელ მუშაკს — მამას, რომელიც სხვის გამოვლენებს თვისებს და, დედას — უკანასკნელი სიტყვის თბილისის მემჩანური საზოგადოებისა.

მაგრამ უნდა მოხდეს სრული მეტამორფოზა და ქალიშვილი გამოიცვალოს. ბოლოსდაბოლოს იგი მიდის მშენებლობაზე მთაში და ერთ-ერთი საუკეთესო ინჟინერი ხდება. აქვე ნახევნებია იდიოტური სურათი: მშენებლობის უფროსი, — საქმიანი და ღიმილიანი, კეთილი მოხუცი და გარგვლად მეტად უხეში, მაგრამ სინამდვილეში ასევე კეთილი მთავარი ინჟინერი, რაღა დარჩა? თითქმის არაფერი, ვარდა იმისა, რომ ჩამოვიდეს დადებითი გმირი და დაედავიოს თავის გარდაქმნილ შეყვარებულს აქვე — მშენებლობაზე. ასეც ხდება.

აი ასეთია სიუჟეტური ქარვა „შავთვალა გოგონასი“, რომელსაც ავტორმა, ან. აღმაქემ ლორიფელი კომედია უწერა.

მეორე მაგალითი: ქალი თანდათან რწმუნდება, რომ ქმარს იგი აღარ უყვარს. და როცა, ერთ მშვენიერ საღამოს აღმოაჩენს, რომ ქმარმა გეოლოგიური პარტიის ყოფილ უფროსის ცოლთან უღალატა, უბრუნდება თავის პირველ შეყვარებულს — გეოლოგიური პარტიის ახალ უფროსს.

უთანხმოებთა ძირები ამ პიესაში იმალება შემდეგში: პირველი — ახალი უფროსი იბოვის იმ მადანს, რომლის არ არსებობას ამ მთებში ამტკიცებდა ძველი. მეორე — ქალს არ უნდა სახლში უქმად ყოფნა და სურს იმუშაოს თავის სპეციალობით, მაგრამ ქმარი წინააღმდეგაა. მესამე — ზემოაღნიშნულ იდიოტურიდან გამომდინარე უთანხმოებანი: ირყევა

ორი ადამიანი — უარყოფითი გმირი და ვიწროსაყვარელი — საოცრად ქარაფშუტა და შერეული პირული ადამიანი. იქმნება ახალი ოჯახი.

ასეთია სიუჟეტი რ. ებრაღიძის პიესისა „ნანა“.

ამ ორივე პიესის სიუჟეტური გახსენება ჩვენ იმისათვის დაგვირდა, რომ უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო ხელოვნურობა კონფლიქტისა. იგი გამოიყურება, როგორც რაღაც წინასწარ აღებული სქემა ძალით შეტანილი მხატვრულ ნაწარმოებში. თითქო ამ წინასწარ აღებულ სქემის თანახმად მოქმედებენ გმირები და არა გმირების მოქმედებიდან წარმოიქმნება კონფლიქტი. მასურებლისათვის ძნელი არაა განსჯე-რიტოს მობავალი სიუჟეტური სკელები, მან უკვე პირველ მოქმედებაში იცის, თუ ვის რა ბედი ეწევა მეოთხეში. ცხადია, ეს არაა გმირთა საერთო ბედის განკერტვა, რაც უბრალოდ ყოველი მხატვრის რეალიზმთანაა დაკავშირებული. მე ვლაპარაკობ შტამპზე.

სრულად ბუნებრივია, ვარდაიქმნას რომელიმე ადამიანი — ვახდეს საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნება, მაგრამ ეს ვარდაქმნა უნდა ხდებოდეს მხატვრულად საინტერესო სიტუაციებში. თუკი შავთვალა გოგონამ, რომელიც აღვარაფრის გამკეთებელი იყო, უცებ საკმაო ინიციატივა გამოიჩინა, თავისთავად ეს მისი ნაბიჯი ჯერ კიდევ არ მოწმობს ვარდაქმნას. ეს ნიშნავს, უკეთეს შემთხვევაში იმას, რომ შავთვალა გოგონას შეძლება დამოუკიდებლად მოქმედება. ეს არაა დრამა, ეს არაა ისეთი რამ, რაც შეიძლება თუ მასურებელს განაცვიფრებს, შეიპყრობს.

ნაწარმოების შინაარსი თუკი არავითარი მხატვრული აღმოჩენის შემცველი არაა, ავტორს ძალაუვნებურად უხდება ხოლმე კონფლიქტისა და მეგრეს, სიუჟეტის შეთხზვა. ზოგჯერ ამ შეთხზვებს ჩვენ მივეყვართ ისეთ საშუალო ქმნილებებამდე, რომლებიც გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ. მაგრამ ეს მოჩვენებითი წარმატება, ჩვეულებრივად, მხოლოდ იმას მოწმობს ხოლმე, რომ პიესა ავტორის კეთილსინდისიერების შედეგია და არა ტალანტის.

ჩვენ გვინდა პიესები, სადაც დადებითი გმირი აღბრავს მასურებლის თანაგრძნობას სინე-ლეებითან, ყოველივე იმასთან ბრძოლაში, რაც უნდა იმისისა და საბოლოოდ ჩაბადდეს წარსულს. ასეთი კი ჯერჯერობით ჩვენს ყოველ-დღიურობაში არც თუ ისე ცოტაა. ჩვენ უკვე გავიარეთ დრო, როცა ჩვეულებრივ ადამიანს არ შეეძლო სიარული ზედმეტად მოკრიალ-ბულ ზედაპირზე პიესისა, მას უნდა ეფრინა... მაგრამ დღეს თუკი ჩვენი დრამატურგები უფრო გაბედულად ამხელენ სიძნელებებს, სამაგიეროდ მათი დადებითი გმირი მეტად სქემატური და ცნობილია ხოლმე. და ზშირად ისე ხდება,

რომ მსახიობი, რომელიც განსახიერებს დადებით გმირს, ვერ ნახულობს სათანადო ფერებს, უფერულებაში კი ბევრი არაფერია საინტერესო.

ანდრო ქართველიშვილი, ან. აღლადის ხსენებულ პიესიდან, თავისი საქმის ერთგული, ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია, ვინც ჩვენს ქვეყანაში ამყვინდობს კომუნისტიზმის ხვალისდელ დღეს. ცდილობს რა გვიჩვენოს მისი სახე ყოველდღიურ საქმიანობაში, ავტორი სამწუხაროდ მხოლოდ ზედაპირულ, შემთხვევით დეტალებს ეტანება. გარეგნულად უხეში, მაგრამ სინამდვილეში კეთილი ადამიანი შეიძლება ბევრიც არსებობდეს, მაგრამ მართკ ამის სწორხაზოვანი ჩვენება არ კმარა. იმისდამხედვეთ თუ როგორ ახურავს ამ კაცს ქული — ჩამოფხატულად თუ პირიქით, ეს დეტალი ისეთ მხატვრულ პრინციპამდეა აყვანილი, რომ პირდაპირ შეუძლებელია ამ როლის თამაში უქუდიო!

დადებითი გმირი, რბილად რომ ვთქვათ, მეტად „არაჩვეულებრივად“ მეტყველებს ხოლმე. და სწორედ მაშინ, როცა ეს ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელია. მაგალითად, დიდხინის უნახავ შეყვარებულთან:

„...მშვენიარი — (სასოწარკვეთილი) გეყო! მჯერა, ბეშქენ, მჯერა!

ბეშქენი — შენ ერთხელ უკვე წაიბორძიკე, როცა ჩრდილოეთში წასვლა არ ისურვე, ახლა კი — დაჩჩენა არ გინდა...

მშვენიარი — რა ენა, რომელ კედელს მივაწყდე, მითხარი ბეშქენ?!
 ბეშქენი — (ძლივს ამოდერდავს სიტყვას) უნდა დავიფიქროთ ყველაფერი...

მშვენიარი — (ცრემლნარევი ხმით) არ შემიძლება...

ბეშქენი — (უცხად გასწევს ფანჯარაზე ფარდებს და ოთახს ისეთი ძლიერი შუქი მოეფინება, რომ მშვენიარი თვალის გუგებში ტკივილს იგრძნობს. სარკმელში შახტის ჯიხურის თავზე დამაგრებული ვარსკვლავი გამოჩნდება) ვინც ეს ვარსკვლავი აიტანა მაღლა, მათ ყველას აქვთ საკუთარი წუხილიც და სიხარულიც, მაგრამ წუხილი რომ დაიარგუნეს, ამით სიხარული კიდევ უფრო ახარეს. ესენი ჩვენ შოამომავალთა დიადი წინაპრები არიან. მშვენიარი, ჩვენი ქვეყანა ახალი მშობარი ნაბიჯებით დიპირა წინ და ეს ვარსკვლავიც უნდა აინთოს ამ ჯიხურის თავზე, რომლის სინათლაც მილიონი წლები შემდეგავს ისევე გაანათებს, როგორც მილიონი წლების წინათ ირმის ნახტომის ვარსკვლავებიდან წამოსული სხივები აღწევენ დღეს ჩვენამდე!

მშვენიარი — (მუდარით) ბეშქენ...

ბეშქენი — (ურყევი სიმტკიცით) უნდა ვაეძლიო!

ანდა მავალითად მაშინ, როცა ერთერთი

მოქმედი პირი, ტრაგიკულად დაღუპული, მკვლევებზე აყვანილი შემოკრებით სცენაზე გამოდის ბეშქენი ასე აღიქვამს ამ ამბავს:

„...ბეშქენი — მალარო ვაღარაა. მალაროელებმა ვაიმარჯვეს, მირიხი კი იაროზის დაუდევრობამ იმსხვერპლა. და განა — რაიმე ახალი უმსხვერპლოდ და უმტკივნეულოდ იბადება?!“

ასე უცნაურად მეტყველებს დადებითი გმირი პიესიდან „ვარსკვლავი ინათებს!“, რომელიც ევთენის ნიჭიერ პოეტს მ. აბულაძეს. რატომ ლაპარაკობს ბეშქენი ასე? რამ აიძულა იგი ამდენი გაპარსებული სიტყვა დახარჯოს? ყოველივე ეს იმის ბრალია, რომ თვით ნაწარმების შინაარსი, — ის, რაც უნდა თქვას ავტორს ასახულით, მისი ინდივიდუალური ცოდნიდან არ მომდინარეობს. აი სწორედ ეს იწვევს ამდაგვარ სწორხაზოვან ვატარებას დადებითი გმირის ხასიათისა, რაც საბოლოო ჯამში ანელებს ცხოვრებისეულ სიმძლავრეს და ზღუდავს მსახიობის შესაძლებლობასაც.

რ. ებრაღისის პიესაში „ნანა“ ზურაბი მეტისმეტად პირდაპირ არის გააზრებული, — იგი უნდა იყოს ასეთი და ასეთი, და მართლაც ზურაბი არსად არ „ღლატობს“ ავტორის შთანთქმებს... მწერლის ინდივიდუალური ცოდნა ამ ხასიათისა არაა რაიმე განსაკუთრებულის შემცველი და მასმასაღამ ახალიც. ხოლო თუკი ეს ასეა, მაშინ რა აუცილებლობით იყო ნაგავრადევი მისი წარმოსახვა? ჩვენ ხომ ვართობთ, რომ ადამიანისა და საზოგადოების ანალიზის დროს მწერალი უნდა აღმოჩენებს აკეთებდეს. დადებითი გმირის სახე, რომელიც მზამხარეული, უკვე წინასწარ ცნობილი ჩვეებითაა გააზრებული, შთანთქმდობს ვერ მოახდენს მეთიხველზე, იგი შორსა დგას აღმოჩენებისაგან.

იგივე შეიძლება ითქვას კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“ და ირ. ჭავჭავაძის „100 ათასის“ შესახებ. ლეო ლანია (პირველი კომედილიდან) ყველაზე ნაკლებად გამოკვეთილი პერსონაჟია და უპირატესოდ იმტობს, რომ არ გააჩნია თავისი სათქმელი. რასაკვირველია, იგი რეაგირებს ყოველივეზე, რაც ხდება მის ირგვლივ, მაგრამ ეს რეაქცია როგორღაც ზედმეტად საერთოა, — „დიად, — ამბობს იგი, — მე არ მომწონს ყოველივე ეს“ და მთე პიესაშიც მხოლოდ ამისთვის იღებს მონაწილეობას. ესაა ხასიათი, რომელიც პირველი სიტყვების შემდეგ აღარ ვითარდება. სწორედ პირიქით კი უნდა ხლებდებოდეს.

ჩვენ გვიანტერესებს დადებითი გმირი — საბჭოთა ადამიანი, რომლის ჩამოყალიბების პროცესი, კომუნისტური შეგნების ზრდა, ცხოვრების კანონის თანახმად, უარყოფითთან ბრძოლაში მიმდინარეობს. დადებითი გმირის ხასიათი ვითარდება სრულყოფისაკენ, მაგრამ ეს არ



ნიშნავს იმას, რომ ყოველივე ეს ხდება უმტკივნეულოდ, ყოველგვარ წინააღმდეგობაში, მეტიც — შეედომების გარეშე.

ირ. ჭავჭავაძის კომედიაში ტასიკო და ნუგეშა სწორედ ასეთი — ერთ წერტილზე გაყინული ხასიათებია. ვოლდემუტი ტრიუკი (ობლიგაციამ მოიგო 100 ათასი), რომელიც ავტორმა შეიტანა თავის ნაწარმოებში ძირითად მამოძრავებელ ძალად სიუჟეტისა, რამდენადაც შევლით უარყოფითი ხასიათების განვითარებას, მაგრამ თითქმის არაფერს ამბობს დადებითის შესახებ. საინტერესოა, რომ ამ ორივე კომედიაში ერთიდაიგივე ლიტერატურულ ხერხთან ვეჯდვას საქმე. ორივემ დაიბნეულია ერთი ძველი სახლი და მოქმედება იშლება მოზინადრეთა ცხოვრების ფონზე; ეს ხერხი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისევე ახალია, როგორც ძველი: ყველაფერი დამოკიდებულია მასზე, თუ მხატვრულობის რა ხარისხშია აყვანილი თვითონ ნაწარმოები.

ჩვეულებრივად, კომედიაშიც კი, უარყოფითი პერსონაჟები ხშირად ზედმეტად „სასაცილოდ“ გამოიყურებიან. სხვათადასა რომ ესთქვათ, სასაცილო ნაწარმოების ქვეტექსტში კი არ იკითხება ხოლმე, პირდაპირ სცემს თვალში მათეულებს. კ. ბუაჩიძემ, რომელმაც ზემოხსენებულ კომედიაში რამდენიმე მეტად საინტერესო ხასიათი შექმნა, მოულოდნელად ფინალში მიმართა ასეთ ფარსს: თავი ჩამოაჩრაობინა ლიათაძეს მის მიერვე დაგებულ ფანდზე.

მე მგონია, ასეთი პირდაპირი გამოწვეულია ავტორის ერთგვარი უნდობლობით იმათ მიმართ, ვისთვისაც ქმნის იგი. ტენდენცია, რომელიც უფლებეულობას მკითხველის აქტიურობას, მის უნარს საკუთარი შეფასებისა და დასკვნების გამოტანისა, ამ ბოლო დროს, საშუალოდ, საკმაოდ გავრცელდა. სტენდალი ლაპარაკობდა ფერწერის შესახებ, რომელსაც ქმნის მასურბლის ფანტაზია და ხშირად სტოვებდა ვრცელ მინდვრებს — ბევრი რამ თვითონ მკითხველს უნდა შეეფიქრა. ჩვენ კი, პირქითი, უარყოფით ყველაფერი „გასაგებად“ ვთქვათ, რათა მკითხველმა სხვა არაფერი იფიქროს! გვირის ყველა თვისება იმთავითვე, როგორც მალაზიის ვიტრინაში აღვიღვდისანახავად არის ხოლმე გამოფენილი.

კ. ბუაჩიძეს ასეთი დეტალი კომედიის დასაწყისში რომ შეეტანა, ალბათ იგი ფარსიც აღარ იქნებოდა. ახლა კი, ის რაც ცხად ვახდა მთელი ოთხი მოქმედების შედეგად მასურბლისათვის, მას კიდევ ერთხელ გაუმეორდა თვალსაჩინოებისათვის.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ კ. ბუაჩიძემ რამდენიმე საინტერესო ხასიათი შექმნა ამ კომედიაში. უბრაველესად, ეს ითქმის ფოფიას როზიტას, ვარვარა კარპოუნასა და ვანო ლიათაძის შესახებ. მაგრამ აქაც მეტნაკლებად იქნის თავის ზე-

მოსხენებული ტენდენცია პირდაპირობისა. სასაცილო უნდა იყოს შედეგი ავტორის დატყუარებულებისა ასახულისადმი. აი სწორედ მაშინ შეიძენს თავის გადამწყვეტ მნიშვნელობას ქვეტექსტი. ხოლო როდესაც სასაცილო მხოლოდ გვირის მოქმედებით შემოიფარგლება, უკეთეს შემთხვევაში ასეთი ნაწარმოები შეიძლება ვოდვილამდე ამაღლდეს (ტენდენციური პირდაპირობა გამოსტევივის გვირის შერჩევაშიც — დღეს უკვე უხერხულად ძვრის უიშვითია და ძალაძის ანალოგიით შეთხზული ლიათაძე).

ხშირად ისე ხდება, რომ პიესა შედარებით უკეთესად გამოიყურება ხოლმე სცენაზე. ასეთია ირ. ჭავჭავაძის კომედია. ეს შეიძლება აიხსნას მსახიობთა კარგი თამაშით, რეჟისორისა და მხატვრის წარმატებით და ნაწარმოების ხასიათით. ირ. ჭავჭავაძის კომედიაში სასაცილო მიღწეულია ცალკეული სიტუაციების მოულოდნელობის ეფექტითა და გონებაშახველური სიტყვა-პასუხის ხარჯზე. აი, ამიტომაც ივებს იგი სცენაზე.

* *

ჩვეულებრივად, პიესები ძალიან იშვიათად იბეჭდება ხოლმე ჩვენს ქურნალურში. ამის ახსნა იმით, რომ არც ისე ხშირად იწერება ისინი, მწელია, ვინაიდან იმ პიესებიდან, რომლებიც მიდის ახლა ჩვენს თეატრში, მეტი წილი თითქმის არსად არ დაბეჭდილა. რატომ?

რასაკვირველია, უდავოა, რომ ვინც პ. ბისენს, ანდა ვიქტორ, პ. კაიბაძეს მხოლოდ წიგნით იცნობს, არ შეიძლება მათი სრულყოფილი დაფასება, რადგან დრამატულ ნაწარმოებს შეიგრძნობ ბოლომდე მაშინ, როცა სცენაზე ნახავ მას. მაგრამ, მეორეს მხრივ, თითქმის წარმოუდგენელია, რომ ის, ვინც ეცნობა დრამატურგს მხოლოდ თეატრში, ხოლო კომპოზიტორს საკონცერტო დარბაზში, ჰქონდეს ასე თუ ისე რამდენადმე მინიმ დრამა და სწორი წარმოდგენა მასზე.

როგორც ყველა კარგი ლექსი თუ მოთხრობა, პიესაც თანაბრად სასიამოვნო საკითხავია. მაგალითად, არ. მილერის „ასეთი იღბლის აღმადიანი“ ანდა შოუს და ჩეხოვის რამდენიმე პიესა. საკმარისი არაა, რომ მარტო ნახო და ამით დაემყოფილდე, იგი უნდა წაიკითხო კიდევ.

მე მგონია, რომ როდესაც ავტორს მიაქვს თეატრში თავის ნაწარმოები, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მან საეგზეთ დაამთავრა მასზე მუშაობა. პიესა ამ მომენტთან სარგებლობს ყველა უფლებით მხატვრული ნაწარმოებისა. შეიძლება, შემდგომში რეჟისორმა შესცვალოს ზოგიერთი რამ მასში, ანდა მსახიობმა სხვაგვარად გახსნას როლი, ვიდრე განზრახული ჰქონდა ავტორს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ დამოუკიდებლობის

ბის სასარგებლოდ მეტყველებს, რომელიც გააჩნია ყველა კარგ პიესას.

სინამდვილეში კი ისე ხდება, რომ ჩვეულებრივად ავტორი სულ არ ფიქრობს მკითხველზე. და ეს გამოიხატება არა მარტო იმით, რომ ავტორისებულ რემარკებში ასეთ ქართულს წააწყვდებიან „ტრუბკა“, „სკამიკა“, და სხვ. — არამედ აი ასეთ, ერთი შეხედვით, თითქოსდა უმნიშვნელო წერილმანებში: „ღიღი პრეტენზიით მოწყობილი გვარაძეების სასტუმრო. სიღრმეში მოჩანს ასევე მორთული იასონის კაბინეტი...“ — წერს ავტორი ერთერთი მუკრათის დასაწყისში. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ მხატვარ-დემოკრატის მიმართავს და არა მკითხველს. აქ ლაპარაკია გვარაძეების ოჯახის სულიერ ინტერესებზე, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მართალობასა და ავეჯს ბევრნაირად შეუძლია დაზარალოს თავისი პატრონი; თქვას რაიმე განსაკუთრებული მის ხასიათზე და გემოვნებაზე. მაგრამ ავტორს — ან. აღმაქეს არც ჩაუთვლია საჭიროდ მოეცა კონკრეტული შინაარსი ამ „ღიღი პრეტენზიისათვის“.

პიესა მხოლოდ დიალოგი არაა. მარტო დაბეჭდილი დიალოგი ვერ გადმოსცემს პიესის შინაარსს. დრამატურგმა უნდა მიმართოს ლიტერატურული გამომსახველობის ხერხებს, რომლითაც სარგებლობს ოდითგან პოეტები და პროზაიკოსები. აი, რას წერს ამის გამო ბ. შოთ თავის შესავალ წერილში კრებულისათვის „არა სასიამოვნო პიესები“: შექსპირისეულ მემკვიდრეობაში ჩვენ არ შემოგვრჩა არცერთი სრული რეჟისორული ეგზემპლარი; გამოცემაში in quarto.

ჩვენ თითქმის ცარიელ დიალოგს ვკითხულობთ. და რას არ მივცემდით „ჰამლეტის“ რეჟისორულ ეგზემპლარში, რომლითაც სარგებლობდა რეპეტიციები ღროს თვითონ შექსპირი, ფანქრით ხელში რომ აკეთებდა შენიშვნებს ტექსტის მინდვრებზე! და თუ ამას მივუმატებთ იმ ახსნა-განმარტებას, რომელსაც შექსპირი ზეპირად აძლევდა მსახიობებს მოქმედების განვითარებადთან ერთად, განსაკუთრებით კი აღწერას მის მოქმედ პირობებსა, რომლის საშუალებითაც იგი ცდილობდა შეეგნებინა მსახიობებისათვის, კერძოდ, ვინ უნდა განასახიერონ მათ — რა ნათელს მოჰყენდა ეს არა მხოლოდ თვითონ პიესას, არამედ მთელ მეთექვსმეტე საუკუნესაც! და ყოველივე ეს ჩვენ გვეჭნებოდა, — მეტიც, რომ შექსპირს არა მხოლოდ უბრალოდ ჩაეწერა როლების ტექსტი სცენისათვის, არამედ მოეზაღებინა თავისი პიესები გამოსაცემად, ვაჯიბრებოდა რომანისიტებს, რომელთაც ჰქონდათ ასე რიც დამუშავებული ლიტერატურული ტექნიკა, როგორც ვთქვით მერედითს. სწორედ ასე დამუშავებული ტექნიკის უქონლობის გამო აიხსნება ის, რომ შექსპირმა, განუმეორებელმა პოეტმა.

მეამბეგ, აღამიანთა წარმომსახველმა, ჰემინგუემა და ორატორმა არ დავეტოვა არც ერთი მუხურად მთლიანი დრამა და ვერ შეძლო გამოეყენებინა ნამდვილად მეცნიერული მეთოდი აღამიანისა და საზოგადოების ანალიზის დროს, თუმცა ისეთ ნაკლებად პოპულარულ პიესებში, როგორცაა „ხველაფერი კარგია, რაც კარგად თავდება“, „წილის წილ“ და „ტროილი და კრესიდა“, ჩვენ ვხედავთ, რომ იგი მზად იყო დაეწყო მეოცე საუკუნედან, მეჩვიდმეტეს რომ მიეცა ამის საშუალება.

ან. აღმაქე არსად არ ცდილობს გასცდეს დიალოგს. აქ მკითხველი შეხედება მითითებებს განკუთვნილს მხატვრისადმი და სცენის მომსახურე პერსონალისადმი. აი ერთი მაგალითი: „კატისა კარავი. ორი გასაშუკელი საწოლი, ჩემოდანი, მაგიდა, მაგდღაზე წიგნები და სარკვე. სცენაზე კატია. იგი კართფილს თლის, სიმონის ხმა „შეიძლება“? თითქოს ავტორი რაღაც მეორეხარისხოვან, მაგრამ ფორმალურად აუცილებელ საქმის მოთავებას ცდილობს და თანაც სასწრაფოდ, რათა შემდეგ შეუდგეს მთავარს.

ახლა გავიხსენით ბ. შოუს თუ არ. მილერის პიესები. ყოველი ახალი გმირი, რომელიც კი შემოდის მათ პიესებში, დახასიათებულია ლიტერატურული ტექნიკის მთელი შესაძლებლობით, როგორც საერთოდ, ისე გარკვეულ სიტუაციაში. ყოველი დეტალი, ისე როგორც პროზაიკოსთან, მათი მხატვრული ინტერესების სფეროშია მოქცეული. ეს არ იწვევს პიესის გადატვირთვას, პირიქით — კიდევ უფრო ხელს უწყობს მისი შინაარსის გადმოცემას. შოუ საჭიროდ არ თვლიდა მოქმედ პირთა სია წიგმძღვარებინა თავის ნაწარმოებისათვის.

ყოველივე ეს შემთხვევითი არაა. და თუ დღეს შედარებით პოპიასა და პროზასთან ნაკლებად კითხულობენ პიესებს, მე გონივა, რომ ბევრ შემთხვევაში სწორედ ესაა მიზეზი — ცარიელი დიალოგი. როდესაც მილერი პიესაში „ასეთი იღბლის აღამიანი“ აღნიშნავს, რომ ფლეტა უტრავს, მკითხველისათვის ცარიელ სიტყვებად არ უღერეს რემარკა, ვინაიდან ავტორი იქვე განმარტავს, თუ რაზე მღერის ფლეტა და როგორია მისი მელოდია. ან. აღმაქე კი მოკლედ კმაყოფილება: მუსიკა.

როგორც ვთქვით, თვითონ ავტორის ინტერესებშია, რომ მისი პიესა არა მხოლოდ დაიდგას, არამედ დაიბეჭდოს კიდევ.

ამასწინათ, გამოცემლობა „ხელოვნებამ“ გამოუშვა სექტანიაში წიგნი სათაურით „ქართველ დრამატურგთა პიესები“. კითხულობთ ამ წიგნს და უნებურად რწმუნდებით, რომ ავტორები ფიქრობდნენ მხოლოდ მაყურებელზე. სწერდნენ „სცენისათვის“ და რაც შეეხებოდა გმირების გარეგნობას, ლაპარაკის მანერას, ჩვე-

ვსა თუ სულიერ განწყობათა ცვლას, მთლიანად სპექტაკლის შემქმნელებს მიანდევს, დაკმაყოფილდნენ რა ორიოდ მშრალი შენიშვნით ამდღავარი ხასიათისა:

„ლაბარაკობს არეული უტყუარი აქტენტი“, ანდა — „თავს ჩაღუნავს“, „ხელს ჩაიჭნევს“, „თავს აიღებს“, „დაწვეული ტონით“, „მუდარის კილოთი“ და სხვა.

ცხადია, ასეთი განმარტებანი მხოლოდ მითითებანია შემსრულებლისათვის განკუთვნილი. საყურადღებოა, სხვა ვარემოებაც, რომელიც აქვე უნდა აღინიშნოს. ხსენებულ კრებულში შეტანილ რვა პიესიდან, როგორც წესი, ყველა ოთხმოქმედებიანია. და ასეა არა მხოლოდ ამ წიგნში... ხშირად ჩვენნი დრამატურგების ნაწარმოებებში დილოგი მეტად გაჭიანურებულია, ცალკეული სცენები კი მხატვრული აუცილებლობით არაა ნაკარნახევი და მიუხედავად ამისა, პიესა მაინც ოთხმოქმედებიანია ხოლმე.

„ზარია ვოსტოკაში“ დაბეჭდილ ო. კანდინაშვილის საინტერესო რეცენზიაში, რომელიც შეეხებოდა სპექტაკლს „ამაზივი სიყვარულია“, სხვათაშორის აღნიშნული იყო ისიც, რომ პიესა შეიძლებოდა ორმოქმედებიანიც ყოფილიყო, რომ იგი ვალატეირთული აღმოჩნდა მთელი რიგი ზედმეტი სცენებით.



დასასრულს, რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო ჩვენი თეატრების ყოფის იმ მხარეს, რომელიც მათ რენომეს ერთგვარად ჩრდილს აყენებს. მხედველობაში მაქვს მორიგი სპექტაკლები.

ჩვეულებრივად, პრემიერის შემდეგ, სპექტაკლის ხარისხი სულ უფროდაუფრო დაბლა იწევს. შავალითად, სულ უბრალო რამ, როგორცაა ნიაღვრის წარმოსახვა სცენაზე; თუკი პირველ დღეებში სრულდება ხოლმე ტექნიკურად ზუსტად, რამდენიმე ხნის შემდეგ მას აღარაინ აქცევს ყურადღებას. და ბოლოს სცენიდან გაისმის ისეთი გაურკვეველი ხმაური, რომელიც ნიაღვრის მოვარდნას სრულებით აღარ მოგაგონებს.

მორიგი სპექტაკლი პრემიერისაგან იმით უნდა განსხვავდებოდეს, რომ შედარებით ამ უკანასკნელთან სრულყოფილი იყოს. ჩვენს მსახიობებს კი პირიქით ემართებათ — ისინი უყლებენ თამაშს.

იშვიათი არაა ასეთი შემთხვევებიც: ლიმე წამყვან როლს პრემიერის დღეებში შეასრულებს ცნობილი მსახიობი, ხოლო მერე ამ როლს მიანდობენ ხოლმე ისეთს, რომელსაც სულ ხუჯჯარ თუ ექნება გავლილი რეპერტოცია. ხშირად თითქმის ურეპერტიციოდაც ხვდება მსახიობი სპექტაკლში, თუკი ამათიმი როლის შემსრულებელი რაიმე მიზეზით, თუნდაც მცირე ხნით, გამოაკლდა თეატრს.

აი ამის გამოა, რომ ჩვენთან სპექტაკლის შენახვის კულტურა დაბალ დონეზე დგას. მორიგ წარმოდგენას სახელო უტყვდება.

მოსკოვის სამხატვრო თეატრში 1908 წელს სტანისლავსკისა და სულევიციის მიერ დადგმული „ლურჯი ფრინველი“ დღესაც მიდის. მიდის ჩახოვის პიესების ძველი დადგმები. მაგრამ დღეს ეს სპექტაკლები ისევე ქდერენ, როგორც პრემიერის დღეებში.

ჩვენთან კი მორიგი წარმოდგენის წინაშე პახსისგებლობა მეტად მცირეა. წინააღმდეგ შემთხვევაში რითი უნდა აფსნათ ასეთი ფაქტები? — ანდა ის, როცა მსახიობებს მოულოდნელად სიცილი აუტყდებათ სცენაზე? ყოველივე ეს პატივისცემას უკარგავს ჩვენს მასწავლებელს ამდგავარი მორიგი სპექტაკლისადმი.

ერთხელ, როცა უნივერსიტეტში განხილავდნენ მარჯანიშვილის თეატრის დადგმას, სიტყვით გამოსულმა შ. დამაზიძემ აღნიშნა, რომ არ შეიძლება თანაბარი სეროზულობით არ ეკიდებოდეს თავის საქმეს მსახიობი დილისა თუ საღამოს წარმოდგენაში. მან მოიტანა ერთადერთი მაგალითი თავისივე პრაქტიკიდან. გამოჩენილ მსახიობს — შ. დამაზიძეს ამ მაგალითით სწორედ იმათ წინააღმდეგ უნდოდა გაელაშქრა, რომლებიც ერთმანეთისაგან განარჩევენ პრემიერისა და მორიგ სპექტაკლს და, როგორც მეტად თავმდაბალმა აღამიანმა, მხოლოდ თავისთავი დაასახელა.

ჩვენი თეატრების პროფილი უპირველესად შეუძლია ქართულმა დრამატურგიამ გამოკვეთოს. და თუ ზოგჯერ ეს წარმატებით ხორციელდება, ბევრ შემთხვევაში თითო სპექტაკლი, შემქმნილი თანამედროვე ცხოვრებაზე, ერთ სეზონზე მეტს ვერცა სძლებს ხოლმე სცენაზე. როგორც ზევეითაც ვთქვი, ამაში ბრაალი მიუძღვით თვითონ ავტორებს. ჩვენი დრამატურგია ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ გამოხატავს იმ დიად და მშვენიერ ბრძოლას კომუნისმის ხვალინდელი დღის დამკვიდრებისათვის, რომელსაც ეწევა გმირული საბჭოთა ხალხი.





ნორა ჩხიძე

ლიბერატურული სახის ფორმისა და შინაარსის საკითხისათვის

ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ ადამიანის მხატვრული სახის, როგორც კონკრეტული ლიტერატურული ფენომენის, ფორმისა და შინაარსის საკითხი. წინასწარი დაშვების უფლებით რომ ვთქვათ, ჩვენი კვლევის საგანია ლიტერატურის სახის ის ფორმა, რომელიც მის შინაარსსა აქვს და ის შინაარსი, რომელიც მის ფორმასა გამოხატული.

ლიტერატურული სახის, ისევე, როგორც საერთოდ მხატვრული სახის ფორმისა და შინაარსის საკითხის შესწავლისათვის, გზას ჰკაფავენ, საფუძველს ამაღლებენ ის შრომები, რომლებიც მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის პრობლემებს იკვლევენ. ამ მხრივ, უკანასკნელ დროს, ჩვენში ძალზე ბევრი და პოზიტიური გაკეთდა. მრავალრიცხოვანი წერილების გვერდით, რომლებიც აღნიშნული საკითხის გარშემო გამოქვეყნდა საბჭოთა პერიოდულ პრესაში, ჩვენ გვაქვს არც თუ ისე მცირე მოცულობის გამოკვლევები წიგნების სახით. ვასაგებია, რომ ყველა ეს წერილები და შრომები არ შეიცავენ ერთნაირ მეცნიერულ ღირებულებებს, არ არიან ერთნაირად მნიშვნელოვანი. ამას გარდა ისინი, ეს შრომები, სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინების პოზიციებიდან არიან შესრულებულნი, ნაწილი ესთეტიკის, ნაწილი ლიტერატურის თეორიის, ნაწილი ლიტერატურული კრიტიკის სფეროში. ძნელია ორი ისეთი გამოკვლევის მოძებნა, რომლებიც ერთმანეთიდან გამოდიოდნენ, ერთმანეთს ეყრდნობოდნენ ერთმანეთის უარყოფის, ან დათანხმების აზრით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჯერ კიდევ არაა დაწერილი ისეთი გამოკვლევა, რომელიც სისტემაში მოაყვანდა ამ პრობლემის ირგვლივ დაგროვილ მასალას, რომელიც ანალიზის მეოხებით გამოჰყოფდა პოზიტურსა და ნეგატურს ამ მასალაში და

მოგვემდა ყველაზე მნიშვნელოვანი დებულებების (ზოგიერთის ჰიპოთეზური ხასიათის დაშვებით) სინთეზურ სურათს.

გამოკვლევები, რომლებიც ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებთა შინაარსის და ფორმის საკითხებისადმი მიძღვნილი, როგორც უკვე ვთქვით, გზას ჰკაფავენ მხატვრული სახის შინაარსისა და ფორმის რაობისა და ურთიერთობის შემსწავლელისათვის. მაგრამ ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის საკითხი არ შეიძლება მთლიანად ემთხვეოდეს სახის, განსაკუთრებით ადამიანის მხატვრული სახის ფორმისა და შინაარსის საკითხს. არ შეიძლება მათი ერთმანეთით შეცვლა. არ შეიძლება მათი მექანიკური გაერთიანება ან, რაც უფრო დიდი შეუღომა იქნებოდა, მათი გაიგივება. სახეები ერთის მხრივ შედიან ნაწარმოების შინაარსში, ხოლო, მეორეს მხრივ, ზშირად, წარმოადგენენ ნაწარმოების შინაარსის გამოვლენის ფორმას.

მრავალჯერ აღნიშნულა, რომ შინაარსისა და ფორმის ემპირიული გათიშვა შეუძლებელია. ასეთი რამ მხოლოდ აბსტრაქციის მეოხებით, და ისიც პირობითად, ხერხდება. მაგრამ როცა ამბობენ, რომ ნაწარმოები (და სახე) არის შინაარსისა და ფორმის ერთიანობა, მათი მონოლითური მთლიანობა, პარაონი და სხვა, ხაზგაუსმელს ტოვებენ რამდენიმე გარემოებას. სახის ფორმა და შინაარსი არ არსებობენ ცალცალკე, ამიტომ მათს შეერთებაზე ლაპარაკი, სახის მისაღებად თუ შესაქმნელად, მოკლებულია საფუძველს. მწერალი, შემოქმედების პროცესში, შინაარსზე, ცხოვრებისეულ მასალაზე მუშაობის დროს აძლევს მას ფორმას. ფორმა ჩნდება, ჩანასახის სახით, უკვე იმ ეტაპზე, როცა მწერალი იღებს მასალას სახისა და ნაწარმოების შექმნის მიზნით. ეს ვასაგებია, რადგან, რომ რამე შეის-



წავლო, შეიმეცნო და განიცადო, ამ უკანასკნელს უნდა ჰქონდეს, ან მწერალმა უნდა მისცეს ფორმა, რომელითაც მისი დანახვა და აღქმა-წარმოდგენა იქნება შესაძლებელი. ამასთანავე შინაარსზე მუშაობის პროცესი გულისხმობს, რომ მწერალი ამ მუშაობის დროს მუდამ აძლევს და უცვლის ფორმას მას. ამიტომ შინაარსზე და ფორმაზე მუშაობის თვით პროცესიც კი ერთმანეთთან ვანუჭრულად არიან დაკავშირებული და მათი რაიმე გზით გათიშვა წარმოუდგენელია. ეს მუშაობა ერთდროულად და პარალელურად მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, შინაარსი პირველადია ფორმასთან შედარებით, მისიანა განსაზღვრული და გამართლებული ფორმის ძიება. მწერალი მუშაობს შინაარსზე, განუწყვეტლივ აძლევს და უცვლის მას ფორმას. მისი მზანა არა უკვე არსებული და მზა ფორმისათვის (თუ ის ჰქვამართი მწერალი და ამავე დროს რეალისტია) შინაარსის მოძებნა, არამედ მოცემული და არსებული შინაარსისათვის შესაფერი ფორმის მიცემა. ამიტომ ვასაგებია, რომ ლაპარაკობენ შინაარსის პირველადობასა და დემიურგობაზე. ია, ვიაც ჰგონია, რომ, მაგალითად, პოეტი ხშირად წინასწარ პოულობს ლექსის რიტმსა და მელოდიას. მაშასადამე ფორმას, და შემდეგ სდებს მასში შინაარსს, ანგარიშს არ უწყევს შემდეგ ვარებობას: განსხვავებით პროზისაგან, პოეზიაში რიტმი და მელოდია შეადგენს შინაარსულ ელემენტებს და მათი წინასწარი მოფიქრება ნიშნავს არა ფორმის წინასწარი შექმნას, არამედ ლექსის ემოციონალური შინაარსისა და მისი მუსიკალური აზრის, როგორც შინაარსის, დადგენას. ეს ემოციონალური შინაარსი და მუსიკალური აზრი იდენტური არიან ლექსის სიტყვიერი შინაარსისა და ამ უკანასკნელთან ერთად ქმნიან პოეტური ნაწარმოების საერთო შინაარსს. ასევე ითქმის, სხვათა შორის, პოეტურ სახეებზეც. ყველა ნაწარმოებში არ არის მიღწეული, შინაარსისა და ფორმის სასურველი. ან, როგორც ამბობენ, იდეალური ერთიანობა, მაგრამ ისინი მაინც ნაწარმოებები არიან და ფაქტობრივად არსებობენ.

რაკი ჩვენ ლიტერატურაში ადამიანის მხატვრულ სახეზე ვლაპარაკობთ, თითქოს ბუნებრივი უნდა იყოს რეალური ადამიანის განხილვაც ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით. საკითხის ასეთი დაყენება მამინვე იწვევს უხერხულობას და უცნაურობის შთაბეჭდილებასაც კი სტაბეებს. მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით, მის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ ადამიანის მხატვ-

რული სახე რეალური ადამიანების წარმოდგენის წარმოდგენს, რომ ბევრი მწერალი მუშაობდა „მოდელზე“, რომ მრავალ, თუ ყველას არა, ლიტერატურულ სახეს ჰყავს თავისი პროტოტიპები, რომ, და ბოლოს, ადამიანის თითქმის ყველა ისტორიული სახე და ბელეტრისტული ბიოგრაფიები შექმნილი არიან „რეალურ ადამიანებზე მუშაობის“ პრინციპით. მართლაც, თუ მწერალი რეალურ ადამიანს ასახავს, ცხადია, მან უნდა ასახოს როგორც მისი შინაარსი, ასევე მისი ფორმა; რაკი რეალურ ადამიანში შინაარსი და ფორმა მოცემული არიან მთლიანობაში, მწერალი უნდა ცდილობდეს ამ მთლიანობისა და ურთიერთობის ასახვასაც; მაშასადამე, რეალური ადამიანის ანალიზით ჩვენ შევისწავლობთ იმ საფუძველს, რომლის შედეგად გვიანტერესებს საბოლოოდ. უცნაურობისა და უხერხულობის გვერდით, ამ მსჯელობაში საკმარისი ლოგიკაა, მაგრამ ის მაინც ცდარია და არ გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას და ჰქვამართებას. ეს სიმცდარე გასაგები იქნება, თუ ვაიხსენებთ, რომ რეალური ადამიანი (და ადამიანები) იძლევა მხოლოდ მასალას, რომელიც საბაზის შინაარსად იქცევა მისი განცდის და გააზრების (იშვითად მხოლოდ განცდის) შემდეგ და ფორმდება, როგორც ადამიანის მხატვრული შემოქმედების აქტი, მისი შედეგი. ამასთანავე მოცემული მასალა, რომელიც შინაარსად იქცევა მისი განცდისა და გააზრების შემდეგ, მოითხოვს გამოვლინდეს მისთვის შესაფერი ფორმაში. ოცხალ პროტოტიპზე „მუშაობის“ შემთხვევაში კი ეს პროტოტიპი მწერლისათვის იშვითად არსებობს თავისი ნამდვილი სახით. ის არსებობს ისეთად, როგორადაც მას მწერალი ხედავს, როგორადაც მწერალს ჰგონია და, ბოლოს, როგორიც მწერალს უნდა, რომ ის (პროტოტიპი) იყოს. უკვე შექმნილ სახეში საცხებით შესაძლებელია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს არა ის, რაც პროტოტიპს ჰქონდა, არამედ ის, რაც მას მწერალმა მისცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მწერლის მუშაობისას, ჩვენ მუდამ საქმე გვაქვს მწერლის ემოციონალური და ინტელექტუალური საწყაროს ობიექტივაციასთან, მის განიფთხებასთან. უშუალობას, ბუნებრივობასა და მთლიანობას რეალური ადამიანი ჰკარგავს იმის შემდეგ, რაკ ის შემოვა შეგარძნებებში, აღიქება, იქცევა წარმოდგენის და განსჯის ობიექტად, მასალად, რომელზეც მუშაობას იწყებს მწერალი, რათა შემოქმედების პროცესში და განსაკუთრებით მის დასასრულს კვლავ მიანიჭოს მას უშუალობაც, ბუნებრივობაცა და მთლიანობაც. მაგრამ ამ დროისათვის, როგორც უკვე



ვთქვით, სახეში შეიძლება მთავარი და მნიშვნელოვანი მოდიოდეს არა პროტოტიპიდან, არამედ ავტორიდან. რაკი შინაარსი, მისი ობიექტური ხასიათის გამო, მოთხოვნა შესაფერ ფორმას, მწერლის მგრძობილობა, განსჯად და გონებად ანგარიშს უწყევდ ამ მოთხოვნას. მაგრამ უკვე მაშინ, როცა სინამდვილიდან მწერალი იღებს მხოლოდ მისთვის გამოსადგ, შესაფერ და საჭირო მასალას, საფუძველი ეყრება შინაარსის გარკვეულ ხასიათს, ისეთს, როგორც მწერლისთვისაა მიზანშეუნილი. ამიტომ შინაარსის მოთხოვნაში გამოვლინდეს მისთვის შესაფერი ფორმით უკვე არის და ჩანს ის ინდივიდი, რომელიც ამ შინაარსზე მუშაობს. ეს მოსაზრება არ უნდა იწყვედეს ექვს, რადგან არ არსებობს ისეთი შემთხვევა, რომ ერთსა და იგივე მასალაზე მომუშავე ორ მწერალს (რისი მავალითებიც უხვადაა ცნობილი) შეექმნათ ერთი და იგივე შინაარსის მქონე სახეები. ამიტომ, თუ რეალური აღმანი (და აღმანივე) იძლეობს მწერალს ანგარიშს გაუჭიროს მას და ამოვიდეს მისგან, რასაც მწერალი უმეტესად „მაქსიმალურად“ აკეთებს, „შემოქმედების პროცესში“ ის მაინც „ხელახლა ჰქმნის“ შინაარსსაც და მის ფორმასაც და ბატონობს მათზე. ყოველ შემთხვევაში, წარმოუდგენელია ქეშმარიტი და მძლავრი ტრადიტი, რომელიც არ აღწევდეს ამ ბატონობას, არ ისწრაფოდეს, შეგნებულად თუ ქვეყნულად, მისკენ. სახის შექმნის პროცესში ის თვითონ „ჰქმნის“ შინაარსსაც და ფორმასაც, ორივეს მულად ერთდროულად, რადგან ერთის შეცვლა, თითქმის მუქანიურად, ცვლის მეორესაც. მას არ შეუძლია რეალურ აღმანს „წართვას“ მისი შინაარსი და ფორმა, ან პირდაპირ შემოიტანოს ის ნაწარმოებში (რათქმაუნდა სინამდვილე, ფიზიკურად არ შედის არც ხელოვნებასა და არც მეცნიერებაში). ის შეიგრძნობს, აღიქვამს და მიიღებს შთაბეჭდილებას. შთაბეჭდილების მიღებისათვის კი უკვე საჭიროა აზროვნებაც, რომელიც, შეიძლება მკრთალად, მაგრამ მულად, შეიცავს უმდასების ელემენტსაც. შეგრძნებაში შემოსულსა და აღქმულ შემდგეში, მესხიერების წყალობით, ის მისცემს წარმოდგენების სახეს; ნებისყოფით განმტკიცებული განწყობის მეოხებით, ასოციაციებით, კვლავ განმეორებული და გააღვირებული, დასველი განცდებით, ფანტაზიით, რომელსაც გონება ხელმძღვანელობს და წარმართავს, ის იწყებს შემოქმედებით მუშაობას სახის შესაქმნელად. გონების წარმართველი მისა იმაში გამოხატება, რომ მწერალი ჰქმნის გარკვეული მიზნით და პრინციპით. როგორც კი დაეფიქრდებით ამ

პრინციპზე და მიზანზე, მაშინვე ^{გარკვეული} ^{ხელოვნება} არა მარტო ფორმისა და შინაარსის განსხვავება სინამდვილესა და მხატვრობაში, არამედ ისიც, რომ ლიტერატურული სახის ფორმისა და შინაარსის რაობისთვის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა აქვს მიზანს, რომლისთვისაც ის იქმნება, და პრინციპს, რომლითაც იქმნება.

მწერალი ხშირად (არა ყოველთვის) სახის შექმნის დროს იღეით ხელმძღვანელობს. ეს იღეა მეტრაცლებად გარკვეულია და, იშვიათად, ზუსტად ჩამოყალიბებულიც. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იღეისაგან დაიბადა, წარმოიშვა სახე.

ლიტერატურული სახის შინაარსი არ არის იღეა, ან უფრო რბილად რომ ვთქვათ, არ არის მხოლოდ იღეა, თუმცა ამ დებულებას უკან უღგანან ისეთი ავტორიტეტები, როგორც არიან ჰეგელი, დოსტოვესკი და პლუხანოვი. ამ აზრს იცავს რამდენიმე თანამედროვე მეკლავარიც, რომლებიც, უპირისპირად, ფილოსოფიაში მუშაობენ.

ჰეგელისათვის ხელოვნება სახეში იღეის განსახიერებაა. მაგრამ ჰეგელისათვის, როგორც ცნობილია, იღეის ჰქონდა არა ის მნიშვნელობა, რომელიც მას ჩვენთვის აქვს. ამსობტურული იღეა, როგორც ყოველივეს განვითარების საფუძველი, ელინდება დროში და გრძნობად საგნებში. ეს იქნება ხელოვნების განმსაზღვრელი მომენტიც. იღეის გამოვლენის რავგარაოა განსაზღვრავს მიმდინარეობებს ხელოვნებაში. ცხადია, ჰეგელი საკითხს სვამდა, ვულგარულად რომ ვთქვათ, უფრო საზოგადოებრივი ცნობიერებისა და სინამდვილის, როგორც მისი შინაარსის, ანალიტიკურად.

თუ ლიტერატურული სახის შინაარსი არის იღეა, მხოლოდ იღეა, ცხადია, მარქსისტული მსოფლმხედველობისათვის იგი მკაცრად განსაზღვრავს და მოითხოვს თავის, მხოლოდ მისთვის შესაფერ ფორმას. აქედან სახეები, რომელთა შინაარსიც იღეაა, ერთგვარნი უნდა იყენენ თავიანთი ფორმით. თუ ამ დასკვნას ლოგიკურად ჩავთვლით, ცხადია, მეცნიერებაც, ფილოსოფიაც, პოლიტიკაც და მხატვრობაც შეიძლება გამოხატავდეს გარკვეულ მომენტში ერთსა და იგივე იღეის და, მაშასადამე, მათი ფორმაც ერთი და იგივე იქნებოდა; ამასთანავე აუხსნელი იქნებოდა ის ფაქტი, რომ მწერალი იღეის „ანივთებს“ მხატვრობაში და არა ფილოსოფიურ პოლიტიკურ, ან მეცნიერულ შრომაში.

თუ ლიტერატურული ნაწარმოების მთელი და ერთადერთი შინაარსი იღეაა, მაშინ ლიტერატურის ისტორიაში მრავალი ნაწარმოების სიცოცხლისუნარიანობა უნდა იხსნას არა



მათი შინაარსით, — რადგან უმეტესი მათგანის იდეას უკვე აღარ შეიძლება ჰქონდეს სასიცოცხლო ძალა, არამედ მხოლოდ მათი ფორმით, რაც ეწინააღმდეგება მარქსისტულ მსოფლმხედველობას.

თუ ლიტერატურულ სახეში შინაარსი მხოლოდ იდეა, ცხადია, მისი (სახის) განცდები, ენებები, ტკივლები, სიხარული, ერთი სიტყვით, სინამდვილესთან უშუალო, ანუ ემოციონალური და პრაქტიკული ურთიერთობა, რომელიც მისი ცხოვრების უდიდეს და უმთავრეს ნაწილს შეადგენს, არ შევიდოდა სახის შინაარსში და მხოლოდ მისი ფორმის ნაწილი იქნებოდა. ემოცია არა თუ შეადგენს სახის შინაარსის აუცილებელ და მნიშვნელოვან ნაწილს, არამედ ბევრ ლიტერატურულ სახეში ის არის გადაწყვეტი და განმსაზღვრელი. ის არის სახის მოქმედების განმსაზღვრელი ძალიან ხშირად და ამდენად მისი შინაარსი. როცა შოლოხოვი წერს, რომ ჩემი მზანა იყო მეჩვენებინათ ძვრები ხალხის ფსიქოლოგიაში, მე, მე მგონი, სწორედ იმას იმზნავს, რომ ამ ხალხის წარმომადგენელია შოლოხოვის მიერ შექმნილ სახეებს შინაარსად აქვთ ეს ძვრებიც ფსიქოლოგიაში, ისევე როგორც მათს აზროვნებასა და იდეებშიც.

სახის შინაარსი არ არის მხოლოდ ის იდეა, რომელსაც ის ობიექტურად გამოხატავს და არც ის იდეა, რომლის სამსახურშიც ის მწერალმა ჩააყენა, ან, რომლის მიჯთხველადვე მიტანაა მის მხატვრული სახით უნდა იქნას. სწორი არ არის, აგრეთვე, მოსაზრება, რომლის მიხედვით მწერალი შემოქმედებით შრომას ეძლევა მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული იდეის გაჩენა-ჩამოყალიბების შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული იდეის სახეში გამოხატვის მიზნით. უმეტეს და უმრავლეს შემთხვევაში მწერალს შემოქმედებით სტიმულს აძლევს არა რაიმე მოვლენის აზრი, ან იდეა (მათი მიღწევა შეიძლება ანელებდეს კიდევ მის შემოქმედებით ინტერესს), არამედ თვით ეს მოვლენა, რომლის სინამდვილე, მშვენიერება ან გაურკვეველობა ამატლებს მას წარმოსახვას იგი და აღამაინებს მის მიმართ შეუქმნას ის ემოციონალური და შემდეგ აზრობრივი დამოკიდებულება, რომელიც მას გააზნა და აქვს. ხშირია შემთხვევა, როცა მწერალი იწყებს იმით, რომ მას აქვს მხოლოდ ექვები, რომ მისთვის არ არის ცნობილი მიზეზები (რომლებიც განმსაზღვრავს ამ მოვლენის ასეთი სახით არსებობას) და ამთავრებს ისევე ამ ექვებით. გაურკვეველობით, რათა საზოგადოებრივი სამსჯავროს წინაშე გამოიტანოს ის, რაც მას აწუხებდა და მიიწვ, ნაწილობრივ, აუხსნელი დარჩა. ამ პრინციპით

შექმნილი არა ერთი და ორი სახისა და მოვების დასახელება შეიძლება. თუნდაც პაველ კოვალუტის ბეისისა „ასეთი საყვარელი“, ან ფრანკო სოლინასის მოთხრობისა „სკუპარჩი“.

მეორე, ჩვენის აზრით, უფრო მეტად მცდარი შეხედულება ამტკიცებს, რომ მხატვრული სახის (რაც ლიტერატურულსაც გულისხმობს) შინაარსი არის მისგან და მისი შემქმნელი აღამაინის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილე. „მხატვრული სახეების შინაარსს წარმოადგენს აღამაინის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი რეალური სინამდვილე“ (ვ. ა. რაზუმი, „მხატვრული სახე—სინამდვილის ასახვის ფორმა“, შ. 1952 წ. გვ. 269, ხაზგასმა რაზუმინისა). ასეთ მოსაზრებაზე შეიძლება გვეპასუხნა პროფესორ ბ. რეიზოვის სიტყვებით, რომ „თუ შინაარსი — ეს ისაა, რაც შედის (содержится) ნაწარმოებში, მაშინ ცხოვრება არ შეიძლება იყოს მისი შინაარსი, რადგან ის არ შედის (не содержится) ნაწარმოებში“ (ბ. რეიზოვი, „მხატვრული ნაწარმოების ფორმის ცნებაზე“. უფრნალი „ხევადა“, 1953, № 7, გვ. 130) და რომ „სინამდვილე არ ვეღადის არც ლექსებში და არც პროზაში“ (იქვე). რაზუმინის მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ სახეს არა აქვს თავისი შინაარსი. ან მისი შინაარსი არსებობს მის მიღმა, მისგან დამოუკიდებლად; სახე ფორმაა, სინამდვილე შინაარსია, მაშასადამე, სინამდვილესაც, სინამდვილეს, არა აქვს ფორმა. ამ ფორმის სინამდვილეს ხელოვანი აძლევს; რმელომე ნაწარმოების და სახის შესწავლა სულაც არ უღრის მის შინაარსთან გაცნობას. რადგანაც მათში მათი შინაარსიც კი არ არის მოცემული. საკმაოდ უცნაურ დასკვნებამდე მივალთ, როგორც ჩანს, რაზუმინის მსჯელობებს რომ ლოგიკურად მივყევთ. აქ, ასეთი მოსაზრებების ახსნისა და შეფასებისას, შეიძლება და მეტი სიმკაცრის გამოჩენა, მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ უბრალო რამ. კერძოდ ის, რომ რაზუმინი ერთმანეთში ურევს ხელოვნების, როგორც ცნობიერების გარკვეული ფორმის, და სინამდვილის, როგორც მისი შინაარსის ურთიერთმიმართებას კონკრეტული მხატვრული სახეების შინაარსისა და ფორმის ურთიერთობასთან. მსგავსი მსჯელობის დროს მართლად გამორიცხულია შემოქმედების სუბიექტური ფაქტორები, ის დაყვანილია მხოლოდ ფორმის ძიებად, ფორმალისმად. მოხსნილია ხელოვნების შემეცნებითი მნიშვნელობა, სინამდვილის მხატვრული ათვისების სპეციფიკა, იდეურობისა და პარტიკულობის პრინციპის მოთხოვნის გატარება ხელოვნებაში, და ბოლოს, ნებისით თუ უნებლიეთ, იგნორირებულია სახეში სინამდვილის იდეოლო-



გური, ეთიკური და ესთეტიკური შეფასების უმნიშვნელოვანესი მომენტია.

რაკი ლიტერატურული სახე პირველ რიგში გრძობად-ემოციონალური ფენომენია, ეს საფუძველად აღეგნა ზოგიერთ მკვლევარს ემტციკებინა, რომ სახის შინაარსი მხოლოდ და მხოლოდ გრძობადი, ემოციონალური ხასიათისაა. ამასთანავე, როგორც ცნობილია, შინაარსად აცხადებდნენ არა ყოველგვარ გრძობასა და ემოციას, არამედ მხოლოდ ესთეტიკურს. დღეს ყველასათვის ვასაგებია, რომ ტოლსტოი წიგნში „რა არის ხელოვნება“, ხელოვნების მიზნად და ფუნქციად აცხადებდა არა მხოლოდ ავტორის გრძობათა და ემოციათა გადაცემას მკითხველს, არამედ ხაზს უსვამდა ხელოვნების ამ მნიშვნელოვან მხარეს. ემოციას, როგორც ცნობილია, არა აქვს კონკრეტული შინაარსი. სიხარულის, მწუხარების, შიშის, სიყვარულის, სიძულვილის და სხვა უმაღლეს ემოციებში არ შემოიღის მათი გამომწვევი ობიექტი. სამშობლოს გათავისუფლების, ძველი მეგობრის ნახვის, რაიმე მნიშვნელოვანის შექმნის ემოციონალური შედეგი — სიხარული — ძირითადად ერთდავარია, ფორმას არ იცვლის, საგნის გარკვეულობა და განსხვავებულობა არ განსაზღვრავს მის ასეთივე სხვადასხვაობას სხვადასხვა მომენტში. მართალია, ველვარულად რომ ეთქვას, სიხარული სიხარულია და სევდა სევდაა, რისგანაც არ უნდა იყოს ის გამომწვეული, მაგრამ ხელოვნების (რეალისტურის ყოველ შემთხვევაში) სპეციფიკა ისაა, რომ მისთვის ემოცია საინტერესოა არა იმდენად და არა მხოლოდ თავისთავად, არამედ მის გამომწვევ ფაქტორებთან ერთად. მეორეს მხრივ, ემოციები თამაშობენ საფუძვლის, შინაარსის როლს იმ აზრით, რომ ისინი განაპირობებენ ადამიანის (თეთრ ლიტერატურული სახის და მკითხველის) განწყობილებებს, აღაზრნებენ მათ და გარკვეულ მომენტში უბიძგებენ მოქმედებისაკენ. ბევრ ადამიანურ მდგომარეობას, მის განწყობილებას, მის მოქმედებას, მისი დამოკიდებულებების ხასიათს ადამიანებსა და ვარემომცველ სინამდვილესთან საფუძვლად ემოციები ედება. არა ერთხელ უთქვამთ, ამასთანავე (ტოლსტოის, ჩეხოვის, ფლობერის), რომ ემოცია, გრძობა უფრო ბუნდოვანია და გაურთქვევლი, ვიდრე აზრი. მწერალი იქითკენ მიისწრაფვის, რომ მკითხველსათვის მიწოდებული ემოცია იყოს მეტნაკლებად გარკვეული, ღრმა და მაქსიმალურად დატვირთული აზრით, მნიშვნელობით. (შეხედულება, რომ ხელოვნების ერთადერთი მიზანი მკითხველში გრძობად-ემოციონალური, ესთეტიკური ტკბობის აღძვრაა, ცალმხრივია, ხელოვნება და მხატვრული სახე რომ გრძობად-ემოციონალურად გრძობებასა და ემოციებს უნდა იწვევდეს, ეს ხელოვნებისა და სახის, როგორც ასეთის, არსებობის პირობითი არასობაცაა. მაგრამ არსებობის პირობითი არასობის არცერთი მოვლენის არსებობის მიზანი არ ამოწურულა).

ყველა ზემოთმოტანილ შეხედულებებში არის ჭეშმარიტების ნაწილი, მაგრამ მათ აკლიათ სისრულე და ცალმხრივნი არიან. ასევე ითქმის ცნობილ მოსაზრებაზე, რომ ლიტერატურული სახის შინაარსი არის ის, რაც მწერალმა მისით უთხრა მკითხველს. მაგრამ ის, რაც მწერალმა სახით მკითხველს უთხრა, არ განეუთვნება მხოლოდ შინაარსის სფეროს და არ ამოწურება არც იდეთი, არც ემოციით და არც სინამდვილის წარმოსახვით. მასში, გარდა ფორმისა, შედის ლიტერატურული ტექნიკის, მასალის ხასიათის და სხვა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მომენტები, რომელთა არა ათუ ეგნორირება არ შეიძლება, არამედ აუცილებელია მათი საგანგებო შესწავლა.

სახის შინაარსში გარკვეული აზრით, არ შეიძლება იყოს რაიმე ისეთი კომპონენტი, რომელიც სინამდვილესთან მწერლის ურთიერთობის შედეგად არ იყოს გაჩენილი. ადამიანის მოთხოვნილებები, დაწვებული იმის გათვალისწინებით, რომ ის ფიზიკურად არსებობს, როგორც ბიოლოგიური არსება და დამოთავრებული მისი ინტელექტით, როგორც მისი არსების გამოვლენის უმაღლესი ფორმით. — თავისთი დაქმავიფილებას, რეალიზაციას პოულობენ გარემომცველ სინამდვილესთან ურთიერთობაში.

სახის შინაარსი გამომდინარეობს ნაწარმოებში წარმოსახულ მოვლენებთან მისი ემოციონალურ-პრაქტიკული და ინტელექტუალური-იდეოლოგიური ურთიერთობიდან, ამ ურთიერთობის კანონზომიერებისა და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან. ეს ურთიერთობა შეცვრადა განსაზღვრული და მოცუვლილი მწერლისათვის საჭირო ფარგლებში. მაგრამ ის არ ემორჩილება მწერლის სუბიექტურ ახირებას. ხოლო თუ ის მინც განიცდის მწერლის ძალდატანებას, ამით კარგავს ბუნებრივობასა და სიმართლეს (გენიალურად თქვა ტოლსტოი: ჩემი პერსონაჟები აკეთებენ იმას, რასაც ისინი უნდა აკეთებდნენ და არა იმას რაც მე მომესურვება). ლიტერატურული სახის შინაარსში, გარკვეული აზრით, შემოღიანის მოვლენები, რომლებიც თავის ბეჭედს ასაგამენ სახის ხასიათს, მის ფსიქოლოგიურსა და ფიზიკურ მდგომარეობას. სახეში ეს მოვლენები თავის ანაბეჭდ ტრევებს (ძლიერ მკრთალიდან დამანგრეველამდე) ემოციების, წარ-



მოღვენების, შთაბეჭდილებებისა და ფიქრების სახით. ისინი აძლევენ ან ართმევენ მას მოჭმელბის „ტიმულს. სახის ურთიერთობაც გაარემოთან, მოვლენებთან, სიგნებთან ან აღა-შეანათთან განპირობებულია არა მარტო ამ შიანასკნელთა ხასიათით, არამედ თვით სახის ხასიათითაც, ამავე დროს ურთიერთობა რაიმე მოვლენასთან, ხშირად განსაზღვრავს სახის ურთიერთობებზე შეცვლას სხვა მოვლენებთან (გაეისხენით მაგალითად დ. შენგელაის „განძი“, საულის შეცვლა ოქროს პოეზით, ამ მოვლენის ზემოქმედება მასზე და მისი ურთი-ერთობების შესაბამისი შეცვლაც ფუნდუს-თან, ხალხთან, ქვეყანასთან). ამ ურთიერთობა აბა პროცესში მოვლენები აღამიანერდება, აღამიანური აზრი და მნიშვნელობა ემღევა. სახე და მისი გარემო აესებენ, განაპირობებენ ერთმანეთს. ისინი აძლევენ თავიანთ აზრს და ცვლიან ერთმანეთს. ეს ურთიერთობები განე-კუთვნებიან სხვადასხვა სფეროს: პრაქტიკულს, სოციალურს, იდეოლოგიურს, პოლიტიკურს, ეროვნულს, მორალურს, ესთეტიკურს, და ა. შ. ვასაგებია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია ის ურთიერთობა, რომელიც ტიპურია, რომე-ლიც არსებითი და დამახასიათებელია მოცე-მული საზოგადოების, კლასისა და ფენისათვის, რომლებიც ყველაზე მეტად საპირობო-ტონი არიან და რომლებშიც აისახება საერთო საზოგადოებრივი, ეროვნული და შემდეგ სა-კაცობრიო ინტერესები. ამიტომ მწერალი თვითონ წარმოსახავს და ქმნის იმ ურთიერ-ობებს, რომლებიც მისი აზრითა და შეხედუ-ლებით, ყველაზე მნიშვნელოვანნი არიან. მის-თვის ამ ურთიერთობათა ორივე მხარე — სა-ხეცა და სინამდვილე—ძილვიან სინამდვი-ლის გაგების, ახსნისა და შეფასების შესაძ-ლებლობას. ამასთანავე მას ურთიერთობაში მოპყავს სახე სწორად იმ მოვლენებთან, რომ-ლებმაც ის ცხოვრებაში დაინტერესეს. ამი-ტომ მას, როგორც მხატვარს (ეს მისი სპეცი-ფიკაცია), ამ მოვლენის სურათი მკითხველთან მოქავეს სახესთან ურთიერთობაში, რათა აჩე-ნოს აღამიანებს მოცემული მოვლენების არ-სებობის აზრი აღამიანისათვის, მისი ცხოვ-რებისა და ბედისათვის. რიგ შემთხვევაში მწე-რალი არ ხატავს იმ მოვლენებს, რომლებმაც სახის ასეთი ხასიათი, მდგომარეობა განაპირო-ბა. ის ხატავს აღამიანს ასეთად, ღიად ტრეებს რა კითხვას. მაგრამ სახე, უმეტესად, ისეა დახატული, რომ ის იმ მოვლენათა სარკე, შე-ფასება და მსჯავრდებაა, რომლებმაც სახის მოცემული მდგომარეობა განსაზღვრეს.

ზომიერებანი; იდეა, რომელიც სახის შინაარსი-სიდან ობიექტურად გამოდინარეობს მკითხ-ველისათვის და რომლის სამსახურშიც ის-მწერალს ჩააყენა; ემოციები, რომლებიც სა-ხე მდგომარეობას და ფსიქოლოგიურ არსე-ბას გამოხატავენ და მწერლის სინამდვილეს-თან ემოციონალურ-პრაქტიკული ურთიერთ-ობიდან წარმოიხასა; ნაწარმოებში წარმოსახულ სინამდვილესთან სახის ურთიერთობის კანონ-ზომიერებანი, დაწყებული ემოციონალური და დამთავრებული ინტელექტუალური ურთიერ-ობით. სახის შინაარსი ორგანიზებულია მწე-რლის მიზნით, იდეით და მისი შემოქმედებითი პრინციპებით. ამიტომ ის შემოქმედების რე-ზულტატია. სახის შინაარსიცა და ფორმაც, გარკვეული აზრითა და მეტაფორულად, გამოი-ნულია მოცემული ეპოქისა და დროის, საზო-ვადოებისა და კლასის, ფენის მკითხველები-სათვის. მაგრამ ეს მკითხველები, თავის მხრივ, აიძულებენ მწერალს მუდამ ყავდეს ისინი მხედველობაში და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჰქმნიდეს მათი კარნახით, მათი ცოდ-ნის, გემოვნების და კულტურის მიხედვით. მკითხველები და მწერალი, ამ შემთხვევაში, ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზე და, რო-გორც ცნობილია, წინ მიპყავთ ერთმანეთს.

ლიტერატურული სახის შინაარსი უპირატე-სად და პირველ რიგში ეროვნულია. ეს გუ-ლისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ სახე რო-მელიმე ეროვნების წარმომადგენელს გამოი-ტაცეს და ამ ერის ფსიქიკის ნიშნებს ატარებს, არამედ იმასაც, რომ მას გარკვეული ერის წარმომადგენელი მწერალი ქმნის, რომლის ფსიქიკაც და ხასიათიც შეესაბამება მისი ერის საერთო და ინდივიდუალურ ფსიქიკურ და სულიერ მონაცემებს. სახე ემოციონალური, სოციალური, იდეოლოგიური შინაარსი ამავე დროს და უმეტესად ეროვნულიცაა. ამითა აქვს მას ფასი და მნიშვნელობა ერისთვის, რითაც შემდეგში ის საკაცობრიო მნიშვნელო-ბას იძენს. საყოველთაო მნიშვნელობა გულის-ხმობს არა იმას, რომ სახეს საყოველთაო და ინტერნაციონალური შინაარსი აქვს (არის ასეთი სახეებიც), არამედ პირველ რიგში იმას, რომ მისი შინაარსი ზოგად-აღამიანურია და ამდენად ყოველი აღამიანისათვის გასაგე-ბი და სასარგებლოა. ინტერნაციონალურ ხა-სიათს ყველაზე მეტად სახის სოციალური შინაარსი ატარებს, რადგან, როგორც ცნობი-ლია, სხვადასხვა პერიოდებში, ერებსა და ხალხებს ერთი და იგივე სოციალური ტიპი-ლები აქვს. მაგრამ ეს ტიპილები თავისებურ, მკვერთად დამახასიათებელ ნიშნებს ატარე-ბენ ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, რადგან ისინი ლებულობენ ერისათვის ნიშანდობლივ

ელფერს და წარმოიშებიან, ვითარებიან სხვა მნიშვნელოვან ეროვნულ მოვლენებთან ურთიერთობასა და ურთიერთშემოქმედებაში.

როგორც უკვე ითქვა, შინაარსი ფორმდება, ფორმის იღებს შემოქმედების პროცესში. შინაარსის არსებობისა და განვითარებაც კანონზომიერებანი გამოიხატება ფორმებში, რომლებსაც ჩვენ ის მუდამ მიისწრაფვის. ადამიანის მხატვრული სახის ფორმა მისი უშუალოა, მისი მოცულობაა. ის არის ადამიანური ხასიათისა და თვისებების განუმეორებელი კომპოზიციური მილიანიობა და ერთიანობა ინდივიდში. ადამიანის გარკვეული ჯგუფისათვის დამახასიათებელი, არსებითი თვისებურებანი ყოველ სახეში წარმოსახება და შეღავნდება მკაცრად აღიქმად ინდივიდუალური, განუმეორებლობით. უშუალობასა და მოცემულობაში იგულისხმება გრძნობად-საგნობრივი, კონკრეტულ ფიზიკური არსებობა. მკითხველისათვის ფორმის აღქმა დაკავშირებულია რეალურ ხილვასთან, ბუნებრივობასა და უშუალობასთან. ფორმა, პირობათადაც რომ ეთქვას, გამოხსნილია არა გაგებისა და შემეცნების უნარზე. ადამიანის ლიტერატურული სახე მხედველობით შეგრძნებაში შემოდის, თუმცა, ამავე დროს, ხელოვნების ყველა სხვა სახეთა შორის, ის ყველაზე მეტად მდიდარი და სინთეზურია. ფიზიკური „ხელშესახებლობა“ და რეალობა ერთერთი ძირითადი ლიტერატურული სახის ვანცდის მომენტში. მაგრამ ის არაა მთავარი და ფორმის მხოლოდ ერთერთ ელემენტს შეადგენს. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ადამიანის მხატვრულ სახეს ფიზიკური არსებობა სინამდვილეში არა აქვს. ამავე დროს, იშვიათია მკითხველი, რომელთა წარმოდგენაში ერთი და იგივე სახე ზუსტად ერთი და იგივე ფიზიკური სახით არსებობდეს (ჩვენ არ ვგულისხმობთ სახის წარმოდგენის გაშუალებული მომენტებს ილუსტრაციებისა და ინსცენირებების შედეგად). ლიტერატურული სახის ფორმა განსაზღვრავს მკითხველის მასთან უშუალო ემოციონალური-პრაქტიკული დამოკიდებულების ხასიათს. ამ აზრით მკითხველი სახეს აღიქვამს, როგორც ცხოვრებისეულ რეალობას. ლიტერატურული სახის ფორმა მისი გრძნობადობა და საგნობრივობა იმ აზრითაც, რომ მწერალი მასში ანიჭებებს, გამოხატავს სინამდვილესთან თავის დაოკიდებ-

ბულებას, სინამდვილის გაგებას, შეფასებას. ჩვენში ძალზე ხშირად საყვედურობენ მწერლებს, რომ მათ სახეებს არა აქვთ მკვეთრი, კონკრეტული ფორმა, განუმეორებელი ინდივიდუალურობა. ეს საყვედური უმეტესად სამართლიანია. ამის მიზეზი ისაა, რომ ადამიანის მხატვრულ სახეში შინაარსეული საწყისები არაა მძაფრად ინდივიდუალურობის, მთლიანი და გაიოცლებული ყველა შემთხვევითილი მომენტის გათვალისწინების შემდეგ, შეიძლება დავსაყენათ, რომ ადამიანის მხატვრული სახეს ფორმა იხადება და ყალიბდება მწერლის მიერ საზოგადოებისა და ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ძირითად დამახასიათებელ და ტიპურ ნიშნებზე მუშაობისას. გულბრწყვილია იმის კითხვა, თუ ლიტერატურულ სახეში რა არის, რომელია კერძოდ ფორმა და რომელია შინაარსი. ერთის დასახელებით ჩვენ ყოველთვის ხაზს ვუსვამთ მეორესაც.

საფუძველს არაა მოკლებული მოსაზრება, რომლის მიხედვით ადამიანის მხატვრულ სახეში ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართება ტიპურისა და ინდივიდუალურის ურთიერთმიმართების ანალოგიურია. ეს საყურადღებო და ცნობილი აზრია. მაგრამ მას საკანგებო შესწავლა სჭირდება. იმ ნიშნითავე, რომლებსაც ჩვენ ინდივიდუალურს ვუწოდებთ უმეტესი ტიპური და საერთოა ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის. ბელიკოვის (ჩეხოვის „აკაცო ფუტლიარში“) თვისებები ზედმეწვენი ინდივიდუალურია, მაგრამ ეს თვისებები ამავე დროს ზედმეწვენი ტიპურია იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ეს სახე წარმოადგენს. როცა ჩვენ მწერალს ვუსაყვედურებთ, რომ მას არ უშუაგია ფორმაზე, ნაწილობრივ ცალმხრივნი ვართ, რადგან მხედველობიდან ვუშვებთ იმ გარემოებას, რომ მას არ უშუაგია სწორედ შინაარსზე. მოსაზრება, რომ ლიტერატურულ სახეში და საერთოდ ლიტერატურაში, ფორმისა და შინაარსის ურთიერთობა აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობის ანალოგიურია, მეტად გაბედული და საინტერესოა. მაგრამ ასეთი მოსაზრების დასამტკიცებლად საჭიროა უფრო მეტივე არგუმენტები, ვიდრე მის დასაცავად დღემდე იყო წამოყენებული.



გიორგი ბეთანელი

მსოფლიო გლეხის, მსოფლიო ცეკვავს...

პრალა, ბუდაპეშტი, ბერლინი, ვარშავა, მოსკოვი და ახლა ვენა...

ტრადიცია ახლა ცისფერი ღუნაის ნაპირებთან იზეიმებს — აქაა დანიშნული მსოფლიოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII ფესტივალი.

ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო მოსკოვის ფესტივალი და 181 ქვეყნის ახალგაზრდა წარმომადგენლები უკვე აწყობდნენ მომავალ ფესტივალზე შეხვედრის გეგმებს. ახალი შეხვედრების უამიც დადგა. მშვიდობისმოყვარე ქაბუეები და ქალიშვილები გაცხოველებით ემზადებიან ვენის ფესტივალისათვის. და ამ დღეებში ბევრი მათგანი სიხარულით მოიგონებს მოსკოვის ფესტივალზე გატარებულ საუცხოო დღეებს.

ქვემოთ ჩვენ ვებქდავთ VI მსოფლიო ფესტივალის დღეეგატის ჩანაწერებს.

საფესტივალო მხატვრული კონკურსების ეიუ-რის არ ეყო ოქროს მედლები ჭეშმარიტად უკეთესებისათვის უკეთესთა შორის. 945 მედლიდან მარტო საბჭოთა ქვეყნის შემოქმედებთმა ახალგაზრდობამ 374 ოქროს, 104 ვერცხლის და 34 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ფესტივალის მთავარ რეჟისორს იოსებ თუმანიშვილს ორიოდე ტკბილი ქართული სიტყვით მოუხდა ჩვენი „შეიდეაკას“ მონაწილეთა დაშოშმინება:

— ბიჭებო, ვინ დაობს, თქვენ ღირსეულად დაიმსახურეთ ოქროს მედლები. პირველი ხარისხის დიპლომები ხომ დაგიბრკვეთ, მედლებსაც სულ ცოტა ხანში გამოგვგზავნით. ხომ არ შეიძლება შინაურს მივცეთ და უცხოელი უმედლოდ დავტოვოთ. არა და, წარმოიდგინეთ, შემოგვაკლდა დამზადებული მედლები, ამიტომ ჯერჯერობით ჯილდოს მარტო თქვენი ხელმძღვანელი ჯანსუღ კახიძე მიიღებს.

რალა უნდა ეთქვებ ბიჭებს, უსამართლოს აქ ვერაფერს ხედავდნენ — ვისი ბრალია, რომ მოსკოვის ფესტივალი ტალანტების ფესტივალი გახლდათ. და დროებით, როგორც თვითონ ამბობდნენ, ერთი მედლის „ფერიით, სუნითა და გემოთი“ დამაყოფიდლდნენ.

გულდაგულ მოემზადა მსოფლიოს ხელოვანი ახალგაზრდობა საპასუხისმგებლო შეხვედრისათვის. „ახალი სიმღერებითა და ცეკვებით — მოსკოვი“ — ამ დღეებით ჩატარდა ლაბიკეგში გერმანელი ქაბუეებისა და ქალიშვილების

შერჩევა ფესტივალის მხატვრულ ღონისძიებებზე დისაშეგბად: ბევრმა მრავალსაფეხურიანი კონკურსი გაიარა თავის ქვეყანაში, ვიღრე საფესტივალო ეიურის წინაშე წარსდგებოდა მოსკოვში.

ახლა არ იკითხავთ, ვინ იყენენ ტალანტების შემფასებლები? თითქმის ყველა ქვეყნის კულტურის გამოჩენილი და აღიარებული მოღვაწენი: კომპოზიტორები — გერმანელი ჰანს ეისლერი, ფრანგები ჟერარ ფილიპი და ფრანსის ლემარკი, ბელგიელი ეან აბსილი, ბრაზილიელი სიკვირა და დიმიტრი შოსტაკოვიჩი, მუსიკის პროფესორი გერმანელი აუგუსტ ლეოპოლდერი, იტალიელი პიანისტი ქალი ვოლტა ვიატციკი და ლეე ობორინი, მოცეკვაევეები — ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელგანთქმული კანადელი მიშელ კარტიე, პარიზის, ნიუ-იორკის, მეხიკოს და ტოკიოს მასურებლისათვის კარგად ცნობილი კორეელი ქალი ცოი სინ ხი, ჩინელი ხუ გო-განი და იგორ მოისევევი, თანამედროვე ბალეტის ვარსკვლავი გალინა ულანოვა, მომღერლები — პოლონელი ევა ბონდროვსკა — ტურსკა და იტალიელი ტიტო სკიპა.

კონკურსები 29 ივლისს გაიხსნა. მონაწილეებს, ეიურის წევრებსა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს ვერც ერთი საკონცერტო დარბაზი ვერ დაიტევდა ერთდროულად. ამიტომ გახსნის ცერემონიალი პარალელურად მოსკოვის ორ საუკეთესო დარბაზში მიმდინარე-



ობდა. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაში შეკრებილი ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის სახელით ჟაკ დენი მიესალმა. მან უწინარეს ყოვლისა მადლობა მოახსენა უფროსი თაობის გამოჩენილ მოღვაწეებს, ზემის საპატიო სტუმრებს, რომლებიც სიძინელებს არ შეუშინდნენ, სიხარულით მიიღეს კომიტეტის წინადადება და მოსკოვის ჩამოვიდნენ ახალი ტრანკანტის აღმოსაჩენად.

— სამწუხაროდ, — განაგრძობ ჟაკ დენიმ, — მე არ შემიძლია კონკურსების ყველა მონაწილეს ლაურეატობა ვესურვო. ცხადია, გაიმარჯვებენ უკეთესები, მაგრამ მე მინდა ვისურვო, რომ მეგობრობის სულისკვეთება, ურთიერთგაცნობა და დაახლოება იყოს კონკურსების მთავარი გამგებელი.

კავშირების სახლის სექციებიდან დარბაზში შეკრებილი მიესალმა საერთაშორისო კომიტეტის წევრი ექტორ დელ კამპო სილვა. მან თქვა:

— ხალხურ ხელოვნებაში ყოველთვის საუკეთესოდ ვლინდება ხალხის სული, მისი შინაგანი სამყარო. დაე, ხელოვნება დავეცხმაროს ერთმანეთის უკეთ გაცნობასა და დაახლოებაში.

ამგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი კონკურსების ძირითადი მიზანი დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის გენერალურ მდივანსაც, დემოკრატიული ხელოვნების მსწავლელსაც ჩილის უნივერსიტეტთან არსებული ექსპერიმენტული თეატრიდან და ასევე გაიგო კონკურსის დანიშნულება მასში მონაწილე 50 ქვეყნის ყველა წარმომადგენელმა.

ხელოვნების ენა ის „საერთაშორისო ენაა, რომელიც ესმის ყველას და თვითუნუს ცალცალკე“ — ეს სიტყვები ვიოლინზე დამკვრელ ამერიკელ ქალს პრისცილა ჯონსონს ეკუთვნის და ათასჯერ მართალია იგი.

მრავალი ქვეყანა მოუვლია შოტლანდიელ პროფესორს ერთ ჩისხოლმს: ინგლისი, კანადა, ინდოეთი, მალაია, და სხვ. ყველგან არის ხალხის ცხოვრების ამსახველი მუსიკა და, მისი აზრით, იგი მრავალფეროვანია მხოლოდ ხალხთა ეროვნული და მხატვრული ტრადიციების შესაბამისად, ისე კი მუსიკა გულის ხმია, და არ არსებობს მასზე უკეთესი საშუალება ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა, თანგრძნობისა, და ამხანაგება-დამეგობრებისა. ასე მიანიჭა პროფესორს და მართალიცა — მეგობრობის, ურთიერთგაგნობისა და დაახლოების სულისკვეთება იყო კონკურსებზე მთავარი გამგებელი.

თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ კონკურსს გაივლიდა 1800 კაცი, მაგრამ მოსკოვის ფესტივალის მხატვრული კონკურსები ყველაზე დიდმაშტაბიანი აღმოჩნდა. ახალგაზრდობის სხვა, წინა კონკურსებთან შედარებით 4. 999-მდე ჰაბუკი და ქალიშვილი ეცილებოდა პირველობას ხელოვნების 21 სახეობაში, კლასიკური სიმ-

ღერითა და ბალეტით დაწყებული, ცენტრალური პანკლიმით დამთავრებული.

ათას ორასს გასცდა საკონკურსო გამოსვლათა რიცხვი. გამოსვლები საჯარო იყო და ყოველთვის აუარებელი ხალხი ესწრებოდა. თითქმის ერთნაირად დაძაბულად მიმდინარეობდა მოყვარულთა გუნდების კონკურსები 700 კაცის შემადგენლობით და კონკურსიც, რომელშიც სულ ოცამდე ვიტარაზე დამკვრელი თუ მონაწილეობდა.

„ეთური გონიერების შესრულების დროს ტანს ნუ დაუკრავთ“ — ასეთი თხოვნით მიმართავს დარბაზს პროგრამის წამყვანი კონკურსზე კლასიკურ ცეკვაში.

სამართლიანი მოთხოვნაა, რადგან ეთურის ხელი ეშლება მუშაობაში. მაგრამ ამა რას იზამ, თუკი ძნელია თავის შეკავება, როცა კორეული ბალერინა ან სონ-სის ნარნარი მიხრა-მოხრა გატყუავებს (სხვათა შორის ამ ბრწყინვალე მოციქულებს მარტო აქ როდი ხვდებიან აღფრთოვანებით. მას თანაბარი წარმატება ჰქონდა კონკურსებზე აღმოსავლეთის ხალხების კლასიკურ ცეკვასა და ხალხურ ცეკვაში და მერღვე სამი ოქროს მედალით დაიმშვენა კიდეც) ან როცა საბჭოთა არტისტის ესფანდიარ კაშანის სცენაზე ფრენის მოწმე ხარ.

ყველგან ასეთი თხოვნით მიმართავდნენ დამსწრეთ და მიინც ყველგან გრიალებდა ტანს. ზოგჯერ თვით ეთურის წევრებიც აწყვებოდნენ ხოლმე მათვლებებს. ამბობენ, რომ სკიპამაც შემოჰკრა ტანში უნგრელი იუზეფ რეტის, საბჭოთა მომღერლების ბელა რუდენკოს, თამარა მალიაშვილისა და სხვათა გამოსვლის შემდეგ, და კიდეც მაშინ, როცა ზურბა ანჯაფაროვიმ „ინდი-მინდი“ შეასრულა.

კლასიკური სიმღერის კონკურსში მონაწილე ორივე ახალგაზრდა ქართველმა არტისტმა ზურბა ანჯაფაროვიმ და ნოდარ ანდლულაძემ ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

კონკურსის პირველივე დღეების შედეგის მიხედვით ტიტო სკიპას შექმნა აზრი, რომ მონაწილეთა უმრავლესობა მდიდარი ვოკალური მონაცემების პატრონია. იგი განსაკუთრებით ბანებითა და კონტრალტოებით იყო კმაყოფილი.

რალა თქმა უნდა, ძნელია დაიმსახურო მთელს მსოფლიოში სახელმწიფოში მომღერლის მოწონება. ვინმეს ხმამ კიდეც რომ აღაფრთოვანოს იგი, შესრულების ოსტატობით მაინც ასე იოლად ვერავენ გააკვირვებს.

კონკურსები გრძელდება. მსოფლიოს ახალგაზრდობა მღერის და ცეკვავს. შევიხედოთ საკონკერტო დარბაზებში: ბევრს საინტერესოს ნახავს თვალი და მოისმენს ყური.

ჩაიკოვსკის დარბაზში, როგორც იტყვიან, მხოლოდ ცხვირს თუ შეუფხვს კაცი. ცერებზე

საქართველო
1933

შედგეთ და ისე მიინც ვეუუროთ ცნობილ ეგვიპტელ მოცეკვავეს და კინოსახიობის ნაი-მი აკეფს, რომელიც მონა ქალის ცეკვას ასრუ-ლებს. რა მოხდენილად ცეკვავს და რა მოხდენი-ლია თვითონაც — უთოოდ ოქროს მედალს მიიღებს, მაგრამ რა ვქნათ, რომ არ გვაყენე-ბენ — კინოთეატორებს ვუშლით ხელს. კე-თილი, ჩვენ წავალთ, ოღონდ კი ვკრანზე ვადაი-

რა სჯობია პოპულარული სიმღერების, მღერ-მენას! არც 12 ეროვნებისაგან შემდგარი 400 კაციანი ჩინური ანსამბლის მოსმენა გვაყუენდა, მაგრამ უნივერსიტეტს უნდა მივაშუროთ — იქ ხომ საესტრადო ორკესტრების კონკურსია, რომელშიაც მონაწილეობს საეგვიპტო ფესტივალის ლაურეატი (ოქროს მედალი) კიროვის სახელო-ბის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუ-



ტანეთ ამ ქალისა და მისი ცეკვის სილამაზე. ახლა კინოს სახლს ვეწვიოთ. აქ მიდის კონ-კურსი პოპულარული სიმღერისა. სულ ცოტა ხნით აღრე რომ მოესულყავით, საბჭოთა შემ-სრულებლებს ვიტალია კომპიოვასა და ვლადი-მერ მატუსოვს მიუესწრებდით. ამბობენ, გან-საკუთრებით კარგად გამოსვლიათ რუსული ხალხური სახუმარო „სიდედარს ჰყავდა შვიდი სიძე“. ხოლო ახლა რომ მღერის, ჟაე დანდიკაი-ნია, ოღონდ ერეგენელი არ გვეგონოთ, პარიზელი სომეხია. სწორედ ამიტომ ასრულებს ასე სევ-დიანად საფრანგეთში მცხოვრებ სომეხთა სიმ-ღერას. ჟაკი ოცდაშვიდი წლისაა, ხელობით თერძი. იგი ბუქარესტის ფესტივალის დელეგა-ტიც იყო. ვიტარაზე დამღერება ბავშვობიდან ჰყვარებოდა. თუმცა მან საყვარელ ქალიშვილსაც განცდით უმღერა, მაგრამ ლაურეატობა ვერ მიიღო. ჟან პიერ ებარას — კომპოზიტორს, პო-ეტსა და მომღერალს უჯობნია მისთვის და ვერ-ცხლის მედალი დაუმსახურებია. რას იზამ — მჯობნის მჯობნი არ დაიღვევს ოქროს მედლით კი პოპულარულ სიმღერაში მხოლოდ საბჭოთა ვოკალური ანსამბლის „მეგობრობის“, ქალთა კვარტეტის (ესეც საბჭოთა კავშირი) და ფიწველი სირენ მინის გამოხელები აღინიშნა.

ტის საესტრადო ორკესტრი სოსო ტულუშის ხელმძღვანელობით. გზადაგზა ამ კონკურსის ქიურის მოღვაწეობის ზოგიერთი „წერილმანი“ მოვეყეთ. საესტრადო ორკესტრებისა და პოპულარული სიმღერების კონკურსის ერთი იური ჰყავდა. მას თავმჯდო-მარეობდა რუსეთის ხელოვნების დამსახურე-ბული მოღვაწე ლეონიდ უტიისოვი. ფრანგი კომპოზიტორი ფრანსის ლემაკი თავმჯდომა-რის მოადგილე იყო. ქიურში შედიოდნენ საეს-ტრადო სიმღერების პოპულარული შემსრულებ-ლები იტალიელი არმანდო რომეო, ინგლისელი სტიუარტი, ჩეხი იუხელკა და სხვები. სიმკაცრითა და მომთხვენელობით არც ერთი ქიური არ ჩამოუვარდებოდა ერთმანეთს, მაგ-რამ ამთანირი — ტყუილია! თუ პოპულარულ სიმღერაში სამი ოქროს მედალი მიინც გაიმეტეს, 17 საესტრადო ორკესტრში არც ერთი არ მიინ-ნიეს ოქროს მედლის ღირსად, ისეთი პიროფესი-ონალური ანსამბლები კი, როგორიც იყო ისლან-დის ჯაზ-კვინტეტი. საქსაფონზე საუკეთესო დამკვრელის გუნარა ორმსლევისა და საუკეთეს-სო მომღერლის ხაუკურ მორტენსის ხელმძღ-ვანელობით, ან „რუმან ნიუ-ორლეან ჯაზ-ბან-დი“ პეპინო ღინტინის ხელმძღვანელობით



(ფესტივალზე ჯაზს რატომაც კონდაბანდის-ტი კარლო ლოფრელო უძღვებოდა, პეინოს ალბო წლოვანებამ შეუშალა ხელი).

თუმცა-ღა იმასაც ამბობენ, ამ კოლექტივებს თავიდანვე ოქროს მედალი სწორედ იმიტომ არ მისცეს, რომ პროფესიონალებისაგან შედგებოდა (ამ რვა წლის წინათ, როცა პეინოს ღინტინო რომის უნივერსიტეტში მედიცინას სწავლობდა, შეიძლება „ნიუ-ორლეანი“ მოყვარულთა კოლექტივად ჩაეთვალოთ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ორკესტრის ხელმძღვანელმა ანატომიის სახელმძღვანელო კარადის ქვედა თაროზე შემოიღო და თავის კოლექტივთან ერთად მთლიანად ჯაზს გადაჰყვა, ქუერის უკვე პროფესიონალებთან ჰქონდა საქმე. რარივ შეატრიალებს ცაცის ბედს ტლანტი და მუსიკის სიყვარული! ახლა სახელგანთქმული ფრანსის ლემარკიც ხომ ოდესღაც მალაზიაში შემფუთავად მუშაობდა).

ასე იყო თუ ისე, ქუერის პირველი გადაწყვეტილების შესახებ ფრანსის ლემარკმა ყურნა-სიტების აცნობა:

„თვითმოქმედი საესტრადო ორკესტრებისა და ჯაზების საერთაშორისო კონკურსი, როგორც ცნობილია, პირველად ტარდება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა ახალგაზრდულმა კოლექტივმა გამოამყვანა პროფესიული ოსტატობა და მაღალი მხატვრული გემოვნება, ქუერი ერთსულონად გადაწყვიტა ოქროს მედალი არ მიენიჭებინა კონკურსის არც ერთი მონაწილისათვის. ასე მოვიქციეთ შემდეგი მიზეზით: ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ახალგაზრდული თვითმოქმედი კოლექტივისათვის ოქროს მედალის მიღება ისეთივე დიდი გამარჯვებაა, როგორც მთავარზე გაფრენა. ეს ნურავის უცნაურად ნუ მოეჩვენება. მართლაცა, მთავარზე გაფრენა ხომ სულაც არ არის მიუწვდომელი, იგი უახლოესი მომავლის საქმეა. და დარწმუნებულ ვართ, რომ მომავალში, შემდეგ ფესტივალზე, ოქროს მედალი აუცილებლად მიენიჭება ვინმეს.

ჩვენ შევეცადეთ, სხვადასხვა მხატვრული მიზნითუღრის წარმომადგენელთაგან უკეთესი ამოგვეჩია. კონკურსში მონაწილე 17 ანსამბლადან 10-მა მიიღო ვერტებსისა და ბრინჯაოს მედალი: ჩეხოსლოვაკიის ჯაზ-ორკესტრის კლოცის ხელმძღვანელობით, ესტონეთის რადიოს ჯაზ-ორკესტრს რიაბაგის ხელმძღვანელობით, სტუდენტურ საესტრადო ანსამბლს კოსმის ხელმძღვანელობით (რუმინეთი), საბჭოთა კავშირის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლის საესტრადო ორკესტრის საულსკის ხელმძღვანელობით და ანსამბლს „კომედი“ (პოლონეთი) მიენიჭა ვერტებსის მედალი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრმა ბრინჯაოს მედალი მიიღო.

— ჩვენ იმედი გვაქვს, — თქვა დასასრულს

ფრანსის ლემარკმა, — რომ კონკურსის მხატვრების ეს პირველი ცდა ზოგი იქნებამოხერხდა მედი საჯაზო ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის და მომავალ ფესტივალზე კიდევ უფრო უკეთეს კოლექტივებს შევხვდებით“.

ხელოვნების არც ერთი ჟანრის კონკურსზე არ განუცხადებიათ უარს ოქროს მედალის გაცემაზე და რა ვასაკვირია, რომ უფროსების მებრე დღეს ახალი ინტერვიუს მიღება მოუხდათ იმავე ფრანსის ლემარკისაგან, რადგან ქუერში შეცვალა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება:

ოქროს მედალი ოთხმა ორკესტრმა მიიღო: იტალიურმა, ჩეხურმა, ისლანდიურმა და რუმინულმა.

ვერცხლის მედალი მიანიჭეს ესტონეთის ჯაზ-ორკესტრს, სექსტეტს „კომედი“ (პოლონეთი) და ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლის საესტრადო ორკესტრს (სსრკ).

ბრინჯაოს — ბელგიის ჯაზ-ანსამბლს, უნგრულ აკორდონისტებს.

ბრინჯაოს მედალი დამისახურეს აგრეთვე თბილისელებმა. ამაში ცოტა ღვაწლი როდი მიუძღვის ჩვენს კვარტეტს. ქუერის მოეწონა იგი.

თუმცა ჯიღლო მესამე ხარისხისაა, მაგრამ საქართველოს კოლექტივისათვის (ჩვენში ხომ ჯაზს მდიდარი ტრადიცია არა აქვს) გამარჯვება ნამდვილად პირველხარისხოვანი იყო, მით უფრო თუ მხედველობაში მივიღებთ, ვინ იყვნენ კონკურსნები.

საქსაფონი, საყვირი, ტრომბონი, კონტრაბასი და ბარაბანები შეადგენდნენ ისლანდიურ კვინტეტს და შემსრულებლები ყველანი ერთნაირად ძლიერნი არიან. ზოგიერთი ნომერი რომ იალის თანხლებით სრულდებოდა და მასში ტრომბონი ეთიშებოდა, რადგან რომალები ტრომბონისტი უკრავს, უკრავს ჩინებულად, თუმცა ფეხზე დგას. ხალკურ მორტენსი საოცრად იცოლის ხმას. რამდენიმე ნომერს სახასიათო, ეტრო-ალა ხმით ასრულებს, პროგრამის ბოლოს კი ხმას წმენდს და ბუნებრივ, თავისუფალ ქლერადობას აძლევს. გარეგნობით მორტენსი ოდნავ ჩასუქებული, ღლიანი მამაკეთა, მაგრამ ამის მიუხედავად სცენაზე იგი ერთობ ენერგიული და მოუსვენარი. თუმცა ისლანდიის რადიოს მისი სხეულის თითქმის ყოველი ნაკვთი მოძრაობს, მიხრა-მოხრა, ეყვით და მიმევა დახვეწილი აქვს. მორტენსი, როგორც შემსრულებლის, კიდევ ერთი დიდი ღირსება ის არის, რომ იგი ერთი წუთითაც არ აღუნებს მსმენელთან აქტიურ დამოკიდებულებას, ცოცხალსა და ამასთანავე შინაგან კონტაქტს, რომელსაც გამოჩენისთანავე აწყარებს; ამ ურთიერთობაში დღასავლეთის უხერხი ჯაზებისა და შემსრულებლებისათვის დამახასიათებელი გულისამრევი ფაზი-ლარობის ნატამალიც კი არ არის.



რაც შეეხება „ნიუ-ორლანს“, იგი კარგა ხანია პოპულარულია იტალიის ფარგლებს გარეთაც. მისი რეპერტუარი უმთავრესად ბლიუზებისაგან შედგება და ორკესტრი მართლაც საუკეთესო შემსრულებელია ბლიუზებისა.

საბჭოთა მაყურებლისათვის ერთგვარ ინტერესს წარმოადგენდა აგრეთვე პოლონელი სექსტეტი „კომედი“, რომელსაც მეორე პრემია და ვერცხლის მედალი მიანიჭეს. სხვა ორკესტრებთან ერთად სექსტეტი გამოვიდა კონკურს-გარეშე კონცერტზე კინოს სახლში. პოლონელების პროგრამამ ჯერ კიდევ დარბაზში გამოიწვია მითქმა-მოთქმა, ანტრაქტის დროს კი ყველგან: დარბაზში, ფოიეში, დერეფნებშიც ცხარე კამათი გაიმართა სექსტეტის შეფასების ცხარე დღე (ეს იყო 5 ავეისტოს და მაშინ ჯერ კიდევ არაღნი იყოფა კონკურსის შედეგები, ყოველ შემთხვევაში, „კომედი“ ვერცხლის მედალით დაჯილდოვდა არ იყო ცნობილი).

ფარდის გახსნამდე პროგრამის წამყვანმა დამსწრეთ აუწყა, რომ სექსტეტი მოდერნისტული მიმართულებისაა: ჟურნალისტს, რომელსაც მუსიკათმცოდნეობა მეორე სპეციალობად არ გაუხდია, მაგრამ მუსიკალური კულტურის საფუძვლები იცის, მოეჩვენებოდა, რომ პოლონელი შემსრულებლები ტერმინით „მოდერნ“ უფრო აზიან გატაცებული, ვიდრე მოდერნისტული მუსიკით. ის გარემოება, რომ სექსტეტის მონაწილენი კონცერტის დროს, სხვებისაგან განსხვავებით, სცენის მხოლოდ წინა მარჯვენა კუთხეს იკავებდნენ და არა შუაგულს, ან კიდევ ის, რომ „კომედი“ ძაძუში შემოსილი ანსამბლია (ყველას აცეცა შავი პრილა სატი-ნის მაგვარი ქსოვილისაგან შეკერილი ტანისამოსი, ინსტრუმენტებიც შავად შეღებილი აქვთ), და ზოგიერთი სხვა ამგვარი ახირება, ბოლოს და ბოლოს სრულიადაც არ გამოდგება ანსამბლის შემოქმედებითი არსის გარკვევისათვის.

მართალია, შესრულებს „კომედისტები“ მანერა, სტილი, რომელშიაც მოქანცულობა და, თუ გნებავთ, მოწყენილობაც გაიმსჭვივებს, უტყობ არ არის მოდერნიზმისათვის, მაგრამ მასში ხომ მთავარი მაინც მუსიკალური ნაწარმოების ფორმის ინდივიდუალისტურ-ექსპერიმენტული დასწარმოება და მელოდიის უარყოფა, სექსტეტის რეპერტუარი კი ძირითადად როდი იყო მოკლებული მელოდიურ გამოსახველობას.

ანსამბლის მიერ გამოწვეული ცხოველი დავაწყოლობრივ მეორე დღეს გადაწყდა, როცა ცნობილი გახდა მისი დაჯილდოების ამბავი.

რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის საესტრადო ორკესტრები, საცეკვაო მელოდიების იუგოსლავური აკადემიური ორკესტრი, შვედური ჯაზი „სიმინდის ფონები“, გერმანული ჯაზ-ანსამბლი...

ერთის სიტყვით, ძლიერი კონკურენტები ჰყავდათ პოლტექნიკური ინსტიტუტის ინტელექტუალებს...

პირველი „ჩვენი ეზო“

ახალშეუღლებულებმა მეგობრების დახმარებით ერთ დამეში მოაფორმეს სახლი ქალაქის განაბირას. ვადახურვადა აცლია; სახურავზე, პერსეა ეხლა ყველაფერი დამოკიდებული, — თუ ესეც მოასწრეს, შემდეგ პოლიცია და ადგილობრივი ხელისუფალნი იოლად ვეღარ დაანგრევენ დათავებულ ნაგებობას, ვიდრე ვაირკვევა როდის აშენდა, ვისი თანხმობით და ა. შ. რაღაც იქნება, ღმერთი მთლად არ გასწირავს შევცვარებულებს.

როცა გარიყრაჟე პოლიციელები გამოჩნდნენ და პერი ჯერ მთავებული არ იყო, საცოდაობის მილოდინში ფილოს გმირებთან ერთად მაყურებელსაც ცვენსა აღმოხდა.

მაშინვე მომაგონდა მილანელი მასწავლებლის ჯუდეტ ბოტანის სიტყვები, რომლებიც არ მახსოვს რომელი ვახუთიდან ამოვიწერე იმ ხანებში: დღევანდელი იტალიელი ქალიშვილების დიდი უმეტესობისათვის უმძიმესი პრობლემაა ბინის შოვნა, რათა გათხოვდეს და ოჯახს მოეკიდოს.

სწორედ ამ პრობლემას მიუძღვნა თავისი ფილმი გამოჩინელმა იტალიელმა რეჟისორმა და მსახიობმა ვიტორიო დე სიკამ. სიუჟეტი მარტო ყოფიის ამბავზე იშლება, მაგრამ მძაფრად, წარმტაცად ვითარდება. ამას ხელს უწყობს აქტიურული შესრულების მაღალი დონე. თუმცა „პური“, როგორც ამას მეორე გამოჩინილი რეჟისორი პიეტრო ნენი აღნიშნავდა, მაინცა და მაინც დიდი აღფრთოვანებით არ მიუღია იტალიის საზოგადოებრიობას, იგი მაინც ერთ-ერთი საუკეთესო იყო კინოფესტივალის შორის სავრთაშორისო კინოფესტივალის მთავარი თავისებურება ის ვახლდათ, რომ საკონკურსოდ მეტწილად მხატვრული ფილმები იყო წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით იგი მხატვრული ფილმების ყველაზე დიდი ფესტივალი აღმოჩნდა მსოფლიოში.

1953 წლის ბუქარესტისა და 1955 წლის ვარშავის კინოფესტივალებისათვის დახმარებათებული იყო ძირითადად დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და მულტიპლიკაციური სურათების კონკურსი.

მოსკოვში ცალკე ჩატარდა აგრეთვე კინემატოგრაფიის ინსტიტუტების სტუდენტთა და კინოშეყვარულთა ნაშუაგვრების კონკურსი.

დედაქალაქის ცკრანებზე ნაჩვენებია იქნა 30-ზე მეტი ქვეყნის 150 მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული და მულტიპლიკაციური ფილმი.

კინოფესტივალი 30 ივლისს გაიხსნა კინო-

თეატრ „უღარნიკში“, სადაც შეიკრიბნენ სხვადასხვა ქვეყნის კინოხელოვნების გამოჩენილი ოსტატები. აქ იყვნენ ფიურის წევრები ავსტრიელი რეჟისორი კოლმ ველტე, პოლონეთის ხელოვნების ინსტიტუტის პრორექტორი ევი ტეპლიცი, უნგრელი მსახიობი ქალი ტერეზა

წარმოდგენილ ნამუშევრებს აფასებდნენ უმჯობესი კრიტიკოსი პოგოფევა და სხვები. იუსტიციალზე ჩამოსვლა ვერ მოახერხა ჩეხარე ძავეტინიმ, მის მავიერ ფიურის შემადგენლობაში რაჯ კაპური შეიყვანეს.

როცა რაჯ კაპურმა „უღარნიკის“ ფიიეში



ზორვატი, ბელგიელი კინომოპერატორი ქურანი, იაპონელი უსინარა, ეგვიპტელი პუსეინ ფავზი, რეჟისორები ბრაიან დესმონდ ხერსტი (ინგლისი) და ვიქტორ მერენდა (საფრანგეთი), ფიურის თავმჯდომარე ჩეხი პროფესორი ბროუსილი. საბჭოთა კინომოლეაწეთავან კონკურსზე

ქართველ მსახიობ ქალს მარინე ახლედთან მოჰკრა თვალი — შეჩერდა, დააკვირდა და მერე შესძახა: ო, ტბილისო, მარინეს ხელი მაგრად ჩამოართვა და მამამისს პრიტ რაჯს წარუდგინა. გახსნაზე სხვებთან ერთად რაჯ კაპურიც გამოვიდა და ღამსწრეთ რუსულ ენაზე მიმართა:



ჭირფასო მეგობრებო და ამხანაგებო! ბოდიშს ვინდა, რომ კარგად დაიწყებ და იძულებული ვიქნები მშობლიურ ენაზე გადავიდე, რადგან, თუმცა მოსკოვის წშირი სტუმარი ვარ, ამდენი რუსული დღარ ვიცი. რაც შეეხება ისეთ სიტყვებს, როგორცაა „მშვიდობა“, „მეგობარი“ და „ამხანაგი“, ესენი მსოფლიოში ყველამ უნდა იცოდესო.

შემდეგ განავრძო:

— მსოფლიო თანდათან იცვრება, ხალხები უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს და ამაში საეგლისსმო დამსახურება აქვს კინოს. ფილმები უდიდესი ელჩებია, რომლებიც აღწევენ მსოფლიოს ყოველ კუთხეს. განვამტკიცოთ მშვიდობა და მეგობრობა!

საფესტივალო ფილმების ჩვენება დაიწყო 31 ივლისს დღის 9 საათიდან და მიმდინარეობდა მოსკოვის საუკეთესო კინოთეატრებში 11 დღის განმავლობაში. დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და მულტიმედია კატეგორიის ფილმების განსჯევა კინოს სახლში ხდებოდა.

დასაწყისი საიმედო აღმოჩნდა და საქმე ბოლომდე გამოაჩინა. უკვე პირველ სამ დღეს ნაჩვენები იქნა ისეთი მაღალმატერული სურათები, როგორცაა ცნობილი იტალიელი რეჟისორის ძამპასი მოწაფის მაური ბოლონინის ნამუშევარი „შეყვარებულნი“, ფრანგი რეჟისორის მარსელ კამიუს ფილმი „მუხანათური სიკვდილი“, რომლის დემონატრაციის დროსაც მასურებელი და ძიური გულთადად მიესალმა მთავარი როლის შემსრულებელს ანა მემარს (იგი დარბაზში იმყოფებოდა) და „ქართა ვარდი“. ეს უკანასკნელი ფილმი ხუთი ნოველისაგან შედგება და გადაღებულია 5 სხვადასხვა ქვეყნის კინორეჟისორების: ბრაზილიელი კავალკანტის, ფრანგი ბელონის, იტალიელი პონტეკორვოს, ჩინელი იუ კუო-ინის და საბჭოთა რეჟისორის გერასიმოვის მიერ. მონტაჟი ეკუთვნის ცნობილ ჰოლანდიელ რეჟისორს იორის ივენსს, რომელიც თვითონ ესწრებოდა მოსკოვში ფილმის პრემიერას. „ქართა ვარდი“ ივენსის ბოლო ნამუშევარია. ადრე კი, მოგვსენებთ, პოპულარულ ფრანგ კინოსახითბო ეყვარ ფილმთან ერთად მან შექმნა სურათი ლეგენდარული გმირზე ულენშვიელზე. იორის ივენსის აზრით, „ახალგაზრდობის მსოფლიო დღესასწაულზე კონკურსის მოწყობა ბრწყინვალე დედაა, რადგან კინოხელოვნების მომავალი ახალგაზრდობის ხელთაა“. მე დარწმუნებული ვარ, განუცხადებ ურნალისტებს ივენსმა, ფესტივალი ნიჭიერი რეჟისორების უცნობ სახელებს გამოავლენსო.

რაღა თქმა უნდა, არც ივენსისათვის და არც ძიურის წევრების უმეტესობისათვის აღმოჩნდა არ იყო ქართული რეჟისორი რუსო ჩხეიძე. ამ ახალგაზრდა კაცმა თენგიზ აბულაძესთან ერთად გადაღებულ „მადანას ლურჯათი“ უკვე მოასწრო თავი გაეცნო საზღვარგარეთის კინო-

მუშაყებისათვისაც. ახალი დიდი წარმატებულნი ხდება წილად მის მეთაურ ნაწარმოებს, რომლებიც სხვა ხუთ საბჭოთა მხატვრულ ფილმთან ერთად მონაწილეობდა კონკურსში.

ჯერ კიდევ თბილისში „ჩენი ეზოს“ პირველმა მასურებელმა აღნიშნა ფილმის ღირსებები, მაგრამ ამ საყვედური გამოითქვა სცენარისტისა და მონტაჟის მიმართ. შენიშვნები ნაწილობრივ სამართლიანი იყო და დამდგმელმა რეჟისორმა ისინი გაითვალისწინა ფილმის რუსული ვარიანტის შექმნის პროცესში: შეკვეცა ზოგიერთი გაქიანურებული ადგილი, მთლიანად იქნა ამოღებული დათოს გამოშვონებლობის ეპიზოდი, რომელსაც ცოტა არ იყოს სიყალბის დღი აჩნდა და ა. შ. ასე რომ მოსკოვებამ და უცხოელმა მასურებელმაც ნახეს კარგად შეკრული, საუკეთესო ეპიზოდებით აღსავსე ფილმი ახალგაზრდობაზე, მისი სასიათის ჩამოყალიბებაზე, სიყვარულზე. კრიტიკოსების აზრით ერთი ეზოს ცხოვრება ისეთი უშუალობითა მოთხრობილი ფილმში, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს კინოაპარატი დამოუკიდებლად, „პროფესიონალთა“ ჩაურევლად უთვალთვალდება ამ ეზოს და ისე აღბეჭდავდა კინოფირზე მის მკვიდრთა ავ-კარგს. ეზოს მკვიდრნი კი ნიჭიერი ხალხი გამოდგა, იმდენად ნიჭიერი, რომ მათი აღმოჩენისა და გამოვლენისათვის ახალგაზრდა „სახლმმართველს“ რეჟო ჩხეიძეს მეტრზე ოქროს მედალი დაჰკიდეს.

„შეიდაცა“ და „ჩენი ეზო“ ფესტივალზე ყველაზე დიდი გამარჯვება იყო ქართული ხელოვნებისია.

ჩვენმა ეზომ“ ოქროს მედალი მიიღო ახალგაზრდა კინომატორგრაფისტების მიერ შექმნილი ფილმების ჯგუფით. ამ ჯგუფში უმაღლესი ჯილდო დამისახურა აგრეთვე პოლონურმა „არხმამ“, ჩეხოსლოვაკიურმა „დაპარვულბმამ“ და ფრანგულმა „მუხანათურმა სიკვდილმა“; ევრცხლის მედალი მიიღეს ფილმებმა „პავლე კორჩაგინი“ (საბჭოთა კავშირი), „კალათბურთელი 5“ (ჩინეთი), „უძლიერნი“ (ჩეხოსლოვაკია), „გზასაცდენილი“ (იტალია) და „შემთხვევა ბენგრატიში“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა); ხოლო ბრანჯაისი — „ლისი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), „გაზაფხული ზარენიანის ქუჩაზე“ (საბჭოთა კავშირი) და „მეკაბიანის ქალიშვილი“ (საბერძნეთი).

მხატვრულ ფილმებში ოქროს მედალი აღინიშნა აგრეთვე კინოხელოვნების გამოჩენილი ოსტატების ნამუშევრები, რომლებიც ახალგაზრდობის ცხოვრებას ასახავენ. ესენია: „წყვედიანი დღისით“ (იაპონია), „ქერი“ (იტალია) „ქარუსელი“ (უნგრეთი) და „სიმაღლე“ (საბჭოთა კავშირი).

ამგვარად ფესტივალზე წარმოდგინდა 53



მხატვრული ფილმიდან ოქროს მედალი მხოლოდ რეამ მიიღო.

და ამ სტრუქტურების ავტორი, რაკი მას შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა „ჩვენს ეზოზე“ ეიურის წევრების ავტორიტეტულ აზრს — დაწერილსაც, დასტამბულსაც და პირად საუბარში გამოთქმულსაც, ფიქრობს, რომ მხატვრული ფილმების ორ ჯგუფად დაყოფისას ეიური უფრო ფორმალური მოტივებით ხელმძღვანელობდა — მიზნად ისახავდა ახალგაზრდობის ფესტივალზე ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების ნამუშევრების გამოცალკევებას, მათი ღირსებების ხაზგასმას და არ უცდია ამ დაყოფით შელაკაობები დაედგინა ახალგაზრდა შემოქმედება ნაწარმოებებისათვის.

ასე რომ არ ყოფილა იყო, განა გერმანული ფილმი „ლისი“ და საბჭოთა „გაზაფხული ზარჩინაის ქუჩაზე“ ბრინჯაოს მედალზე მეტ ჯილდოს არ იმსახურებდნენ? ან კიდევ რა განსაკუთრებულ შედეგათებს სპეცირებენ ფილმები „პაპლე კორჩაგინი“, იტალიური „გზასადენილინი“ თუ მარსელ კამიუს „მუხანათური სიკვდილი“, თუმცადა მათი შემქმნელი მართლაც ახალგაზრდები არიან?

კონკურსზე გატანილი კინოსურათების რეპერტუარისათვის ასე წუთიერი თვალის გადავლება იძლევა წარმოდგენას, თუ რაოდენ მრავალფეროვანი და ძლიერი იყო იგი.

აი ამ რეპერტუარის ცენტრში მოხვდა „ჩვენი ეზო“. ქართულმა ფილმმა არა ერთი გამოჩენილი კინომოღვაწის აღდგომიანი შეფასება დაიმსახურა.

იაპონელი კინომუშაეების ფედერაციის ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი და რეჟისორი კიოხიტო უსიხარა 1920 წლიდან ემსახურება კინოხელოვნებას. იგი 150-მდე მალაზმხატვრული, პუბლიცისტური ფილმის ავტორია და თავს დიდებულქნობი ჩარლი ჩაბლინის მოწაფედ მიიჩნევს. დამთავრდა თუ არა ზეიმი მოსკოვში, უსიხარა საქართველოს ეწვია და კინოფესტივალზე მიღებული შთაბეჭდილებები ქართველ ჟურნალისტებს გაუზიარა:

„მე, როგორც კინორეჟისორს, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო მიიტერესებდა კინოსურათები, რომლებიც ფესტივალზე მრავალდ იყო წარმოდგენილი. მინდა განსაკუთრებით აღნიშნო ახალგაზრდა რეჟისორების მიერ შექმნილი ფილმების საერთო მაღალი დონე. ეს კი ჩემს გულს ახარებდა, ესე იგი მშვიდდ შევიძლია შეპყურებდე კინემატოგრაფიის მომავალს, — ახალგაზრდობას წინ მიპყავს კინემატოგრაფია.“

„ფესტივალზე დემონსტრირებულ კინოსურათებს შორის ყველაზე მეტად მომეწონა საქართველოს კინოსტუდიის ფილმი „ჩვენი ეზო“, რომელიც ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორის რეამ ჩხეიძისა და დიდად სამედიდ ახალგაზრდა მსახიობების კოლექტივის მიერაა შექმნილი.“

შემსრულებელთაგან უპირველესად ფესტივალში ვი არიან გიორგი შენგელია და სოფია ტრაქტატიანი.

„ჩემის აზრით, ამ ფილმის ძალა და სიმშვენიერე ცხოვრებასთან, ყოველდღიურ ყოფასთან მისი მქობორ კავშირია. ჩვენ ვხედავთ როგორ სწავლობენ ბავშვები, კამათობენ, იზრდებიან, ვაჟკაცდებიან და ცხოვრების ფართო გზას ადგებიან: და ყოველივე ეს ნაჩვენებია დამაჯერებლად, ყოველგვარი დამატულობის გარეშე, დამატყვევებელი სისადავით.“

„მინდა აღნიშნო, რეჟისორის კარგი გემოვნება. მან შეძლო შეექმნა საინტერესო, ამაღლებული ფილმი. სურათი თავისი გამომხატველობითი საშუალებებით იმდენად დამაჯერებელია და მხატვრულად მართალი, რომ მე შემიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს უცხო ენაზე ამტყვევებულ უცხო ფილმს კი არ ვუყურებდი, არამედ მშობლიურს. ეს ძლიერ კარგი ნიშანია, რაც უდავოდ დამდგმელის სასარგებლოდ მტყვევებს.“

მაშ ასე: კინოფესტივალზე კიოხიტო უსიხარას ყველაზე მეტად „ჩვენი ეზო“ მოეწონა ვინმეს გულში ხომ არ გაკენწლა, ხომ არ ფიქრობს ვინმე, რომ ყოველივე ეს უბრალოდ სტუმრის ქათინაურია მასპინძლის მიმართი?.

არა! გამოჩენილმა იაპონელმა რეჟისორმა საქართველოში გაიმეორა ის, რაც არაერთხელ აღნიშნავდა საქართველოში ჩამოსვლამდე მოსკოვში, უფრის სხლომზე. პირად საუბარში თუ გაზეთში; გაზეთ „ფესტივალის“ ფურცლებზე, მაგალითად, იგი წერდა: „ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინა ოქროს მედალით დაჯილდოებულმა საბჭოთა ფილმმა „ჩვენი ეზო“, რომელიც სადაც ახალგაზრდა ქართველმა რეჟისორმა რეო ჩხეიძემ“.

...კინოთეატრ „უღარანიკის“ დარბაზი კვლავ ხალხითაა სავსე. ეიურის წევრები და მოწვეული სტუმრები — საბჭოთა და უცხოელი კინომუშაეები მზურვალდ ულოცავენ გამარჯვებას კინოკონკურსის საუკეთესო ფილმების ავტორებს. სცენიდან ოქროს მედალისა და პირველი ხარისხის დიპლომის ჩამოტანაში რეო ჩხეიძეს ლეილა აბაშიძე და საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ვლადიმერ ჭიაურელი შეეშველნენ. სწორია! ამ ჯილდოს მძიმე წონა აქვს და დარბაზიდან ფოიეში მისი გატანისას რეო ჩხეიძეს ახლა რამდენიმე ქართველი დელეგატი უშველიან. სახეგანათებლები და მხიარულები გასასვლელს ეუბახლებდებიან.

— უკაცრავად, გთხოვთ ერთი წუთით შეიცადოთ, — გვეძახის ვილაკ. ჩვენც შევიცადეთ. — მე ბატონ უსიხარას თარჯიმანი ვახსოვარო. იაპონელ რეჟისორს სურს პირადად გაეცნოს „ჩვენი ეზოს“ ავტორს და მიულოცოს მას ესოდენი წარმატება. პრეზიდენტი უკვე სტოვებს

სენსა. უსიხარა მალე გაიხლებთ. მე გთხოვ-
დით შევესრულებინათ მისი სურვილი, რა
თქმა უნდა, თუ საძნელო არაა.

უკ, რამდენ ბოღიშს იხდის ეს კაცი. გადაჭარ-
ბებულად მეჩვენა მისი ტაქტი. რეზოც დიცი-
დის და ჩვენც ყველანი.

უსიხარა ღიმილით გვიახლოვდება. მცოვანი
რეჟისორი მაგრად ართმევს ხელს ახალგაზრდა
ქართველ რეჟისორს (რეზოს ახლა ჩვენგან ად-
ვილად გამოარჩევს კაცი — მან უკვე მოასწრო
ოქროს მედლის მკერდზე დამაგრება), შემდეგ
მიმართავს თარჯიმანს, თარჯიმანი — ჩვენ:

— ბატონი უსიხარა ამბობს, რომ თქვენში
მან პპოვა ბრწყინვალე ტალანტი, იგი დიდად
მოხარულია თქვენი გაცნობისა. იგი აღფრთო-
ვანებულია თქვენიო.

უსიხარა თავს დაბლა ხრის. რეზო ჩხეიძე და
მასთან ერთად ყოველი ჩვენთაგანი დიდად
ააღელვა გამოჩენილი რეჟისორის ასეთმა გულ-
თბილობამ და ფრიალ მაღალმა შეფასებამ ჩვე-
ნი თანამემამულის ტალანტისა.

ჩხეიძეს თვალები უბრწყინავს, იღიმება და
თავისთვის დუღუნებს:

— დიდად გმადლობთ, უღრმესად გმად-
ლობით! შევეცდები კვლავ ვავამართლო...

თარჯიმანს აზრი ვერ გამოუტანია, არ ესმის,
რას ამბობს ქართველი რეჟისორი. ამეორები-
ნებს, შემდეგ თარჯიმნის. უსიხარა იღიმება,
კვლავ ხელს ართმევს ოქროს მედლის კავა-
ლერს. თარჯიმანი ახლა ჩვენ გვესაუბრება:

— მას შემდეგ, რაც ბატონმა უსიხარამ „ჩვე-
ნი ეზო“, ე. ო. „თქვენი ეზო“ ნახა, ხშირად გა-
მოთქვამდა თავის უდიდეს კმაყოფილებას. მე
მოწმე გახლავართ მისი გულწრფელი აღტაცე-
ბისა. ჩემდა თავად მეც მოხარული ვარ პირა-
დად მოგილოცოთ ქართველ დელეგატებს ქარ-
თული ფილმის წარმატება.

კმაყოფილება და სიხარული ჩვენი უნდა ვე-
ციოხთა. დიდი ხნის ნაცნობებივით დავემშვიდო-
ბეთ ერთმანეთს.

„ჩვენი ეზო“ მარტო გამოჩენილ იაბონელ
რეჟისორს როდი მოსწონებია. ფრანგმა კინო-
რეჟისორმა ჟან ვალერმა „სოვეტსკაია კულტუ-
რას“ მისწერა:

„...უფრო ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა
ჩემზე მეორე საბჭოთა ფილმმა „ჩვენი ეზო“,
რომელიც ახალგაზრდა რეჟისორის რ. ჩხეიძის
მიერაა დადგმული. მასში ასახულია მხოლოდ
და მხოლოდ ერთი ეზოს ცხოვრება, მაგრამ
ამ ცხოვრების დენას ჩვენ ყურადღებით მიეყ-
ვებით. ამ ფილმის ძირითადი თვისება ნათელი
ობტინიზმია“.

„ჩვენი ეზოს“ დამდგმელს საინტერესო საუ-

ბარი ჰქონდა რაჯ კაპურთანაც. რეზო ჩხეიძე
ორჯერ შეხვდა მას. მეორე შეხვედრისას, რომ-
ელიც ფესტივალის დახურვის დღეს მოხდა
კაპურს თარჯიმანი დაეკარგა საღლაც და ერ-
თადერთი, რაც მან მოახერხა, ის იყო, რომ
რეზო ჩხეიძის ხელი მკერდზე მიიღო ნიშნად
გულწრფელი პატივისცემისა თუ გულთაღი
სიყვარულისა. ჩვენმა რეჟისორმა ქართულად
ჰკითხა, თბილისი არ მოგეწონება? ინდოელი
სიტყვა „თბლისის“ გარდა სხვას ამა რომელს
გაიგებდა, ალბათ იფიქრა— თბილისში ჩემი
ყოფნის შთაბეჭდილებებზე მეკითხება რამესო
და სიცილით წამოიძახა, — ხაჰაჰური, ხაჰაჰუ-
რიო (დიდ ხანს გამოჰყოლია ჩვენი ხაჰაჰურის
გემო). თარჯიმანი რომ გამოჩენილიყო, ეს
შეხვედრა ასე არ დამთავრდებოდა, ორი რეჟი-
სორი დაუბრუნდებოდა თავის საუბარს შემოქ-
მედლებთს საკითხებზე, რომელიც ჯერ კიდევ
31 ივლისს დაიწყო. ამ დღეს რაჯ კაპურმა
ჟურისის სხვა წევრებთან ერთად „ჩვენი ეზო“
ნახა და ძალიანაც შეაქო იგი.

ქართველ რეჟისორთან საუბარში კაპური
ზედსართავ სახელებს არ ზოგავდა ჩვენი სურა-
თის შესაკომბად. და კარგი ისაა, რომ თვითთე-
ლი მათვანი — ეს ზედსართავები და ეპითეტე-
ბი—საბუთიანად, საფუძვლიანად მოყავდა. „ჩვე-
ნი ეზო“ მოწონებას იმით იმსახურებო, ამ-
ბობდა იგი, რომ მასში სიყვარულის ამბავი
ადამიანურადაა მოთხრობილი. ციციონაა და
დათოს სულიერი სამყაროს გახსნისათვის შერ-
ჩეული, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, მიგნე-
ბული ხერხები სიყვარულის სისპეტაკეს უტყ-
უარად, სათუთად, კეთილშობილურად აცუნენ.
რად ღირს თუნდაც ბურთის წართმევის კადრე-
ბი; დიდი ოსტატობითაა გაკეთებული ეპიზო-
დი, როცა ბავშვური ცელქობის დროს ქალ-
ვაჟში პირველად იხადება სიახლოვის ყმაწვი-
ლური შერგძნება. ასევე ღრმად ემოციურია
დათოს ცეკვა წვიმაში. სასიხარულოა, რომ ამ
ორივე და სხვა მრავალი ეპიზოდის შთამაგონე-
ბლობა ეყრდნობა რეჟისორის ფანტაზიისა და
ნამდვილად კარგი აქტიორული შემსრულებლის
შერწყმას.

რაჯ კაპური განსაკუთრებით დაინტერესდა
გიორგი შენგელაიათი. როცა უთხრეს, იგი
ჩვენში ცნობილ კინემატოგრაფისტთა ოჯახია*
დანაა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სტუ-
დენტიაო, კაპურმა ქართველ რეჟისორს სთხო-
ვა ახალგაზრდა მსახიობისათვის პირადად გადა-
ეცა მისი საღამო და მოკითხვა. ადვილი წარმო-
სადგენია, რა სიამოვნებით შეასრულებდა რე-
ვას ჩხეიძე ინდოელი მეგობრის სურვილს —
რაც უნდა იყოს, გიორგი შენგელაიას „დიდი“
დებიუტი „ჩვენი ეზოდან“ მოდის!

პასუხობა

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

რიცხვითი სახედების წერა და გაგნობა ქართულ ენაში

ქართულში, მსგავსად თითქმის ყველა ენისა, საგნის რაოდენობის აღსანიშნავად ხმარობენ არაბულ ან, უფრო სწორად, ინდურ ციფრებს. ევროპაში ეს ციფრები შემოღებულია მე-13 საუკუნიდან. ცნობილია, რომ ციფრები (0—9) მეორდება და იწერება ათეულობით (10, 20, 30, 40...).

ციფრების ახსნა და დასახელება სხვადასხვა ენაში ერთნაირად არ ხდება. მაგალითად, ქართულში და, ნაწილობრივ, ფრანგულში, რიცხვებს ოცეულობით გამოთქვამენ. რუსულში, გერმანულში, ინგლისურში, იტალიურში, აზერბაიჯანულში, სომხურში და ბევრ სხვა ენაში საგნის რაოდენობას ასახელებენ ისე, როგორც წერენ — ათობით.

ათეულობით ციფრების წერას და დასახელებას დიდი პრაქტიკული უპირატესობა აქვს.

ქართულ ენაში მიღებული ციფრების გამოთქმა არ შეეფერება წერას. ეს შეუსაბამოა კი თავისებურად ეწინააღმდეგება თანამედროვე ცხოვრების განვითარებას.

მოვიტანოთ ორიოდ მაგალითი ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან.

დიდ დაძაბულობას ქმნის ეს განსხვავება საბჭოთა ვაჭრობის ყველა დარგში — ანგარიშში, წერაში, დაგეგმარებაში. ყველაზე ნათლად ეს ჩანს მაღაზიებსა და საკომლემენტო ბაზრებში. ძნელია საბჭოდ მანქანაზე აღება სწორი ციფრისა: როდესაც მყიდველი ამბობს სამოცდაჩვიდმეტ მანეთს, მოლარე უნებურად არტყამს ციფრს 6 და არა 7, ანდა უცდის გამოთქმის სრულ დაბოლოებას, შემდეგ ფიქრობს, ანგარიშობს და ბეჭდავს. ეს ზედმეტი დაძაბვა მოითხოვს დროს, ქმნის უსიამოვნებას, რიგს და შემდეგ, უმეტეს შემთხვევაში, უნებურად სხვა ენაზე გადასვლას. ამიტომაც

არის, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ ქართულად, ხოლო ციფრებს ხშირად სხვა ენაზე ვასახელებთ. რადგან ციფრების ათეულობით გამოთქმა უფრო ადვილი და მარტივია.

ტექნიკაში, ეკონომიკაში, ტრანსპორტში, მედიცინაში, სოფლის მეურნეობასა და სკოლებში ათეულობით წერა და ოცეულობით გამოთქმა უფრო დიდ დაბრკოლებებსა ქმნის. ძირითადი საანგარიშო იარაღი ტექნიკა-ეკონომიკაში არის ლოგარიტმული სახანჯეი და საანგარიშო მანქანა, სადაც ყველაფერი აგებულია ათეულებზე. თქვენ განუწყვეტელი, მთელი რეა საათის განმავლობაში სწერთ, ანგარიშობთ ათეულებით და შემდეგ გადაგყავთ ოცეულებზე.

დიდა შეფერხება მშენებლობის ყველა დარგში, ტრანსპორტისა და ელექტროსადგურების დისპეტჩერის მუშაობაში. ვაკეთავისწინათ თუნდაც მხოლოდ ტელეფონოგრაფების გადაცემა.

ასეთივე მდგომარეობაა მედიცინაში: თერმომეტრი გვიჩვენებს 38— $\frac{1}{10}$ ე. ი. „სამსა“ და „რვას“, თქვენ კი უნდა წაიკითხოთ ოცდათვრამეტი (20+18), ანალიზი გვიჩვენებს 79— $\frac{1}{10}$ ე. ი. „შვიდს“ (შვიდ ათეულს) და „ცხრას“, თქვენ უნდა ამოიკითხოთ: სამჯერ ოცს მივუმატოთ ცხრამეტი (3 \times 20+19).

სულ სხვანაირი, ზედმეტი დაძაბულობაა სწავლების პროცესში — ახსნა-განმარტება, კარნახი, ამოცანების გამოყვანა და სხვ. დაუწყვირდეთ, როგორ უძნელდებათ ბავშვებს ათეულობით წერა და ოცეულობით დასახელება და ნათელი გახდება არსებული შეუსაბამობის სიმძიმე. ამ სიმწელს მწვავედ გრძობენ დაწყებითი სკოლის მასწავლებლები. პატარა ბავშვებს ძალიან უძნელდებათ ათის ფარგლებიდან ოცეულებზე გადასვლა.

რიცხვითი სახელების წერა-გამოთქმის სხვა-

იბეჭდება საკითხის განხილვის წესით. — რედ.



დასხვაობა მეტისმეტად ამწელებს და აფერხებს ქართული ენის შესწავლას უცხოელთათვის და, საერთოდ, აბრკოლებს ჩვენი ენის გაეროვნებასა და განმტკიცებას.

აღსანიშნავია, რომ არსებული შეუსაბამოება ერთნაირად უძნელებთ ენით სარგებლობას როგორც არაქართული სკოლის დამთავრებულთ, ისევე ქართულ სკოლაში აღზრდილთ.

ზადება საკითხი, რამ გამოიწვია ეს შერეული სისტემა — ციფრების წერის და გამოთქმის სხვადასხვაობა ქართულ ენაში? იქნებ ამ ენის თავისებურებამ? ასე რომ ყოფილიყო, ციფრების ათეულობით დასახელება მშობლიური ენის დამახინჯება, მისი ნაწილობრივი უარყოფა იქნებოდა.

საკითხის გასაშუქებლად მიემართოთ ქართულ გრამატიკას და ლექსიკონს.

დავით ჩუბინაშვილი თავის გრამატიკაში წერს: „ოცი, რიცხვი ორჯერ ათი, ორი ათეული, двадцать; ოცდაათი — რიცხ. სამჯერ ათი, тридцать; ოცდამეათე — тридцати ოც და ათეული, ოც და ათეულობა და სხვ.“

საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონში ნათქვამია:

„ათი — ორჯერ ხუთი; ათასი — ათჯერ ასი; ოცი — ორი ათეული; ოცდაათი — სამი ათეული; ორმოცი — ოთხი ათეული; სამოცი — ექვსი ათეული; ოთხმოცი — რვა ათეული; ოთხმოცდაათი — ცხრა ათეული“.

ეს მაგალითები ადასტურებენ, რომ ქართული ენის რიცხვით სახელებში ძირითადი არის ათი და ათეული. ორმოცი, სამოცი და ოთხმოცი აიხსნება, როგორც ოთხი, ექვსი და რვა ათეულები და არა ორი, სამი და ოთხი ოციულები. ასი — ათჯერ ათი და არა ხუთჯერ ოცი.

თვით სიტყვა „თვლა“ წარმოქმნილია ათისაგან — ათვლა, ათავლა.

სიტყვა ათასი მხოლოდ ქართულ ენაში შედგება ორი სიტყვისაგან — ათჯერ ასი. ისიც აღსანიშნავია, რომ სიტყვა ოცი საესეებით მისაღება და არ ეწინააღმდეგება ათეულების პრინციპს — ოცი ფორმით და შინაარსით იგივე ორი ათეულია.

ოცი შემდეგ დასახელების ლოგიკური განვითარება იქნებოდა ასეთი ვარიანტი:

- 10 — ათი (ერთი ათი);
- 20 — ოცი (ორათი);
- 30 — სამცი (სამათი);
- 40 — ოთხცი (ოთხათი);
- 50 — ხუთცი (ხუთათი);
- 60 — ექვსცი (ექვსათი);
- 70 — შვიდცი (შვიდათი);
- 80 — რვაცი (რვაათი);
- 90 — ცხრაცი (ცხრაათი).

სამწუხაროდ, რაღაც ჩვენთვის უცნობი მო-

ზეზის გამო, ასე არ მოხდა. ათის შემდეგ ვსმარობთ ოცს. ამის შემდეგ იწყება სისტემის აღრევა: ვწერთ 30 (სამათი), წარმოვთქვამთ — ოცს მიუვმართოთ ათი; ვწერთ 40 (ოთხათი), ვასახელებთ ორმოცს, ე. ი. 2×20 , რის შედეგადაც ვიბულობთ შერეულ სისტემას: ვწერთ 98 (ცხრაათრვას), ვასახელებთ — $4 \times 20 = 80$ და შემდეგ 80 + 18.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში ციფრების ნაცვლად ხმარობდნენ ასოებს. ასო-ციფრები ათეულობის წესსა და საფუძველზე იყო აგებული.

ყველა ეს მაგალითი ადასტურებს, რომ ქართულად რიცხვითი სახელები — რაოდენობითი, რიცხობითი და წილობითი — ეყარნობა უმთავრესად ათეულს. მაშასადამე, წერასთან ერთად ციფრების დასახელებაში ათეულებზე დაყრდნობა, გარდა მთელი პრაქტიკული უპირატესობისა, იქნება ქართული ენის ერთიანობის, მისი თავისებურებების დაცვა და განმტკიცება.

ამჟამად ციფრებით ჩვენ ვწერთ 78, რაც ზუსტად ნიშნავს შეიდათრვას, მიღებული წესის მიხედვით ეი ამოვიკითხავთ — სამოცდათვრამეტს. საიდან წარმოიშვა ეს უცნაური ამოკითხვა? ციფრებში არ არის არც სამი, არც ოცი და არც თვრამეტი! რატომ უნდა იმტერის თავი მოწაფემ და მარტივი, სუფთა ქართული ამოკითხვა შეცვალოს რთული და ძნელი? ნუთუ არ გვეცოდება ბავშვები — ეს ზომ ზედმეტი დაძაბულობაა ნორჩი ტენისათვის, ზედმეტი თავის მტკრევა ყველა ქართულად მოლაპარაკისათვის. ამასთან, გავითვალისწინოთ, რომ ეს ზედმეტი დაძაბულობა არის მუდმივი, ყოველდღიური.

ამგვარბ შეუსაბამობის წინააღმდეგ არაერთხელ აღმადლებიათ ხმა ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს. იყო ამ მდგომარეობის გამოსწორების რამდენიმე ცდა.

1922-25 წლებში რიცხვთა დასახელების ათეულებზე გადაყვანა სცადა ცნობილი საზოგადო მოღვაწემ და მეცნიერმა ვიორჯი ნიკოლაძემ (იხ. „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი“ — ნ. მუსხელიშვილი, გ. ნიკოლაძე, ა. ხარაძე, ტფილისი, 1925 წ.). სამწუხაროდ, ეს ცდა არ გამართლდა. მაგრამ ის, რაც ვერ განხორციელდა 1925 წელს, ახლა შესაძლოა განხორციელდეს.

ყველა მოსაზრება გვიკარნახებს, რომ ათეულობით წერა და გამოთქმა საესეებით მიზანშეწონილია, ამას მოითხოვს ქართული ენის აწყო და მომავალი.

ზემოთმოტანილ მასალებს შეიძლება დავუმატოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრება. ცნობილია, რომ ქართველური ენებიდან



მხოლოდ ქართულსა და მეგრულში არის მიღებული ასეთი შერეული სისტემა. სეანურ ენაში დატულია ციფრების წერა და ამოკითხვა ათეულობით: 10—იემღ, 20—იერვემღ, 30—სემღ, 40—ოშხვემღ, 50—ოხვიმღ, 60—უსგავამღ, 70 — იშველიემღ, 80—არამამღ, 90—ხირამამღ.

მაშასადამე, ქარაველური ენებისათვის არ არის უცხო ათეულების სისტემას მთლიანი გამოყენება.

ციფრების ათეულობით ამოკითხვა არ იწვევს, როგორც ეს შეიძლება იფიქრონ, ენის რაიმე რეფორმას, რადგანაც სიტყვები „ათი“ და „ოცი“ რჩება. უნდა მოხდეს მხოლოდ ამ ორი სიტყვის უფრო ხერხეული გამოყენება, დაწერა-ამოკითხვაში ბელოვნურად შექმნილი სხვადასხვაობის მოსპობა.

ათეულებზე გადასვლასთან ერთად შეიძლება და კიდევაც უნდა დარჩეს აგრეთვე ძველი გამოთქმა ოცეულობით. თვით ცხოვრება და განახლება, თუ როგორი ხელოვნური და დრომოკმეულია არსებული შეუსაბამობა—ათეულებით წერა, ხოლო ოცი გამოთქმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც უნდა მივუდგეთ საკითხს, ერთი რამ ცხადი და უდავოა: ქართულ ენაში ასოები ზუსტად გამოსახვენ ბგერას—ეს არის ჩვენი ენის ძირითადი თვისება და უპირატესობა. ასეთივე უნდა იყოს ციფრების ამოკითხვის წესიც.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ არაბული ციფრების შემოღებამდე ჩვენში ციფრები იწერებოდა ასოებით. როგორც ასო-ციფრები, აგრეთვე არაბული ციფრები ზუსტად უნდა გამოსახვდნენ ბგერას. ასეთი წესია თითქმის ყველა ენაში. ამ უდავო წესის მიხედვით 74-ის ბგერითი გამოსახვა უდავოდ უნდა შეიცავდეს შვიდსა და ოთხს. ეს ურყევი დებულებაა. სადავოდ შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ შვიდის დაბოლოება, მაგალითად: შვიდათ, შვიდიც, შვიდვით, შვიდემღ, შვიდით, და სხვ. მაგრამ, ეიმოვრებით, შვიდის და ოთხის ბგერით გამოსახვა აუცილებელია. შვიდის და ოთხის ნაცვლად დასახლება სამჯერ ოცის და ოთხსაგვისა, ანდა ოთხსმეტჯერ ხუთის და ოთხისა—ერთნაირი გართულება, გაუგებრობა და ასო-ფიკრების ბგერის ძირითადი კანონის დამახინჯება.

ათეულებზე გადასვლა შეიძლება სხვადასხვაინარად. მაგალითად:

ათი	ათი	ათი
ოცი	ოცი	ოცი
სამათ	სამთი	სამცი
ოთხათ	ოთხთი	ოთხცი
ხუთათ	ხუთთი	ხუთცი
ექვსათ	ექვსთი	ექვსცი
შვიდათ	შვიდთი	შვიდცი

რვაათ რვათი
ცხრაათ ცხრათი
შვიდათ ერთი, შვიდათ ორი... 77 — შვიდათშვიდი და არა სამოცდაჩვიდმეტი, 98 — ცხრაათ რვა და არა ოთხმოცდაათრამეტი. შვიდათ ცხრა, სამოცდა ცხრამეტის მაგივრად, ასხუთათ ექვსი მან. და შვიდათრვა კაპიცი (156 მან. 78 კაპ.). 1777 — ათას შვიდას შვიდათშვიდი და არა ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი. გვექნება სრული სიზუსტე, ადგილი გაგება და გამოთქმა!

თელის ათობითი სისტემის მთლიანად დაცვა ქართულში არ იწვევს ენის რაიმე რეფორმას, რადგანაც შესაფერის პირობებში შეიძლება იხმაროთ შერეული სისტემა, ვინაიდან არსებულ სისტემა ძნელი და რთულია ყოფაცხოვრებაში, მაგრამ ადვილად გასაგებია ლიტერატურულ გამოთქმებში.

ვიმეორებთ, ათეულებზე გადასვლის შემდეგ სიტყვა „ოცი“ და „ოცეული“ რჩება, ოღონდ არა როგორც ძირითადი და წამყვანი. რჩება აგრეთვე სპეციალურ გამოთქმებში: ორმოცი, სამოცი, რვაჯერ ოცი, ათმოცეული, ასი ოცეული და სხვ.

არის შეზეღულება, თითქოს ათეულების სისტემის მთლიანი აღდგენა გამოიწვევს არსებულ ციფრების შეცვლა-გადაცვლას, რაც მეტად რთული და ძნელად შესასრულებელია. ეს მოსახერხება სავსებით უნადავო და მცდარია. ჯერ ერთი, რომ ოცი რჩება ამოკითხვის ახალ წესში; მეორე — როგორც აღვნიშნული იყო, ციფრების დასახლების ათეულებზე გადასვლის შემდეგ ძველი სისტემა რჩება. რა თქმა უნდა, არავის აეკრძალება დაწეროს ან დაასახლოს სამოცდაათხუთმეტი შვიდათხუთის ნაცვლად. უდავოა მხოლოდ, რომ შერეულ სისტემის მოტრფიალეთა რიცხვი თანდათან შემცირდება და ბოლოს სრულებით გაქრება.

არც ერთ უკვე დაბეჭდილ წიგნს, თუნდ სპეციალურს ან ლიტერატურულს, გადაკეთება არ დასჭირდება, ხოლო თანდათანობით ახალ სპეციალურ წიგნებში გადავლენ ათეულობით დასახლებას, ლიტერატურულ ნაწარმოებში შესაფერის შემთხვევაში იხმარება ორივე სისტემა.

ციფრების ათეულობით დასახლება წიგნების არაერთად გადაკეთებას და რაიმე აურზაურს რომ არ იწვევს, მტკიცებდა შენდვი მაგალითებით. ამორჩევითი მეთოდით ჩვენ გადავათვალიერეთ ორი სახელმძღვანელო საშუალო სკოლის VI კლასისა: არითმეტიკულ ამოცანათა კრებული და ალგებრის ამოცანები. ამ ორ სახელმძღვანელოში თითქმის სრულებით არ აღმოჩნდა ასოებით დაწერილი ციფრები. მთელ სახელმძღვანელოში არის მხოლოდ ციფ-



რები და ტექსტი. ისე რომ ახალი სისტემის შემოღება არ იწვევს ისეთი სპეციალური წიგნების გადაკეთებასაც, როგორც არის მათემატიკური სახელმძღვანელოები. ამავე დროს ჩვენ არ უნდა გვაევიწყებოდეს, რომ სწორედ სასწავლო პროცესში — მასწავლებლის ახსნა-განმარტებასა და მოწაფეთა მიერ ვაკვეთილების ათვისებასა და პასუხში არის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება და მანკი არსებული სისტემისა — ათეულობით წერა და ოცეულობით გამოთქმა.

სულ სხვა მდგომარეობაა ლიტერატურაში, მხატვრულ ნაწარმოებებში. მოვიტანოთ ორი-ოდე მაგალითი:

„ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია, მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია“.

„მესამოციანელების მოღვაწეებში, როგორც უფრო დაახლოებულები, ყველაზე წინ მესხატებიან: გ. წერეთელი, ს. მესხი და ნ. ნიკოლაძე“ (ა. წერეთელი);

„ოთხმოცჯერ წახდენილია. ოთხმოცჯერ აშენებულა“.

(ი. გრიშაშვილი)

რუსთაველის გამოთქმა — „ასჯერ ოცია“ — დღევანდელ წესს მიხედვითაც იქნება ორი ათასი, მაგრამ არავის მოსვლია აზრი გადაეკეთებინა ეს მშვენიერი გამოთქმა. ცხადია, რომ ახალი სისტემის შემოღების შემდეგაც არავინ იფიქრებს ამას.

ათეულების სისტემის მთლიანად აღდგენის შემდეგ 60-იანი წლები შეიძლება დაიწეროს ან როგორც ექვსათიანი წლები ან სამოციანი წლები, ორივე საესებით მისაღები და გასაგები იქნება, და შერჩევა ავტორის გემოვნებაზე და მოკიდებული. ცხადია, არავინ იფიქრებს აკაკის წიგნის რაიმე შესწორებაზე.

რაც უფრო ადრე გადავალთ ათეულობით ციფრების დასახელებაზე, მით უფრო დავიცავთ ქართული ენის თავისებურებას, გავაღვილებთ მუშაობას ცხოვრების ყველა დარგში და განვამტკიცებთ მშობლიურ ენას.



იაკობ ბაღაზაშვილი

„შემოღამება მთაწმინდაზე“ ერთი ადგილის გაგებისათვის

კიდევ ბევრი რამ შეუსწავლელი და აუხსენ-
ლია ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიასა
და შემოქმედებაში და მათ შორის ერთი ად-
გილიც ლექსისა „შემოღამება მთაწმინდაზე“.
პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძე ამ რამდენიმე
წლის წინათ ბარათაშვილის დასახელებულ
ლი ლექსის შესახებ წერდა:

„პოეზიაში არსებობს მრავალი ტრაფარეტულ-
ლი შედარება. ბარათაშვილი ერთდგება მათ
და ცდილობს მსგავსება აღმოაჩინოს იმგვარ
საგნებსა თუ მოვლენებს შუა, რომლებიც
მანამდე ერთმანეთისთვის არავის შეუდარებია
და, ამგვარად ახალი კუთხიდან ვააშუქის შე-
დარების ობიექტი. აი ბარათაშვილის ერთი
ცნობილი შედარება:

„ვინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე
ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო
გაღაბრით შუქმიბინდული“.

ეს უჩვეულო შედარება მთვარისა, ლოცვით
დაქანცულ უმანკო სულიან შეფარდებულია
იმ ამაღლებულ საზღოცველო სულიერ გან-
წყობილებასთან, რომელსაც შეუპყრია პოეტი
მთაწმინდაზე შემოღამების დროს, აღსანიშნა-
ვია ამ შედარებაში დეტალი „დისკო გაღაბ-
რით“, რომელიც თითქოს მთვარის მდგომარეო-
ბას გვიხატავს, ნამდვილად კი წარმოგვიდგენს
ლოცვით დაქანცულ ახალგაზრდა ქალის გა-
ღაბრის სახეს“ (ეჭრ. „მნათობი“, 1945 № 10).

კ. ჭიჭინაძის მიერ ციტირებული შედარება
აღებულია ბარათაშვილის ლექსის საბოლოო
ვარიანტიდან (1836 წ.), მაგრამ ლექსის ე. წ.
ყრმობის დროინდელ ვარიანტში (არა უგვიან-
ნეს 1833 წ.) ეს ადგილი ასეა:

„ვარსკვლავი მარტო მოციმციმარ — მისი
ლიბრი არს მინაზებული,
მაგრამ მით უფრო უსატრფოე არს, ვით
დამაშვრალი ლოცვით ქალწული“.

ბუნებრივად იზადება კითხვა, რელაურ მი-
როვნებას ხომ არ იგულისხმებდა ბარათაშვილი
„უსატრფოეს ლოცვით დამაშვრალ ქალწულ-
ში“ (ყრმობის დროინდელი ვარიანტი) და
„მხურვალე ლოცვით მიქანცებულ ჯერეთ უმან-
კო“ არსებაში (საბოლოო რედაქცია).

ჩვენ წააწყვდით ერთ ძველ ცნობას, რომ
მეტიც დადებითად სწყვეტს აღნიშნულ სა-
კითხს.

ანონიმი მემუარისტი, ავტორი მოგონებებო-
სა გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების
თბილისზე, მთაწმინდის ეკლესიის აღწერი-
სას სხვათაშორის შენიშნავს: «В полугоре, как
птичье гнездо, висит монастырь святого
Давида... в нем добровольно заключена те-
перь одна прекрасная беличка София, ко-
торая столько интересна, что все с уликами
миловидные юноши, под общим названием
софистов, взлетают туда с ревностным же-
ланием обратить ее к светской жизни для
радостной любви» (жур. «Библиотека для
чтения» 1848 г., т. I).

აი, საიდან ჰქონია აღებული ბარათაშვილის
შედარება „ლოცვით დამაშვრალ“ და „მხურვალე
ლოცვით მიქანცებულ დისკო გაღაბრით შუქ-
მიბინდულ“ ქალწულის შესახებ.

როგორც ვნახეთ, პოეტი ამ ქალის შესახებ
ლექსის ყრმობისეულ ვარიანტში აწმყო
დროით მოგვითბრობს, ხოლო საბოლოო რე-
დაქციაში წარსული დროით ეს გარემოება
გვაფიქრებინებს, რომ 1836 წელს, ლექსის
უკანასკნელ გადამუშავებისას „ჯერეთ უმანკო
სული“ „პირთეთრა სოფიო“ მთაწმინდის
დედათა მონასტერში აღარ უნდა ყოფილიყო.
ვინ იყო ეს ქალიშვილი, მის შესახებ ჯერ-
ჯერობით სახელის გარდა არაფერი ვიცით.

ანა ღვინიაშვილი

გზლით ნათქვამი

(გ. კაჭხიძის „მაღლაზებისათვის რაც მიმღერია“ გამოსვლის გამო)

გიორგი კაჭხიძე ხშირად წარმომიდგება ფანჯარასთან მიმდგარი. იგი გაჰყურებს თბილისის თვალგაბრწყინებული და გულშეიარული, ახარებს ახალი შენობები, ქალაქის მჩქეფარე ცხოვრება და, მაინც ასე მგონია, გონების თვლით კვლავ თავის სოფელს შესციცინებს, ისლით დახურულ ფარდალა სახლს, სადაც პოეტი დაიბადა, სადაც დაიწყო მისი აკვანი, სადაც პირველად „დედა ენა“ იზილა, სადაც შრომის სიტკბო პატარაობიდანვე იგემა შორიდან ესიყვარულა. ყველაფერ ამას მადგებლობებს თბილისში ახლადჩამოსული პოეტის ლექსი, რომელიც სოფლის ჰაერითა და სურნელებით არის აღსავსე:

...დაცხა უკვე და ჩეროში
მოსვენება ნატრად მექცა.
სიხარულით, სიყვარულით
ველ-მინდვრები მინდა ენახო,
ფესვიშველამ გავირბინო
ტყის ბილიკზე სოფლის ახლოს;
მინდა ბაბუს მწვანე ეზოს,
მოველი ვენახს მოვერა თვალნი...

გიორგი კაჭხიძისათვის, როგორც პოეტისთვის თავისი საყვარელი სოფლის ბუნება, მისი ჯანსაღი ჰაერი და შრომის სიხარული მთელი შემდგომი შემოქმედებითი ცხოვრების შთაგონებად იქცა. ამიტომაც მის ლექსებს მიწაში დრმად ფესვებგადგმული მცენარის სინედლე და სინოყიერე ახასიათებს.

გიორგი კაჭხიძემ თავის პირველ საბავშვო ლექსებში მონახა ნორჩ მკითხველთან სასაუბროდ გულწრფელი და გრძობიერი ინტონაცია. რაც უმღერია, მას, მართლაც რომ გულით უმღერია. ჩვენი ცხოვრების ყოველი ახალი მოვლენით შთაგონებულა, მოხიბლულა და ეს ხალასი აღტაცება ალაღად მოუტანია მწერლობაში.

დღიდან საბავშვო პოეზიაში შემოსვლისა გიორგი კაჭხიძემ ნამდვილი პოეტის ალლოთი უცებ გამოქმენა საერთო თავის პატარა მკითხველებთან. მისი საბავშვო ლექსების კრებულიების დასათაურებად კი გვიჩვენებს ვისი მისამართით წერს პოეტი ლექსებს: „ჩემი ძმა“, „ჩემი მეგობრები“, „შეფოთილი სივანი“, „ალუბლები ყვავიან“, „ჩვენი სკოლის ყმაწვილები“, „ჩვენი ქვეყნის მოზარდები“, „სწავლასა და სიხარულში“, და ბოლოს „მაღლაზებისათვის რაც მიმღერია“. ამ სათაურებიდან ნათელია, რომ პოეტის ძმები, მეგობრები საბჭოთა ბავშვებია, რომლებსაც მხოლოდ სწავლასა და შრომისაკენ მოუწოდებს, მხოლოდ ნამდვილადამიანობას, მოქალაქეობას და სამშობლოს კეთილშობილურ სიყვარულს შთააგონებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გ. კაჭხიძემ ჩვენ მკითხველ ბავშვებში ერთერთმა ჩანერგა ლექსისადმი დიდი ინტერესი და სიყვარული. პოეტმა თბილი სტრქონები მიუძღვნა შიო მღვიმელს, როგორც წინაპარს, ლექსის ოსტატსა და ბავშვების მესაიდუმლეს:

ყმაწვილებო, ჩემს გულშიაც
მწუხარება თავს არ მალავს;
მოკვდა შიო და აწ თქვენთვის
ვერ დაარბეს იგი კალამს.
მოკვდა ძია, მისი თვალი
ტკბილად ველარ გაგვიღიმებს.

არაერთხელ დავსწრებივარ ბავშვების გამოსვლებს გ. კაჭხიძისთან შეხვედრების დროს და მომისმენია მათი ნათქვამი — გ. კაჭხიძის საბავშვო ლექსებმა შევყვარა საერთოდ ლექსების კითხვაო. პოეტმა ასეთი შეფასება მოიპოვა გულწრფელობით, ხალასი განცდებით, თანამედროვე ბავშვის თვლით ხილული ახალი ცხოვრების დახატვით, იმ ახალი დროის მღელ-



ვარე რომანტიკით, როდესაც „ადამიანების ინტერესთა ჰიდილსა და დულილში ბევრი რამ იცვლებოდა, იგრძნობოდა, რომ ცხოვრების გაზაფხული დგებოდა“.

ერთ თავის ლექსში პოეტი მიმართავს ბავშვებს:

თქვენ მახარებთ, თქვენ მამლერებთ,
თქვენით დარდს არ ვემონებ...
ვიცო თქვენი ავიც, კარგიც,
დაუმცხრალი ფიცი, ენა,
მეც მქონია თქვენი გული,
მეც ვყოფილვარ თქვენოდენა.

მართლაც წინამდებარე ერთობმეულში შერჩეულია პოეტის საუკეთესო ლექსები, რაც კი დაუწერია მწერალს ჩვენი ბავშვებისათვის. პოეტის თვალს არ გამოჰპარვია არაფერი, რასაც ბავშვი ხედავს, განიცდის, რაც მას ახარებს და როგორც აღიქვამს ჩვენს დღევანდლობას.

ერთობმეულში პოეტს ლექსები ციკლებად დაულაგებია: „ქარგი სწავლით“, „მთასა და ბარში“, „დიდია ჩვენი სამშობლო“, „ცელქები და მალხაზები“ და ორიც პოემა: „ჩვენი სკოლის ყმაწვილები“, „ნინო მასწავლებელი“. ციკლთა ასეთი სათაურები გამოხატავენ არა მარტო პოეტის სულისკვეთებას, თემების მოძებნის უნარს, არამედ გვიხატავს პოეტის ნათელს, საინტერესო ბიოგრაფიასაც. თვითვე ციკლში თემატიურად მონათესავე ლექსებია გავრთიანებული. მაგალითად, ციკლი „ქარგი სწავლით“ უმთავრესად ბავშვებთან გულთბილი საუბარია სწავლაზე, ბუკეთობაზე, შრომაზე. ეს ლექსები უნერგავს ნორჩ მკითხველს წიგნის სიყვარულს, აღადგრთოვანებს გაზაფხულის მშვენივრებით, ზაფხულისა და შემოდგომის სიუხვით.

მიუხედავად თემატიური ნათესაობისა ეს ლექსები დაწერილია სხვადასხვა განწყობით, გასუქებულია სხვადასხვა კუთხით და ამიტომ მკითხველს არ სწყინდება მათი კითხვა.

ერთ-ერთ საინტერესო ციკლთაგანია „დიდია ჩვენი სამშობლო“. ამ ციკლში ძირითადად პატრიოტულ თემაზე დაწერილი ლექსები გაუერთიანებია ავტორს. აქ ყოველი სტრიქონი სამშობლოს სიყვარულთ სუნთქავს. ქვეყნის სილამაზეს, სიუხვეს, თავდადებულ შრომას, საბჭოთა ბავშვების, მხედრების, მესაზღვრეების სიყვარულს სამშობლოსადმი პოეტი წარმტაცი სურათებით გადმოსცემს. პოეტი უმღერის საბჭოთა ადამიანების სულიერ სილამაზესა და სიდიადეს, მეგობრობის მაღალ გრძნობას:

ერთი გვაქვს დელასამშობლო —
შვის და გმირების ქვეყანა,
გზა მეგობრობის, გზა ძმობის
მან მოგვცა, მან შეგაკავარა!

დელასამშობლოს — საბჭოთა ქვეყნის მშობლიურ რაღ პოეტს ამალბებული განცდა და აღტაცება დაუფლებია. იგი უმღერის სწორუპოვარ სილამაზეს, უხვ დოვლათს, ჩვენი ადამიანების კაცობუყვარობას.

პოეტი აღტაცებით წერს თავისუფალ სამშობლოზე:

უსახლკაროდ არ უვლია,
საიმედო ჰქონდა ბინა,
არასოდეს იგი მხდალი
და მტრის მონა არ ყოფილა.

სასარგებლო გვხვით მთავალს
მოყვრისთვისაც კარგი სურდა, —
ის გმირების სამშობლოა
და იბრწყინებს საქმით მუდამ!

გიორგი კაჭახიძე სოფლის სურათების შთაგონებულ მხატვარია. აყვავებულ ალუბლებს, თეთრად გადაყვრულ ალუჩის ტოტებს, ტყემლის თეთრ ყვავილებს მოუხიბლავს იგი. სოფლის პეიზაჟის, მისი მიწისა და ჰირნახულის სურნელებითაა გაბრუებული. ეს განცდა პოეტში ისე ძლიერია, რომ უკვე ათეული წლებით ჭალაქს შეჩვეული, კვლავ სოფელს ნატრობს:

მომენტრა სოფელი,
იქ ტოლებთან თამაში,
ჩიტუნების ვალობა,
ყვავილოვან ჭალაში.

სოფელზე და სოფლის ბავშვებზე დაწერილ მის ლექსებში განუთვორებელი სითბო და სიყვარულია ჩაღვრილი:

ეწერ ამ ბარათს, მოგაგონებ
ჩვენს მიდამოს, მთებს და ზეცას.
აი ახლა ჭასთან დედა
ფაციფუცობს, თევშებს რეცხავს.

შენს საყვარელ ვზოს, სოფელს,
მოდი, თვალი გადაავლე!
მოდი დროზე, თორემ ბალი
მოიღვევა ბაღში მალე!

სოფლის ბუნებაზე შეყვარებულ პოეტს იტაცებს ბავშვობის მოგონებები და უკვე ჭალარაგარეული, მაგრამ სულიერად ჭაბუკი, ოცნებით თავს დასტრიალებს თავისი ბავშვობის ადვილის დედას:

ზაფხულია, წიცი სოფლად
აქეთ ფრინველებს ტყეში ლხინი,
ხშირად წვიმს და მიწა ჰყვავის
შეთივალა ბაღში ხილი.



მაგრამ გ. კაჭახიძეს ბუნების სიმშვენიერე განყენებულად, ცხოვრებისა და შრომის გარეშე არ წარმოუდგენია, ბუნების გარეგანი მშვენიერება თვითმიზანი არ არის მის შემოქმედებაში. ბუნება მედარია, თუ მას ადამიანის სიცოცხლე, სიცოცხლე და ხალისი არ ამშვენებს, შრომის კრიამული არ ისმის; მის ლექსებში ჩანან მშრომელი საბჭოთა ადამიანი, ხელმარდი, მკვირცელი ბავშვები, სამშობლოს ყვავილები. შრომა-გარჯის მოყვარულ ბავშვს იგი სანაქებო სიტყვის ეუბნება და მშობელივით ესოყვარულება:

ჩვენი სოფლის ყვავილია,
მერცხალივით მკვირცელი,
ხელსაქმე თუ წიგნის კითხვა
ცირამ დროზე იცის.

საქმისათვის ყველგან დროზე
სიხარულით ვაბრძის....
მეგობრებში წაქცრილად
დღეს ახალი კაბით.

პოეტი იღუმალად ეალერსება თბილისის მაღალ სახლებს, ლამაზ აივნებს, ავტოების ქროლას. ეამაყება ძლევათისილი წითელი ჯარის ხილვა:

თავს უჭერენ კოხტად ცხენებს,
მხედრებია მკლავმაგარი.

თუ დაგვირდა, გრივალეით
გადირბენენ მთებს და ველებს,
და ელვარე მათი ხმალი
მტერს სიცოცხლეს დაუბნელებს.

გ. კაჭახიძის ლექსების ფორმა ხალხური, მსუბუქი და ნარნარი. პოეტს არ უყვარს უბარაო სიტყვების ხმარება, ის ბავშვებისათვის ადვილად ასათვისებელ რომსა და რიტმს ეძებს, პოულობს სიუჟეტს, ამბავრებს შინაარსს; პოეტის საუბრის ტონი გულთბილი და თავდაქერილია.

პოემის ქანრი ქართულ საბჭოთა საბავშვო ლიტერატურაში ჯერჯერობით ვერ სარგებლობს სკადრისი პატივისცემით. გ. კაჭახიძემ მხოლოდ ორი ათეული წლის პოეტური გამოცდილების შემდეგ სცადა პოემის წერა.

როგორც ჩანს პოეტს პოემის ქანრი იდობანს იზიდავდა, რათა ფართო ტილოზე დაეხატა

ჩვენი ბავშვების ცხოვრება. „ჩვენი სკოლის ყმაწვილებში“ მოსწავლეთა შრომა, მუყაითობა თავადდება ნაჩვენები. ნორჩი მებაღების ხალისიანი შრომა აქ ყმაწვილების წყრილა ხმებით და ხალისით არის გაიცისკოვებული. პოემაში საინტერესოდ არის დახატული პატარა გოგის სახე. ამ სასიქადლო პიონერთ კმაყოფილი არიან შინარებიც, ამხანაგებიც, მასწავლებლებიც. გოგის განუზომლად უყვარს მცენარეთა ნერგები, მათ თავს დასკრიალებს, დახზარის და ესოყვარულება. ამ სოყვარულით არის გამსქვალული ნაწარმოები თავით ბოლომდე. ხეების ნერგებიც თითქოს სამაგეროს უხდიან გოგის, მეგობრებივით ებასებიან და ემაღლიერებიან. გოგი საუკეთესო მავალითის მიმცემია, მის მიზამით გამოწწორდა ეუღლუტი და უქნარა გოჩა, მასაც ჩაენერგა ნერგების სოყვარული:

დაიხარა და ალერსით
ჩასჩრჩრულა ნერგებს ტკბილად:
ჩემს ბაღშიაც დამენახოს
თქვენი დები, თქვენი კბილა!

რაც შეეხება პოემას „ნინო მასწავლებელი“, ეს პირველი პოემა ჩვენს მწერლობაში, სადაც დახატულია უადრესად კეთილშობილი და მოსოყვარულე მასწავლებლის სახე. ნინოს მოავლემსრები თვისებებია გამოვლენილი პოემაში. პოეტი არ იშურებს საღებავებს მასწავლებლის მიმზიდველი სახის დასახატავად. სავნის ღრმა ცოდნა, გულისხმიერება, მოსწავლეთა და საერთოდ ხალხის უანგარო და უმწიკლო სოყვარული და დიდი ტაქტი და ღირსეული თავდაქერა; ყველა ამ თვისებით ხასიათდება ნინო მასწავლებელი. ნინო მასწავლებელს მეტად აუუხებს ცუღლუტი და ზარმაცი კოტეს მდგომარეობა.

კოტეში შეიძლება ვიგულისხმოთ ყველა ზარმაცი და ონარი მოსწავლე, რომ მოავლდაც ასე წუხან მასწავლებლები. პოემაში ერთი საინტერესო რამ არის შესამჩნევი: ნინო მასწავლებლის სახე დახატულია ოსტატურად შესრულებული პეიზაჟების ფონზე. აქ ხელშესახებად გაინიციდით, ნედავთ თოვლიანი დღის სურათებს, რომელიც მასწავლებელი ქალის განწყობილებას ამბავრებს, რელიეფურს ხდის.

ორივე პოემის გმირები პოეტისათვის მეტად მახლობელი არიან და ამ სიახლოვის, უშუალო ბნისა და გულწრფელობის პათოსი თან ახლავს ყმაწვილების თუ მოზრდილთა სახეებს, ბუნების მოხდენილად დახატულ სურათებს.



დავით ჯანელიძე

მამულშობა ბრძოლის ისტორიიდან

(1785 — 89 წ.წ.)

ჩვენი ნარკვევი, რომელიც ემყარება ახალ სა-
არქივო მასალებს, შეეხება ეგვიპტეში ქართვე-
ლების — იზმილ-ბეის, ჰასან-ბეის, სოლეიმან
ტარაბაძის, იბრაიმ შინჯიჯაშვილის, ვინმე ოფი-
ცერ კაქაქიშვილის და რუსეთის ალექსანდრიე-
ლი საკონსულოს თარჯიმნის გიორგი კრინგერის
მოღვაწეობას. თუმცა ზოგიერთი მთვანის ნამ-
დვილი გვიჩვენებს დადგენა ჯერჯერობით ვერ მო-
ხერხდა, მაგრამ წყაროების ერთსულთვანი მოწ-
მობით ყველა დასახელებული პირი ქართველია
და ეგვიპტელების ერთგულ-გამათყაობებულ
ბრძოლაში მათი დიდი წვლილიც შეაფიქრე ჩანს.

1785 წლის აჯანყება დაიწყო იმით, რომ ეგვი-
პტელმა ხალხმა, ერთის მხრივ, ხვანთქარს ხარკის
გადახდაზე უარი შემოუთავა და მის ფაშას
იფენ-მეჰმედს გადაყენება დაუპირა, ხოლო, მეო-
რეს მხრივ, ოსმალეთის სერვილის წინააღმდეგ
და მის ზურგს უკან საფრანგეთთან შეჯერა სა-
აქრო კონვენცია, რომელიც სუეცის გზით აღ-
მოსავლეთის ქვეყნებთან ფრანგების აღმ-მიცე-
მობას შეეხებოდა. ეს გაბედული ნაბიჯები ვა-
დასდგა მამულე ბეიების ოლიგარქიამ, რომელ-
საც მაშინ სათავეში ედგნენ ამურატ-ბეი, იბრაიმ
შინჯიჯაშვილი და სოლეიმან ტარაბაძე.

ხარკზე უარის თქმა თავაზიანი ფორმით მოხ-
და, დასახელებულმა მამულემა ბეიებმა ხვანთ-
ქარს უღემები მიუგზავნეს და შეუთვალეს, მო-
უსავლიანობის გამო ჩვენს ქვეყანაში შიმშილობა
სუფევს და გთხოვთ ზორბელული მოგვაწოდო-
თ. 2. რუსეთის დიპლომატიამ, რომელიც თავი-
დანვე საქმის კურსში იყო, მამულე ბეიების
ასეთი მოქმედება შეაფასა, როგორც ხვანთქარის
ხარკის გადახდაზე უარის თქმა.

სტამბოლის რუსული საელჩოს წარმომადგე-
ნელი ეწვია ოსმალეთის რეის-ეფენდის და გამო-
ჰკითხა ეგვიპტელი ბეიების მიერ საფრანგეთთან
შეკრული კონვენციის გარემოებანი, თანაც უჩ-
ვენა ამ კონვენციის ერთი ეგზემპლარი, რომლის
ხელში ჩაადგებაც მოეხერხებინა. რეის-ეფენდი

განაცხადა: ამ საქმის ათმაზე ეპირბთ კონფე-
რენციის მოწვევას, განხილვაში ინგლისის ელჩ-
საც ჩაივრეთ და საფრანგეთის დესპანს ენერგი-
ულ პროტესტს გამოვეუცხადებთ; ამურატ-ბეი,
რომელიც ფრანგებს შეთანხმებით შეეკრა, ბენ-
ტის თავია, ხოლო ფრანგები — საზიზლარი მო-
ლალატეები, პირში მეგობრობას დიდის ამბით
გვეფიცებინან, საქმით კი ჩვენს ზურგს უკან
ასეთ მზაკვრობას სჩადიანა!.

1785 წლის მეორე ნახევრიდან მამულე ბეი-
ები უკვე თავს ეგვიპტის ნამდვილ ბატონბატო-
ნად გრძნობენ. ამაზე პირდაპირ მიუთითებენ სა-
ისტორიო საბუთები. ამ დროს სტამბოლში სულ
იმას გაიძახოდნენ, რომ ამურატის კაშიფიბი²
ალექსანდრიას აწიოკებენ, რომ მათ იქ ჩამოახ-
რჩევს ვენეციისა და საფრანგეთის კონსულები
თითქოს იმ მიზეზით, რომ ფრანგმა ვაჭრებმა
ამურატის დაკვეთა ვერ შეასრულეს — ვერ მია-
წოდეს მას ვერობული საქონელი, ფული კი,
რომელიც მისგან აეღოთ, უკან არ დაუბრუნეს.³
ბეიები რუსეთის ალექსანდრიელი კონსულის ბა-
რონ ტონუსისაგან მოითხოვდნენ ქაირის წასე-
ლას, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალის გამოყენე-
ბით იმუქრებოდნენ⁴. საკითხავია — განა შეეძ-
ლოთ მამულე ბეიებს ასე მოპყრობოდნენ ოსმა-
ლეთის მიერ აპრობირებულ რუსეთის კონსულს,
თუ მათ თავი უკვე ეგვიპტის სრულ მმართვე-
ლებად არ ჰყავდათ წარმოადგენილი?

აჯანყებულმა მამულემა ბეიებმა სამხედრო
რეფორმა გაატარეს, პირველ ხანებშივე მათ
მოსპეს იანიჩართა⁵, ჯებუჯიების⁶, თოღჩიე-
ბის⁷ და სხვა სამხედრო გვარებთანა ოჯახები⁸.
აჯანყების მომწყობი ბეიების ოლიგარქიისა
უმეტესობა ქართველია, ამის შესახებ ჩვენ მო-

1 იგივე ფონდი, საქმე № 658, ფურც. 62.
2 ოფიცრები.
3 იგივე ფონდი, საქმე № 682, ფურც. 24.
4 იგივე ფონდი, საქმე № 668, ფურც. 30—31,
№ 669, ფურც. 52.
5 მურად I მიერ დაახლ. 1360 წელს შექმნი-
ლი ქვეითი ჯარი. არსებობდა 1826 წ.-მდე.
6 ინტენდანტები.
7 მეზარაზნეები.
8 სოციალური ინსტიტუტი, სიტყვისიტყვი:
„ციცბლი“, „კერია“.

1 უღემები — სჯულის მეცნიერნი.
2 სრულ საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავა-
რი საარქივო სამმართველო, რუსეთის საგარეო
პოლიტიკის არქივი, ფონდი — „რუსეთის ურ-
თიერთობა ოსმალეთთან“, საქმე № 654,
ფურც. 2.



გვეოვება პირდაპირი სისტორიო საბუთები. გამონაკლის შეადგენს ამურატ-ბეი, რომლის ქართველობის პირდაპირი წყარო ხელთ არ გვაქვს და ამიტომ არაპირდაპირი საბუთების მოშველიება გვეჭირდება.

საიდან ვიცით, რომ აჯანყებულ თავაცთა ორიგარქის წევრთა უმეტესობა ქართველია? ეს ირკვევა რუსეთის ოლქსანდრიელი კონსულიის ხეშემოს მისხენებული ბაზან ტრუნის ცნობებით, კონსტანტინოპოლის რუსული საელჩოს მოხსენებებისა და დღიურების მეშვეობით. მივმართოთ მათ.

ბაზან ტრუნის რუსეთის კონსტანტინოპოლელ ელჩს ბულგაკოვს 1785 წ. 22 დეკემბერს სწერდა: „ჩემთან ჩამოვიდა ქაიროს ბეის სოლეიმან ტარბაიძის დეილი ძმა გაბრიელი, რომელიც ეგვიპტეში თავისი ნათესავების — ქაიროს ბეიების მოსახლბულელად ჩამოსულა ამ რამდენიმე ხნის წინათ. მან თან ჩამოიტანა ძმის — სოლეიმან-ბეის წერილი ოსმალეთის კაფუდან-ფაშას სახელზე. ეს სარეკომენდაციო წერილია, შედგენილი იმ მიზნით, რომ გაბრიელ ტარბაიძე სამშობლოსაკენ თავისუფლად და მშვიდობიანად გაუშვან. სოლეიმან ტარბაიძემ მეც მომწერა წიგნი და მოხოვს თქვენთან მისი ძმის მფარველობის შესახებ ვიშუამდგომლო და საიმედო კაცის ხელით როგორმე პასუხი და გაბრიელის მშვიდობიანი გამგზავრება შევატყობინო“¹. რუსეთის სტამბოლელი ელჩი ბულგაკოვი თავის მხრივ 1786 წ. 8 თებერვალს ტრუნეს ატყობინებდა: „ჩამოვიდა ქაიროს ბეის სოლეიმანის ძმა და სარაიმ-ბეის დისშვილი გაბრიელ ტარბაიძე და სამშობლოსაკენ გამგზავრებისათვის ხელსაყრელ ტაროსს ელოდება. ეს გაბრიელი ვერკელ შეფას მღვიანი ყოფილა“².

როგორც ვხედავთ, რუსული წყაროები ქაიროს აჯანყებულ ბეიებს გაბრიელ ტარბაიძის „ნათესავებს“ უწოდებენ, ამურატ-ბეის უახლოეს თანამებრძოლ იბრაიმზე კი პირდაპირ აღნიშნავენ, რომ ის გაბრიელ ტარბაიძის ბიძაა დედის მხრივ. მოტიანილი რუსული წყაროები საშუალებას გვაძლევენ შევამოწმოთ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ ეგვიპტეში XVIII ს. ბოლოს ამურატთან ერთად ძალადუღების მპყრობელი იყო კახელი შიჩჯიკაშვილი აბრამა³. რუსული წყაროები იოანე ბატონიშვილის ამ ცნობის სისწორეზე მეტყველებენ და მეტ ფერხორცს აძლევენ იბრაიმ (აბრამა) შიჩჯიკაშვილის ისტორიულ სახეს. მართალია, ცნობილი ევროპული წყარო—ლუიზიანის მონაპურთა ალი-ბეის დასის წარმომადგენელთა შორის ასახელებს ორ იბრაიმს, ერთს მართლო კავკასიელს, მეორეს — ქართველს, მაგრამ თუ

გავითვალისწინებთ, რომ ალი-ბეის მოწოდებულ ქართველი იბრაიმ 1772 წელს ბრძოლაში დაიღუპა, მაშინ ცხადი ხდება, რომ კონსტანტინოპოლის რუსული საელჩოს ცნობაში გაბრიელ ტარბაიძის ბიძად მოხსენებული იბრაიმ-ბეი და იოანე ბატონიშვილის შიჩჯიკაშვილი აბრამა ერთი და იგივე ისტორიული პიროვნებაა. ამით საბოლოოდ ბათილდება საერთოდ ევროპული ისტორიოგრაფიის მტკიცე და დამკვიდრებული მითი იბრაიმ-ბეის ჩერქეზული წარმოშობის შესახებ, რომელსაც ლარუსის ცნობილი კაპიტალური ენციკლოპედიაც იმეორებს⁴.

ჩვენი სახეობის ვეთანხმებით ბეი-მამიკონიანის მოსაზრებას, რომ ამურატ-ბეიც, რომლის შესახებაც იგივე მითი არსებობს, შესაძლოა, ქართველი იყოს. ამაზე არაპირდაპირ უთითებს რუსული წყაროს შენიშვნა, ქაიროს ბეიები გაბრიელ ტარბაიძის ნათესავებიაო.

ეგვიპტის დანარჩენ ბეიებს შორის, რომელთაც წილი უდევთ როგორც უშუალოდ 1785-1787 წლების ამბებში, ისე მათ მომზადებაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ჰასან და ისმაილ-ბეიები. ლეიზიანი მათ პირდაპირ იხსენიებს, როგორც ქართველებს. ჰასან-ბეის ქართველობაზე პირდაპირ მეტყველებს აგრეთვე მისი ის დაწერილებითი ხელნაწერი ბიოგრაფია, რომელსაც მოსკოვეში მივაკვლიეთ სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის ერთ-ერთ განყოფილებაში. ამ განყოფილებას ეწოდება „რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი“. ეს ხელნაწერი ბიოგრაფია, შედგენილი ფრანგულ ენაზე, მრავალთხვევ არის საყურადღებო. ის ვრცლად გვისურათებს ისმაილ და ჰასან-ბეიების მოღვაწეობას 1785 წლის აჯანყებამდე, ცხადყოფს საიღვანთშქული ქართველი მამულუკი ბელადის ალი-ბეის მიმდევართა შორის წარმომოშობილი განხეთქილების მიზეზებს და მოწმობს იმ უსაზღვრო პოპულარობას, რომელიც არაბთა მოსახლეობაში ჰასან-ქართველს ჰქონია.

მოუესმინოთ ჰასან-ბეის ამ ხელნაწერ ბიოგრაფიას, შედგენილს უცნობი ავტორის მიერ, რომელიც, რუსეთის დეპლმატიის წარმომადგენლის სიტყვით, ეგვიპტის ამბებში საკმაოდ გამბეუნტენტური პირი ყოფილა⁵.

მოთხრობა ქართველი ჰასან-ბეის შესახებ

(თარგმანი ფრანგულიდან)

„ჰასან-ბეი გედდავია — მისი სრული სახელი. ასე უწოდებს იმის შემდეგ, რაც აიღო გედდა“⁶,

¹ Grand dictionnaire universel par Pierre Larousse, V. IX, ტ. 536.

² იგივე ფონდი, საქმე № 677, ფურც. 49—53.

³ იგივე ფონდი, საქმე № 677, ფურც. 46.

⁴ ქალაქი ჯიდას დამახინჯებული ევროპული სახელწოდება (მდებარეობდა მეწამულ ზღვის სანაპიროზე ე. წ. პიჯაზის პროვინციაში).

¹ იგივე ფონდი, საქმე № 668, ფურც. 30—32.
² იგივე, ფურც. 34.
³ იხ. ბეი-მამიკონიანის წერილი ქურნ. „მნათობში“, 1957, № 9.



როცა ის სარდლობდა სახელგანთქმული ალი-ბეის, თავისი პატრონის არმიას. ახლა იმყოფება კენაში — ზემო ეგვიპტეში; წარმოშობით ქართველია, ასაკით დაახლოებით 35 — 40 წლისაა. ალი-ბეის დამარცხებისა და სიკვდილის შემდეგ ის განდევნილ იქნა როზეტას. ეს განდევნა მოხდა საქმეში იბრაიმ-ბეის ჩარევით, რომელმაც თავისი პატრონისაგან (ბატონი) — მაჰმედ-ბეი აბი დაბასაგან (ეგვიპტის მთავარსარდალი) მიიღო უფლება სრული განსვენებული ყოფილიყო მისი (ჰასანის) სიცოცხლისა. ეს იმ დროს მოხდა, როცა ჰასანის ყველა ამხანაგს — მონებს პირობებისა და ღირსების მიხედვით ან თავი მოჰკვეთეს, ანდა საწამლეოთ მოუსწრაფეს სიცოცხლე.

„ჰასანმა განდევნილია ის ორი წელი გაატარა. შემდეგ ის ქაიროში მიიწვი იბრაიმ-ბეიმ, რომელიც თავისი პატრონის აბი დაბას სიკვდილის გამო ეგვიპტის უმაღლესი ბელადი გამხდარიყო. ჰასან-ბეიმ, უშიშარმა და ჭკვიანმა კაცმა, მიზნად დაისახა აღედგინა თავისი განსვენებული მფარველის სახელი და ხსოვნა და ამ მიზნით შეუკავშირდა ისმაილ-ბეის — ალი-ბეის ამხანაგს უბედურებაში და მოთვერია იბრაიმისა და ამურატას იერიშები ზემო ეგვიპტეში, განდევნა ისინი, აედგინა თავისი სახელი და პარტია. ამ ამბის შედეგად ისმაილ-ბეი ქვეყნის მთავარსარდალი გახდა. ამის შემდეგ ეს ისმაილ-ბეი აღარ გრძობდა ჰასანის მიმართ იმ პატივისცემასა და მიდრეკილებას, რასაც ის იმსახურებდა თავისი საქმეებით. ისმაილზე გულგატეხილი ჰასანი ისე მოხერხებულად მალავდა თავის ნამდვილ გრძობებს, რომ ისმაილმა აიღო და ის თავისი არმიის სარდლად დანიშნა. ამ არმიას დაესრულებული ჰქონდა გაენადგურებინა მტერი იბრაიმი, რომელსაც ამურატთან და თავის მომხრეებთან ერთად თავშესაფარი ზემო ეგვიპტის არაბთა შორის ეპოვნა. ჰასანი ჯარების დიდი კორპუსით ჩავიდა ზემო ეგვიპტეში და დასცა ზანკა იბრაიმის პირდაპირ, შემდეგ შეუთვალა: მიზნად მაქვს შეგიერთოდ და სხვებიც აუვჯანყო ისმაილს, რომელიც ამაყი და აუტანელი გახდა და ვერც იმის უნარს იჩენს, რომ განაგოს ქვეყანა დადგენილი პრინციპების შესაბამისად; ამავე დროს ისმაილ-ბეი ემსახურება თურქეთის ინტერესებს და სრულ მორჩილებასა და დამოკიდებულებას პპირდებოა. ორივე პარტია ადვილად შეთანხმდა და მათ კურსი ქაიროზე აიღეს. ქაიროდან ერთი დღის სავალზე ისინი შეხვდნენ ისმაილ-ბეის. ისმაილ-ბეი გაიქცა. ჰასანი და იბრაიმი დაედევნენ და აიძულეს უდაბნოების გავლით ლაზს გადახვევილიყო, საიდანაც შემდეგ ზღვით კონსტანტინოპოლს მიაშურა. მას შემდეგ, რაც ქაიროში შევიდნენ და მოქალაქეთა და მთელი ქვეყნის მშვილობა აღადგინეს, დადებული იქნა სხვადასხვა კონვენცია, რომელთა მიხედვით ძალაუფლებმა ორ პარტიას შორის განაწილდა: ერთი

პარტია იყო იბრაიმ და ამურატ ბეიგების მემკვიდრეები, მეორე — ჰასანისა და როდომის, ალი-ბეის მონების პარტია. ქვეყნის შემოსავალი მათ შორის განაწილდა.

„ბეიებს შორის კეთილი თანხმობა ხუთ თვეს გაგრძელდა და ეს სახელმწიფოს სრულ კმაყოფილებას ანიჭებდა. ამის შემდეგ ჰასანმა შენიშნა, რომ სასტიკი ამურატი უკანონოდ ირჯება, ცდილობს სხვებზე უპირატესობა მოიპოვოს; ამასაც არ ჯერდება და განსაკუთრებით აუტანელი გადასახადებით ბევრავს ვაჭრებს, მიწათმოქმედთ და მოქალაქეებს. ასეთი ეკონომიური პოლიტიკით ამურატმა ჰასანს საბაზი მისცა ამხედრებულყოფილ მის წინააღმდეგ მთელი იმ ძალითა და გამჭრიახობით, რაიც ჰასანს ბუნებისაგან ჰქონდა მომადლებული. ამ გარემოებამ მოულოდნელად გამოიწვია ბრძოლა იმ მომენტში, როცა ყველა დანარჩენი ბეი, თანახმად ჩვეულებისა, დროს ატარებდა იმ აყვავებულ ველზეში, რომლებიც გარს ეკვროდა ქალაქ ქაიროს.

„ბედმა ამურატს გაუღიმა, მან ქაიროს მთელი მოსახლეობა ააწიოვა, რათა ჰასანის მომხრეები ხელთ ეგდო, მანვე გარკვა ჰასანის მთელი ამაღლა. თავისიანების მიერ მიტოვებული ჰასანი ორი დღის განმავლობაში ქაიროს გარეუბნებში იმალებოდა, გაჭირვებაში მყოფმა და საშინო კრილობისაგან შეწუხებულმა ჰასანმა თავშესაფარი ჰპოვა მოხუც შეიხ დამანურთან. შეიხ დამანურს, ამ წმინდა მოხუცს, კარგი სახელი ჰქონდა მოხვეწილი, მას პატივს სცემდნენ როგორც დიდკაცები, ისე უბრალო ადამიანებიც.

„...კეთილმა მოხუცმა ჰასანი მეგობრულად მიიღო და ამ განდევნილობაში სრული უშიშროება აღუთქვა. ამურატს უნდოდა თავისი მოწინააღმდეგის შეპყრობა და მოკლა, ამიტომ მან შეიხს მისი გაცემა მოსთხოვა. შეიხმა ამაზე გადაჭირბო უარი განუცხადა და მტკიცედ იდგა თავის აზრზე. ჰასანი დიდ პატივს სცემდა ამ ქველმოქმედ კაცს. მას შეგნებული ჰქონდა, რომ ულმობელი ამურატი მისი მფარველობისათვის კარგ დღეს არ დააყრიდა შეიხს. კეთილ შეიხს ცდილი რამ რომ ამ შემთხვევაზე, მან გადაწყვიტა შეიხის სახლიდან გაქცევა. ამისათვის ხელსაყრელი შემთხვევაც მიეცა. მაშინ, როცა მისი მასპინძლის სახლში იმყოფებოდა ერთ-ერთი კამიფი ამალითურთ და შეიხს შეაკონებდა: ნებაყოფლობით გაეცი შენი დამანაშველ სტუმარი, თუ არ გინდა ძალდატანების მსხვერპლ გახდეო, ჰასანი დაეშვა კობით, შეახტა კართან მდგომი ერთ-ერთი ოფიცერის ცხენს და ხელში ხმალომარჯვენებულმა გადასერა მიელი ბოლასი! და ქაიროს ქუჩებში. ის იბრაიმ-ბეის სასახლეს ეწვია და ჰაიამბანაში თავშესაფრის მიცემა ითხოვა. თანახმად

I ქაიროს გარეუბანი.



არაბთა ჩვეულებისა, მას ეს თხოვნა მყისვე შეუსრულეს. ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა. ამ ხმებმა ამურატამდეც მიადღწია, უმალვე იბრაიმბეის სასახლისაკენ გაეშურა იმ განზრახვით, რომ საკულთარი ხელით მოკლა უშიშარი ჰასანი. მასპინძლანი, რომელიც ფანტიურად ერთვებოდა იყო სტუმართმოყვარეობის წესებისა, ამურატის მუნახანთურ განზრახვას მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია და განაცხადა: უკიდურეს ზომებს ვინმარ, თუ ვინმე ჰასანს მიმართ იოტისადრენა ძალადობის გამოყენებას შეეცდებოდა. ამურატს რისხვა დაუცხრა, მასპინძელს თავისი მოწინააღმდეგის დანდობა აღუთქვა და ჰასანთან შეხვედრის ნებართვა ითხოვა, თან ფიცად დასდო, სიტყვიანად კი არ შეუტრიაცხვოდ მოწინააღმდეგეს.

„იბრაიმის თანხლებით ამურატი ჰარამხანაში შევიდა. თავისი დამარცხებული, მაგრამ ჯერ კიდევ გაუტყბელი მოწინააღმდეგე რომ დანიხაზ, საყვედურით მიმართა: შენმა პატივმოყვარეობამ ჩავაგლო ამ დღეშო.“

„ჰასანი განკურნეს. შემდეგ ის გაგზავნეს სუცეში და ჩასვეს ერთ-ერთი სავაჭრო გემში, რომელიც მიმოდიოდა ეგვიპტესა და გედდას შორის, საიდანაც ჰასანი იყო განდევნილი. ხომალდმა კურსი კოსსიორის (კოსსიორის) სიმაღლეებისაკენ აიღო. კოსსიორთან ჰასანმა კაბიტანს მოსთხოვა — შეაჩერე ხომალდი, ამ პორტში მინდა გადავიდე და ზემო ეგვიპტეს მივაშურო; კაბიტანი არ დაეთანხმა და წინააღმდეგობა გაუწია. ჰასანმა დასპურა და განაიარაღა კაბიტანი და მეზღვაურები იძულებული გახდნენ იქ ჩაეშვათ ღუზა, სადაც მას უნდოდა; ყოველივე ეს მან მოიმიჯრდა ოთხი მონის დახმარებით, რომლებიც იმჯერად შეადგენდნენ მთელ მის ამალას.“

„ჰასანმა ბევრი ფული გამოართვა ქაიროს ვაჭრებს (ეს ფული შემდეგში ყველას დაუბრუნა) და შევიდა კოსსიორში, ხანი რომ გამოხდა, უღამნოს გზით გეზი აიღო კენისაკენ. კენაში ის ფრად კარგად მიიღეს არაბებმა და სხვა ხალხებმა. აქ ის კარგა ხანს განმარტობით ცხოვრობდა, ხელი მიჰყო ვაჭრობას და მიწათმოქმედებას, მოიხვეჭა უთვალავი სიმდიდრე. ამასობაში ისმაილ-ბეი ჩავიდა იმ ქვეყანაში. სტამბოლში ისმაილ-ბეის ორი წელი გატარებინა, ახლა კი თურქეთის მთავრობას ის ღერწაში გაეგზავნა და გაეტანებინა სულთანის მიერ ხელმოწერილი ხატი-შერიფი, რომელშიც ეწერა: ისმაილ-ბეი უნებლად უნდა იქნას ჩაყვანილი აფრიკის არაბთა ქვეყანაში—ზემო ეგვიპტეში; იქ მან უნდა დაუცადოს თურქეთის მთავრობის ბრძანებებს. უკვე ამის შემდეგ სტამბოლის კარმა გადაწყვიტა მოესპო მონური წარმოშობის ყველა ბეი, როგორც ალი-ბეის, ისე აბუ დაბაჰს მიკავშირებები.“

„ჰასანსა და ისმაილს შორის ხელშეწყობილ დამყარდა სრული თანხმობა. მათ შეუერთდნენ მეგობარი და მომხრე, რომლებიც ქაიროდან გამოქვეყლდნენ. ამიტომ მათ საკმარისი ძალა აღმოაჩნდათ საიბისოდ, რომ წარმატებით მოეგებინათ ქაიროს ბეების მრავალრიცხოვანი იერიშები, რომელთა მიზანი მათი მოსპობა იყო.“

„ისინი სარგებლობდნენ იმ არაბთა მეგობრობით, რომლებიც ზემო ეგვიპტის მთებში, ნუბიის საზღვარზე ცხოვრობდნენ.“

„არაბებთან მეგობრობის განმტკიცების მიზნით, ჰასან-ბეიმ შეერთო მათი ერთ-ერთი მთავარი შვიის ქალიშვილი, რომლისგანაც ეყოლა ვაჟიშვილი, მამის უშიშროების იმედ. ჰასან-ბეის საშუალება ჰქონდა ადგილობრივი ტომების დახმარებით სიმედოდ დაეცვა თავი მიუვალ ადგილებში, თუნდაც უზარმაზარი არმია შესეოდა.“

„ოსმალეთის კაფულან-ფაშამ ჰასანს წინაღუდმა მისცა, თურქებს შეუერთდით. მაგრამ ჰასანმა, რომელმაც თურქეთის ვერაგული განზრახვა იცოდა, თავი შორს დაიჭირა, და ცდილობდა დაერწმუნებინა ფაშა, ზემოთ ეგვიპტეში ჩემი ყოფნა აუცილებელია, რათა ხელი შეეშალოს გარემოცული და განდევნილი ბეიების საზღვარგარეთ გაქცევასო. ეს გარემოება თურქეთს ბეიებთან ბრძოლაში იმედს უნერგავს, რადგანაც ხედვას, რომ ჰასანი ზემო ეგვიპტეში და კენაში საცემბით დამოუკიდებელია ეგვიპტის ვიცეამფისაგან და შეუძლია თავისი შეხვედრისამებრ გადაუჭრას ქაიროს მომარაგების გზები და ხალხი თავი მიაწვევინოს ქაიროში; კოსსიორის (კოსსიორის) გზით მიიღოს იარაღი და ჯარი ვერაგულეებისაგან, რომელთაც ამ პორტის მუშევრებით შეუძლიათ სამი ღლის განმავლობაში შეუერთდნენ მას კენაში, იქიდან კი ნილოსით თავისუფლად დაეშვებიან ქაირომდე.“

„განთქმული მასწავლებლის ალი-ბეის სკოლაში გაზრდილი ჰასანის გენია და ხასიათი აადვილებს მისი გეგმების განხორციელებას. მას აფხვებენ ინგლისელები, უგზავნიან მას ემისრებს, ლამობენ მისი გულის მოგებას და ხელს უწყობენ მის მიზნებს.“

ჰასან-ბეის ამ ბიოგრაფიაში მომხდარი ამბები ენება 1773 — 1785 წლებს, ე. ი. იმ პერიოდს, რომელმაც განვლო ალი-ბეის დაღუპვიდან მიმედლეულების მეორე აჯანყებამდე. ხსენებული დოკუმენტი ცხადყოფს, რომ ალი-ბეის თანამებრძოლთა და მიმდევართა დასი მისი დაღუპვის შემდეგ ორ პარტიად გაყოფილა. დასს მხოლოდ რამდენიმე თვის უმართავს ეგვიპტე შეხმატებულეშულად. გათავის მიზნში ყოფილა ჰასან-ბეის დემოკრატიული ტენდენციები (მისწრაფება ვადასახადების შემცირებისა და ოლიგარქიის კოლექტიური ხელმძღვანელობისაკენ), რომლებიც ამურატ-ბეის მძიმე ფსიკალურ პოლიტიკის და დიქტატორულ კურსს შესჯახებია. იგივე საბუთი

1 ნავსადგური მუწაშულ ზღვაზე.



მოწმობს, რომ პასან-ბეის ეგვიპტის მოსახლეობა-ში დიდი პოპულარობა და პატივისცემა ჰქონდა მოთხოველი. სამწუხაროდ, ჩვენი უცნობი რჩება ამ სახელგანთქმული ქართველი მამულუ-კის ზუსტი ვინაობა, რადგანაც ჩვენი წყარო არც მის გვარის ასახელებს და არც წარმოშობის გარე-წობათ.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, 1785 წლის აჯან-ყება დაწყებულია მამულუკი ბეიების ორ პარ-ტიად გაითშეღობის ვითარებაში. ამ გარემოებამ გააძნელა ოსმალეთთან ბრძოლა, გააკვიანტრა და ხელი შეუშალა ამ ბრძოლაში.

აჯანყებული ბეიები დაინტერესებულან რუ-სეთთან კავშირით. ამაზე პირდაპირ მიუთითებენ რუსული საარქივო საბუთები.

ბარონი ტონუსი იტყობინებოდა, როგორც სო-ლიმიან-ბეიმ (ტარბაიძემ) შემოიხივალა, ჩემთვის მზადაა ბინა ქაიროში და ბეიები მეგობრული გრძნობით მიმელიანო¹. აჯანყებული ბეიების რუსეთისადმი სიმპათიაზე მეტყველებს ის ფაქ-ტიც, რომ ბეიები და კონსული ტონუსი სტამ-ბოლს გასაგზავნენ შიკრიკებზედ ერთსა და იმავე პირებს იყენებდნენ, აჯანყების მსვლელობაში ოსმალეთთან მოსალაპარაკებლად ბეიები ლამა-ზდნენ კონსულ ტონუსის და რუსეთის სტამბო-ლელი ელჩის ბულგაკოვის გამოყენებას. იმის საბუთი არსებობს, რომ ბეიებს კონსულ ტონუს-ისათვის 1786 წლის შუახანებში წერილი გაუ-გზავნიათ და რუსეთის ქვეშევრდომობა უთხო-ვიათ. ტონუსს ეს აშმაგი, თავისი გაუფრთხილე-ბლობით, საფრანგეთის კონსულისათვის გაუნ-დგია და თავი საფრთხეში ჩაუგდია, რადგანაც საფრანგეთის წარმომადგენელს მისთვის ნამუსი არ შეუნახავს და საქმის ვითარება ოსმალეთის კაფულან-ფაშასათვის უცნობებია².

საფიქრებელია, რომ ქაიროს აჯანყებული ბეი-ების რუსულა ორიენტაცია შესაძლო იყო განე-მტკიცებინა სოლიმიან-ბეის ძმის გაბრიელ ტარბა-ისიძეს³, რომელიც ერეკლე მეორის საგარეო პოლიტიკური კურსის თავგამოდებულ პროპა-განდისტად გამოიყურება.

ამ თემაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის სტა-მბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 25 თე-ბერვლის დღიური, საიდანაც ირკვევა, რომ გაბ-რიელ ტარბაისიძემ მიუღია ოსმალეთის კაფულან-ფაშას და მასთან საუბარი ჰქონია. კაფულან-ფაშას მწუხარება გამოუთქვამს იმის გამო, რომ ერეკლე მეორემ ქართლ-კახეთის სამეფოში რუს-თა ჯარები მიიღო და ეკატერინე მეორეს მიეკე-

დლა, ანანურის სამხედრო გზა რუსებს, ^{ცხადმოქმე} თვინა და ოსმალეთთან საქმე წაიხდნა. ^{გვსიქმე} ელ ტარბაისიძეს უნახებია: ოსმალეთთან ჩვენი მეფის საქმის წახდენა ახალციხის ფაშა სოლეი-მანს უნდა მოეკითხოს, ის უსევს ლეკების აბრა-გებს და ოსმალთა რაზმებს ქართლ-კახეთის ქვე-ყანას და ხვანთქარებს⁴. ურთიერთობას გვიფუ-ქებს; რუსეთთან ჩვენი მეფის შეკავშირებას სხვა მიზანი არაფერი აქვს, თუ არა ის, რომ ამ შე-სევებისაგან თავი დავიფაროთ და სპარსეთის მო-იერიშე სახანოებიც დავაოკოთო. კაფულან-ფაშას იმედი გამოუთქვამს, დროთა განმავლობაში ოს-მალეთსა და საქართველოს შორის მეგობრობა აღდგებო, და საუბრის დასასრულს გაბრიელ ტარბაისისათვის რჩევა მიუცია — სამშობლოში ახალციხის გზით წდიო, თანაც დაუიშეღებია, სანდო მიცელებს გაგაყოლებო. გაბრიელ ტარბა-იძეს მალღობა მოუხსენებია და განუცხადებია — ყირიმის გზით მიჯობს გამგზავრებო⁵.

საინტერესო ფაქტია, რომ რუსეთის ილექსანდ-რიელ კონსულს ბარონ ტონუსს ქაიროს აჯანყე-ბულ ბეიებთან ხანგრძლივი მიმოწერა ჰქონდა და შიკრიკად ვინმე ოფიცერს, გვარად კაქკაქი-შვილს იყენებდა. სამწუხაროდ, დაწერილებითს ცნობებს ამ კაქკაქიშვილის სადღერობისა და ეგვიპტეში მისი მოხვედრის შესახებ ჯერჯერო-ბით ვერ ვაწვდით მეითხველა — ეს მომავალი ძიების საქმეა. იგივე ითქმის მეორე ქართვე-ლის — გიორგი კრინერის შესახებ, რომელიც კონსულ ტონუსს 1785 წლის ივლისში თარჯიმან-ის თანამდებობაზე აუყვანია. ამ პიროვნების ტონუსი ახასიათებს, როგორც თურქულად, არაბუ-ლი და სხვა აღმოსავლური ენების საუკეთესო მცოდნეს, რომელთან შედარებითაც მასთან ყო-ფილი ევროპელი თარჯიმნები ჩრდილდაიც კი არ გამოიდგებიანო⁶.

ეგვიპტის ბეიების აჯანყებამ ცუდ დროს მო-უსწრო ხვანთქარის კარს. აჯანყებამ ოსმალთა იმ-პერიის ყველა ბიჭირება მკაფიოდ გამოაოკინა, სახელმწიფოს ყველა წყული მსოფლიოს უჩვე-ნა, მძლავრად გააშუქა და სააშკარაოზე გამოიტტა-ნა ოსმალთა იმპერიის ყველა ბნელი მხარე. ეგ-ვიპტის ბეიების გამოსვლა დასნეულებულ იმპე-რიის სულის დაფვის ერთ-ერთი სიმპტომი იყო; იმავე დროს ამ გამოსვლამ იმპერიის სხვადასხვა კუთხეში მძლავრი აფეთქებები გამოიწვია.

ოსმალეთის სახელმწიფო ორგანიზში მოწილო იყო და ცხოვრების მიერ წამოკრილ ამოცანებს ვერ პასუხობდა. ქვეყანას ფაქტურად განაგებდა ერთი კაცი, რომელსაც იმდენი მოეხერხებინა, რომ ხვანთქარის თვალში ყურანზე უფრო პატიე-საცემი გამხდარიყო და რომლის ყოველ სიტყვას ხვანთქარისათვის ალაპის სიტყვის მნიშვნელობა

¹ იგივე ფონდი, საქმე № 668, ფურც. 30 — 32.

² იგივე ფონდი, საქმე № 700, ფურც. 28—29.

³ წყაროები ამ გაბრიელის გვარს ხან „ტარბა-იძელ“ გადმოსცემენ, ხან „ტარბაისიძელ“.

⁴ იგივე ფონდი, საქმე № 669, ფურც. 9—11.
⁵ იგივე ფონდი, საქმე № 668, ფურც. 26.



ზინებებოდა. ამ კაცს ოსმალით¹ აღმირალის თანამდებობა ეკავა და კაფულან-ფაშად იწოდებოდა. წარმოშობით ეს იყო საქართველოს სომეხი. «გაბრიელ ტარბაისიდის სიტყვით,—ნათქვამია რუსულ წყაროში,—კაფულან-ფაშა, როგორც თვითონ აღიარებს, დაბადებული მეფე ერეკლეს სამფლობელოში — დაბა ფშაველში², რომელიც კავკასიის მთებში მდებარეობს—მოხლოკიდან რამდენიმე დღის, ხოლო დუშეთიდან—ხუთი საათის საეალზე; საზღვარგარეთ ბავშვობაშივე მიხვედრილა და სამშობლოში დედ-მამა და მეუღლესთან ბიძა დარწმუნა» (ტარბაისიძესთან შემოაღწერილი შეხვედრის დროს კაფულან-ფაშას მისთვის უთხოვია— თუ მამამეტი ცოცხალია, მოძებნე და გამომიგზავნე, დავასაჩუქრებ და ისევ სამშობლოში გამოვშვებ³.

ოსმალეთში უძლიერესი მებრძოლე რომ გახდა, კაფულან-ფაშა ყოვლად უმოწყალოდ უსწორდებოდა ნამდვილს და მოჩვენებითს მტრებს. რუსულ წყაროში ნათქვამია: «სახელმწიფოს მოშლამ იმ ზომას მიაღწია, რომ იგიველს გადაჩინელ ტკიან მოღვაწეებს არაფრის ვაძლესოვრება არ შეუძლიათ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კაფულან-ფაშას სიყვარულს ვერ დაიმსახურებენ»⁴.

1785 წელს ოსმალეთში დიდვაზირად⁵ იუსუფ-ფაშა დაინიშნა. ამის შესახებ რუსეთის ელჩი ბულგაკოვი 1786 წლის 15/26 იანვრის მოხსენებაში შემდეგს წერდა: «უკვე ცნობილია, რომ ეს ბიუსუფ-ფაშა ქართველი ტყვე ყოფილა, ცოტახნის წინათ ვალატში⁶ საპნით ვაჭრობდა, ხოლო შემდეგ კაფულან-ფაშას მსახური და კეგიაი⁷ გახდა. ბოლოს ის მისი ბატონის ნების წინააღმდეგ მორეიაში ფაშად ვაგზავნდა. ახალ ვაზირად აღუბოს (ალაში) ფაშა ინიშნებოდა, მაგრამ კაფულან-ფაშამ გიღასძალა და ვაზირად თვითონ საყვარელ პირი — ეს იუსუფ-ფაშა დაინიშნინა, რითაც არა მარტო დიდი გავლენა მოიპოვა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში, არამედ სასულიერო წოდების სიძულვილიც დაიმსახურა. სასულიერო წოდებისათვის მწარე და აუტანელი რამ არის მანტიანზე ემთხვიოს იმ ვაზირს, რომელიც ესოდენ მდაბიო წარმოშობისაა და მცირე ხანში სახელმწიფოს პირველი კადე იქცა»⁷. ხალხიც ახალი ვაზირის დანიშნვას კაფულან-ფაშას მიაწერდა, თუმცა სტამბოლში ის ხმავე დაეყარა, თითქოს ქართველი

იუსუფ-ფაშის ცვაზირების მიზეზი იყო მკაცრი დეილი და, რომელიც ზვანთქარის პარამუნის მშვეგნებას წარმოადგენდა¹. ერთი ხმა იყო მართალი თუ მეორე, ორსავე შემთხვევაში საქმე გვერდოდა უარყოფით მოვლენასთან. ეს მოვლენა დაკავშირებული იყო სისტემასთან, რომლის პირობებში უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშვნა — დიდვაზირად კაცის დაწინაურება ხდებოდა არა პიროვნების უნარისა და თვისებების გათვალისწინებით, არამედ ძლიერი მებრძოლის სურვილით თუ ზვანთქარის ლამაზი ხასის გავლენით.

სახელმწიფო ცვაზირების მოშლას საფარეო გართულებები ემატებოდა. 1786 წლის ზაფხულში ოსმალეთთან ომი ჰქონდათ ტრიპოლის შეიხებს. საბერძნეთის არქიველავში მეკობრეები თარეშობდნენ, აღზანებლები თავს ესხმოდნენ მორეიას², სირიამო მოჯანგე კუჩუქ-ალი არ უსვენებდა ზვანთქარს³; დამსაკოს პროვინციაში საშინელი შიმშილობა, ქირიანობა და უწყლობა მძიმეიარებდა.

ასეთ რთულ ვითარებაში ეწყობა ოსმალეთის ექსპედიცია ეგვიპტის აჯანყებული ბეიების წინააღმდეგ.

ექსპედიციის სარდლობა კაფულან-ფაშას მიენდო. მან ეგვიპტისაკენ სამხედრო-სახლგო ფლოტი დასჭრა. ეს ფლოტი მრავალი ათთული საველე ზარბაზნით იყო აღჭურვილი. ზვანთქარის შეგნებულ ჰქონდა, რომ მარტო სახლგო ძალებით ბეიებთან ვერაფრის გააწყობდა და ეგვიპტეში ჯარებით წასვლის ბრძანებები დაუზავანა პერიფერიების ხუთ ფაშას; ისენი იყვნენ ჩააბოლილი მეჩაშელი, რომან-ოლი ბეიკენდანი, აბდუ-რამანი ფაშა კლისანდი, დალტბან-ოლი და სელიმ-ფაშა სეიდიდან⁴. ყველა ეს ფაშა ურჩებად იყო ცნობილი სტამბოლში. ამიტომ მათ იფიქრეს—ეგვიპტეში წასვლის ბრძანება ჩვენთვის გამოგონებული ხვანაყი არ იყოს და თითოც არ გაუნძრევიათ ექსპედიციის დასახმარებლად⁵. შემდეგში კაფულან-ფაშამ პერიფერიებიდან მართლაც მიიღო მამუელი ძალები, მაგრამ სრულიად არა იმ ოდენობით, რისი მოლოდინიც ჰქონდათ მას და ზვანთქარს.

რაკი მაინცდამაინც არ ჰქონდა პერიფერიის დასახმარების იმედი, ზვანთქარმა კაფულან-ფაშას უბრძანა ალექსანდრიის არ გასცილებოდა და ბეიებთან დიდ შეტაკებას მოერიდებოდა. ბეიებთან მშვიდობიან მოტიკებას ურჩევდა ზვანთქარს ქიაროს გუბერნატორი ივენ-მეჰმედ-ფაშაც, რომელ-

1 ასე უწოდებს რუსული საარქივო წყარო ფაშას.
 2 იგივე ფონდი, საქმე № 669, ფურც. 31—32.
 3 იგივე ფონდი, საქმე № 668, ფურც. 3—4.
 4 დიდვაზირი (რუს. «Верховный Визир») ოსმალეთში ერთკვა დაახლოებით პრემიერმინისტრის მოვალეობის აღმასრულებელ პირს.
 5 კონსტანტინეპოლის გარეუბანი.
 6 ნდობით აღჭურვილი პირი.
 7 იგივე ფონდი, საქმე. № 667, ფურც. 35.

1 იგივე ფონდი, საქმე № 668, ფურც. 3—4.
 2 საღვეობით დასახლებული ზღვის სანაპირო ტერიტორიის სახელწოდება.
 3 იგივე ფონდი, საქმე № 670, ფურც. 22, 3/34 — 35,74.
 4 ოსმალეთის იმპერიის პროვინციათა სახელწოდებანი. მეჩაშელი დამახინჯებაა, უნდა იყოს «მერაკელისა».
 5 იგივე ფონდი, საქმე № 674, ფურც. 22—23.



საც იმდენი ელოდა, რომ აჯანყებულებთან უკვე საერთო ენა გამოენახა 1. აჯანყებულმა ბეიებმაც, რუსეთის ალექსანდრიელი კონსულის ტონუსის შემწევობით, სამშვიდობო წერილი გაუგზავნეს კაფულან-ფაშა², მაგრამ დაზავების წინადადებას ოსმალეთის პატივმოყვარე მებრძოლის ვული ვერ შესძრა.

ალექსანდრიას კაფულან-ფაშა 1785 წლის 24 ივნისს ჩავიდა. იმ საკითხზე, თუ რამდენი მეომარი ჰყავდა მის, წყაროები ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს ვეაწვდნარ. ყოველ შემთხვევაში, მეომართა რიცხვი დიდი არ იყო და ამით აიხსნებოდა ზვანთქრის გაუქმდობა და პერიფერიებიდან ჯარების გამოწვევა. სამაგიეროდ, ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ ოსმალების საექსპედიციო ძალები, რომელთაც მრავალი საეკლესიო ზარბაზანი ჰქონდათ, დიდად სჯობნიდნენ აჯანყებული ბეიების შენარტეხებს.

მტრის ტექნიკური უპირატესობისათვის აჯანყებულმა მამულეებს შეეძლოთ დაეპირისპირებინათ მკვირცხლი და მრავალრიცხოვანი კავალერია, უზადლო თავგანწირულება და ოსმალეთის მრავალსაუკუნოვანი ჩაგვრით გულშეღონებული არაბი მოსახლეობის მხურვალე თანაგრძნობა. რუსულ წყაროებში ნათქვამია, რომ ოსმალთა საექსპედიციო ჯარის ქვემო ეგვიპტეში შესვლის მომენტისათვის ზვანთქრის ძალებს უპირისპირდებოდა 18 ბეი, რომელთაც 40 ათასი მხედარი ჰყავდათ 3. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თითოეულ ბეის ეგვიპტეში ჩვეულებრივ 500—600 მამულეისაგან შემდგარი რაზმა ჰყავდა, მაშინ რუსული წყაროების ზემოთ მოტანილი ცნობა გაზვიადებულად უნდა გვეჩვენოს; ყოველ შემთხვევაში ეს ცნობა გამოაზიზიდა იმ უმჯობელი ქრისტიანებისა, რომ ცოცხალი ძალის მხრივ უპირატესობა აჯანყებული ბეიების მხარეზე იყო. ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ, როგორც წყაროებშია ნათქვამი, ზვანთქრის აუცილებლად მიანდა მტერე აზიიდან კაფულან-ფაშასათვის 20 ათასი მეომარი მიეშველებინა 4.

როგორც უკვე ითქვა, დაზავების მისწრაფებამ, რომელიც ბეიებმა გამოიჩინეს, ნაყოფი არ გამოიქმნა. საქმის გადაჭრა იარაღს მიეწოდო, მაგრამ ტექნიკურად კარგად აღჭურვილი კაფულან-ფაშას ჯართან აჯანყებული ბეიების შემბროლება ქაიროს დანგრევას უქადდა. ეს შეგნებული ჰქონდა ეგვიპტის სატახტოს მოსახლეობას, რომელიც ყოველნაირად ედილობდა, რომ ქაიროს ქუჩებში სისხლისმღვრელი ბრძოლების სპარეზად არ ქცეულყო. ამაზე გარკვევით მიუთითებს ის ცნობა,

რომელიც 1786 წლის აგვისტოში რუსეთში⁵ ბულგაკოვს მიწოდა სმირნაში აკრედიტებულმა რუსეთის გენერალურმა კონსულმა პეტრე ფერინმა: „ქაიროს ერთი შეიხი, რომელსაც ხალხი უკავრებს და პატივს სცემს, მოუწოდებს ბეიებს კაფულან-ფაშასთან ქალაქ ქაიროში ბრძოლა არ გამართონ და ზვანთქრის დემოკრიზონი, ხოლო უკეთუ დემოკრიზონი არ სურთ, გავდნენ ქალაქიდან და მტრს მის ფარგლებს გარეთ შეებან“ 1.

ეტყობა, აჯანყებულ ბეიებს ქუჩაში დაუჯდნენ მთლიანად; მიუხედავად ხანგრძლივი და გულმოდგინე საომარი სამზადისისა, რაც მდინარე ნილოსის ქვემო წელის სანაპიროს გაბაგრებით აღინიშნა, ბეიებმა, როგორც კი შეიტყვეს, რომ კაფულან-ფაშამ მათი სამზადისი აინუნუნა არ ჩააგდო და ქაიროსაკენ დაიძრა, უომრად დაცალეს დედაქალაქი და გეზი ზემო ეგვიპტის მიუდგომელი რაიონებისაკენ აიღეს. აქ, ზემოდასახლებულ მიწებს გარდა არას რაღაც თამაშობა სამხედრო-სტრატეგიულ მოსაზრებაზე: აჯანყებული ბეიები დაადგნენ ომის გაქაიანურების, ზემო ეგვიპტეში მტრის გატყუებისა და მოხერხებული კონტრშეტევის მომზადების პოლიტიკას.

კაფულან-ფაშა ქაიროში 30 ივლისს შევიდა, მან წასული ბეიების შესახებობდა რაზმები ადრინა, ქაიროში აღვირახსნილ ძარცვა-გლეჯას მიჰყო ხელი და იოლად მოპოვებული გამარჯვება სტამბოლს დიდის ამბით შეატყობინა. სტამბოლშიც ქაიროს აღების დღესასწაულით გული იჯერეს.

ზეიმი ზეიმაღ რჩებოდა, ზვანთქრის მთავრობის ზოგიერთი წევრი კი, რომელიც ცოტა შორს იხედებოდა, ქაიროს აღებით საქმეს გათავებულად არ სთვლიდა და აზრს გამოთქვამდა, რომ უკეთეს კაფულან-ფაშა როგორც აჯანყებულ ბეიების ფიზიკურ მოსპობას ვერ მოახერხებდა, ისინი, ქაიროდან მისი წამოსვლის შემდეგ, შესძლებდნენ იქ დაბრუნებას და ოსმალეთის იმპერიის მდგომარეობას წინააღმდეგ შედარებით ერთიორად გააუარესებდნენ.

საინტერესო ცნობას ვაწვდის რუსეთის გენერალური კონსული ტონუსი 1786 წლის წერილში. ერთგან ის წერს: „ოთხი კვირა, რაც კაფულან-ფაშა ქაიროშია, მაგრამ მოსახლეობის ძარცვის მეტი არაფერი გაუკეთებია. მან ფრანგებს 50 ათასი, ხოლო ვენეციელებს 20 ათასი ტალერი მოსთხოვა იმ პირობით, რომ ფულს მექაში მოლოცვლად ქარაგვის გაშვების შემდეგ დააბრუნებდა. 1786 წლის 20 აგვისტოს, როგორც იქნა, ღამიდან ქაიროში აბდი და დერვიშ-ფაშები ჩავიდნენ და 5 ათასი ცხენოსანი თან ჩაიყვანეს; ეგვიპტე მოუტოვებს საშინელ ალიაქოთს, დანიშნულია თიი ახალი ბეი, ხოლო ყველა დანარჩენი ზვანთქრის წინააღმდეგ ბუნტისათვედა არიან გა-

1 იქვე, ფურც. 7.
 2 იგივე ფონდი, საქმე № 678, ფურც. 3—8.
 3 იქვე, № 678, ფურც. 3—8.
 4 იგივე ფონდი, საქმე № 670, ფურც. 76, № 674, ფურც. 22—23.

1 იგივე ფონდი, საქმე № 679, ფურც. 86.

მოცხადებულნი. ქაიროს მოსახლეობის საერთო რწმენა ისაა, რომ ერთობ ძნელია აჯანყებულ ბეიებს მტერი საიეროშიდ მიუღვდეს, იმდენად საიერო ადგილს დასცეს მათ ბანჯი. კაფულან-ფა-შასაც სხვა არაფერი შეუძლია, თუ არა ის, რომ გევიბატის სატახტო სულ ერთიანად გააპარცოს და ქვეყანა დაანგრიოს; ყველა იმის ფიქრობს, რომ ქაიროდან მისი წასვლის შემდეგ აჯანყებულნი ბეთები დაბრუნდებიან და მათშინ ბაროი ევროპიელებს — მათ აქულწა არ ასცდებათ. მე მათ რიცხვში არ მოგხვდები, — იმდენიანად დასძენდა რუსეთის კონსული, — რადგანაც გევიბატელი მოქალაქეები დარწმუნებულნი არიან, რომ მე მათ წინააღმდეგ არაფერს ეწერდი და დიდის მბტივი-თაც შეპყრობიან. მე, — სწერდა დასასრულს კონსული, — არ წავალ ქაიროს და ახალდაყენებული ბეიების კონფირმაციას არ მივიღებ, არ ვიკადრებ იმას, რაც საფრანგეთისა და ვენეციის ელჩებმა ჩაიდინეს¹.

1786 წლის 31 აგვისტოს სტამბოლს ჩავიდა კაფულან-ფაშას შიკრიკი და შემდეგი ცნობა ჩაიტანა: „ერთ-ერთი ახალდაყენებული ბეი, სახელიდ ემირი ვაზაზა, კაფულან-ფაშამ მექას მიმავალ პლოცველთა ქარავენის წინამძღვრად დანიშნა და ქარავენის შესანახი ხარჯებისათვის ქაიროს სოფდარკის სესხად 1300 ქისა ოქრო გამოართვა. შიკრიკის ვაგზავნის დღეს ქაიროს რამდენიმე დღის სავალზე ეწვიენ აბდი-ფაშა-დერ-ჩიკა და სელიმ-ფაშა ლაზელი. მათ მოიყვანეს კორბუსი ცამეტი ათასი მეომრის შემადგენლობით“².

კაფულან-ფაშას თანამომავთაგან გამდგარი ორი ქართველი ბეის — ისმაილისა და ჰასანის იმედიც ჰქონდა. ისინი მნიშვნელოვანი ძალებით უნდა მიშველებოდნენ მას მექადან და შეიძინადან. პირველი მთავანი კაფულან-ფაშამ გევიბატის შეიხ-ბელადად მიიწვია. ისმაილმა მოსწერა: მაგ პოსტის მისაღებად მანამ ვერ ჩამოვილა, ვიდრე ქაიროდან წასული ბეთები შეპყრობილი არ იქნებიან, რადგანაც უამისოდ აზრი არა აქვს ქაიროს პყრობასო.

აჯანყებული ბეთების, მათ შორის აბრამ შინჯაკოვილის, შეპყრობას კაფულან-ფაშა დღედღე-ზე მოვლიდა, მაგრამ იმედმა მალარედ უმტყუნა.

ბეთების მთავარი ძალა 1786 წლის შემოდგომაზე შემოკრებილი აღმოჩნდა აშუტის მთაზე ქ. სოჯუტის (სეუტი) მახლობლად, ქაიროდან ცხენით დიდის სავალზე.

სტამბოლის რუსული საელჩოს ოქტომბრის დღიურში აჯანყებული ბეთების მიერ შერჩეული ბანაკის შესახებ შემდეგი ეწერა: „დღევანი ბეთები ვაიგარებული არიან ციხე-სიმაგრეში, რომელიც ზედ ნილოსთან მიდებარება და ზოგთა მიერ სუიუდის ციხედ, ზოგთა მიერ კი ჰაიაფად იწოდება. ამ ციხე-სიმაგრეს კედლებში 93 ზარ-

ბაზანი აქვს დატანებული, ადგილმდებარეობა უცხოა, სტრატეგიულად ერთობ ხელსაყრელია და ბეთებს ყოველთვის შეუძლიათ ქაიროს ჩაუკეტონ ის გზები, საიდანაც მას სურსათ-სანოვანეც მიიღონ. ახლა მთელი საქმე ისაა, — დასძენდა რუსეთის საელჩოს ყოველდღიური მაგიანის მწარმოებელი, — თუ ბეთებს თოფისწამალი, ზარბაზნის ქუვრები და დაბელოვნებული არტილერიისტები არ მოაკლდებათ, თუ ამ მხრივ ისინი შეპყრობებას არ განიცდიან, მათი ციხე-სიმაგრეიდან გამოძევება, ან, მით უმეტეს — შეპყრობა, მიულწვეულ ოცნებას წარმოადგენს“³.

1786 წლის სექტემბერში აჯანყებული ბეთების ზემოაღწერილი ბანაკის წინააღმდეგ დაიძრნენ კეკიფ-აბდი-ფაშა, დერვიშ-ფაშა და ქაიროში ახალჩასული კაბიჯი-ბაში-ალი-ბეი. მხედრობა, რომელიც მათ მიუსიეს. ბეთების ბანაკს, თოქმის 20 ათას კაცამდე აღწევდა. თითოთ კაფულან-ფაშას ამჯერად მამაკობამ უღალატა და ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა ვერ გაბედა. ამის შესახებ სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 22 სექტემბრის დღიურში ნათქვამია: „კაფულან-ფაშამ, იმის შიშით, ვი თუ ბეთებმა ვაიანდგურონ ოსმალთა ჯარი და ქაიროზე იერიშის მიტანა განიზრახნონ, ყველა მომიჯნავე გასასვლელი ბატარიებით გაამაგრა“⁴.

აშუტის მთის ძირში სეულთან დაბანაკებულ აჯანყებულთა ჯარებს ამურატ-ბეი და იბრაიმ შინჯაკოვილი სარდლობდნენ. როგორც წყაროები მიუთითებენ, მათთან ერთად ბევრი სხვა ქართველი მეთაურიც იყო. ორი მამულეი ბეი — ისმაილი და ჰასანი, ამჯერად ოსმალთა მხარეზე გამოდიოდნენ, მაგრამ, როგორც საისტორიო საბუთები გვაძინებენ, კაფულან-ფაშას ჯარების გამარჯვებისათვის მათ თავი არ გამოუღვიათ.

სტამბოლის რუსული საელჩოს 1786 წლის 15 ოქტომბრის დღიურში ნათქვამია: „უკვე ექვსი კვირაა აშუტის მთის ძირში აბდი და დერვიშ-ფაშები აჯანყებული ბეთების პირისპირ ღვანან. მათ სცადეს იერიშის მიტანა, მაგრამ ბეთებმა დიდის ზარალით უუკაქციეს. ამ მარცხის შემდეგ ხსენებულმა ფაშებმა კაფულან-ფაშას შეუთვალეს — ცხენოსანი ჯარები მოგვავიეულ, თანაც მამულე ჯარებს ისეთივე ცხენები უნდა ჰყავდეთ, როგორც ბეთებს ჰყავთ, თუ არა და არაფერი გამოვივაო“⁵.

რუსეთის საელჩოს ამ ჩანაწერიდან ირკვევა, რომ აბდი და დერვიშ-ფაშები სეულის გამაგრებულ ბანაკისკენ წასულან არა უგვიანეს 1786 წლის სექტემბრის დამდეგისა (ძველი სტილით). ისიც ირკვევა, რომ გადამწყვეტ ბრძოლას წინ

¹ იგივე ფონდი, საქმე № 678, ფურც. 3 — 8.

² იგივე ფონდი, საქმე № 682, ფურც. 80.

³ იგივე ფონდი, საქმე № 678, ფურც. 6 — 7.

⁴ იქვე.

⁵ იგივე ფონდი, საქმე № 678, ფურც. 6 — 7.



უძლია წვრილ-წვრილი შეტაკებები, რასაც ძალ-
თა მოსინჯვის დანიშნულება უნდა ჰქონოდა.
ძალთა ეს მოსინჯვა ოსმალთა ჯარის სანუგეშოს
არაფერს უქადდა.

თავი და თავი ამბავი წინ იყო. ახლოდებოდა
ერთ-ერთი უდიდესი სახმელეთო ბრძოლა, რომე-
ლიც კი ეხილა ოდენსე ეგვიპტის მრავალტანჯულ
მიწა-წყაღს...

ეგვიპტელი ხალხის აჯანყების ბედ-იბღოსა-
თვია ამ გადაწყვეტ წუთში საფრანგეთის მო-
ნარქისტული მთავრობა როგორც მორალურ-პო-
ლიტიკური აზრით, ისე მატერიალურადაც კა-
ფულან-ფაშას ექსპედიციას უჭერდა მხარს და
ეხმარებოდა. ამ საკითხზე სანატიერესოა ის ჩანა-
წერი, რომელიც სტამბოლის რუსული საელჩოს
1/12 ოქტომბრის მოხსენებას დაერთო. ხსენე-
ბულ დოკუმენტში ნათქვამია: „17 სექტემბერს
ალექსანდრიიდან ერთი ხომალდი მოვიდა. მან,
კერძო წერილები მოიტანა. ერთი წერია შედ-
გენილია ბანკირ გიმუის სახელზე და ხუთი სექ-
ტემბრითაა დათარიღებული. წერილში ნათქვა-
მია, თითქოს ბეიები მეტად შევირეებული იყუ-
ნენ, დაკარგათ მნიშვნელოვანი ცოცხალი ძა-
ლა, არც სურსათი გააჩნდეთ, არც სამხედრო მა-
სალები, გაეძარცვათ არაბებს, ერთი ბეი თით-
ქოს კიდევაც მოეკლათ, გარემოცული ჰყავდეთ
კაფულან-ფაშას ჯარებს და არაბებს როგორც
ხმელეთის, ისე ნილოსის მხრიდან, და თითქოს
მათ ან ბრძოლაში დაღუბა ეწერიათ, ანდა
ტყვედ ჩაბარება. ეს ცნობა, — დასაყენის რუსე-
თის ელჩი, — დაწერილია კაფულან-ფაშას სა-
ამებლად, რომელიც სტამბოლისაკენ არც უშეგებს
აირახლსაყრელი შინაარსის წერილებს. საფრან-
გეთის გემის კაპიტანი დანიტიერესებულ პირთ
მოუთხოვს, თითქოს კაფულან-ფაშამ ქაიროში
წესრიგი აღადგინა, თითქოს იბრაიმ-ბეის (შინ-
ჯიკაშვილის — დ. ჯ.) ცოლმა მას გაუღო ქმრის
საგანძურები, სადაც 10 მილიონი პასტრი ინა-
ხებოდა, რომ კაფულან-ფაშას ბანაკისაკენ ყო-
ველდღე სხვადასხვა მხრიდან ჯარები მიედინე-
ბიან, რომ მან მოჯანყე ბეიები სეუტში („სო-
გუტი“) შერევა, სადაც მათ ან უშეგველი და-
ღუპვა ელოდით, ანდა ახლა უკვე ტყვედ არიან
ჩაგარდნილი. ყოველივე ეს, — დასძენს ელჩი, —
სიმართლეს ნაკლებად წააგავს. კაფულან-ფაშას
რომ იბრაიმ-ბეის ათმილიონიანი ქონება ენახა,
მას არაფრად დასჭირდებოდა ფრანგებისაგან თა-
მასუქით აეღო ასი ათასი პასტრი სესხი, რომ-
ლის შესახებაც თვით ვერსალის ელჩმა მიაძ-
ბო. ოსმალეთის გავლენიანი პირები ამბობენ,
რომ ეს არაგები ფრანგების მიერ არის შე-
თხზული“ 1.

მაგრამ საფრანგეთის ვერც მორალურმა და
ვერც მატერიალურმა მხარდაჭერამ ვერ უშე-
ველა ოსმალეთს. ვერ უშველა, რადგან სა-

მართლიანობა და ხალხის თანაგრძობა
ყებული ბეიების მხარეზე იყო. რუსეთის სა-
ელჩოს ერთ-ერთ იმდროინდელ მოხსენებაში
შემდგენი ეწერა: „ალექსანდრიიდან ჩასულ სა-
ვაკრო გემებზე ნაოვენ კერძო წერილებს ხვან-
თქრის მთავრობა კონფისკაციას უშვებდა, რათა
ეგვიპტის შესახებ სინამდვილემ ხალხში არ შე-
აღწიოს. კაფულან-ფაშამაც გამოჰყო საგანგებო
მოხელე, რომლის წინასწარი ცენზურა უნდა
გაიაროს სტამბოლს გამოსავლენამა ყველა კერძო
წერილმა. მაგრამ სიმართლე მაინც გზას იკავებს.
სტამბოლში შემოაღწია ცნობამ, რომ აჯანყებუ-
ლი ბეიების ბანაკს ყოველის მხრიდან დაუსრუ-
ლებლად ემატებიან არაბთა შეიარაღებული რაზ-
მები. აქა-იქ ხმაც კი დარჩა, თითქოს ისმაილ-
ბეისაც (რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, ქარ-
თველი იყო. — დ. ჯ.) ელაღატოს ოსმალეთისა-
თვის და თავის მეტოქეებს ამურატ და იბრაიმ-
ბეიებს მისდგომოდეს, რადგან თურმე ვერაფრად
მოსწონებია კაფულან-ფაშას მიერ ჰარამხანის
შელახვა და ტყვეთა სახით აჯანყებული ბეიების
ცოლ-შვილის დაყიდვა“.

გადაწყვეტი ბრძოლა სეუტთან 1786 წლის 25
ოქტომბერს მოხდა (ძველი სტილით). ამ ბრძო-
ლამ არსებითად გადასწყვიტა აჯანყების ბედი.

სეუტთან ანუ სოგუტთან მომხდარი ისტორიუ-
ლი ბრძოლის შესახებ ჩვენ მოგვეზოვება რამდენ-
იმე რუსული საარქივო ცნობა. სტამბოლის
რუსული საელჩოს 1786 წლის 30 ოქტომბრის
(ძველი სტილით) დღიურში ნათქვამია იყო
„აჯანყებული ბეიები ანუტრის მთებთან ძირს
ჩამოდიოდნენ და განზრახვა ჰქონდათ ჯურჯა-
საკენ გადაენაცვლებინათ. აშუტის მთის ძირას
დაბანაკებული ოსმალთა ჯარი მათ გზას უღო-
ბავდა. ამიტომ ბეიები 25 ოქტომბერს თავს ოა-
ცისხნენ ამ ჯარს, რომელსაც აბდი და დერვიშ-
ფაშები სარდლობდნენ და მუსრი გაავლეს — და-
ხოცეს, როგორც ამბობენ, მტრის ხუთი ათასამ-
დე მეომარი; ისმაილ-ბეი, რომელსაც რეზიდენ-
ცია ზემო ეგვიპტეში ჰქონდა და რომელიც კა-
ფულან-ფაშას ემხრობოდა, მძიმედ არის დაჭრი-
ლი; ბრძოლის ველიდან ქაიროს ხუთი კაციღა
დაბრუნდა; პასან-ბეის შესახებ არავინ არაფერი
იცის. ახლა აჯანყებული ბეიები ჯორჯში არიან.
მათ დაიპყრეს ზემო ეგვიპტის საუკეთესო პრო-
ვინციები, მათი ჯარები ბევრი არაბით შეივსო
ახლა ეს ბეიები თვითონ მიიწვევენ ბრძოლაში
მაგრამ პარტიზორს ვეღარ ჰხედავენ; კაფულან-
ფაშამ ალექსანდრიას, როზეტას და დამიესტას
ბრძანებებით აფრინა — შეკრიბეთ ჯარი, ნებთ
თუ ძალით ახლმრად გაიწვიოთ ყველა, ვისაც კი
თავი თეთრი ან წითელი შალით აქვს შეხვეულა“
და მდგომარეობის განუყოფავად ქაიროს გამო-
გზავნეთ 1. იმავე რუსული საელჩოს 27 ოქტომ-



ბრის (ძვ. სტილით) დღიურში ნათქვამი იყო: „გუშინ სოფელ დიმიტრიაში, დიდვაზირის ინკოგნიტოდ ყოფნის დროს, ხვანთქარს ეწვია კაფუღან-ფაშას შიკრიკი მიურგდარ იამაგი—ბეკულის მეცელის თანაშემწე, და ამასთან დაკავშირებით ხალხში ხმა გავარდა — აჯანყებული ბეიები მოულოდნელად თავს დაეცნენ ოსმალთა ბანაკს, დიდი არეულობა გამოიწვიეს, ჯარი განადგურეს და სარდლებიც კეკიკ-აბდი-ფაშა და დერვიშ-ფაშა მოუკლეს. ამის გამო კაფუღან-ფაშამ ხვანთქარს შემოუთვალა — რაც შეიძლება სწრაფად მომავლე ჯარებით“¹. 1 ნოემბრის (ძვ. სტილით) დღიურიც ამავე ფერებში ხატავს ისტორიული ბრძოლის ვითარებას: „ამ დღეებში კვიბროსიდან ჩვეუდარი ჩამოვიდა და სთქვა — ჯარების ნაწილებიდან, რომლებიც აჯანყებული ბეიების წინააღმდეგ წარიგზავნენ, ბევრი კვიბროსზე დაბრუნდა. ესენია, უმთავრესად, დაჭრილები; განადგურებულმა ოსმალებმა მთელი ბანაკი და არტილერია გამარჯვებულ ბეიებს დაუბრუნეს“².

25 ოქტომბრის ბრძოლამ საშინლად წაუხდინა

ბრესტიეი ხვანთქარს. მანაც ამავერად საქმებზე ხელი ჩაიქნია, რუსეთთან თომის გართულებით შემოფოთებულმა, კაფუღან-ფაშას სტამბოლს სასწრაფოდ დაბრუნება უბრძანა და ბეიებთან კონფლიქტი სამშვიდობო მოლაპარაკებას და გაქნილი ივენ-მეჰმედ-ფაშას ოსტატობას მიანდო. სირცხვილწვეულმა კაფუღან-ფაშამ თითქმის იმით მოიკლა ჯაერი, რომ შეიპყრო რუსეთის ალექსანდრიელი კონსული ტონუსი, რომელიც ბეიებს თანატყარძობდა, და სტამბოლს წამოყვანა დაუპირა. ბეიების ჩარევით ტონუსი განთავისუფლებული იქნა.

კაფუღან-ფაშა ბრძანებას არ ასრულებდა და სტამბოლს წასვლას აყოენებდა იმ იმედით, იქნებ ზემო ეგვიპტის არაბთა მისამზრობად გაგზავნილმა ქართველმა ჰასან-ბეიმ წარმატებით გართვას თავი ამ ამოცანას და მოახერხოს ოსმალეთის სასარგებლოდ ამბების შემოტრიალება. მაგრამ ჰასან-ბეი იბრაიმ-შინჯიკაშვილის პარტიას მიემხრო და მის მიერ შემოკრებილ არაბთა რაზმებით საექსპედიციო ძალებს შეუტია¹. ამ გარემოებამ კაფუღან-ფაშა აიძულა ეგვიპტიდან თავს დასაფრთხილებული სტამბოლს წასულიყო და ბრესტიეის აღდგენა რუსეთთან ომში ეცადა.

¹ იქვე.
² იქვე.

¹ იქვე.



ამსტრალი

პრიტჩარდს მიემდვნა

ავსტრალიის ლიტერატურულმა ჟურნალმა „ოვერლენდმა“ მთელი ნომერი მიუძღვნა ცნობილ პროგრესულ ავსტრალიელ მწერალ ქალს კატერინა სიუზანა პრიტჩარდს. ნომერში დაბეჭდილია მოგონებები იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო პრიტჩარდმა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა, როგორც ჟურნალისტმა. დაბეჭდილია აგრეთვე სტატიები მისი ლიტერატურული ოსტატობის შესახებ, პრიტჩარდის, როგორც მშვიდობისათვის მებრძოლისა და საბჭოთა კავშირის მეგობრის მნიშვნელობის შესახებ. აქვეა თვით მწერლის ნარკვევი — „ქვეყანა, რომელიც მე მიყვარს“.

ამსტრია

ბიჭუნა გოგონად იძვა

ინსბრუკის მუზეუმის ერთ-ერთმა ყველაზე განთქმულმა სურათმა სქეის იცვალა — როდესაც რესტავრაცია უუვებს პეტერ დროსტის სურათს „ბიჭი შევარდნით“, გამოირკვა, რომ ეს ბიჭუნა ყოფილა გოგონა, ხოლო შევარდნე — მტრედი, ასე რომ ამჟამად სურათს ეწოდება „გოგონა მტრედით“.

2.500 წლის წინანდელი პიშა

ვენის ბურგეტატრი დასადგმელად ამჟამად მენანდერის კოლეიას — „დისკოპოლი“,

რომელიც ამ 2.500 წლის წინათაა დაწერილი. დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ ნაწევრები ამ პიესისა. სრული ტექსტი ამას წინათ აღმოაჩინა ცნობილმა შვეიცარიელმა კოლექციონერმა მარტინ ზოდმერმა.

ალბანეთი

მსოფლიო კლასიკოსების გამოცემა

ალბანურ ენაზე პირველად გამოდის მსოფლიო ლიტერატურის განთქმული ნაწარმოებები, მათ შორის ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, გრიბოედოვის, გოგოლის, ტურგენევის, ჩეხოვის, გორკის და ალექსეი ტოლსტოის ნაწარმოებები.

აშშ

სტინბეკი „გამწყურალი ახალგაზრდობის“ შესახებ

ამერიკელმა მწერალმა ჯონ სტინბეკმა ინტერვიუ მისცა ინგლისურ ჟურნალს „ბუქ ენდ ბუქმენს“. მან განაცხადა, ძალიან მომწონს ინგლისელი „გამწყურალი ახალგაზრდობის“ ლიტერატურული მიმართულებანი, მეც ოდესღაც ვიყავი და, კაცმა რომ თქვას, დღემდე დავრჩი „გამწყურალი ახალგაზრდა“. სტინბეკმა დაუთარო, რომ ვერც ერთი ადამიანი, ახალგაზრდა იქნება ის თუ მოხუცი, ვერ მოიტანს ვერავითარ სარგებლობას, თუ

ერთხელ მაინც არაფერმა გააჯავრა და განარისხა.

ჩინური მოქმედი

ამერიკის სახვითი ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელმა ჯონ ბროუნმა დაწერა მეტად საგულისხმო წიგნი ამერიკული მხატვრობის შესახებ. მან დაამტკიცა, რომ რეალისტური მიმართულების ნაცვლად ამერიკაში არნახულად გაბატონდა ყოველგვარ ხატოვანებას მოყვებული აბსტრაქტული მხატვრობა. გაქრა ყოველგვარი მიმართულება — სოციალური თემატიკის მიმდევარი მიმართულებებიც და თავისებური „სიმბოლური რეალიზმიც“. ამერიკული ფერწერა მთლიანად მიმბაძველობა ევროპული კუბიზმისა და სიურრეალიზმისა, ამ გარედან შემოტანილი მიმართულებებისა, რომლებმაც ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვეს იქ, სადაც ხობტას ასხამენ უკიდურეს ინდივიდუალიზმს. გასაოცარი არაა, რომ ამერიკული ფერწერა, რომელმაც ზეირიანად ვერც კი გაიგო ზემოხსენებული ევროპული მიმართულებები, ჩინში მოექცა. ამას მოწმობს ამერიკული სახვითი ხელოვნების გამოფენა არა მხოლოდ თვით ამერიკაში, არამედ, განსაკუთრებით, ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე.

„ახალგაზრდა მკითხველთა კლუბები“

შარშან ამერიკაში დაიწყეს ე. წ. „ახალგაზრდა მკითხველ-



თა კლუბების“ შექმნა. კლუბების არცთუ ისე იოლი საქმე აკისრიათ — ისინი უნდა ებრძოლონ არა მხოლოდ ხალხურულ ლიტერატურას და ნაირ-ნაირი კომიკების სერებს, არამედ იმ გულგრილობასაც, რომელსაც სულ უფრო მეტად იჩენს წიგნებისადმი ამერიკელი ახალგაზრდობა. კარგი წიგნების ძლიერი კონკურენტებია კინო და ტელევიზია. მაგრამ შკითხველთა კლუბების ხელმძღვანელებმა (რომელთა უმრავლესობა ამერიკის სკოლების მასწავლებლებია) მინც შიადწინ გარკვეულ წარმატებას — კლუბის წევრები, ძირითადად საშუალო სკოლებისა და კოლეჯების მოსწავლეები, თვითონ არჩევენ წიგნებს, კამათობენ წყაიხსულის თაობაზე და უკვე შემთხვევით კი არა, რეგულარულად ყიდულობენ წიგნებს.

ბელგია

პრემიები ვალონური ლიტერატურისათვის

ვალონური ენის გადარჩენის მიზნით ქალაქ ლიეჟში დაწესეს პრემიები ვალონურ ენაზე დაწერილი ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, ვინაიდან ეს უძველესი ენა თითქმის მოკვდა.

გერმანია

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

მეზობელი პიესა

დასავლეთგერმანელმა დრამატურგმა ი. რენფიშმა დაწერა პიესა — „უშიშოდ“. დრამაში გამოყვანილი არიან მეცნიერები, რომლებიც საფრთხეში ავადებენ კაცობრიობის ზედს და რომლებსაც მათი ავადმყოფური პატავმოყვარეობა მიიყვანს დანაშაულამდე, ატომით დალუპავამდე. მიუნხენის პროგრესული ჟურნალი „პანორამა“ კარგ შეფასებას აწლევს ამ მეზობელ, აქტუალურ პოლიტიკურ პიესას, რომელიც ჯერ მხოლოდ წიგნად გამოვიდა, რადგან ამ პიესის დადგმა ვერც ერთმა თეატრმა ვერ გაბედა..

მეორეების სახელოვნოებში

მიუნხენის ჟურნალმა „დი კულტურ“ გამოაქვეყნა თანამედროვე გამოჩენილი მწერლების ინტერვიუ იმის შესახებ, თუ რას წერენ ახლა და რის დაწერას აპირებენ ახლო ხანში. ლეონჰარდ ფრანკი ამთავრებს ახალ პიესას და აპირებს დაწეროს თანამედროვე ცხოვრების ამსახველი დიდი რომანი, სადაც გადაწყვეტილი იქნება დასავლეთისა და აღმოსავლეთის შორის დაძაბული მდგომარეობის პრობლემა. იოჰან ფაბრიციუსი ამთავრებს რომანს „წმიდა ცხენები“, კუნძულ სუმაას (იავას ჩრდილოეთით) ცხოვრებიდან. ფრანსუა

მორიაკმა დასაბუდედად მოაქვს და თავისი ავტობიოგრაფიის ხოლო ანდრე მორუნა ამთავრებს ბიოგრაფიულ რომანს პენცილინის გამოგონებლის აღქმასანდ ფლემინგის ცხოვრებიდან. ვიწუნზორნმა თავისი ახალი პიესისთვის აირჩია ისტორიული სიუჟეტი, რომლითაც სურს თანამედროვე პრობლემებიც გადაჭრას. პიესის სახელწოდებაა „ნევადელი ოჯახი“. არნოლდ ცვეგი კორექტურას უკეთებს სტატიების დიდ კრებულს — „შექსპირიდან ბრეტამდე“ და მოშაობს უკანასკნელ რომანზე ციკლიდან „თეთრი მამაკაცების ომი“; ამ რომანის სახელწოდებაა „ყინული ტუდება“. რომანში ასახულია გერმანია პირველი მსოფლიო ომის დასასრულს.

გვატემალა

„ჩემი დროის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი“

ფრანგული ჟურნალი „ლიტერფრანსე“ იუწყება, რომ გვატემალელი მწერლის მიგელ ანხელ ასტურიაის უკანასკნელმა წიგნმა დამსახურებული უწარადლება და მოწონება დაიმსახურა. ჟურნალი ასტურიაის უწოდებს ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს მწერალს. ასტურიაის მოთხრობები ეძღვნება ამერიკულ ინტერვენციას გვატემალაში 1954 წელს.

ღანიკა

ესპერანტოს ენაზე

კომუნისტურ არსებობს გამოცემლობა, რომელიც ესპერანტოს ენაზე სცემს წიგნებს. ამას წინათ აქ გამოვიდა ეწოპეს ივავ-არაკები, რომლებიც ესპერანტოს ენაზე თარგმანუნგრელმა პოეტმა კალმან კალოჩაიმი.

ფილმი ანდერსენ ნიკსას შესახებ

იღებენ დოკუმენტურ კინოფილმს, რომელშიც ასახული

სამკვეთროდ განთავსული არქიტექტორი

მ წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოში სახელმწიფევილი ამერიკელი არქიტექტორი ფრენკ ლოიდ ფრენკი, რომელმაც რევოლუცია მოახდინა არქიტექტურაში ახალი ამერიკული სტილით, ახალი მხალეების გამოყენებით და გაბედული ხაზებით. ამერიკის მრავალ ქალაქს ატყუა მისი ორიგინალური ხელოვნების კვალი. საქვეყნოდ განთქმულია ამერიკის სამხრეთ-დასავლეთით, ზღვისპირა კლდეებზე მის მიერ აგებული ვილგები, ტოკიოში აგებული დიდებული სასტუმრო „იმპერიალი“, რომელიც გადარჩა იაპონიის დიდი მიწისძვრის დროს, როცა მის ირგვლივ ქალაქის თითქმის მეთხმედი ნანგრევებად იქცა, აგრეთვე მისი პირველი შემოქმედება — ნიუ-იორკის ზუგენ-ჰეიმის მუზეუმი.



იქნება დიდი პროგრესული დანიელი მწერლის მარტინ ანდერსენ ნეკეს ცხოვრება. ფილმის კონსულტანტია ნეკეს მეუღლე. ფილმის გადაღება უნდა დასრულდეს ამა წლის 25 ივნისისთვის, მწერლის დაბადების 90 წლისთავისთვის.

მათი ვაჟაკური ბრძოლა, სამშობლოს ღრმა სიყვარული და ღრმა რწმენა იმისა, რომ მათი საქმე სამართლიანია — ავი ამიტომაც ვერას ვახდენ მათთან საუბრანგეთის კლონიური არმიის ჯარისკაცები.

ივრალი

შემვლენი მიწისძვრა ქალაქი

ივრალის სამხრეთ ნაწილში ექვსი წლის მუშაობის შემდეგ დამთავრდა 6.000 წლის წინანდელი ქალაქის ნანგრევების გათხრა. ამ უძველესი ქალაქის სახელები ნაგებია 2 — 3 მეტრით მიწის სიღრმეში, ამასთან 3 — 4-სართულიანი შენობები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ გვირაბის მსგავსი დერეფრებით.

ინგლისი

რუსული ენის რადიოკურსები

წელს, შემოდგომაზე, ბიბისი დაიწყებს რუსული ენის გაკვეთილებს გადაცემას, სათანადო მასალების დამუშავებაში მონაწილეობს ოქსფორდის უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის ხელმძღვანელი, გეგმის მიხედვით პირველი გადაცემები მეტწილად მიეძღვნება იმ სიტყვებს, რომლებიც უკვე საერთაშორისოდ იქცა (მაგ., „სპუტნიკი“). მსმენელებს შეუძლებელია მსოფლიოში განთქმული რუსული სახელების (მაგ., ტოლსტოი, დოსტოევსკი, ბუშინი და სხვ.) გამოთქმასა და მნიშვნელობას. კურსები ერთწლიანია, კვირაში ერთხელ გადაცემენ თითო გაკვეთილს, რომელსაც კვირის განმავლობაში რამდენჯერმე ვაიმეორებენ. დინტერესებულებს სათანადო სახელმძღვანელოებთან უზრუნველყოფენ.

როზსონისადმი მიძღვნილი სიმღერა

ცნობილმა ინგლისელმა კომპოზიტორმა ალან ბუშმა თავისი უკანასკნელი ნაწარმოები — საგუნდო სიმღერა „მის

თურქეთი

თურქი ფრანსუზა სტანინი

თურქეთსაც გაურჩდა თავისი ფრანსუზა სტანინი — ამას წინათ სტამბულის ერთ-ერთმა გაზეთმა დაიწყო ბეჭედა როზანისა — „ადაშიანი, რომელიც, სავ ეძებს ჩემი გული“. ავტორის ვინაობა უცნობი იყო, რადგან რომანი იბეჭდებოდა ფსევდონიმით — იოა ბაიღარი. შემდეგში გამოიკვა, რომ ამ საკმაოდ უწმაწური რომანის ავტორი ყოფილა სიონის ღვთისმშობლის ქალთა მონასტრის პანსიონის აღსაზრდელი 17 წლის ქალიშვილი. ამ ამბავმა დიდი სკანდალი გამოიწვია, ვინაიდან მდიდარი თურქები ამ ფრანგულ პანსიონში ახარებდნენ ხოლმე თავიანთ ქალიშვილებს.

იაკონია

საბჭოთა ლიტერატურის მთარგმნელი

ტოკიოში გარდაიცვალა იაპონელი მწერალი და მთარგმნელი მიცუტარუ ინოუე, რუსული ენის დიდი მცოდნე და საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო მთარგმნელი.

იქვე დააპატიმრეს

პროგრესული იაპონელი მწერალი ტერუ ტაკარურა, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, იაპონიის კომპარტიის ცუკას ყოფილი წევრი და იაპონიის პარლამენტის დეპუტატი, რომელიც ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნდა, ჩასვლისთანავე დააპატიმრეს ტოკიოს აეროდრომზე.

ესპანეთი

ესპანანტული ანთოლოგია

კანარის კუნძულების ერთ-ერთი გამოცემლობა გამოაცემდა ამხელის ესპანანტული პოეზიის ანთოლოგიას. კრებულია რელიქტორია შოტლანდიელი პოეტი-ესპერანტისტი ოულდი. ანთოლოგიაში შევა მსოფლიოს 38 ქვეყნის 90 პოეტის მიერ ესპერანტოს ენაზე დაწერილი 850 ლექსი.

ფრანკოს პოლიტიკის წინააღმდეგ

ცნობილმა ესპანელმა მწერალმა ხოსე მარია რემუნო მადრიდის მონარქიული გაზეთის „იბაზა“-ის ფურცლებზე გამოაქვეყნა მოთხოვნა, რომ ყველა ესპანელ ინტელიგენტს, ვანურჩეულად მისი პოლიტიკური მრწამსისა, მიეტოს ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნების ნება. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, თუ რაირე უკმაყოფილონი არიან ფრანკოს პოლიტიკით უფით ის წრეებიც, რომლებიც ადრე მხარს უჭერდნენ მას.

ვიეტნამი

„ნუპი, მთების გმირი“

ვიეტნამის მწერალთა და მხატვართა კავშირმა პირველი პრემია მიაკუთვნა მწერალს ნგუენ ნგოტას რომანისათვის — „ნუპი, მთების გმირი“. რომანში აწერილი არიან გამათავისუფლებელი ომის გმირები, სოფელი პარტიზანები,

მემსიქური პოემების ანთოლოგია

ამერიკის ყველა ლიტერატურათა შორის ყველაზე უძველესი ტრადიციები მექსიკურ პოეზიას აქვს. პირველ პოეტთა სახელები აქ ჯერ კიდევ კოლონიური ხანის დასაწყისში გაჩნდა. მაგრამ დღეს ამ პოეზიას, ლათინური ამერიკის დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით, თითქმის არავინ იცნობს მექსიკის საზღვრებს გარეთ. ამას წინათ ამერიკულმა უნივერსიტეტმა ინდიანაში ინგლისურ ენაზე გამოსცა „მექსიკური პოეზიის ანთოლოგია“, რომლის რედაქტორია მექსიკელი პოეტი ოქტავიო პასი. ლექსების თარგმნა დაევალა სემუიელ ბეკეტს, რომელმაც, როგორც ამბობენ, ინგლისურ თარგმანს გასაოცარი ოსტატობით შეუღწარუნა ესპანური ენის უღერადობა.

სიმღერაში მღერის მსოფლიოა — უძღვნა პოლ რობსონს. ეს ახალი ნაწარმოები პირველად ჰალში, ჰენდელის საიუბილეო დღეებში შესრულდა.

რომანი ახალგაზრდობის შესახებ

ინგლისელი მწერალი ქალის სტელა გიბსონის რომანი — „იქ დრაკონები არიან“ თუმცა 1958 წელს გამოვიდა, მაგრამ ისე ძლიერად აღწერს, თუ რა ნაირად ცხოვრობს დღევანდელი ინგლისელი ახალგაზრდობა, რომელსაც მძიმე და რთული პრობლემები აწუხებს, რომ დღემდე ინგლისშიც უდიდესი ინტერესით იკითხება და მრავალ უცხო ენაზეც ითარგმნა.

ოსპორნის მუსიკალური კომედია

ინგლისის „გამწყრალ ახალგაზრდათა“ მეთაურის ჯონ ოსპორნის პირველ მუსიკალურ კომედიას ინგლისში შერეული გრძნობით შეხვდნენ. კრიტიკოსების აზრით, ოსპორნმა თავის ამ ნაწარმოებში ისე ვადახლართა ერთმანეთში სექსუალობა და გროტესკი, რომ მხახველი, იმის მაგივრად, რომ გაერთოს, გაოგნებული რჩება. კომედია, რომელსაც ჰქვია „პოლ სლიის სამყარო“, მიმართულია ყვითელი ჟურნალისტების წინააღმდეგ.

იტალია

ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი

განთქმული იტალიელი გამოგონებელი ლუიჯი მური, რომელიც დღემდე ავიამშენებლობას და ზუსტ მექანიკას ამდიდრებდა თავისი გამოგონებებით, ახლა მუსიკის დარგში შეიჭრა. მან შექმნა ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელსაც „პენტაკორდი“

წოდდა. არსებითად ესაა ხუთ-სიმიანი ვიოლინო, რომელსაც საუცხოო ტონი აქვს და მშვენივრად ჩაერთვება ყოველნაირ ორკესტრში.

კამბოჯა

მწერალთა დღესასწაული

კამბოჯაში დაარსდა „ლიტერატურული გაზეთი“ — მწერალთა პირველი ჟურნალი ამ ქვეყნის ისტორიაში. ეს ამბავი კამბოჯის მწერალთა დღესასწაულად იქცა. ჟურნალი შეიქმნა 8 გვერდს და ორ კვირაში ერთხელ გამოდის. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს კამბოჯის ლიტერატურისა და კულტურის განვითარებას და გარს შემოიკრიბოს ხელოვნების ყველა პროგრესული მოღვაწე.

მექსიკა

მაიას ტომის ძალაქი

მექსიკის ყურეს ერთ-ერთ შორეულ კუნძულზე აღმოაჩინეს მაიას ტომის ძალაქი, რომელიც VII საუკუნის მიეკუთვნება. ხელისუფლება იძულებული შეიქნა გამოეცა სასტიკი ბრძანება იმის თაობაზე, რომ აკრძალულია რაიმე ნივთის გატანა ძალაქიდან, თუ არ იქნა განსაკუთრებული ნებართვა. თურმე ამ ორიოდ წლის უკან კუნძულზე მოსულა ჯგუფი, რომელსაც ამოუთხრია ათასამდე ქანდაკი და ამერიკაში გაუგზავნია. უფრო მოგვიანებით გამოირკვა, რომ მათ წარუდგენიათ ყალიბი ნებართვა და მექსიკისთვის უზარმაზარი მატერიალური ზარალი მიუყენებიათ. გამოირკვა აგრეთვე, რომ დგობება ტლაზოლტეოტლის იშვიათი ქანდაკება რამდენიმე ათას ფრანკად უყილია ერთ ფრანკ კოლექციონერს, ხოლო მის ახლანდელ მფლობელს უკვე 80.000 დოლარი გადაუხდია მის ხელში ჩასაგდებად.

10.000 წლის მუშია

მექსიკის ერთ-ერთი შტატის სონორის ჩრდილოეთით აღმოაჩინეს საცხებით კარგად შენახული 30 მუშია, რომლებიც 10.000 წლისაა. ეს მუშიები მიეკუთვნება ინდიელების ცნობილ ეთნოურ ჯგუფს — პიმამს.

პოლონეთი

ჰემინგუეის პრემია

ერნსტ ჰემინგუეის განწარხული აქვს ჩავიდეს ვარშავაში, რათა იქ დააწესოს თავისი სახელობის ლიტერატურული პრემია, რომელიც ყოველწლიურად მიეკუთვნება საუკეთესო პოლონური რომანის ავტორს.

ლემონ კრუჩკოვსკის ინტერვიუ

გაზეთმა „ტრიბუნა ლიტერატურა“ გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის ინტერვიუ გან-



თქმულ პოლინელ მწერალთან და დრამატურგთან ლეონ კრუჩკოვსკისთან მისი შემოქმედებითი გეგმების შესახებ. კრუჩკოვსკი წერს ტყვეთა ბანაკის ცხოვრების ამსახველ დიდ რომანს და თანამედროვე ცხოვრების ამსახველი მოთხრობების ციკლს.

რუმინეთი

**ახალი ნაწარმოებები
ხვდებიან**

რუმინელი მწერლები ემზადებიან თავისი სამშობლოს გათავისუფლების 15 წლისთავის ზეიმისათვის. პოეტი ქალი მარია ბანუში წერს ვრცელ პოემას „მდინარება“, რომელიც მას შთააგონა რუმინელი კომუნისტების გმირულმა ბრძოლამ; ნინა კასიანი წერს ახალ ნაწარმოებს „თეატრი დია ცისქვეშე“; ეუსებიო კამილარი ამთავრებს დიდ რომანს „სამხრეთის ქარი“, რომელიც მიეძღვნება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. გარდა ამისა მწერალი ამთავრებს ნარკვევებისა და მოთხრობების კრებულს, აგრეთვე პიესას.

**მთარგმნელის
დაჯილდოება**

უნგრეთის პენ-კლუბმა სამახოვრო მედალი გადასცა რუმინელ პოეტს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ეუშენ შუბელიანუსს, რომელმაც საუცხოოდ თარგმნა რუმინულ ენაზე უნგრელი პოეტების პეტეფისა და ადის ლიქტეი.

საბერძნეთი

სკოლებისთვის ალბარჩიგება

საბერძნეთის პრესა იუწყება, რომ 8.000.000 ბერძენიდან 2.500.000 წერა-კითხვის უცოდინარია. მთავრობა წერა-კითხ-

ვის უცოდინარობას იმით ამართლებს, რომ სკოლები არ გვეოდინის. მაგრამ გაზეთები აცხადებენ, სკოლებიც გვეუფოდა და მასწავლებლებიც, მთავრობა რომ შეიარაღებულე არ ხარჯავდეს ამდენ ფულსო.

საფრანგეთი

არმან ლანუს ახალი რომანი

ფრანგმა მწერალმა არმან ლანუსმა, რომელსაც მიეკუთვნა 1958 წ. ლიტერატურული პრემია საბჭოთა მეთევდილისთვის კარგად ცნობილი ანტისაომარი რომანისათვის — „მეორე ვატრენი“, დაწერა ახალი რომანი — „რას თამაშობენ ჯალათის შვილები“. ამ რომანში ლანუს კვლავ დაუბრუნდა თემატიკას, რომლითაც დაიწყო თავისი შემოქმედება. წიგნში აღდგენილია გასული საუკუნის 80-იანი წლების ერთი საინჟღარო დამწავეის აფიორა და მაშინდელი პარიზის საოლიციო აპარატის კულისები. კრიტიკის აზრით ეს ნაწარმოები აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯია ლანუს შემოქმედებაში.

**დაღვამენ თუ არა
პიპასოს ნამუშევარი?**

იგნისში პარიზში უნდა გახსნილიყო უდიდესი ფრანგი პოეტის გიომ აპოლინერის ძეგლი, რომელიც პიპასომ გააკეთა, მაგრამ პარიზის მხატვრულ წრეებში დიდი კამათი ატყდა ამ ძეგლის თაობაზე. ზოგის აზრით ესაა აბსტრაქტული ნაწარმოები და მკრეხელობა იქნებოდა მისი დაღვა ხენ. შემდეგ დე პრეს გოთურის ტაძრის წინ. მეორენი, მეტადრე „აპოლინერის კომიტეტის“ წევრები, აცხადებენ, რომ ეს ძეგლი „რეალისტური მთავრობის“ ნაწარმოებია და საუცხოო მარმონიას ქმნის XIII საუკუნის ნაგებობასთან.

როსტანი ბალეტში

პარიზში დიდი წარმატებით იღგმება კომპოზიტორ მარიუს კონსტანის ახალი ბალეტი „სირანო დე-ბერტერაკის“ სიუჟეტზე. მთავარ როლს ასრულებს მსოფლიოში სახელმონებელი ფრანგი ბალეტებისტერი როლან პეტი.

**ჟიულ ვერნის
ბიოგრაფის სიკვდილი**

ნანტიში 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ალოტ დე ლა ფიუი, ჟიულ ვერნის საუკეთესო ბიოგრაფი და ვერნის ფრანგულ საზოგადოების დამაარსებელი 1935 წელს. დე ლა ფიუი ჟ. ვერნის შორეული ნათესავი იყო.

**მხატვარმა კალამს
მოსჭიდა ხელი**

ვანთქმულმა ფრანგმა მხატვარმა და გრაფიკოსმა ბორის ტასლიციმ ამას წინათ გამოსცა რომანი — „შენ ამბობ“. ესაა ქრონიკა, რომელიც აშკარად აბტომოგრაფიული ხასიათისაა, უშუალოდ პირველი მსოფლიო ომის მომდევნო წლებს ასახავს. კრიტიკა ხაზგასმით აღნიშნავს ავტორის უშუალო, დელურფელ სტილს, აღამიანებისა და მათი გარემოს ზუსტ და გამჭრიახ აღწერილობას.

**შვეიცარიის სახელოების
პრემია**

საფრანგეთში დაწესდა ალბერტ შვეიცერიის სახელოების ლიტერატურული პრემია 500.000 ფრანკის რაოდენობით. შვეიცერი იყო ვანთქმული გერმანელი ექიმი - ჰუმანისტი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ცენტრალური აფრიკის ზანგების მკურნალობას მოახმარა. პრემია მიენიჭება საუკეთესო ლიტერა-



ტურულ ნაწარმოებს, რომლის თემა იქნება მძიმე დაავადებანი.

ლიტერატურული ტოტალიტატორი

ფრანგმა კულტურის მოღვაწეებმა შემოიღეს ახლბურთი ლიტერატურული კონკურსი: უკვე კვირას საეკრანოავციოდ ირჩევენ რომელიმე ნაწევებს ფრანგული კლასიკური ლიტერატურიდან. ამ ნაწარმოების თითოეული პერსონაჟის როლის შესასრულებლად ასახელებენ კინოსა და თეატრის ცნობილ მსახიობებს. შეჯიბრებაში მონაწილენი საგანგებო ბარათებში ხაზს უსვამენ იმ მსახიობების გვარებს, რომლებიც, მათი აზრით, შეადგენენ შემსრულებელთა „იდეალურ კოლექტივს“. სპეციალური ჟიური, რომელშიც შედიან კინორეჟისორი, კრიტიკოსი და მსახიობი, აჭვევენებს თავის „იდეალურ შემადგენლობას“ და ის, ვისი ბარათიც დაემთხვევა ჟიურის აზრს, იგებს 100.000 ფრანკს. პირველი ასეთი ტოტალიტატორი ტარდება კორნელის „სილის“ თაობაზე.

ლუპრის ახალი კატალოგი

გამოდის ლუპრის მუზეუმში დატული კოლექციების ახალი, ილუსტრირებული კატალოგი, რომელიც 13 ტომს მოიცავს. წელიწადში გამოვა ორ-ორი ტომი. პირველ 8 ტომში შევაყველა მიმართულება, რაც კი ყოფილა ფრანგულ მხატვრობაში. პირველ ტომში, რომელიც მოიცავს ა—ს ასოებს, მოთავსებული იქნება 500 რეპროდუქცია.

სულანი

პირველი სულანური რომანი

გამოვიდა პირველი სულანური რომანი — „გაზაფხული

დაღა“, რომლის ავტორია ნიჭიერი ახალგაზრდა სულანელი მწერალი აბუ ზეკრუ ხალიდა. რომანის გმირია სულანელი ახალგაზრდობა. მოქმედება წარმოებს მეორე მსოფლიო ომის მომდევნო პერიოდში, აღწერილია სულანელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

უნგრეთი

უნგრელი კომედი თბილისის შესახებ

უნგრელმა პოეტმა იანოშ ფილდეკმა უნგრულ სალიტერატურო გაზეთში გამოაქვეყნა ლექსები თბილისის შესახებ. ავტორი თავის ლექსებში ქუბას ასახავს ჩვენი დედაქალაქის სილამაზეს და პოეტურად აღწერს სამგორის ამბებს.

ორენოვანი გამოცემა

უნგრეთში არსებობს გამოცემლობა, სადაც უცხოელი ავტორების წიგნები გამოდის ერთსა და იმავე დროს ორენაზე — მშობლიურ და უნგრულ ენებზე. ინგლისელი მწერლების სერიაში უკვე გამოვიდა დიკენსის, ჯეკ ლონდონის, მარკ ტვენის, ჰემინგუეის და სხვათა ნაწარმოებები, ფრანგებიდან — ვიქტორ ჰიუგო, ზოლა, ვერკორი, მოპსანი, მერიმე, არაგონი, რუსებიდან — ბუშკინი, პანტელეევი, გორკი, კატაევი და ლენჩი.

ახალი ოპერა

ბუდაპეშტის ოპერის თეატრის სცენაზე კარგა ხანი იყო არ დადგმულიყო ნაციონალური ოპერა და აი, ამას წინათ დაიდგა „კატა კადარი“, რომელიც უნგრული ბალადის სიუჟეტზე დაწერა უნგრელმა კომპოზიტორმა მიხაემ ხაიდუმ. ხაიდუს დღემდე იცნობდნენ, როგორც სიმფონიური ნაწარმოებების ავტორს — ესაა

მისი პირველი ოპერა, რომელსაც კრიტიკამ დიდად მოუწონა როგორც მუსიკალური, ისე დრამატული მხარე.

უნგრული კომედიის ანთოლოგია

მწერლებმა იოჟეფ ფადორმა და ფერენც იანკოვიჩმა მოამზადეს ორტომიანი ანთოლოგია — „უნგრული მუსა“. კრებულში შედის 500 ლექსი უნგრული პოეზიის შექმნიდან დღემდე.

ურუგვაი

კომედიისა და პროზის მიჯნაზე

ცნობილმა ურუგვაელმა პროზაერსულმა მწერალმა ენრიკეს ამორიმმა გამოსცა ახალი რომანი, რომელშიც გაცხველებული დისკუსია გამოიწვია ლათინური ამერიკის ლიტერატურულ წრებში. ესაა მცირე, 104-გვერდიანი წიგნი, რომელშიც პაპის დედა სამარიდან მოუთხორობს თავის შვილთაშვილებს მათი ოჯახისა და, იმავე დროს, მათი ქვეყნის ისტორიას. ავტორი იმას კი არ ცდილობს, რომ ადამიანები და ამბები აგვიწეროს, მას უნდა შექმნას განსაკუთრებული გარემო. ლიტერატურული კრიტიკოსების აზრით ამორიმმა შექმნა ახალი ლიტერატურული ფორმა, რომელიც პოეზიისა და პროზის მიჯნაზე დგას. წიგნის სახელწოდებია „მდინარის სათავე“.

შვიცარია

ჩაკლინი — დრამატურგი

თავისი 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე ჩარლი ჩაკლინმა მეგობრებს განუცხადა, დრამატურგობას ვიწყებ და მალე იხილავთ ჩემს პირველ პიესასო.



ჩეხოსლოვაკია

პარტული ლიტერატურის დანაშაურობა

ჟურნალმა „კულტურამ“ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

„პარტული კულტურა ორი მიმედ დაწვრილი განიცადა. 15 აპრილს 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ერთ-ერთი უდიდესი პარტული საბჭოთა დრამატურგი შალვა დადიანი, ავტორი მრავალი დრამისა, მოთხრობისა, ნარკვევისა, ორი ისტორიული რომანისა და, რაც მთავარია, თითქმის ორმოცე პიესისა, რომელთაგან განსაკუთრებული წარმატება ხვდა ისტორიულ - რევოლუციურ დრამას „ნაპერწყლიდან“, სადაც ცენტრალური ფიგურაა ახლგაზრდა სტალინი. დადიანის სიკვდილის რამდენიმე დღის შერე შევიტყვეთ პარტული საბჭოთა პოეზიის თვალსაჩინო ფუძემდებლის, 67 წლის ვალატიონ ტაბიძის სიკვდილი. მისმა 50 წლიანმა პოეტურმა მოღვაწეობამ პარტული პოეზია გაამდიდრა ოსტატური ლირიკით, რომელმაც განავითარა ეროვნული პოეტური ტრადიცია და რომელიც გულისხმობდა ენაურებოდა ყველა ცვლილებას თავისი ხალხისა და ქვეყნის ცხოვრებაში“.

„შეხვედრები საპარტული“

გაზეთი „კულტურული ცხოვრება“ აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ ჟურნალმა „ლიტერატურული საქართველო“ დაბეჭდა სლოვაკელი მწერალი ქალის ვერა ჰანძავას ნარკვევი „შეხვედრები საქართველოში“, რომელიც პირველად ამ გაზეთში გამოქვეყნდა.

სახელმწიფო პრემიები

გოტვალდის სახელობის სახელმწიფო პრემიები 1958

წლისათვის მიენიჭა ჩეხოსლოვაკიის კულტურის ათ მოღვაწეს — ჩეხ პოეტს ივან სკადალას (ლექსების კრებული — „იმედის დღის მატარებელი“), სლოვაკ პოეტს ანდრეი პლავკას (კრებული „ლიტერატურული მალაშირა“), კომპოზიტორ პაველ ბორჟოვიცის (II სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის), სლოვაკელ კომპოზიტორს დეზიდერ კარდოშს (კონცერტი ორკესტრისათვის); მოქანდაკეს იოზეფ მალიეოვსკის (ნაციონალური ძეგლის ბრინჯაოს მხატვრული კარის ავტორი), მხანობის ლაღისლავ სუდიკს (თეატრსა და კინოში შესრულებული როლებისათვის), კინორეჟისორს კარელ ზემანს (კინოფილმისათვის „წყეული გამოგონება“ — შ. ვერნის მიხედვით), არქიტექტორ ფრანტიშეკ ცუბრს (ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე ჩეხოსლოვაკიის პავილიონის გახედული და ორიგინალური გადაწყვეტისათვის), რეჟისორ ალფრედ რედლს („ლატერნა მაგიას“ დადგმისათვის — ამ დადგმაში გაერთიანებულია თეატრი, ბალეტი, კინო, მუსიკა და მსტყველება), სცენარისტს ინდრჟიხ სანტარს (ბრიუსელში ჩეხოსლოვაკური გამოფენისათვის დაწერა სცენარი, რომლის თემაა „ერთი დღე ჩეხოსლოვაკიაში“).

ნენ თავის სამშობლოში, ალმოსავლეთში, ასე რომ ისინი წარმოშობილი არიან შავი ზღვის, კავკასიისა და თურქესტანის ჩრდილოეთით. გერმანელმა მეცნიერმა ჰუგო ვიენკლერმა ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში, ხეთების უძველესი დედაქალაქის სათულის ნანგრევების გათხრისას, აღმოაჩინა ნარჩენები ბიბლიოთეკისა, რომელშიც 1.000 თიხის ფირფიტაა. ხეთური ენის გაშიფრვა იოლი საქმე გამოდგა, ვინაიდან ამ ენის სიტყვები ძალიან წაგავს ევროპული ენების სიტყვებს, რაც იმას მოწმობს, რომ ხეთური ენა კლასიკური ლათინურისა და თანამედროვე ევროპული ენების სათავე ყოფილა.

პმტმრ კარმოვის ახალი პიესა

სლოვაკელმა დრამატურგმა პეტერ კარვოშმა, რომლის პიესებსაც „ჩვენი ქუჩის აღმშენებელი“, „პაციენტი № 113“ და სხვ. საზღვარგარეთაც იცნობენ, დაწერა ახალი პიესა „შუალამის მესა“. პიესა დადგა ბრატისლავის ნაციონალურმა თეატრმა. „შუალამის მესა“ ახაზავს სლოვაკიის სახალხო აჯანყების ეპოქას და ნიღაბს ხდის მესაჩანებს, რომლებიც „პატროსან, ღვთისმომიშ ადამიანთა“ რეპუტაციას ამოფარებთან. თეატრალურმა კრიტიკამ პიესა მოიწონა.

ჩილი

ნერვალს ახალი ლექსების კრებული

ლათინურ ამერიკაში გამოვიდა პაბლო ნერვალს ახალი ლექსების კრებული „ესტრავგარია“, რომელიც უდიდეს ლიტერატურულ მოვლენად იქცა. ლათინური ამერიკის პრესა ერთხმად აცხადებს, რომ „ნერვალს არის ყველაზე ორიგინალური და ყველაზე ძლიერი

ხეთების სამეფო — მეროვის აკანია

ცნობილია ჩეხოსლოვაკია ისტორიკოსმა ბედრჟხ გროზნიმ, რომელიც ამას წინათ გარდაიცვალა, მრავალი წლის არქეოლოგიური და ლინგვისტური კვლევის შედეგად შესწავლილ მთავარ ნაშრომში „ხეთების სამეფოს ისტორიისათვის და დადგინა, რომ სწორედ ეს სამეფო იყო ინდო-ევროპული ხალხთა აკანია. გროზნიმ დაამტკიცა, რომ ხეთები კავკასიისა და მცირე აზიის გადავლით მივიდ-

მოტიც ესანურ ენაზე მოლა-
პარაკე ხალხთა შორის“.

რომ ნატურმორტაც შეუძლია
გამოსატოს მხატვრის ოპტიმის-
ტური დამოკიდებულება ცხოვ-
რებისადმი. ნატურმორტი, რო-
მელიც სილამაზეს გამოხატავს,
აღამიანს უღვიძებს სილამაზის
მოთხოვნილებას და სულიერად
აჯანსაღებს მას. ამაშია ამ ქან-
რის უდავო მნიშვნელობა აღა-
მიანის სულიერი აღზრდის
საქმეში.

ნელმა ინტელიგენტიმ, ვად-
რე რევოლუციამდე მივიდოდ-
ნენ.

ჩინეთი

ჩინური ნატურმორტის 1400 წელი

ცნობილი მხატვარი და ხე-
ლოვნებათმცოდნე გო ვეი-ძი
გაზეთ „უენმინუბაოში“ და-
ბეჭდილ სტატიაში ტრადიცი-
ული ჩინური ფერწერის შე-
სახებ წერს, რომ თავისი გან-
ვითარების 1400 წლის მან-
ძილზე ჩინურმა ნატურმორტმა
(რომელსაც ჩინეთში ყვავილე-
ბისა და ჩიტების ფერწერას
ქაბიან) უდიდესი სიყვარული
მოიპოვა. შემდეგ ავტორი ეკა-
მათება ზოგ ავტორს, რომელთა
აზრით ამ ქანრს არ შეუძლია
ასახოს ცხოვრების სინამდვი-
ლე. ვერ ესახურება პოლიტი-
კას და ამიტომ არაა აუცი-
ლებელი მისი შემდგომი გან-
ვითარება. ავტორი ამტკიცებს,
რომ ასეთი შეხედულება შეზ-
ღუდულია და ცალმხრივი, და

რომანი ინტელიგენციის შესახებ

ჩინელმა მხატვარმა ქალმა
იან მომ დაწერა რომანი —
„ახალგაზრდობის სიმღერა“.
კრიტიკამ დადებითად შეაფასა
ცნობილი მწერლის ეს ნაწარ-
მოები. რომანში მოქმედება
ვითარდება ში-იან წლებში და
ასახავს მდიდარი მემამულის
სტუდენტი ქალიშვილის ცხოვ-
რებას. მისი ცხოვრება, აღსავ-
სე სიყვარულით, იმედითა და
იმედის გაცრუებით, ტანჯვითა
და ცხოვრებაში თავისი ადგი-
ლის ძიებით, გვაჩვენებს იმ
გზას, რომელიც განვლეს ჩი-

ცნობილმა პროგრესულმა
პოლანდიელმა მწერალმა ტენ-
დე-ფრისმა დაწერა ახალი წიგ-
ნი „წითური ქალიშვილი“, რო-
მელიც მიემდვნა ახალგაზრდა
კომუნისტი ქალის ცხოვრებას
ფაშისტური გერმანიის მიერ
პოლანდიის ოკუპაციის დროს.
წიგნის მთავარი იდეა ასეთია—
აუცილებელია ძალადობასთან
ბრძოლა, ოღონდ არა მარტოკა,
არამედ შეკავშირებულად. თავ-
ისი იდეის საქადაგებლად ავ-
ტორს გამოჰყავს ახალგაზრდა,
მორალურად წმინდა ქალიშვი-
ლი, რომელიც ამ ბრძოლას
სწირავს ყველაფერს, თავის
სიცოცხლესაც კი. ტრაგიკული
დასასრულის მიუხედავად წიგ-
ნი აღსავსეა ოპტიმიზმით, აღა-
მიანისა და მისი მორალური
ძალების რწმენით.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VII-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 336.
უე 03618. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 7500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფიამომცემლობის ბეჭდვით
სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

3560 6 856.

6129/169



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„**Ц И С К А Р И**“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«**САБЧОТА САКАРТВЕЛО**»